

05-11247

პ. ბერძენიძე

საქართველოს ფილოსოფიის
ისტორია

I

თბილისი 1939

საბჭოთა — 1939

ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS
ИНСТИТУТ ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕР. КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА
L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE ET DE CULTURE MATÉRIELLE

В. БАРДАВЕЛИДЗЕ

КАЛЕНДАРЬ СВАНСКИХ НАРОДНЫХ ПРАЗДНИКОВ

I

НОВОГОДНИЙ ЦИКЛ

Под редакцией проф. А. Шанидзе

V. BARDAVÉLIDZÉ

CALENDRIER DES FÊTES POPULAIRES CHEZ LES SVANES

I

CYCLE DU NOUVEL AN

Sous la rédaction du prof. A. Chanidzé

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР

Тбилиси

1939

Tbilissi

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქარტველუს ფილიალი
აკად. ნ. შარის სახელობის ვენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

მ. გარდაველიძე


სვანურ ხალხურ ღღეობათა კალენდარი

I

ახალწლის ციკლი

პროფ. ა. შანიშის რედაქციით.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქარტველუს ფილიალის გამომცემლობა
ტფილისი



39

თ უ-11247
მ. 2015-17595-

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

ტექრედაქტორი ნ. გიორგაძე
გადაეცა წარმოებას 31.5.1938.
ქალ. ზ.72×94. 17 ბეჭდ. თ.
მთავლიტი № 1085.

ხელმოწ. დასაბეჭდად 19.2.1939.
სასტამბო ნიშანი 50.000.
შეკვეთა № 268.

ტირაჟი 750.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	VII—XV
1. ბარბლანსუ, ბარბოლ (4 დეკემბერს), ბარბალობა	1—20
<p>A. ბალს ქვემოთ 1—9: ლახამულაში 1—3; ჩუბეხევი 3—4; ფარში 4—6; ეცერში 6—7; ცხუმარში 7—8; ბეჩოში—9;</p> <p>B. ბალს ზემოთ 9—18: ლატალში 9; ლენჯერში 10—11; მესტიაში 11—13; მულახში 13—14; იფარში 15—16; კალაში 16—18; უშგულში 18; C. ქვემო სვანეთში 18—20: ჩოლურში 18—19; ლენტეხში 19—20.</p>	
2. ანანსუ, ანანობ (9 დეკემბერს) „იონობა“	21—27
<p>A. ბალს ქვემოთ 21—22: ჩუბეხევი 21; ფარში 21—22; ეცერში—22; ცხუმარში 22; B. ბალს ზემოთ 22—26: ლატალში 22—23; ლენჯერში 23; მესტიაში 24—25; მულახში 25; იფარში 25; კალაში 25—26; უშგულში 26; C. ქვემო სვანეთში—ლაშხეთში, ჩოლურში, ლენტეხში 27.</p>	
3. ჰკვდობ, ჰკვტობ, აენშიერი ჰკვტობ (8 ან 10 დეკემბერს) „მქადობა“, „ფეტვისკვერობა“	28—29
<p>A. ბალს ქვემოთ 28—29: ჩუბეხევი 28; ფარში 28; ეცერში 29; ცხუმარში 29; B. ბალს ზემოთ—ლენჯერში 29.</p>	
4. ჰიშდურობ, ლიჰშდურ (10 ან 11 დეკემბერს) „ყველნარევი ფეტვისკვერობა“	30
<p>A. ბალს ქვემოთ—ფარში 30; B. ბალს ზემოთ—მესტიაში 30.</p>	
5. შობ, ჰანტილობ (24 დეკემბერს), „შობა“, „ჰანტილობა“	31—44
<p>A. ბალს ქვემოთ 31—35: ლახამულაში 31; ჩუბეხევი 31—32; ფარში 32—33; ეცერში 34—35; ცხუმარში 35; ბეჩოში 35; B. ბალს ზემოთ 35—42: ლატალში 35; ლენჯერში 36—37; მესტიაში 37—38; მულახში 38; იფარში 38; კალაში 38—41; უშგულში 41—42; C. ქვემო სვანეთში 42—44: ლაშხეთში 42; ჩოლურში 43; ლენტეხში 43—44.</p>	
6. ჰრისდუშ (25 დეკემბერს) შობა	45—58
<p>A. ბალს ქვემოთ 45—49: ლახამულაში 45; ჩუბეხევი 45—46; ფარში 46—47; ეცერში 47; ცხუმარში 47—48; ბეჩოში 48—49; B. ბალს ზემოთ 49—56: ლატალში 49; ლენჯერში 49—50;</p>	

- მესტიაში 50; მულახში 50—52; იფარში 52—53; კალაში 53—55; უშგულში 55—56; C. ქვემო სვანეთში—ლენტეხში 57—58.
7. **მარუნენსგა, მარტუნსგა** (25—31 დეკემბერს) „ორთა-შოლა“ 59—76
 A. ბალს ქვემოთ 59—64: ლახამულაში 59; ჩუბეხევი 59—60; ფარში 60—61; ეცერში 61—62; ცხუმარში 62—63; ბეჩოში 63—64; B. ბალს ზემოთ 64—76: ლატალში 64—69; ლენჯერში 69—70; მესტიაში 70; მულახში 70—71; იფარში 71—72; კალაში 72—74; უშგულში 74—76.
8. **მეხტამ, ეხტამ, შეხტამ, შუხტამ, ლიძინალ** (31 დეკემბერს) „შუხხვამი“, „დაკვლის დღე“ 77—119
 A. ბალს ქვემოთ 77—89: ლახამულაში 77—81; ჩუბეხევი 81—82; ფარში 82—84; ეცერში 84—86; ცხუმარში 86—88; ბეჩოში 88—89; B. ბალს ზემოთ 90—108: ლატალში 90—95; ლენჯერში 95—96; მესტიაში 96—99; მულახში 99—100; იფარში 100—102; კალაში 103—106; უშგულში 106—108; C. ქვემო სვანეთში 108—119: ლაშხეთში 108—112; ჩოლურში 112—114; ლენტეხში 114—119.
9. **ზომხა, კანდა, კალანდა** (1 იანვარს) ახალწელიწადი 120—174
 A. ბალს ქვემოთ 120—138: ლახამულაში 120—124; ჩუბეხევი 125—128; ფარში 128—132; ეცერში 132—135; ცხუმარში 135—138; B. ბალს ზემოთ 138—163: ლატალში 138—141; ლენჯერში 141—144; მესტიაში 144—148; მულახში 148—152; იფარში 153—154; კალაში 155—158; უშგულში 158—163; C. ქვემო სვანეთში 164—174: ლაშხეთში 164—170; ლენტეხში 170—174.
10. **კტიმტარ, კტიმტარეშ, კუამტობ, კუიმტ, კუმტ, ნანკ, ლიშიაშალ** (2-3 იანვარს) „კვიმატები“ 175—184
 A. ბალს ქვემოთ 175—180: ლახამულაში 175—177; ჩუბეხევი 178; ფარში 179; ეცერში 179; ცხუმარში და ბეჩოში 180; B. ბალს ზემოთ 180—184: ლატალში 180—181; ლენჯერში 181; მესტიაში 181; მულახში 182; იფარში 182; კალაში 183; უშგულში 183—184; C. ქვემო სვანეთში—ლენტეხში 184.
- დექსიკონი** 185—222
 1) დღეობანი 185—190; 2) სალოცაეები 190—201; 3) ტერმინები 202—222.
- საძიებელი** 223—228
სურათების სია 229—232
ტაბულები 233—246

წინასიტყვაობა

სპეციალურ გამოცემებში და ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულია სხვადასხვა ქართველი ტომების დღეობათა აღწერილობა. მრავალი ამ დღეობათაგანი შეიცავს მეცნიერული თვალსაზრისით უძვირფასეს მასალას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხის გამოკვლევა და დადგენა. მაგრამ ამავე დროს, სამწუხაროდ, ამ აღწერილობათა დიდი უმრავლესობა თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ვინაიდან ამ აღწერილობათა ავტორები მიზნად არ ისახავდნენ დღეობათა შესახებ ამომწურავი ცნობების ფიქსაციას მთელი თავისი დეტალებითა და ნუანსებით და ერთსა და იმავე ეთნიკურ ერთეულში ამათუიმ დღეობის ვარიანტების დადგენას¹. ცხადია, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში თუ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი და აგრეთვე ამჟამად უმრავლეს შემთხვევაში მოხუცების ხსოვნაში ცოცხალ მოგონებად ქცეული ამ ოციოდე წლის წინათ მოქმედი დღეობები არ წარმოადგენენ უძველესი დღეობების მთლიანსა და უცვლელ სახეს. თითოეული დღეობის წესჩვეულებები უძველესი დღეობის ორგანულ წესჩვეულებათა მხოლოდ-ღა ნაწილებს და ამ ნაწილების ვარიაციებს იძლევიან. ამიტომ მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეობის დეტალურ აღწერილობას და მისი ვარიანტების დადგენას. ასეთი მუშაობის წარმოების დროს, ერთი მხრივ, შესაძლებელია გამოაშკარავდეს დღეობის ისეთი მხარეები, რომლებიც პირველი შეხედვით თითქოს რიტუალის უმნიშვნელო დეტალებს წარმოადგენს, მაგრამ რომლებმაც შესაძლებელია აღადგინონ და ნათელყონ დღეობის და რწმენის მნიშვნელოვანი მომენტები; მეორე მხრივ, ის, რაც ერთი რაიონის, თემის, სოფლის, უბნის თუ გვარის დღეობაში წაშლილი, ამოვარდნილი თუ დაკარგულია, შეიძლება შემონახული აღმოჩნდეს მეორე რაიონის, თემის, სოფლის, უბნის ან გვარის ამავე დღეობაში და ამით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაკული დღეობის წესჩვეულებათა კომპლექსი მთლიანად იქნეს დადგენილი.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საგანზე არსებული საკმაო რაოდენობის ლიტერატურისა, ჩვენ დღევანდლამდე არ მოგვეპოება არცერთი ქართველი ტომის წლიური ციკლის დღეობათა და სარწმუნოებრივი წესჩვეულებებით აღბეჭდილი დღეების სისტემატური აღწერილობა. დღეობათა და სარწმუნოებრივი წესჩვეულებებით აღბეჭდილი დღეების წლიური ციკლის დე-

¹ ამ მხრივ სასიამოვნო გამოანაკლის წარმოადგენს ნ. ჯანაშიას მიერ აბუჟის აზხაზების მოსახლეობაში დიდი ყურადღებით შეკრებილი მასალა. ნ. მისი Религиозные верования ахазов. ХВ, т. IV, вып. 1, Птг., 1915 г., გვ. 72—112.

ტალური აღწერა, ვარიანტების დადგენა და მათი გამოკვლევა დიფერენცირებულად თითოეულ ეთნიკურ ერთეულსა თუ ტომში, — უზრუნველყოფდა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში ქართული ხალხური კალენდრის აღდგენას შედარებით სრული სახით. ამჟამად კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ცალკეული ქართველი ტომების თუ ეთნიკური ერთეულების კალენდრის უქონლობა შეუძლებლად ხდის მთლიანად ქართული ხალხური კალენდრის გათვალისწინებას, მის მეცნიერულ ანალიზს და ამ ანალიზის საშუალებით იმ მთავარი პრინციპის მიკვლევას, რომელიც ნათელყოფდა კონკრეტულ გზებს, რომლითაც ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი წესჩვეულებანი და მათთან დაკავშირებული რელიგიური მსოფლმხედველობა.

ხალხურ დღეობებში მოცემული კულტი მეტად რთული შინაარსისაა. დღევანდელი სახით ის წარმოადგენს ჯამს ანუ ნაერთს, კონგლომერატს ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურების რწმენისა და სარწმუნოებრივი წესებისას, რომლებმაც ისტორიის მანძილზე მრავალგვარი ცვლილება განიცადეს ხალხის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზეგავლენის გამო. ამათუიმ დღეობის ზოგი წესჩვეულება სრულიად წაიშალა, ზოგმა ისე ძირფესვიანად იცვალა სახე და შინაარსი, რომ მისი პირველადი რაობის მიკვლევა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ზოგი შემოინახა ჩვენამდე გაქვავებული ფრაგმენტის თუ რელიქტის სახით, ზოგიც წარმართული რელიგიის სახეცვლილ, მაგრამ საკმაოდ ცხოველ და ნათელ გარდმონაშთს წარმოადგენს და სხვ. მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება ზოგადი დაკვირვების ან ცალკეული დღეობის თუ დღეობების შესწავლის შედეგია. უკანასკნელ ხანამდე, რამდენადაც ვიცი, არ გამოქვეყნებულა ცოტად თუ ბევრად სრული სახით დღეობათა მასალის გამაერთიანებელი კრებული, რომელიც გამოამყლავნებდა დღეობათა შემადგენლობას, მათს შინაარსობლივ ნაირსახეობას და წარსულში ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო ყოველდღიურ პრაქტიკაში და სულიერ ცხოვრებაში მათ წონას და მნიშვნელობას და ამით გააადვილებდა ქართულ ხალხურ დღეობათა წარმოშობის წყაროს ძიებასა და მიკვლევას.

ზემოთქმული მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდი, როდესაც ხელი მოვკიდე ქართული ხალხური სარწმუნოების შესწავლას. მე განვიზრახე პირველყოფლისა შევდგომოდი ჯერ კიდევ ხალხში პრაქტიკულ შესრულებისა თუ მოგონების სახით დაცულ ხალხური კალენდრის სისტემატურ კვლევა-ძიებას, დღეობების და სარწმუნოებრივი წესჩვეულებებით აღბეჭდილ დღეობის დეტალურსა და ყოველმხრივ აღწერას მათი ვარიანტების დადგენით ერთისა და იმავე ეთნიკური ერთეულის შიგნით.

საველე მუშაობის გასაადვილებლად შევადგინე პირველად მოკლე და შემდეგში დაწვრილებითი „პროგრამა ხალხური სარწმუნოების მასალების შესაგროვებლად“, რომლის ერთ-ერთი (მეშვიდე) თავი მიძღვნილია სპეციალურად ხალხურ დღეობათა აღწერისათვის.

საგანზე საველე კვლევა-ძიება დაწყებულ იქნა ჯერ კიდევ 1931 წელს. ამ საქმემ სტაციონარული და სისტემატური კვლევის ხასიათი მიიღო და ფართოდ გაიშალა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

ისედაც დაგვიანებული საქმე განსაკუთრებით საშური იყო და არის ჩვენი ქვეყნის უმაგალითო სწრაფი ტემპებით განვითარების და კომუნისტურ ქვეყნად გარდაქმნის ხანაში, როდესაც ელვისებრი სისწრაფით ისპობა რელიგიისა და ყოველგვარი ცრუმორწმუნოების გარდმონაშთები. ენიმკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის წყალობით მის ეთნოგრაფიის განყოფილებას საშუალება მიეცა არ დაყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სპეციალისტ ეთნოგრაფების მეტად მცირერიცხოვან კადრებს, რომლებიც ამ სიმცირის გამო მასალების შეგროვების საქმეს დროულად ვერ აუვიდოდნენ.

ეთნოგრაფიის განყოფილებამ შემოკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარეთმცოდნეები, რომლებმაც, სათანადო პროგრამითა და ინსტრუქციებით შეიარაღებულებმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშალეს მუშაობა. აღმოჩნდნენ აგრეთვე ცალკეული პირები, საქმის ენთუზიასტები, რომლებმაც შეკრიბეს ხალხში მასალები ცალკეული დღეობების შესახებ და გადმოსცეს ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილებას.

ამჟამად, ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილებაში შემოსულია და გამოცემას ელის სარწმუნოებრივი ხასიათის შემდეგი ნაშრომები: 1. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, რომლის ერთ ნაწილს წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს; 2. არხოტისა და ბუდე-ხევსურეთის ხალხური დღეობები—შედგენილი ალ. ოჩიაურისა და მელ. ბალიაურის მიერ; 3. თქმულებები ხევსურების ღვთაებათა და „ხთიშვილთა“ შესახებ—ალ. ოჩიაურისა; 4. „ჯვარის“ (ხატის) მამულები ხევსურეთში—ალ. ოჩიაურისა; 5. მესაქონლეობის კულტი ხევსურეთში—მ. მაკალათიასი და მელ. ბალიაურისა; 6. ნადირობა და მონადირეობასთან დაკავშირებული რწმენა ხევსურეთში—ვლ. ბალიაურისა; 7. მიცვალებულთა კულტი ხევსურეთში—მ. მაკალათიასი და მელ. ბალიაურისა; 8. ბავშვის დაბადება-აღზრდასთან დაკავშირებული წესჩვეულებები და ცრუმორწმუნეობანი ხევსურეთში—მელ. ბალიაურისა; 9. ხალხური დღეობები რაჭაში—ფ. გარდაფხაძისა; 10. ზემო რაჭის ზოგიერთი დღეობა—შ. გობჯიშვილისა; 11. ლეჩხუმური ხალხური დღეობები—ფ. გარდაფხაძისა; 12. კალანდა და ქათმის ფერხვა გურიაში—მ. ქიქოძისა; 13. კახური ხალხური დღეობები—ლ. ბოჭორიშვილისა; 14. ყუენობა ბაჯიხევში (ონის რ.)—შ. თვალჭრელიძისა; 15. ლაზარობა კასპში (გორის რ.)—ა. აფხაზავასი და ს. ბენდუქიძისა და სხვ.

ხალხური წლიური დღეობები, როგორც ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, სისტემატურად შესწავლილია ხევსურეთში (ბუდე-ხევსურეთსა და არხოტში), ნაწილობრივ კახეთში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში. ხევსურული სარწმუნოებ-

რივი მასალის შეკრების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, რადგან ეს მასალა იშვიათი ღირებულებისაა მეცნიერული თვალსაზრისით.

საზოგადოდ ენიშნის ეთნოგრაფიის განყოფილების ძირითად ამოცანას სარწმუნოებრივი ხასიათის გარდმონაშთების შესწავლის საქმეში წარმოადგენს დიფერენცირებული, ზედმიწევნით დეტალური და სისტემატური ხასიათის მუშაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და, უახლოესი პერსპექტივის მიხედვით, კავკასიის ხალხებში, ამათგან პირველ რიგში დაღისტინის მოსახლეობის შორის.

სვანურ დღეობათა და სარწმუნოებრივი წესჩვეულებებით აღბეჭდილ დღეთა რიცხვი (160 დღემდე) საერთოდ თითქმის ნახევარ წელიწადს უდრის. ასეთი ვითარება თავისთავად ააშკარავებს, თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველად სვანის ცხოვრებაში სარწმუნოებრივი წესჩვეულებანი. ბუნებრივია, რომ აღნიშნულ დღეებში არ არის ნაგულისხმევი ისეთი წესჩვევები, რომელთა შესრულებას იწვევდა დაბადება, აღზრდა, ავადმყოფობა, სიკვდილი, ქორწინება, გვალვა, წვიმიანობა და მისთანანი.

სარწმუნოებრივ წესჩვეულებათა როლი და წონა სვანის ცხოვრებაში კიდევ უფრო ძლიერი სახით წარმოგვიდგება, თუ შევხედვით მის მივიღებთ იმ მეცნიერულად მეტად საყურადღებო ფაქტს, რომ სვანეთში კვირის ანუ შვიდეულის გარდა, რომელსაც ნაგზი ეწოდება, არსებობს ტერმინი მნშ ანუ მკიშ, რომლითაც აღინიშნებოდა სამუშაო დღეები უქმე დღეებისაგან განსხვავებულად. ასეთ სამუშაო დღეებად ძველად მიჩნეული იყო წლის განმავლობაში ყველა ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი. შვიდეულში ამ დღეებს ბალს ზემოთ და ქვემო სვანეთში მნშ ეწოდებოდა, ხოლო ბალს ქვემოთ მკიშ. შვიდეულის დანარჩენი დღეები—პარასკევი, შაბათი და კვირა—უქმედღეებად იყო მიჩნეული და ლისგურეშ („ჯდომისა“) ერქვა. ამრიგად, წლის განმავლობაში 365 დღიდან 208 დღე იყო მნშ, ე. ი. სამუშაო დღე (თუ, რა თქმა უნდა, რომელსამე ამ დღეთაგანს დღეობა არ დაემთხვეოდა, რაც ძნელი წარმოსადგენია) და 157 დღე ლისგურეშ, ე. ი. უქმე დღე.

მე შედგენილი მაქვს სვანური კალენდარული დღეების სახელწოდებათა სია საზოგადოებების მიხედვით, რომლებშიც ეთნოგრაფიული მუშაობა სწარმოებდა და სათანადო მასალა შეგროვდა¹. ამ სიაში პირობითი ნიშნით მყარი დღეობები და სარწმუნოებრივი წესჩვეულებებით აღბეჭდილი დღეები გამოყოფილია მოძრავთაგან. საყურადღებოა, რომ მრავალი დღეობა პირობითად შეიძლება ჩაითვალოს მოძრავ დღეობად, რადგანაც მათი თარიღი უშუალოდ მყარ დღეობასთან იყო დაკავშირებული. ასე, მაგ., დღეობა ჭკკდობ (ჭკკტობ, ენშიერი ჭკკტობ) ზოგ საზოგადოებაში დანობ-ის (ანუ დანანშ-ის) წინა დღით და ზოგ საზოგადოებაში მის მეორე დღეს მოდიოდა. დანობკი (დანანშ) მყარი დღეობა იყო, რომელიც მუდამ 9 დეკემბერს² ემთხვეოდა. მაშასადამე ჭკკდობ-იც ზოგ საზოგადოებაში მუდამ 8 დეკემბერს მო-

¹ სამწუხაროდ, ამ სიის აქ მოთავსება ვერ მოხერხდა.

² მოხსენებელი თარიღები ყველა ძველი სტილით მომყავს.

დიოდა და ზოგან კი მუდამ 10 დეკემბერს. ასეთივე მდგომარეობა იყო კიშ-დურობის (ანუ ლიკუდუტარის) მიმართაც, რომელიც ზოგან ძანობის მეორე დღეს და ზოგან კვკდობის მეორე დღეს მოდიოდა, ე. ი. მუდამ ან 10 ან 11 დეკემბერს. მსგავსი მაგალითები სვანურ დღეობათა კალენდარში არც თუ მცირეა.

სვანურ კალენდარში არის აგრეთვე ასეთი მაგალითი: მიცვალებულთა სულების სახელზე განკუთვნილი დღეობა ლიფანალი. ზოგჯერ მოკლე იყო (3-4 დღიანი) და ზოგჯერ გრძელი (5-6-7 დღიანი). იგი ზემო სვანეთში შედარებით მყარი დღეობა იყო, რამდენადაც წყალკუთხევის წინადღეს, ე. ი. 5 იანვარს მოდიოდა. მაგრამ ქვემო სვანეთში ეს დღეობა შედარებით მოძრავი იყო: იწყებოდა მუდამ ახალწლის ხუთშაბათს და მომდევნო ხუთშაბათამდე გრძელდებოდა. თუ, მაგალითად, ახალწელიწადი სამშაბათს ან ოთხშაბათს დაემთხვეოდა, მაშინ ლიფანალი მის წინ ხუთშაბათს მოდიოდა, ხოლო, თუ ახალწელიწადი სხვა დღეებს შეხვდებოდა, მაშინ ლიფანალი ახალწლის შემდეგ პირველ ხუთშაბათს მოდიოდა. აქ მოყვანილი და მსგავსი მაგალითების მიუხედავად, ჯერხნობით (ვიდრე ეს საკითხი სპეციალურად გამოკვლეული არ არის) საერთოდ მიღებულ დღეობათა მყარ და მოძრავ ჯგუფებად დაყოფის პრინციპს მივსდევ და ეს მხარე უნებურად თავს იჩენს მასალების პუბლიკაციის დროსაც.

სვანურ დღეობათა კალენდარში შემონახულია წლის დასაწყისის სამი თარიღი: 4 დეკემბერი, რომელიც აღინიშნებოდა დღეობით ბარბოლ (ანუ ბარბლწუ), 1 იანვარი, რომლის დღეობას ზომხა (ანუ კანდა, კალანდა) ეწოდებოდა და 14 აგვისტო, რომელსაც ბიხოზ (ბ.-ზ.) ანუ ლირსკენწლ (ბ.-ქვ.) ერქვა. ჩანს ეს ის თარიღებია ახალწლის დასაწყისისა, რომლებიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდიდან შემოუნახავს. წლის დასაწყისის ამ სამი დღეობიდან ბიხოზის ანუ ლირსკენწლის ხსენება მხოლოდ ზემო სვანეთის ხუთ საზოგადოებაში-ლა დავამოწმე — ფარში, ეცერში, ცხუმარში, ლატალსა და ლენჯერში. უკანასკნელ ორ საზოგადოებაში 14 აგვისტო მხოლოდ ერთი ტერმინით აღინიშნებოდა (ბიხოზ), ხოლო ბალს ქვემოთ მას უფრო მეტად ლირსკენწლ-ს უწოდებდნენ, თუმცა ბიხოზიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ნაცნობი ტერმინი იყო. აღნიშნულ საზოგადოებათა გარდა ბალს ზემოთ და მთლიანად ქვემო სვანეთში არც ერთი ეს ტერმინი, როგორც დღეობის სახელწოდება, შემონახული აღარ არის, იმდენად აღარ არის, რომ ადგილობრივად მუშაობის დროს მათს შესახებ კითხვა მოსახლეობაში გაკვირვებასაც კი იწვევდა.

ამრიგად, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბიხოზ (ლირსკენწლ) მიმქრალი დღეობაა და ამიტომ მის შესახებ მასალაც მეტად ნაკლებეფანია. ეს მასალა მით უფრო საჭიროებს გულდასმითს ანალიზს იმისათვის რომ გაირკვეს, ეს ბიხოზი (ლირსკენწლ-ი) მართლაც წლის დასაწყისის დღეობა იყო, თუ არა. ერთ ჩემ ნაშრომში შევეცადე შეძლებისდაგვარად ნათელმეყო, რომ ბარბოლიდან (ბარბლწუ-იდან), ე. ი. 4 დეკემბრიდან იწყებოდა ახალწლის ციკლის

ხანგრძლივი დღესასწაული, რომელიც, სხვათა შორის, ზომხა-საც (კანდა-ს, კალანდა-ს) შეიცავდა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალწლის ციკლის ხანგრძლივი დღესასწაულის თავდღეობა ბარბოლ (ანუ ბარბლჴშ) იყო¹.

ამ ორი მოსაზრების გამო მიზანშეწონილად მივიჩნევ სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის მასალების გამოქვეყნება დღეობა ბარბოლ-იდან (ბარბლჴშ-იდან) დამეწყო.

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის გამოცემა განზრახულია ნაკვეთებად. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ნაკვეთს, რომელშიც მოთავსებულია ახალწლის ციკლის დღეობები, ე. წ. ლიფანალ-ის გარდა. ლიფანალი თუმცა-ღა ახალწლის ციკლში შედის, მაგრამ ამავე დროს ის მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულს დამოუკიდებელ ხანგრძლივ დღეობასაც წარმოადგენს. ამის გამო ლიფანალ-ის ცალკე ნაკვეთად გამოცემა ვაშჯობინე.

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი ზემო და ქვემო სვანეთის ყველა ძირითად საზოგადოების დღეობების აღწერილობას შეიცავს. ეს საზოგადოებებია: ზემო სვანეთში—ლახამულა, ჩუბეხევი, ფარი, ეცერი, ცხუმარი, ბენო, ლატალი, ლენჯერი, მესტია, იფარი, კალა და უშგული; ქვემო სვანეთში—ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი. ამას გარდა, ზოგიერთი დღეობის შესახებ მასალა წარმოდგენილია დალიდან (აფხაზეთში) და დამატების სახით კვიბერიდან და ლენხერიდან (ზემო სვანეთში). როდესაც საზოგადოების შიგნით სოფლებს შორის დღეობა შესამჩნევად განსხვავებულია რიტუალის რომელიმე მხარით, მაშინ ასეთი დღეობები სოფლების მიხედვითაც არის მოყვანილი. ხოლო, თუ განსხვავება ან დამატებას დღეობის რიტუალის დეტალი იძლევა, მაშინ ეს განსხვავება და დამატება შენიშვნაშია ჩატანილი. საზოგადოების და ან სოფლის შიგნით ცალკეა მოცემული აგრეთვე ე. წ. სალასკარო² და საგვაროვნო დღეობები.

თითოეული დღეობა შემდეგი ქვე-სათაურით არის მოცემული: ბალს ქვემოური, ბალს ზემოური და ქვემო სვანური. ამგვარი დანაწილება გამოიწვია იმან, რომ მრავალი დღეობა ამ სახის (ბალს ქვემოური, ბალს ზემოური და ქვემო სვანური) ვარიანტებს იძლევა, რაც ნათელი გახდება მთლიანად წლიურ დღეობათა გამოცემის შემდეგ და აგრეთვე ცალკე დართულ წლიურ დღეობათა ნუსხიდან.

დღეობების აღწერილობაში მოცემულია ლოცვების ტექსტები სვანურ ენაზე და მათი ქართული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. თარგმანში ქართული ენა თუმცა-ღა ზოგჯერ ლიტერატურულ ნორმებს სცილდება, მაგრამ, ვფიქრობ, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი უფრო მეტს დახმარებას გაუწევს მკითხველს სვანების რელიგიური აზროვნების უკეთ შეთვისებაში, ვიდრე გამართული ქართული ენით ლოცვის საერთო შინაარსის გადმოცემა. ამავე მოსაზრებით ღვთაებ-

¹ ვ. ბარდაველიძე, სვანური ბარბალ || ბარბოლ.

² ლასკარ-ის ახსნა ნ. აქვე, გვ. 38, შენ. 2.

ბისა და წმინდანების სახელები აღწერილობაში სვანური ფორმით არის დატოვებული.

ეთნოგრაფიულ საველე მუშაობას გარკვეული თავისებურება ახლდა: მასალების შეგროვება ყოველთვის არ გვიხერხდებოდა უშუალო დაკვირვების გზით; ხშირად შესაფერისი გარდმონაშთების ფიქსაცია გამოკითხვის საშუალებით წარმოებდა. ამან გამოიწვია განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვა, ყოველ შემთხვევაში ერთი და იმავე მასალის შეჯერება, რომ ამ გზით შეგროვილი მასალა ზუსტი და დამაჯერებელი გამხდარიყო. ამგვარი მუშაობის საშუალებით შევძელით შემთხვევითი ხასიათის და ზოგჯერ არასწორი ცნობების თავიდან აცილება.

სვანური ხალხური კალენდრის შესწავლას შევეუდექი 1931 წლის ზაფხულში, როდესაც მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის (ლენინგრადში), მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს (მოსკოვში) და საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიყავი სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში რელიგიური გარდმონაშთების შესასწავლად. მაშინ შეგროვილი სიტყვიერი მასალა და ეთნოგრაფიული კოლექციები საფუძვლად დაედო საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების სვანეთის გამოფენის ანტი-რელიგიურ ნაწილს და ამ გამოფენისათვის შედგენილ სვანეთის ანტირელიგიურ რუკას. სვანური ხალხური კალენდრის შესწავლის ხაზით 1931 წელს მუშაობის დროს მე შევეძლია ზოგადად დამედგინა წლიური ციკლის მყარ და მოძრავ დღეობათა ნუსხა, მათი სახელწოდებანი, თარიღი და მოძრავ დღეობათა თანამიმდევრობა. აგრეთვე იმ ხანად იქნა დამუშავებული საკითხი იმის შესახებ თუ რაზეა დამოკიდებული და საიდან გამოითვლება წლის თითოეული მოძრავი დღეობა.

1933 წლის ზაფხულში მონაწილეობას ვიღებდი საკ. მეცნ. აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ აფხაზეთის კომპლექსურ ექსპედიციაში, რომლის ეთნოგრაფიულმა ჯგუფმა თავისი მუშაობა შემოფარგლა დალის რაიონით და ამ რაიონში მოსახლე სვანების ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლით. საკუთრივ ჩემი მუშაობა განისაზღვრებოდა საყოფაცხოვრებო ნივთიერი ობიექტების შესწავლით და დალის რაიონის სვანების თქმულებათა ფიქსაციით მათი უძველესი ბინადრობისა და ტერიტორიის საზღვრების შესახებ. ამავე დროს ვაწარმოებდი მასალების შეგროვებას სვანურ დღეობათა და სხვაგვარი სარწმუნოებრივი გარდმონაშთების შესახებ.

ამავე 1933 წელს, საკ. მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტმა დაავალა მხარეთმცოდნე, ამჟამად ენიმკის მეცნ. თანამშრომელს არსენ ონიანს ქვემო სვანეთის ხალხურ დღეობათა წლიური ციკლის მასალები შეეგროვებინა. ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ გამოთქმული პროგრამა-ინსტრუქციის თანახმად, არსენ ონიანმა შეასრულა და გადმოსცა განყოფილებას ზემოდასახელებული სამუშაო, რომელიც წინამდებარე ნაშრომში ნაწილობრივ არის შესული. არსენ ონიანის ნაშრომი უმთავრესად ლაშხურ და ლენტეხურ დღეობათა აღწერილობას შეიცავს.

1934 წლის ზაფხულში აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი ამავე ქვემო სვანეთში მოპოვებული მასალის დაზუსტების მიზნით. ამ მუშაობის შედეგად შესაძლებლობის ფარგლებში შევაგროვე დღეობათა ვარიანტები ქვემო სვანეთის სამსავე საზოგადოებაში — ლაშხეთში, ჩოლურსა და ლენტეხში — და წლიური ციკლი შევავსე საქალებო დღეობათა და საერთო დღეობათა საქალებო წესჩვეულებების აღწერილობით.

1935 წლის ზაფხულში ხელმოკრედ გავემგზავრე ზემო სვანეთში აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დავალებით. ამ დროს ჩემი საველე მუშაობა შემოვფარგლე ხალხურ დღეობათა წლიური ციკლის აღწერით ლახამულაში, ლატალსა და მულახში და აგრეთვე სოფ. ხალდეში.

ამავე 1935 წელს მულახის დღეობათა აღწერაზე აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დავალებით მუშაობას აწარმოებდა ადგილობრივი მცხოვრები მხარეთმცოდნე დარისპან მარგიანი, რომლის მასალები ნაწილობრივ გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში და დანარჩენიც, არსენ ონიანის მასალების მსგავსად, შევა სვანური კალენდრის შემდგომ გამოცემებში.

უკანასკნელად სვანეთში მუშაობა მომიხდა 1936 წლის ზაფხულში საკ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დიმავე აკადემიის ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (ლენინგრადი) დავალებით. კვლავ ზემო სვანეთში ვმუშაობდი და აქ შევასრულე დარჩენილი სამუშაოები — აღვწერე დღეობათა წლიური ციკლი ყველა იმ საზოგადოებაში, რომლებშიც ეს სამუშაო წინა წლებში ჩატარებული არა მქონია: ჩუბხევეში, ფარში, ეცერში, ცხუმარში, ბეჩოში, ლენჯერში, მესტიაში, იფარში, კალასა და უშგულში. ამას გარდა, მთელი რიგი დამატებითი ცნობების მისაღებად და წინა წლებში შეგროვილი ზოგიერთი ცნობის შესამოწმებლად მუშაობა ჩავატარე ლახამულაშიც.

გარდა ზემოდასახელებული პირებისა, ა. ონიანის და დ. მარგიანისა, რომელთაც მუშაობა ჩაატარეს ჩვენი ინსტიტუტის სპეციალური დავალებით, მთელი წლების განმავლობაში, დაწყებული 1931 წლიდან როგორც ადგილობრივად სვანეთში მუშაობის დროს, ისე მოპოვებული მასალების კამერალურად დამუშავებისას უშუალო დახმარებას მიწევდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ფაფალა გარდაფხაძე.

განსაკუთრებით დავალებული ვარ პროფ. აკაკი შანიძის მიერ, რომელმაც ამ ნაშრომის გამოცემის რედაქტორობა იკისრა და პროფ. ვარლამ თოფურიას მიერ, რომლის მიფითებებით ეხელმძღვანელობდი დღეობებში მოხსენებული ზოგიერთი ლოცვის თარგმანისა და ლექსიკონის დაზუსტების დროს.

აღნიშნული ლოცვების თარგმნის დროს დახმარება გამიწიეს ენიმკის მეც. თანამშ. მ. გუჯეჯიანი და ა. დავითიანი. წიგნის ბოლოს დართული

სურათები შეასრულა მხატვარმა ნინო ბრაილაშვილმა. ყველა ზემოხსენებულ პირთ უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

ვსარგებლობ შემთხვევით აქვე აღვნიშნო, რომ ადგილობრივად სვანეთში ჩვენს მუშაობას ხელს უწყობდა ახალგაზრდობაც, რომელმაც ყოველმხრივ დახმარებასთან ერთად რამდენიმე ეთნოგრაფიული საღამო (სვანური ფერხულებისა და სიმღერების) მოგვიწყო (ფარში) უშუალოდ ყოფის გაცნობის მიზნით. მათ და იმ პირთ, რომლებიც ცნობებს მაწვდიხნენ, დიდ მადლობას მოვასხენებ.

ა ვ თ ო რ ი

შემოკლებული სიტყვების განმარტება.

ბ.-ზ. = ბალს ზემოთ,
ბალს ზემოური

ბ.-ქვ. = ბალს ქვემოთ
ბალს ქვემოური

ბეჩ. = ბეჩო

ეც. = ეცერი

ზ.-სვ. = ზემო სვანეთი

იფ. = იფარი

კალ. = კალა

ლატ. = ლატალი

ლაშხ. = ლაშხეთი

ლახ. = ლახამულა

ლენტ. = ლენტეხი

ლენხ. = ლენხერა

ლენჯ. = ლენჯერი

მესტ. = მესტია

მთხრ. = მთხრობელი

მულ. = მულახი

ნ. = ნახე

უშგ. = უშგული

ფარ. = ფარი

ქვ.-სვ. = ქვემო სვანეთი

შეად. = შეადარე

ჩოლ. = ჩოლური

ჩუბ. = ჩუბეხევი

ცხუმ. = ცხუმარი

კვიბ. = კვიბერი

1. ბ ა რ ბ ლ ა შ, ბ ა რ ბ ო ლ (4 დეკემბერს)

A. ბალს ქვემოთ

ა) ლახამულაში

ბარბოლ*. ლახამულლები ბარბოლ-ს ორ-სამი დღეს უქმობდნენ. ეს დღე მათ დღეობების თავად (ღვწარი თხტიმ-ად) მიაჩნდათ და წლიური დღეობების გამოთვლას ბარბოლ-იდან იწყებდნენ.

ხალხის ძველი შეხედულებით 4 დეკემბრიდან სამი დღის განმავლობაში მზე არ იძვროდა, ხოლო ამის შემდეგ, დღე თანდათან მატულობდა და ყველაზე გრძელი დღე ქრისდევში იყო, რადგან ამ დღეს მზე ვერძის (გიცარ-ის) სამ ნახტომს აკეთებდაო.

ბარბოლ-ის უქმე და მისი სხვა წესჩვეულებანი დაწესებული იყო საზოგადოდ საქონლის და, კერძოდ, ძროხის და წველის გამრავლებისათვის. ამ დღეს დილით სახლის უფროსი ქალი, რომელსაც ბალს-ქვემოთ დიხსალ-ი ეწოდება, მოხარშავდა რძის ფაფას (ლგჯემი გაგ-ს) წმინდა პურის ფქვილისაგან და შინაური საქონლის მფარველი ღვთაების სახელზე შესწირავდა; თან შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„უეთხმალლიშ ლამზურ ღერმეთ,
ამიშ მგუგი ჩჷნფიშირ,
მადილ ჯერი“.

საქონლის სალოცავო ღმერთო,
ამის მწველელი გავგიმრავლე,
მადლი გექნება.

გათავდებოდა თუ არა ლიმზურ-ი¹, ოჯახის წევრები შეწირულ ფაფას შეექცეოდნენ.

* ბალს-ქვემოთ ბარბოლ-ს და ამ წმინდანისადმი განკუთვნილ დღეს, ბარბალობას, ერთი და იგივე სახელი ბარბოლ-ი ეწოდებოდა..

¹ ლიმზურ-ი ნიშნავდა ლოცვას და საწირავის მიტანას ერთად. სვანეთში მარტო ლოცვა, შესაწირავის მიტანის გარეშე, არ სრულდებოდა ისევე, როგორც მარტო შესაწირავის მიტანა ლოცვის გარეშე. ამავე ძირისაგან ნაწარმოებია შესაწირავი პურის სახელწოდება ლემზურ-ი და შემწირველ-მლოცავი პირისა მომზურ-ი.

სალამოს იგივე დიხსალ-ი გამოაცხოზდა ყველიან კვერებს, „ქუთებს“ (ქუ-თჷპარ-ს, მხ. რ. ქუთ) და მათ შორის შედარებით დიდი ზომის ორ კვერს—ერთს ძროხების მწველელი ქალისათვის და მეორეს საქონლის მკვებავი კაცისათვის. ძროხების მწველელ ქალს სვანეთში მგშგალი ეწოდება და საქონლის მკვებავ კაცს მგნი; ამიტომ ორი დიდი ხაჭაპურიდან ერთს მგშგალიშ ლემზირ-ს და მეორეს მგნიშ ლემზირ-ს ეძახდნენ.

ვახშმის წინ თავ-თავის ლემზირ-ებით ხელში მგშგალი ძროხების, ხოლო მგნი, ხარების ბაგასთან მივიდოდა, პირს საქონლისაკენ მიიბრუნებდა და ხმა-მალლა ლოცულობდა. მგშგალის ლოცვა¹:

„ბარბოლ ფუსდ, მწლიან,
ლემზი ჩჷპნთიშირ, მწლილ
ჯერი“.

ბარბოლ ბატონო, მადლიანო,
საწველი გაგვიმრავლე, მადლი
გექნება.

მგნი კი შემდეგნაირად ლოცულობდა:

„ბარბოლ ფუსდ, მწლიან,
ლენი მასარდ ლანო,
მიშგჷ ნანენთ ლასგრეგდ
ხწყრ, მწლიან ბარბოლ“.

ბარბოლ ბატონო, მადლიანო,
საკვები ბლომად მოგვეცი,
ჩემგან მიცემული საკვები სასარ-
გებლოდ უყავ, მადლიანო
ბარბოლო.

ლოცვის გათავების შემდეგ ისინი იქვე შეექცეოდნენ შეწირულ ლემზირ-ებს ისე, რომ არც ხმას იღებდნენ და არც უკან კერიისაკენ იხედებოდნენ.

ამის შემდეგ წვრილ-წვრილი ლემზირ-ებით სავსე კარტ-ით (ხოკერიით) ხელში და ოჯახის ყველა წევრის თანხლებით სახლის უფროსი მივიდოდა ს გ ი რ ის² აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ლოცულობდა ბარბოლ-ის სახელზე. უკანასკნელს ევედრებოდა ოჯახის ბარაქას და აღამიანთა კეთილდღეობას. შეწირულ ლემზირ-ებს ვახშამზე დაინაწილებდნენ და ყველა შეექცეოდა.

¹ მგშგალი-ს ლოცვის ვარიანტი იმავე სოფელ ქვემო ლახაულაში:

„ო-ო მწლიან ბარბოლ ანგელუზო, ძღერნ ი ლჯან ათფიშირ ნიშგე ლაზგაშ ფურპარ, ფთჷში ნაბლასერ ი კირიშ ნაფიცხტსერ ქა ნომა ადბერე. ქა ბერა ისგა ქემად ათისი“.	ო-ო მადლიანო ბარბოლ ანგელუზო, ცხიმიან-რძიანად გამრავლე ჩემნი ოჯახის ძროხები; ბალნის, ბუსუსისა და ჩლიქის ნამცეცის გარდა არაფერი დააკლო, დანაკლისი მომატებად შესცვალე.
---	--

მთხრობელი 45 წლის ქაბახან ჭკადუა.

² ბალს-ქვემოური სვირ და ბალს-ზემოური და ქვემო-სვანური მაჩუბ, ანუ მაჩუბ ეწო-დება სვანური სახლის (ქორ-ის) ქვედა, პირველ სართულს, სადაც სვანები ზამთრობით საქო-ნელთან ერთად ცხოვრობენ.

ამ დღეს შეწირული რძის ფაფა და ლემზირ-ები ყველა უწონაშ-ი იყო; ე. ი. ოჯახის წევრების გარდა მათი დანახვა და შექმა არაფის არ შეეძლო. სვანი ძალიან ერიდებოდა უწონაშ-ის გატეხას. მისი რწმენით, უწონაშ-ის გამტეხს იმ წელიწადს საქონელი ამოუწყდებოდა. ამიტომ სვანეთში ამ დღეს ერიდებოდნენ უცხოთან მისვლას და უცხო პირის სახლში შეშვებას.

ბარბოლ-ის მეორე დღეს ლახამულეები ბარბლჳშ ჭიდილ-ს¹ უწოდებდნენ. თუ ოჯახს ბარბოლ-ს გამომცხვარი ლემზირ-ები მორჩებოდა, მათ მეორე დღეს შესჭამდნენ უცხო პირებისაგან დაფარულად.

1936 წლის ივლისი. სოფელი ქვემო ლახამულა.

მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ სოფის ძე ჭკა დ უ ა.

ბ) ჩუბხევეში

ბ ა რ ბ ო ლ . ჩუბხევეში ეს დღე დიდ უქმედ ითვლებოდა. ბარბოლ-ი ღენარ-ების თხტიმ-ი იყო ე. ი. ამ დღიდან იწყებოდა წლის დღეობები. ბარბოლ-იდან დღეები იზრდება ვერძის (გიცარ-ის) სამი ნახტომით, რადგან ბარბოლ-ს მზე გიცრის სამ ნახტომს აკეთებსო, იტყოდნენ სვანები. ამ დღეს შეწირული ყველა ლემზირ-ი უწონაშ-ი იყო, ოჯახის უცხო პირებისათვის. დასანახად და საკმელად აღკვეთილი.

დილით ყოველ ოჯახში რძის ფაფას (ლჯვემი გაგ-ს) მოხარშავდნენ. ამ ფაფისათვის რძეს რამდენიმე დღით ადრე აგროვებდნენ, რადგან ზამთარში ძროხა ცოტას იწველის. შემდეგ ფაფით სავსე ქვაბს მიიტანდნენ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის პირად და მიწაზე მოათავსებდნენ, სადაც სახლის უფროსი მამაკაცი შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„ა-ა, დიდებუ აჯედა, მწლდოჲ
აჯედა ბარბოლ ანგლეზს,
ბარბოლ ანგლეზ, დიდებუ აჯედა,
ნიშვე ტეთხმალ ჩჳნთეიშირ
ი ზეთ ი ლეცჳში ახფჳრ
ნიშვე ჭორისგა“.

ა-ა, დიდება მოგსვლოდეს, მაღლი-
მოგსვლოდეს ბარბოლ ანგელოზს,
ბარბოლ ანგელოზო; დიდება მოგ-
სვლოდეს, ჩვენი საქონელი გაამ-
რავლე და ზეთი და ერბო ააღუ-
ლე ჩვენ სახლში.

შეწირვისთანავე ამ ფაფას იქვე შესჭამდნენ, რადგან საშიში იყო ქვაბის გადადგმით და დაყოვნებით უწონაშ-ი არ დარღვეულიყო, — გარედან ვინმეს ხმა-მალა არ დაეძახნა, ან უცხო არ შემოსულიყო ოჯახში.

სალამოს დინსალ-ი ოჯახის ყოველ სულზე აცხობდა თითო ყველიანს და ზემეტად კიდევ ორ ცალს დიდი ზომის ხაჭაპურს. ერთი უკანასკნელთაგანი განკუთვნილი იყო ძროხების მწველელი ქალის მგშვალ-ის, ხოლო მეორე საქონლის მკვებავი მამაკაცის მგნნი-სადმი. ხაჭაპურებს კუწუბოები ჭქონდა დატანებული, რადგან ისინი ლიმზურ-ისათვის იყვნენ განკუთვნილნი და ამიტომ

¹ ჭიდილი-ი ეწოდება დას დისათვის. აქედან ცხადია, რომ როგორც ბარბოლ-ის, ისე ბარბლჳშ ჭიდილი-ის ქვეშ ივლისისხმებიან მდებრობითი სქესის წარმომადგენლები.

საერთო სახელად მათ ლემზირ-ი ეწოდებოდა. ვახშმის წინ მგნნი ლემზირ-ით ხელში მისი პატრონი მივიდოდა ლეჰენდირ-თან¹, ხარების წინ გაჩერდებოდა და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

ა-ა, დიდბუ აჯედა, მწლოჲ
აჯედა, ჭეთხმალლიშ ლამზერს
დიდბუ! ჭეთხმალლიშ ლამზერ,
ნიშგე ჯანარ ლახდერეყ
ი ჩჷნფიშირ“.

ა-ა, დიდება მოგსვლოდეს, მადლი
მოგსვლოდეს, ოთხფეხის² სალოცავს
დიდება! ოთხფეხის სალოცავო,
ჩვენი ხარები ახანგრძლივე
და გაგვიმრავლე.

ერთდროულად და ამგვარივე ლოცვით ძროხებისათვის მიმართავდა „ჭეთხმალლიშ ლამზერ-ს“ მგშვალი, რომელიც ლეჰენდირ-თან იყო გაჩერებული ძროხების წინ მგშვალა ლემზირ-ით ხელში. ლოცვის გათავებისთანავე ეს ორი პირი იმავე ადგილზე გაუნძრევლად და ხმაამოუღებლად შესჭამდნენ შელოცვილ ხაჭაპურებს და გამობრუნდებოდნენ სგირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა საკმლისაკენ, სადაც ამ დროს თავმოყრილი იყო ოჯახის დანარჩენი წევრები. აქ სახლის უფროსი პატარ-პატარა ყველიანი ლემზირ-ებით ხელში მიმართავდა ისევ ჭეთხმალლიშ ლამზერ-ს და ევედრებოდა მას საქონლის გამრავლებას და ოჯახის ბარაქას; ამის შემდეგ ყველას სათითაოდ ჩამოურიგებდა შელოცვილ ლემზირ-ებს. ვიდრე ამავე ადგილას არ გაათავებდნენ ამ ლემზირების შეჭმას, ოჯახში სრული სიჩუმე სუფევდა და არავის შეეძლო თავის განძრევა და აქეთ-იქით მიხედვა. თუ რომელიმე ვერ მოითმენდა და ჭამის დროს ხმას ამოიღებდა ან თავს გაანძრევდა, ჭამისათვის თავი უნდა დაენებებინა.

ყოველი ოჯახი ძალიან ცდილობდა, რათა ლემზირ-ების დროს ოჯახში უცხო არ შესვლოდა, ან გარედან უცხოს ხმა არ შემოსმოდა.

1936 წლის ივლისის 16. სოფელი თავარარი.

მთხრობელი 54 წლის მაჰარბე ცინ დელიანი.

გ) ფარში

ბარბოლ. ხალხის ძველი რწმენით ამ დღეს მზე მამლის სამ ნახტომს აკეთებდა და ამიტომ დღეც მატულობდა. მაგრამ დღის ყველაზე უფრო დიდი ზრდა ქრისდემ-ს ხდებოდა, რადგან მაშინ მზე ვერძის (გიკარ-ის) სამ ნახტომს აკეთებდა. ფარელები ბარბოლ-ს ერთ დღეს უჭმობდნენ. მეორე დღეს უჭმე არ იყო, მაგრამ ამ დღესაც, ისევე როგორც პირველ დღეს, ოჯახში უცხო პირის შესვლა არ შეიძლებოდა.

¹ ასე ეწოდება ხის ტიხარს, რომლითაც სგირ-ში საქონლის სადგომია გადატიხრული ადამიანთა სამყოფისაგან. ზემო-სვანეთში უღვირის გადასავლის გადაღმა და ქვემო-სვანეთში ლეჰენდირ-ის ნაცვლად ხმარობენ ტერმინ ისგნტაფ-ს.

² სვ. ჭეთხმალ-ის ქვეშ, რომელსაც ჩვენ ვთარგმნით სიტყვა ოთხფეხად, იგულისხმება შინაური მსხვილფეხა საქონელი.

ბარბოლ-ს დილით დიხსალ-ი ფეტვის ფაფას (გაგ-ს) ხარშავდა შრატში და წვრილად დაჭრილ ყველში. ამიტომ მას შუშ-ი ეწოდებოდა. შუშ-ით სავსე ქვაბს დადგამდნენ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მიწაზე. აქ მას სახლის უფროსი წალმა (მარჯვენა მხარეზე) დაატრიალებდა და თან დაილოცებოდა ბარბოლ-ის სახელზე. შეწირული შუშ-ი ოჯახის წევრებს იქვე უნდა შეეჭამათ.

სალამოთი პურების გამოსაცხობ ფიქალს (კა-ს) კერიის უკან გადადგამდნენ, კარგად გაახურებდნენ და ზედ დიხსალ-ი დააცხობდა ერთს ყველიანს ე. წ. დიხსალიშ ლემზირ-ს, მეორეს მენნიშ ლემზირ-ს, მესამეს მგშგალიშ ლემზირ-ს და ოჯახის დანარჩენ წევრთათვის სათითაო ხაჭაპურს. ამის შემდეგ თავთავის ლემზირ-ით ხელში მიდიოდნენ: დიხსალ-ი პურის ფქვილის კიბდენ-თან, ძროხების მწველელი (მგშგალი) საძროხესთან, ხოლო ხარების მკვებავი (მენნი) სახარის წინ ლეჭენდირ-თან და აქ თვითიული მათგანი ცალკე ლოცულობდა. დიხსალ-ი ევედრებოდა ლამარია-ს:

„ლამარია მალდინ, მიშგუა
შიმი ნაფედუ ისგუა შიმი
ნაფედუდ ათსიპ, ქამასარ
კიბლონარ ნიგენეს, ეჯუი
ჩემნ ნიშგე გუშეშ, მალდინ,
სეუიან, ჰაჯიან ი ბარქიან
ნაყრ ნიშგე მაჰან, უნდულობდ
ნომა ანგემრაჟნა, დიდბიშ
ლეჟედ ლამარია“.

ლამარია მალდიანო, ჩემი
ხელის მონაკიდი შენი ხელის
მონაკიდად აქციე, ზედმეტი
კილონები გვედგას, ისე
ჰქენი ჩვენი საქმე, მალდიანო,
სვიანი, მარგებელი და ბარაქიანი
ამყოფე ჩვენი მოსავალი, უნებურად
არ დაგვახარჯევიო, დიდების
მიმღებო ლამარია.

მგშგალი ბარბოლ-ს მიმართავდა:

„ბარბოლ ფუსდ, ისგუ ძლტენ
ი ბედ აშგარ უფომ ნაყრ ი
მასარდ ლანო; მეშგ-მეულტუ
პნფიშირ, ეჩა მეჰმარი
პარე პნფიშირ, სი ჯემშგრენეს
ბარბოლ, ლამზურ ლუჯჰარ
ნაყრ, ფიშირ ბარბოლ ხოჩა
გუეი, მალდინ ბარბოლ,
ხიკჰდინ ნიშგე ნამზურ“.

ბარბოლ ბატონო, შენი ძღვენი და
ბედი მუდამ უშლელად გვიქენი და
ბლომად მოგვეცი; მეწველი და
მეუღლე გაგვიმრავლე, მისი გამო-
მყენებელი აღამიანი გაგვიმრავლე,
შენ გვედრებით ბარბოლო, ლოც-
ვა დაჯვარული გვიყავ, მრავალი
ბარბალობა კარგს გულზე [გაგვითე-
ნე], მალდიანო ბარბოლო, ინებე
ჩვენი ნალოცი.

მენნი კი ღმერთს ახსენებდა:

— მალდინ ღმრეთ, ლენნი ჩჰან-
ფიშირ, ჯან ი ფურ მასარდ

მალდიანო ღმერთო, საკვები (საქო-
ნელი) გაგვიმრავლე, ხარი და ძრო-
ხა ბლომად გვიყოლიე, თხა და

პნურდტინ, დაჯღ ი ლოლჳქ
მჳგ ჩჳნფიშირ, მჳლდინჳ ლერმეთ“.

ცხვარი ყველა გაგვიმრავლე, მად-
ლიანო ლმერთო.

ლოცვის გათავების შემდეგ თვითეული მათგანი თავის შეწირულ ლემზირ-ს შესჳმადნა ისე, რომ არც უჳან მიიხედავდა კერიისაკენ და არც ხმას ამოიღებდა. ამავე დროს თავისი წილი ხაჳაპურებით ოჯახის დანარჩენი წევრები ვანშ-მობდნენ.

ბარბოლ-ს მოხარული ფაფა და დამცხვარი ლემზირ-ები ყველა უწონჳშ-ი იყო. არამც თუ მათი დანახვა და შეჳმა შეეძლო ოჯახისათვის უცხო პირს, არამედ როდესაც მათ შინამყოფნი შეეჳცეოდნენ, გარედან უცხოის ხმაც კი არ უნდა შემოსმოდათ. ოჯახი განსაკუთრებით იმას უფრთხილდებოდა, რომ ლიმ-ზურ-ის (ლოცვა-შეწირვის) და ლემზირ-ებით ზიარების დროს სახლს არავინ მოსდგომოდა და კარზე არ დაეკაკუნებინა, — უწონჳშ-ის გატეხას მეტად მძიმე ცოდვად თვლიდნენ სვანები.

1936 წლის ივლისი. სოფელი ფარი. მთხრობელი
86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიან-ი.

დ) ეცერში

ბარბლჳშ. ეცერლები ამბობდნენ, რომ ამ დღეს მზე მამლის ერთ ნახტომს აკეთებსო. ბარბლჳშ-ისა და შობ-ის კვირეებში ეცერლები ხარს უღელში არ შეაბამდნენ, ლატალში ამ დღეს ქალები თურმე არ მუშაობდნენ, მაგრამ ეცერელმა ქალებმა სწორედ ამ კვირეებში იცოდნენ მატყლისა და კანაფის დართვა. ბარბალობის წინა კვირეებში ამ დღეობისათვის ყოველი ოჯახი ყველს იმარაგებდა. ბარბლჳშ-ს დილით რძის ფაფას გააკეთებდნენ, ლეჯემი გაგ-ს, შეავედრებდნენ ბარბოლ-ს და შეეჳცეოდნენ. ამის შემდეგ დისხალ-ი დააცხობდა კჳშხ ლემზირ-ებს, რომლებსაც ეკლესიაში გაიტანდნენ და იქ მოილოცავდნენ. სალამოს-კი კერიის უჳან მეორე პატარა ზომის კერიას მოაწყობდნენ, ამ კერიაზე დააცხობდნენ სულზე თათო ცალ ყველიან ლემზირ-ს და ამის გარდა ორ დიდ ხაჳაპურს, რომელთაგან ერთი მენნი-სა და მეორე მუშგალი-სადმი იყო განკუთვნილი. ამ დღეს გამოცხობილი ყველა ლემზირ-ი უწონჳშ-ი იყო. წვრილ ხაჳაპურებს ჩააწყობდნენ გობში ან კარჳა-ში და ამ ლემზირ-ებით ქორა მანტშ-ი ილოცებდა პატარა კერიის წინ:

„დიდბუ აჯჳედა, მჳლდიუ
აჯჳედა ტჳრ ბედნიერს!
ტჳრ ბედნიერ ფუსდ ჟიბე
ლეკლათხე, მჳრე ი
ქჳინ ლემგენე მჳგ აოფიშირ

დიდება მოგსვლოდეს, მადლი
მოგსვლოდეს ტარ ბედნიერს!
ტარ ბედნიერო ბატონო ზე
ალმართულო, ადამიანი და
სულდგმული¹ ყველა გაამრავლე

¹ საქონელი.

ნიშვე ლზზგაისგა, ზანიშ
ხოჩა გუეი ნწყრ.“

ჩვენს ოჯახში, გაისს კარგ
გულზე გვამყოფე.

ტარ—ბედნიერ-ი წვრილფეხა საქონლის და მათ შორის ყველაზე უფრო ცხვრების მფარველი ღვთაება იყო.

იმავე დროს, როცა ქორზ მახტში (სახლის უფროსი კაცი) კერიის წინ ლოცულობდა, მგნნი ლეკუნდირ-თან იღვა ხარების წინ, ხელში მგნნი ლემზირ-ი ეჭირა და ევედრებოდა ბარბოლ-ს:

„დიდბუ აჯკედა, მალდოუ
აჯკედა ბარბოლს! ბარბოლ,
ათფიშირ ვან ი ფტრ ნიშვე
ლაზგალისვა, ეჩა მეტემ
მარე ჩტანგამაშ“.

დიდება მოგსვლოდეს, მადლი
მოგსვლოდეს ბარბოლს! ბარბოლო,
გამარავლე ხარი და ძროხა ჩვენს
ოჯახში, მათი გამყოლი ადამიანი
გავგაძლიერე.

ასეთივე ლოცვით მიმართავდა ბარბოლ-ს მგშგალი-ც. ლოცვის გათავების შემდეგ მგნნი და მგშგალი შეწირულ ხაჭაპურებს იქვე შესკამდნენ ლეკუნდირ-თან, ხოლო ქორზ მახტში-ი წვრილ ლემზირ-ებს ოჯახის წევრებს ჩამოუტრიგებდა ლოცვის შემდეგ. ეახშმისათვის კიდევ გამოაცხოზდნენ რამდენიმე სხვა ხაჭაპურს, რომლებსაც ჯერ მიცვალეზულთა სულებს გაუშლიდნენ, ხოლო შემდეგ სუფრას შინამყოფნი შემოუსხდებოდნენ და შეექცეოდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ისკარი.

მთხრობელი 61 წლის დემეტ გერლიანი.

ე) ცხუმარში

ბარბოლ-ს მზე ერთი მამლის (მამელ-ის), ხოლო ქრისდემ-ს ერთი ვერძის (გიცარ-ის) ნახტომს აკეთებდა, — ამზობდნენ ცხუმარლები¹. ბარბოლ-ი უქმე დღე იყო. ზოგი ოჯახი უქმობდა აგრეთვე ორ დღეს ბარბოლ-ის წინ და ზოგი კი ორ დღეს ბარბოლ-ის შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორ ჰქონდა შეთქმული.

ბარბოლ-ის უქმეები განკუთვნილი იყო საქონლის კეთილდღეობისადმი და ამიტომ ეს უქმე რომ სხვა მხრივ გაეტეხათ, საქონელს უღელს მაინც არ დაადგამდნენ.

ბარბოლ-ს დილით, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, როდესაც დიხსალ-ი კერიაში ცეცხლს გააჩაღებდა და ოჯახის სულზე თითო პატარა ყველიან კვერს გამოაცხობდა. ამ ყველიან კვერებს კტანჭილარ-ი ეწოდებოდა. ისინი უწონაში იყო. კარ-სარკმელ დახურულ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის წინ სახლის უფროსი ევედრებოდა ბარბოლ-ს საქონლის გამარავლებისა-

¹ 1931 წლის ნაფხულში ცხუმარის თემში მუშაობის დროს მოხუცები აღნიშნავდნენ, რომ ბარბოლ-ს მზე მამლის სამ ნახტომს აკეთებდა.

თვის და სწირავდა მას კუანჭილარ-ს. ლოცვის გათავების შემდეგ კუანჭილარ-ს ჩამოუტრიგებდნენ ოჯახის წევრებს, რომელთაც შეწირული კვერები მაშინვე უნდა შეეჭამათ. ამასობაში გათენდებოდა კიდევ და დიხსალ-ი შეუდგებოდა ბარბოლ-ისათვის აუცილებელი რძის ტაფის (ლუჯემი გაგ-ის) მოხარშვას. ლუჯემი გაგ-ს, ისევე როგორც ამ დღის ყველა ლემზირ-ს, ლამარინშ ტაბლანშ-ისაგან ამზადებდნენ.

ლამარინშ ტაბლანშ-ი ეწოდებოდა წინასწარ დამზადებულს და ღვთაებზე ლამარია-ს სახელზე მომარაგებულ პურის ფქვილს. ლეწვის დროს გადაარჩევდნენ საუკეთესო პურის თავთავების კონას და აგრეთვე იმ მსხვილ თავთავებს, რომლებიც მოღეწილში ჩარჩებოდა ხოლმე. ლამარინშ ტაბლანშ-ის ხორბალს გაღეწავდნენ სულ ბოლოს, კალოობის გათავებისას. ამ ხორბლის ფქვილს ცალკე კიბდენ-ში შეინახავდნენ და მას პირველად ბარბოლ დღეს გახსნიდნენ ხოლმე.

ბარბოლ დღით ძალიან ადრე დიხსალ-ი გავიდოდა გუმ-ში (სვირ-ის მიწაში, სადაც ხორბლეულის მარაგი ინახება). მას თან მიჰქონდა ცალიერი კარტა ფქვილისათვის. ამ დროს შინამყოფნი კა-კერიას გარშემო ისხდნენ სულგანაბულნი, გაუძრევლად და კალთაში ეწყობთ ნახშირ-მომუჭული მუშტები. როდესაც დიხსალ-ი ლამარინშ ტაბლანშ-ით სავსე კარტა-ს გამოიტანდა, ის კერიის პირად მსხდომებს მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდა, ხოლო უკანასკნელები ამ დროს ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და წამოიშლებოდნენ.

ლუჯემი გაგ-ი უწონანშ-ი იყო. როდესაც ის მოიხარშებოდა, დიხსალ-ი ფაფიან ქვაბს მიაჩოჩებდა სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის პირას მიწაზე და იქ მას ბარბოლ-ს შესწირავდა და შეევედრებოდა--ჩემს ოჯახს წველის ბარაქას ნუ მოაკლებო. ამის შემდეგ ოჯახის წევრები შენაწირს ეზიარებოდნენ.

სალამოს ვახშმისათვის ამზადებდნენ მრავალ წვრილ ყველიან ლემზირ-ს და მათ შორის სამ ცალს მოზრდილი ზომისას. ერთი ამ მოზრდილი ლემზირ-თავანი ეკუთვნოდა ოჯახის მიერ გამოყოფილ მწყემსს (ანდატ-ს), მეორე ძროხების მწველელ ქალს (მეშვალ-ს) და მესამე საქონლის მკვებავ კაცს (მენნი-ს). გამოცხვებოდა თუ არა ეს სამი ხაჭაპური (ქუთუარ-ი, მხ. რ. ქუთ-ი) მათ პატრონები დაითითებდნენ და წაიღებდნენ: მეშვალ ლეწუნდი-ს საქროხე ბავასთან (ლალდიარ-თან), მენნი-ი სახარე ბავასთან და ანდატ-ი სვირ-ის იმ ადგილას, სადაც დარბან-იდან საქონლის საკვებს ჩამოყრიან ხოლმე, ე. წ. ლაშდარ-თან. აქ ისინი ევედრებოდნენ ბარბოლ-ს საქონლის და წველის ბარაქას და სწირავდნენ თავ-თავის ლემზირ-ს. შენაწირს თვითეული მათგანი იქვე შესჭამდა ისე, რომ ლემზირ-ის გათავებამდე არც ხმას ამოიღებდა და არც უკან მიიხედავდა. ამის შემდეგ საერთო სუფრას გაშლიდნენ და ოჯახი ვახშმის საჭმელად დალაგდებოდა. ბარბოლ-ის ლემზირ-ები ყველა უწონანშ-ი იყო.

1936 წლის აგვისტოს 4. სოფელი სუფი.

მთხრობელი ნ.3 წლის დიმიტრი ჯაჭვლიანი.

ვ) ბეროში

ბეროში ბარბოლ-ის წესჩვეულებები სავსებით ისეთივე იყო, როგორიც ცხუმარში. თქმულებების მხრივაც ბეროს ბარბოლ-ი ცხუმარისას ემთხვეოდა.

1936 წლის აგვისტო. სოფელი უშხვანარი.
მთხრობელი 54 წლის ამაიხ კვიციანი.

B. ბ ა ლ ს ზ ე მ ო ტ

ზ) ლატალში

ბარბლშ-ი წარმოადგენდა საქონლისა და ადამიანის ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ განკუთვნილ უქმე დღეს.

ჯერ კიდევ ლეწვის დროს გადაარჩევდნენ საუკეთესო ხორბლეულს, დაფქავდნენ და ცალკე კილობანში შეინახავდნენ სხვადასხვა დღეობაზე ლემზირ-ების გამოსაცხობად. ამ ფქვილის და მისგან გამომცხვარი კვერების ნახვა და, მით უფრო, მათი შექმა არავის შეეძლო ოჯახის წევრების გარდა, ხოლო ოჯახის წევრებიდანაც არ აჩვენებდნენ იმ პირებს, რომლებიც ახალწლის წინ ღამეს ოჯახში არ ყოფილან და მისი წესჩვეულების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ საიღუმლო ხორბლის ფქვილს გუჩიზ-ს ეძახდნენ, ხოლო მასთან დაკავშირებულ საიღუმლო წესჩვეულებას და გუჩიზ-ს გამომცხვარ კვერებს უწუნენას.

ბარბლშ-ს საღამოს მერბიელ-ი გუჩიზ-ისაგან ოჯახის სულზე თითო ლემზირ-ს გამოაცხობდა. ამ ლემზირ-ებს სამ-სამი ცალი კუწუბო ჰქონდა გაკეთებული. სახლის უფროსი (ხოშა მარე) დააწყობდა მათ კარტა-ზე ან გობზე, აიღებდა ამ უკანასკნელს ხელში, მივიდოდა მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ასე ილოცებდა:

„დიდებ აჯკად ბარბოლს,
ბარბოლ, მასტუნ ნოსა
ნაყრ მარა ი ქუნღემგენა“.

დიდება მოგსვლოდეს ბარბოლს!
ბარბოლ, ტკივილს ნუ
მოგვცემ ადამიანს და საქონელს.

ლემზირ-ების გამოცხობისა და ლიმზურ-ის დროს არ შეიძლებოდა არც გარეშე პირისა და არც ოჯახის იმ წევრთა დასწრება, რომლებიც შეშხტუმ-ს სახლში არ შეგებებოდნენ. კიდევ მეტიც, ამ დროს გარედან სახლში უცხო პირების ხმა არ უნდა შემოსმოდათ, რისთვისაც ოჯახი წინასწარ იღებდა ზომებს, გარეთ ხმაყენებდა ყარაულს, რომელიც უცხო პირს სახლის მახლობლად არ გააჩერებდა.

ნავახშმევის ოჯახის ბავშვი მამრობითი სქესისა გავიდოდა გარეთ და საწეხვის სარკმლიდან შესძახებდა შინ: ნავახშმევის პური გამოაცხვეთო. ამ სიტყვების გაგონებისას წამოდგებოდა დიასახლისი (მერბიელ-ი), კერიაში ცეცხლს შეუმატებდა და გამოაცხობდა ყველიანებს, რომლებითაც ოჯახი ამავე ღამეს იხსნილებდა.

1935 წლის აგვისტო. სოფელი მაცხვარიში.
მთხრობელი 57 წლის გიორგი გირგულიანი.

(5) ლენჯერში

ბარბლაშ. ხალხის ძველი რწმენით, ამ დღეს მზე სამი მამლის ნახტომზე გადაიწვედა და დღე გადიდებოდა. რა დღესაც ბიხოზი (14 აგვისტო) შეხედებოდა, იმ დღეს დაემთხვევოდა ბარბლაშ-ი, ქრისდწმ-ი ლიუქმწმ-ი, ქრისდწმ-ი (იხ.) და ზომხა (იხ.). სოფელი ლაშთხვეერი ბარბლაშ-ს სამი დღის განმავლობაში უქმობდა, ხოლო ამავე თემის, დანარჩენი სოფლები—ერთ დღეს.

ბარბლაშ დღეს დილით თემის მანდილოსნები მიდიოდნენ ლაშთხვეერის თარინგზელ-ის ეკლესიაში. მათ თან მიჰქონდათ ცომი ან პურის ფქვილი და ეკლესიის ლაღბაშ-ში¹ აცხოზდნენ ლემზირ-ებს, რომლებითაც ევედრებოდნენ თარინგზელ-ს ყურების ტკივილისაგან დაგვიცავიო. ლემზირ-ების ნაწილს იქვე შესჭამდნენ, ნაწილს სახლში დააბრუნებდნენ და ოჯახის წევრებს დაურიგებდნენ. საღამოს ვახშმის წინ ყოველ ოჯახში ცხვებოდა ბარბლაშ-ი გუჩიზ-ისაგან² ლემზირ-ები, რომლებიც „უწუტნა“³ იყო. ამ ლემზირ-ებით სახლის უფროსი ილოცებდა მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან თარინგზელ-ის სახელზე —საქონელი გამიმრავლეო და ნალოც ლემზირ-ებს ოჯახის წევრებს დაუნაწილებდა ვახშამზე შესაჭმელად. ამ დროს ჯცხო პირი სვანის ოჯახში ვერ შევიდოდა და არც მისი ხმა უნდა მოსმოდათ გარედან. ამიტომ მოსახლე წინასწარ გარეთ ყარაულს დააყენებდა, რომ მას არავინ მიეშვა სახლთან. როდესაც ვახშამს მორჩებოდნენ ოჯახის წვერი ბავშვი მამრობითი სქესისა გავიდოდა გარეთ და ნეხვის გადასაყრელი სარკმელიდან (ლანგტლი-დან) სახლში შესძახებდა:

„დადა, ნადიარობურე“

ბებიავე, ნაპურეობა⁴.

ამ სიტყვების გაგონებაზე მერბიელ-ი წამოდგებოდა, კერიაში ხელმეორედ ცეცხლს გააჩაღებდა და გამოაცხოზბდა ყველიან პურს (ქუთ-ს), რომელსაც ამ ღამესვე შესჭამდნენ.

სოფელ ლაშთხვეერში თარინგზელ-ის მარე-ები უდესიანები და ჯავჯანები ამ დღისათვის ეკლესიის სტიფში აღმართავდნენ დიდ თოვლის კოშკს, რომელსაც შუაგულში ხეს დაატანებდნენ და მის წვერზე ხის ჯვარს დაამაგრებდნენ. ბარბლაშ დილით ყოველი ოჯახიდან მიემართებოდნენ ლემზირ-ებითა და არაყით თარინგზელ-ის ეკლესიაში და იქ ევედრებოდნენ თარინგზელ-ს სოფლის მშვიდობიანობას. ლოცვის შემდეგ არაყსა და ლემზირ-ებს შეექცეოდნენ და შე-

¹ ლაღბაშ-ი ეწოდება ეკლესიის მინაშენს, რომელშიც ხარშავდნენ დღეობების დროს მსხვერპლის ხორცს და აცხოზდნენ სადღეობა პურებს.

² პურის აკრების დროს შემოდგომის პირზე ცალკე შენახული საუკეთესო ფქვილი; რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის იყო განკუთვნილი და მას ვერავინ დაინახავდა ბარბლაშ-ამდე.

³ იგივეა, რაც ბაღს ქვემოთ უწონაში.

⁴ ე. ი. ბებიავე, ნავახშმევის პური გამოაცხევა.

ქეიფიანებულნი მიემგზავრებოდნენ თოვლის კოშკისაკენ (მუსი მურყუამ-ჟი). აქ ისინი გარს უვლიდნენ თოვლის კოშკს და თან კუჩირია-ს მღეროდნენ. სიმღერას რომ გაათავებდნენ, ადრევე გამზადებულ ნიჩბებს მოიმარჯვებდნენ, უბნების მიხედვით დანაწილდებოდნენ და თვითეული უბნის კაცები თავის მხარისაკენ შეუდგებოდა გამალებით თოვლის კოშკის ძირის გამოთხრას, რადგან, მათი რწმენით, რა მხარესაც კოშკი წაიქცეოდა, იქით კარგი მოსავალი იქნებოდა. ამის გარდა, კარგი წლისათვის, ე. ი. კარგი მოსავლიანობისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ ვის ჩაუვარდებოდა ხელში კოშკის წვერზე აღმართული ჯვარი. ამიტომ ყველა ცდილობდა ეს ჯვარი ხელში ჩაეგდო, რის გამო ზოგჯერ მუშტი-კრივიც კი იმართებოდა ხოლმე.

სალამოს თარინგზული მარე-ები შეიკრიბებოდნენ რომელიმე მოსახლის სახლში და აქ ღამისთევას (ღირპი-ს) მართავდნენ და არყის სმაში, ცეკვა-თამაშსა და სიმღერებში ატარებდნენ დროს დღიამდე.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70. წლის გიგო შუკვანი.

თ) მესტიაში

ბარბლჷშ-ი წლის დღეობათა (ღუნჯრ-ების) დასაწყისად იყო მიჩნეული და რა დღესაც ის შეხვდებოდა, იმ დღეს დაემთხვეოდა დღეობები: ქრისტეშ, ზომხა, ხარაბ და გაზაფხულის ლიგიერგი-ო. მესტიელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერდნენ იმას, თუ სახელდობრ რა დღეს შეხვდებოდა ბარბლჷშ-ი. თუ სამშაბათს შეხვდებოდა, — ძალიან ცუდად მიაჩნდათ, ადამიანის ავადმყოფობა იცისო. კარგად თვლიდნენ, როცა ის ოთხშაბათს, ხუთშაბათს ან შაბათს დაემთხვეოდა.

ხალხს წინათ ღრმად სწამდა აგრეთვე ის, რომ ბარბლჷშ-ის განმავლობაში, ე. ი. სამი დღე, მზე გაჩერებული იყო ერთ ადგილზე. სამაგიეროდ შობ-ს ორი ღამე ერთდებოდა, რადგან ღამწრია-ს არ ჰყოფნიდა ერთი ღამე ქრისტე-ს დაბადებისათვის, და დღე-კი ვერძის (გიცარის) ერთი ნახტომით მატულობდა.

ბარბლჷშ დილით, ძალიან ადრე, ყოველი მოსახლე თავის სახლში პურის საცხობ ფიქალს (კა-ს) და ოთხფეხა კერ-ას, ჩვეულებრივ რომ შუა ცეცხლთან არიან მოთავსებული, დარბაზ-იდან საქონლის საკვების ჩამოსაყრელ ადგილას, ე. წ. ლანწნალ-ზე გადადგამდა, ან მასზე ახალ კა-კერ-ას გამართავდა. დიდ ცეცხლს ვააჩალებდა და მერბიელ-ი შეუდგებოდა ცხობას სადღეობო პურებისას, რომელთაც ლანწნალი ლემზირ-ი ეწოდებოდა. ისინი კანაფის ან ცერცვის გულიანები იყო და ოჯახის სულზე თითო ცალი უნდა გამომცხვარიყო. გამომცხვარ ლანწნალი ლემზირ-ებს დაიჭერდა ხელში მერბიელ-ი და კერიის პირად ასე ლოცულობდა:

„ო-ო დიდებუ აჯკედა, მალდოჟ
აჯკედა ბარბალს! ბარბალ ღერბეთ,
ისგუ

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი-
მოგსვლოდეს, ბარბალს! ბარბალ ღმერ-
თო, შენი

ლიმზერ ანმარჯუტ, ნაფშირი ლნხო
ნიშგუტე კუმაშს, მარცხ ათქაბინ
ლეძქიმად ნოს ანჯდე, დიდბ
პჯვად ბარბალს! ჭოდ ლდი
ლადელ ლიმზერ დო აჯქუტედ,
ეჩქად ნიშგუტე კუმაშს მარცხ
ნოსა ოხჯდე, დიდბუ აჯვდა
ლდნი ყერ ბარბალს“.

ლოცვა გაგვიმარჯვე, სიმრავლე მიეცი
ჩვენს საქონელს, მარცხი აშორე,
საექიმოდ არ გაგვიხადო, დიდება
მოგსვლოდეს ბარბალს! სანამ დღევანდელ
დღეს ლოცვა არ შეგიწყვიტოთ,
მანამ ჩვენ საქონელს მარცხი
არ მიიყენო, დიდება მოგსვლოდეს
დღეის წმინდა ბარბალს.

ლოცვის გათავების შემდეგ შეწირულ ლემზირ-ებს ოჯახის წევრები დაი-
ნაწილებდნენ და მაშინვე შეექცეოდნენ.

სადილისათვის მერბიელ-ი კვლავ სულზე თითო ცალ ლემზირ-ს გამოაც-
ხობდა, მაგრამ ახლა უკვე ამ ლემზირ-ებს მაჩუბ-ის შუაცეცხლის კა-კერ-აზე
აცხობდა. ლანწონალი ლემზირ-ების მსგავსად, ეს ლემზირ-ებიც ცერცვის ან კა-
ნათის გულიანები იყო. სადილის წინ მათ ქორა მახჭუში-ი შესწირავდა ბარბალ-ს
შემდეგი ლოცვა-ვედრებით:

„ო-ო დიდბ პჯვად, ბარბალს-
დიდბუ აჯვდა! ბარბალ
ჟიბე ლკლათხე, ნიშგუტე
ქორა მერდა მარე ლეძქიმად
ი ლემშედლდ ნორ ანჯდე,
მასტუნა ათქაბინ, დიდბ
პჯვად ბარბალს“.

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, ბარბალს
დიდება მოგსვლოდეს! ბარბალ
ზეღამართულო, ჩვენ
სახლ-ში მყოფი ადამიანი საექიმოდ
და საშველად არც ერთი გახადო,
ტკივილი აშორე, დიდება
მოგსვლოდეს ბარბალს.

ვახშამს ჩვეულებრივი სამარხვო პურებით გადაივლიდნენ. ხოლო ვახშმის
გათავების შემდეგ ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი მამრობითი სქესისა, რო-
მელსაც უკვე მორბედობის გაწევის უნარი შესწევდა, გაიქცეოდა გარეთ და
სანახვე სარკმლიდან (ლანგული-დან) შინ შესძახებდა სამჯერ:

„დედე, ნადიარუბურე“.

დედა, ნაპურები განმეორებით.

გაიგონებდა თუ არა ამ სიტყვებს მერბიელ-ი, ის მაშინვე წამოდგებოდა,
ხელმეორედ გააჩაღებდა ცეცხლს და ყველიან (ქუთ), ან ხორციან (კუბად) პუ-
რებს გამოაცხობდა. ამ პურებს ნადიარუბურე დიარ-ები ეწოდებოდა. სახსნილო
პურებს ჯერ მიცვალებულთა სახელზე გააწყობდნენ, მათ შენდობას შეუთვლი-
დნენ და შემდეგ თვით ივანშებდნენ¹.

¹ სვანებში მიღებული არ იყო მარხვაში მიცვალებულთა სულებისათვის საკურთხის და-
დგმა, მაგრამ ბარბალშ-ს ნავახშვეს ვახსნილებული იყო და ამიტომ მართავდნენ ე. წ. ლიფნ-
ნეს, ე. ი. სულების საკურთხის. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ლიფნანე აუცილებლად იმარ-
თებოდა ყველა მარხვის დაურწყება ღამეს.

ბარბლანში-ის სამი დღის განმავლობაში განსაკუთრებული მოვალეობა აწვა მესტიის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ყმებს ანუ კაცებს, ე. წ. მაცხუწრი მწრე-ებს თავის სალოცავის მიმართ. ბარბლანში-ის განმავლობაში თვითეულ მოსახლეს უნდა შეეწირა მაცხუწრი-ისათვის 18 ცალი ლემზირ-ი შემდეგი წესის დაცვით: დღეში ან ორჯერ წავიდოდა სალოცავში და მაშინ თითო წასვლაზე სამ ცალ ლემზირ-ს წაიღებდა და შესწირავდა ან სამჯერ წავიდოდა და მაშინ ორ-ორი ლემზირ-ი მიჰქონდა თითო წასვლაზე. ეს ლემზირ-ები სამარხვეო იყო. თითო ჯერზე წაღებულ ლემზირ-თა შორის ერთი ცალი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო და მას მომზერი ლემზირ-ი ეწოდებოდა და ერთიც პატარა ზომისა, რომელსაც პიტ-ს ეძახდნენ. დიდ ლემზირ-ს ხატის კაცს, მლოცავს (მომზერ-ს) და პატარა ლემზირ-ს ამ მლოცავის უმცროს ვაჟიშვილს დაუტოვებდა, მაცხუწრი მწრე-ების ყოველი მოსახლე მის შემდგომ, რაც მომზერ-ი მის მიერ მოტანილ ლემზირ-ებს აკურთხებდა.

რამდენადმე უფრო ნაკლები მოვალეობანი ჰქონდა დაკისრებული მაცხოვრის სალოცავის მიმართ მაცხუწრი მწრე-ების დისწულებსა და სხვა ახლო ნათესავებს. მათ ოჯახებიდან თვითეულს ცალკე უნდა შეეწირა მაცხუწრი-ისათვის დღეში სამი ლემზირ-ი, ე. ი. ბარბლანში-ის განმავლობაში სულ 9 ლემზირ-ი. თუ ვინცობა ამ დღეობაში ოჯახი „უწმინდურად“ შეესწრებოდა, ე. ი. ოჯახის ქალი ან ახლად მომშობიარებული იყო, ან თვითური ჰქონდა, — მაშინ ის ლემზირ-ების შეწირვას მომდევნო დღეებისათვის გადასდებდა.

1936 წლის ივლისის 7. სოფელი სეტი.
მოზრობელი 60 წლის ტარასი ნაკანი.

ი) მულახში

ბარბლანში. ისევე, როგორც მრავალ სხვა თემში, მუჟალისა და მულახის მაცხოვრებნიც წლის დღეობათა დასაწყისად ბარბლანში-ს სთვლიდნენ. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ გარემოებას აქცევდნენ, რომ რა დღესაც ბარბლანში-ი დაემთხვეოდა, იმ დღეს მოხვდებოდა შობაცა და ახალწელიწადიც. ხალხის ძველი რწმენით, თუ ეს დღეობები სამშაბათს შეხვდებოდა — ცუდი იყო, მომავალ წელს მოსავალი არ ივარგებს და ქალებიც დაიხოცებიანო, ამბობდნენ ისინი.

გაზაფხულზე, ვიდრე ხეხილი ყლორტებს გამოიღებდა, მულახელი მოსახლიდან თითო კაცი ტყეში წავიდოდა, იქ ახალგაზრდა არყის ხეს ძირიანად ამოგდებდა, სახლში წაიღებდა, დასჭრიდა, კონებად შეკრავდა და ბარბლანში-ისათვის შეინახავდა.

სამი დღით ადრე ბარბლანში-ამდე სალამობით ბავშვებს და მამაკაცებს მიჰქონდათ ეს კონები ბარბლანში-ის ეკლესიის ეზოში (სოფელ ზარდლაში, ქოლაში, მუჟალსა და ჩვაბიანში). იქ მათ ცეცხლს მოუკიდებდნენ და აცხოვდნენ

ლემზირ-ებს¹, თვალების ტკივილით დაავადებულისათვის ზედმეტად სამ ცალ ლემზირ-ს გამოაცხობდნენ და ცალკე შესწირავდნენ. მათი შემწირველი (მომზერ-ი) ქალი იყო. იგი შეწირვისას შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა ხოლმე:

„დიდბა აჯჯად ბარბალ ქეიშისა²,
მადლი ჯერი, ლახემდ ნიშგუტე
ქორაშ კუმაშს ი მარა, ლახო
გუმი ნახრული, თემი ნარპი;
ნიშგუტე ქორაშ მერდა მარემიშ
ი კუმშიშ თემიშ მასტუნა ი
ტანიშ მაზიგ ლექუა ლიც
ლახო, ლექა ბიქუს, ანმარჯუტ
ისგუ ლიმზერ ი ლიგერალ,
ამყაჷან ნიშგუტე ქორთე ისგუ
ჟერ, ისგუ ნამზერუნ; ნიშგუტე
ჯალბიშ ნალხუნ ნომა ანშდგხე
ნიშგუტე ქორისგა. ახსიბინ
მურსკუტენთე ნიშგუტე ქორაშ
კუმაშ ი მარა“.

დიდება მოგვლოდეს ბარბალ ქეიშისას,
მადლი გექნება, უშველე ჩენი
სახლის საქონელს და ადამიანს, მიეცი
გულის სიხარული, თვალის სინათლე;
ჩვენ სახლში მყოფ ადამიანის და
საქონლის თვალის ტკივილი და
სხეულის სენი ქვემოთ წყალს
მიეცი, ზემოთ ქარსა, გაგვიმარჯვე
შენი ლოცვა და ვედრება,
გამყოლე ჩვენ სახლში შენი
წყალობა, შენი შესაწირი; ჩენი
ჯალაბობის დასაკმაყოფილებელი ნუ გა-
მოგვილიე ჩვენ სახლში. მარჯვნისაკენ
(წაღმა) წარმართე ჩენი სახლის საქო-
ნელი და კაცი.

თვით ბარბლჷშ დღეს დილით ყოველ ოჯახში კვლავ ლემზირ-ებს გამო-
აცხობდნენ, წაიღებდნენ ბარბალ-ის ეკლესიაში და მომზერ-ს შეაწირვინებდნენ.
წმ. ბარბალ-ის სახელზე.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი ქოლაში.
მთხრობელი 74 წლის ენზა გუჯეჯიანი.

¹ მულახის მცხოვრები დარისპან მარგიანი არაფერს ამბობს ლემზირ-ების გამოცხობის შესახებ და ცეცხლის გაჩენის წესს დღეობის მხოლოდ წინა საღამოსათვის აღნიშნავს. ის შემდეგსა სწერს: „იმ სოფლებში, სადაც... წმ. ბარბალეს ეკლესიები არსებობენ... 4 დეკემბრის წინა ღამეს ახალგაზრდობა (ძველად, მოხუცნიც) წინდაწინ მომარაგებული შემით ანთებდნენ დიდ ცეცხლს ეკლესიის ეზოში და შუალამემდე ამ ცეცხლთან ატარებდნენ დროს ხუმრობა-თამაშობაში“. ამ წესჩვეულების აღწერასთან ერთად ავტორი იძლევა მის შესახებ თავის ახსნა-განმარტებასაც: „საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი გარემოება,—სწერს ის,—ძველად ყველა წმინდანის სახელობის ეკლესიის და საუფლო დღესასწაულების წინაღამეს სამღვდელობა, მორწმუნებთან ერთად, ღამისთვეითს ლოცვა-ვედრებას ასრულებდა თვით ეკლესიაში, გარდა, როდესაც დროთა ვითარების გამო, სვანეთის სასულიერო წოდება ჩამორჩენის გზას დაადგა და საშინლად დაცვა. გონებით ჩამორჩენილმა სვანეთის სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა ე. წ. „ბაპემა“ დამახინჯებულად და გადაგვარებულად იწყეს მღვდელთმოქმედების წესების აღსრულება. უმღვდლოდ დარჩენილმა ხალხმაც ღამისთვეითი ლოცვა ღამისთვეში უბრალო დროს გაატარებთ შესცვალა და ასე სხვა საეკლესიო მღვდელთ-მოქმედების წესები თანდათან გადავარდა“ (იხ. ენიშკის-ეთნოგრაფ. განყოფი-ში დაცული ხელნაწერი, გვ. 19, 20).

² 1931 წელს ხაფხულში ჩვენ მერ მულახის თემში მუშაობის დროს მოხუცები აღნიშნავდნენ, რომ ბარბლჷშს ღამისთვეის დროს ლოცვა და შეწირულებანი განკუთვნილი იყო ბარბალ ექმანისადმი; განსაკუთრებით თვალის ტკივილით დაავადებულები ევედრებოდნენ ბარბალ ექმანს სენისაგან გაგვკურნეო.

ია) იფარში

ბარბლანუ. სვანების ძველი რწმენით ბარბლანუ-იდან დღე მატულობდა. სწორედ ამ დღიდან იწყებოდა წლის დღეობებიც და რა დღესაც ბარბლანუ-ი შეხვდებოდა, იმ დღეს დაემთხვეოდა ქრისტე-ი (იხ.) და ზომხა (იხ.). იფარის თემში ბარბლანუ-ს სამი დღის განმავლობაში უქმობდნენ.

ჯერ კიდევ ზაფხულის მიწურულში, ახალი მოსაველის გაღწევის დროს, ცალკე გამოყოფდნენ საუკეთესო ხორბალს, დაფუკავდნენ და შეინახავდნენ. მას ბარბლანუ-ში გუბი-ი ეწოდებოდა. ბარბლანუ-ში გუბი-ის ხმარება მხოლოდდამხოლოდ ბარბლანუ-ის განმავლობაში შეიძლება¹.

ბარბლანუ-ის პირველ დღეს დილით მერბიელ-ი ბარბლანუ-ში გუბი-ისაგან გამოაცხობდა ე. წ. კაჩ-ლემზირ-ებს. ეს კაჩ-ლემზირ-ები იყო ხშიადი პურები, რომლებითაც სახლის უფროსი ევედრებოდა ბარბლანუ-ს—თვალების სინათლეს ნუ მოგვაკლებო. ვახშმისათვის ჩვეულებრივ ხშიადებს გამოაცხობდნენ. შემდეგ კერიაში ცეცხლს შეუწელებდნენ და ივანშემებდნენ. ნავახშმეგს ბავშვები გაცვივდებოდნენ გარეთ და იქიდან მერბიელ-ს ხეწნით შემოსძახებდნენ:

„დღე, ნაუახშობურე“

დღეა, ნავახშმევისა.

გაიგონებდა თუ არა მერბიელ-ი ამ სიტყვებს, მაშინვე კერიას მიუბრუნდებოდა, შეშას წაუმატებდა და დააცხობდა ყველიან პურებს, რომლებითაც სახლის უფროსი კვლავ ევედრებოდა ბარბლანუ-ს ოჯახის ბარაქიანობას და მრავალ ამ დღეს მხიარულად შეხვედრას. ლოცვის შემდეგ კვლავ სუფრას შემოუსხდებოდნენ და ქუთ-ებს შეექცეოდნენ.

ბარბლანუ-ის მეორე დღეს მცხოვრებნი თავის სასოფლო ეკლესიაში (სოფელ ნაიფარის მცხოვრებნი ჯგერაგ-ის ეკლესიაში) მიდიოდნენ სალოცავად. ყოველ მლოცვეს თან მიჰქონდა ლემზირ-ები (კაჩ-ლემზირან) და ბოთლით

¹ იფარის თემში ახალი მოსაველის აღების და შენახვის დროს ყოველი ოჯახი ცალკე გამოყოფდა საუკეთესო პურის ხორბალს და ფქვილს, დაანაწილებდა ცალ-ცალკე კიბდონ-ებში (კიბდონებში), თვითნებ კიბდონ-ს ცალკე დღეობას შეუსახლებდა და ისე შეინახავდა, რომ დათქმულ დღეობამდე კიბდონ-ი არავის გაეხსნა და შიგ მოთავსებული ფქვილი არ ენახა. ამ საგანგებოდ გადანახულ პურეულს ეწოდებოდა გუბი-ი. ამგვარად გუბი-ი საერთო სახელწოდება იყო და მას ემატებოდა ხოლმე იმ დღეობის ან ღვთაების სახელი, რომლისადმიც იყო გუბი-ის განკუთვნილი. ასეთები იყო, მაგ., ყორ-ლიმზირ-ლე გუბი, ლამპრია გუბი, ბარბლანუ-ში გუბი და სხვა.

ლამპრია გუბი-ი უწუტნა იყო, ე. ი. მისი და მისგან გამომცხვარი ლემზირ-ების დანახვა და, მით უფრო, შექმა არავის არ შეეძლო ოჯახის წევრების გარეშე, გარდა ოჯახის გათხოვილი ქალისა (პასტიუ-ისა). რაც უნდა მკვიდრი ნათესავი ყოფილიყო (ოჯახის ძმა, სძმე, ბიძაშვილი და სხვა) მაინც ვერ აჩვენებდა ოჯახი მას ლამპრია გუბი-ს. ლამპრია გუბი-ის ხმარებას იწყებდნენ ყორ-ლიმზირ-ში და მუდამ, როცა ლიმზირ-ი (ლოცვა-შეწირულება) ღვთაება ლამპრია-ს სახელზე სრულდებოდა ლემზირ-ებს ამ ფქვილისაგან აცხობდნენ. ამგვარ ლიმზირ-ებში შედიოდა ყველა „გიმ-ლიმზირ-ი, რომლებსაც ქალები მამაკაცებისა და ახალგაზრდობისაგან საიდუმლოდ აწყობდნენ და აგრეთვე ახალი მთარის ლიმზირ-ები.

უწუტნა იყო ზოგიერთი სხვა დღეობის გუბი-იც. საზოგადოდ გუბი-ები ოჯახს მრავლად მოეზოვებოდა. მთხრობელის თქმით მამამისის ოჯახში ყოველწლიურად რვა-ცნრა სხვადასხვა გუბი-ის კიბდონ-ი იდგა ხოლმე.

ზედში (ნათავედი არაყი). ამ შესაწირავებს ეკლესიის მარე-ს გადასცემდნენ დასალოცავად (სოფელ ნაკიფარში ჯგერაჯის მულხტენ-ს ხაქტუნშა-ს). უკანასკნელის მთხოვნელის სახელით მიმართავდა ბარბოლ-ს და სთხოვდა შემწირველი ოჯახის კეთილდღეობას. ამ ლოცვისათვის მულხტენ-ს ეძლეოდა თვითეული ოჯახისაგან ორ-ორი ლემზირ-ი.

მესამე დღეს ბარბალ-ის ლოცვა-ვედრება კვლავ სახლებში სრულდებოდა: სახლის უფროსის მიერ.

მთელი სამი დღის განმავლობაში სადღეობო პურებს ბარბლანში გწიზ-ისაგან აცხობდნენ ხოლმე.

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკიფარი.
მთხრობელი 80 წლის სოხარ გულბანი.

იბ) კალაში

ა. ხალდეში

ბარბლანში-ი ღვინ თხუმ-ი იყო, ე. ი. წლის დღეობათა თავი. ბარბლანში-ისთვისაც, ისევე როგორც ყველა სხვა დღეობისათვის, ოჯახი სიწმინდეს იცავდა და ამ მიზნით, სხვათა შორის, მისი წევრები ცოლ-ქმრულ კავშირსა სწყვეტდნენ ერთი კვირით ადრე დღეობამდე.

ბარბლანში დილით მერბიელი-ი გამოაცხობდა ოჯახის ყოველ სულზე თითო ცალ ლემზირ-ს და კიდევ ერთ ცალს ე. წ. ფუსნა ლემზირ-ს, რომელიც ფუსნა-ბუნსდია-ს სახელზე იყო. სახლის უფროსი მიიტანდა ამ ლემზირ-ებს მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, იქვე ნაკვერჩხალზე საკმეველს (ნატუსუნ-ს) დააკმევედა და ილოცებდა. თავდაპირველად ფუსნა ლემზირ-ით ფუსნაბუნსდია-ს მიმართავდა და შემდეგ დანარჩენ ლემზირ-ებს ბარბალს შესწირავდა და ევედრებოდა მას მომავალ წელს საქონელს, მიწის მოსავალს და ადამიანს ნუ დააკლებ ჩემს ოჯახსაო.

ლოცვა-ვედრების გათავების შემდეგ მორბედს აფრენდნენ და ერთგულ მეზობელს მოიპატიებდნენ. ეს მეზობელი (სულ ერთი იყო კაცი იქნებოდა ის, ქალი, თუ ბავშვი) მიჩნეული იყო კარგ მთვარეზე დაბადებულ პირად და კეთილი ფეხის მქონედ. უკანასკნელი გამოეწყობოდა სადღესასწაულო ტანისამოსში, ხელში წმინდა წერეკეტ-ს (თომს) დაიჭერდა და მასპინძლის სახლისაკენ გაემართებოდა. სახლში შესვლისთანავე ჯერ ისგნტაფ-თან მივიდოდა, იქვე დაწყობრილ თივას საქონელს დაუყრიდა და თან ხმამაღლა წარმოსთქვამდა: დღევანდელი დღის ძალმა ეს საქონელი და ამ სახლის ხალხი გაამრავლოსო. შემდეგ ოჯახის წევრებს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა:

„ხოჩა ბარბლანში აჯრეჰნა ხოჩა გუფი ხუაჲ“ (მრავალი კარგი ბარბალობა გაგიტენდეს კარგ გულზე).

მეკვლეს ლემზირ-ებით გაუმასპინძლდებოდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

ძველად ბარბლანში დღეს ხალდეშლები (ოჯახიდან თითო კაცი) სოფელხეს (ვე-ს) მიდიოდნენ წმ. ბარბალ-ის ეკლესიაში, თან მქონდათ ლემზირ-ები და ნატუსუნ-ი და იქ მოილოცავდნენ ხოლმე.

1935 წლის აგვისტოს 27. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასვიანი.

b. დაბერშ

ბარბლჳშ. კალაში ბარბლჳშ-ს ორ დღეს უქმობდნენ, 4 და 5 დეკემბერს. პირველ დღეს ყოველ მოსახლესთან ხოშა ზურალ-ი აცხობდა უამრავ სამარხვო კვერებს—კუახ ლემზირარ-ებს. ეს ლემზირ-ები კანაფის და ხელის საფქვავეზე მსხვილად დაფქვილი პურის ღერღილის გულიანები იყო. ამ ლემზირ-ებს ჩააწყობდნენ კალათაში (ლალჳშ-ში), წაიღებდნენ სოფელ ხეს ბარბალ-ის, სახელობის ეკლესიაში და ამ ეკლესიის მულზონ-ს შეაწირვინებდნენ ოჯახის კეთილდღეობისათვის. შეწირული პურებიდან სამ ცალს ხატის კაცს (მულზონ-ს)¹ გადასცემდნენ და დანარჩენს სახლში დააბრუნებდნენ. ამ დღეს მოსახლე სამარხვო საკუმელს შეექცეოდა სადილ-ვახშმად, ხოლო მეორე დღეს ვახშმის გათავების შემდეგ დიასახლისი ხაჭაპურებს გამოაცხობდა და მით გაიხსნილებდნენ. ამავე ღამეს. ამ ყველიან პურებს დედე ნავახშობურე-ები ეწოდებოდა.

1936 წლის აგვისტო. სოფ. დაბერი, მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

c. ვინაშელ მოახალშენებებს შორის დაღში (აფხაზეთში)

ბარბლჳშ-ი დიდი უქმე იყო. ამ დღეობის წინა და მომდევნო კვირაში სვანები საქონლის პატივს არ დასძრავდნენ. ხალხის რწმენით, დღეობა ყოველგვარი ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული. მისი წესჩვეულებანი იცავენ საქონელს და ადამიანს ავი სენისაგანაო. თვით ბარბალ-ი სოფლის დასტაქრების სალოცავი ღვთაება იყო; თავის შიშვე ავადმყოფებს ისინი ბარბალ-ს შეავედრებდნენ და მისგან გამოითხოვდნენ თავის ხელობის მფარველობას.

ბარბლჳშ-ის წინა ღამით ოჯახი დაცული უნდა ყოფილიყო უცხო პირებისაგან და ოჯახის წევრებს გარდა ამ დროს სახლში არავის გააჩერებდნენ. ოჯახის წევრების თანადასწრებით მერბიელ-ი გამოაცხობდა სულზე თითო ცალ მოზრდილი ზომის ე. წ. ლესკარ-ს. თუ ბარბლჳშ-ი ოთხშაბათს ან პარასკევს ხვდებოდა, მაშინ ლესკარ-ი ცერცვის-გულიანი უნდა ყოფილიყო; ხოლო თუ ის სხვა დღეს ემთხვეოდა, მაშინ ცერცვთან ერთად გულში ყველსაც ჩაურთავდნენ. ამ ლესკარ-ებს შესწირავდნენ ბარბალ-ს და შეევედრებოდნენ მას—საქონელი და ადამიანები დავიცავი ავი სენისაგანაო. ლოცვის შემდეგ შენაწირს შეექცეოდნენ ისე, რომ უცხო პირს არ მოეკრა მათთვის თვალი, რადგან ამ დღის ლესკარ-ები უწუნა იყო. ამავე მიზეზის გამო ლესკარ-ებისათვის გაცრილ ფქვილის ქატოს მერბიელი ამავე ღამეს ცეცხლში შეყრიდა და დასწავდა.

დღეობა სამ დღეს გრძელდებოდა, მაგრამ ლიმზგრ-ი მხოლოდ ბარბლჳშ-ის წინა ღამეს და მის პირველ დღეს სრულდებოდა. დღეობა დღეს სადილ-ვახ-

¹ სოფელ ხეს ბარბოლის ეკლესიის ხატის კაცები (მულზონ-ს) უნდა იყოს დასტაქრების მოწყობის მფარველები.

შმად მერბიელ-ი ლემზირ-ებს დააცხოზდა, კვლავ ბარბალ-ს შესწირავდა და შემდეგ შენაწირს შეექცეოდნენ.

1933 წლის ივლისი. სოფელი აჯარა. მთხრობელი 40 წლის იუღან ხარძიანის ძე ხარძიანი, გადასახლებული კალის თემის სოფელ ვიჩნაშიდან.

იგ) უშგულში

ბარბლჳშ-ი უქმე დღე იყო. უშგულში ამ დღეს სადილობის ხანს ყოველ ოჯახში გამოაცხოზდნენ ერთ დიდ შესაწირავ კვერს, რომელსაც უშდბლ-ი ეწოდებოდა, და მრავლად ჩვეულებრივი სახის ლემზირ-ს. ვიდრე სადილის ჭამას შეუდგებოდნენ, სახლის უფროსი ამ ლემზირ-ებს ბარბალ-ს შესწირავდა და ევედრებოდა მას ოჯახში სიკეთე და ბედნიერება დამიტრიალეო.

სალამოს სოფლის ბავშვები ერთად შეიკრიბებოდნენ, დაივიდნენ სოფელს და ყოველ მოსახლეს გარედან სახლში შესძახებდნენ:

„დადა, ნაჟახშობჳრა“ (ბებიავ, ნავახშმევისა).

ამის გაგონებისთანავე დიასახლისები თავ-თავის ოჯახში ყველიან კვერებს დააცხოზდნენ და შინმყოფთ ყველას ჩამოუკრიგებდნენ. შემინდგო („შინინდი“), წარმოსთქვამდა სვანი კვერის შექმის დროს, რადგან მარხვას სტეხდა.

სოფელ მურკმელის ერთ-ერთი მოსახლე ქუცაშა, გვარად ჩარქსელიანი საიდანაც სვანების მღვდელთმსახურნი (ბაპ-ები) და სახელგანთქმული მონადირეები გამოდიოდნენ, ბარბლჳშ-ს დიდი ზეიმით გადაიხდიდა ხოლმე. ის დაპატიჟებდა თავის გათხოვილ ქალიშვილებს (ჰასჳიშ-ებს), ძმისწ-ულებს (ნიბჳშინ-ებს) და ყველა ნათესავს, წაიღებდა ეკლესიაში და იქ მლოცავს (მომზერ-ს) აკურთხებინებდა ლემზირ-ებსა და ზედჳშ-ს და შემდეგ სახლში გამართავდა დიდ წვეულებასა და მოლხენას.

ბარბლჳშ-ის სახელით და მის პატივსაცემად დაუქმებული იყო ბარბლჳშ-ის მომდევნო ორშაბათი დღე, რომელსაც ნაბგრბალჳშ-ი ეწოდებოდა.

1936 წლის აგვისტოს 20. სოფელი ჟიბიანი, მთხრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი.

გ. ჭვემო სვანეთი

იღ) ჩოლურში

ბარბლჳშ-ი განკუთვნილი იყო ხველისა და გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგოდ.

ბარბლჳშ-ის წინა ღამეს სახლის უფროსი ქალი (ხოშა ზურალ-ი) ხმამაღულეზლად, ოჯახის წევრებისა და უცხო პირებისაგან დაფარულად, ბედლიდან ერთ კარტა ფქვილს გამოიტანდა და სახლში შეინახავდა. ბარბლჳშ-ს დილით გათენებამდე სახლის უფროსი მამაკაცი, აგრეთვე უბრად და სხვების მიერ თვალ-

მოუკვრელად ამ ფქვილით სავსე კარტა-ს სახლიდან გარეთ გაიტანდა და შემდეგ კვლავ სახლში შემობრუნებდა. არავეითარი ლოცვა ამ დროს არ იცოდნენ, რადგან ეს წესჩვეულება უბრად უნდა შესრულებულიყო. აღნიშნული ფქვილი-საგან საღამოს ხოშა ზურაულ-ი ეჭვს ცალ ჩვეულებრივ ტაბულ-ს, ერთს ფუსნა ტაბულ-ს და ერთს ლამარია შილგენე-ს გამოაცხობდა. ეს კვერები ნიგვზიანი ან ყველიანი იყო. ქორა მახტში დაიჭერდა მათ ხელში და ასე ილოცავდა:

„ღერბეთ, სი ლოგტლერ ხოლა ზიგხენ, ხოლა მაზიგ ქოგქაზბენ, ხოჩა ლუნთ. გტაყრ, ლუფხუ რგუთა შტიდობდ“¹.

ღმერთო, შენ დაგვიცავი ცული სენისაგან, ცული ავადმყოფობა აგვა-ცილე, კარგი ზამთარი მოგვეცი, გაზაფხულს მოგვასწარი მშვიდობით.

ლოცვის გათავების შემდეგ ფუსნა ტაბულ-ს მლოცავი შესქამდა, ლამარია შილგენე-ს ქალები შეეკეთოდნენ და ჩვეულებრივ ტაბულ-ებს კი—ოჯახის და ნარჩენი წვერები.

1934 წლის ივლისი. სოფელი უკლეში. მახრან ბელი 70 წლის თერთუა ბაბლუანი.

ი) ლენტეხში

ბარბლაშ-ს საერთო შეკრების ხასიათის დღეობა არ ჰქონია, მაგრამ ოჯახებში ძლიერ მკვიცვლ იცავდნენ ამ დღის უქმობას. დილა ადრინადად ხორბლის ფქვილიდან გამოაცხობდნენ ტაბულებს, რომლებსაც შუაში ყველის მაგივრად ჩაურთავდნენ. ხოლმე დანაყილ მარილს². ამ ტაბულებიდან ერთი იქნებოდა ჯვრის სახის ფუსნა ლემზირ-ი, რომელსაც მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცი შესქამდა ხოლმე. მზის ამოსვლის დროს გამომცხვარ ხუთ, ტაბულას შესწირავდა სახლის უფროსი დიასახლისი, რომელიც წარმოსთქვამდა სვანურად შემდეგ ლოცვას:

„ბარბალ კურნელ, სი ლოგტუმდ, ოგ-ფიშირ

ბარბალე მკურნალო, შენ გვიშველე, გა-გვიმრავლე

¹ მოგვეყვს ამ დღის ლოცვის ვარიანტი საფელ ლევშიერში ჩაწერილი: დიდაბ ეჯკად ბარბლაში ყერს, ჯეკურალდ: ლღგტუმდ, ხოჩა ლინთუ გტაყრ ნაფ, კუმაშს ი მარას, ნაფ ნიშტუე ერთგული-მარას, მიშტუა მეხტიბს ი მეხტიბელს მი. იმტაფ დოშ ოთხტირდე, დიდაბ ეჯკად, ნომა მიტმეფ, დიდაბ ეჯკად, ი მალდ ეჯკად“.

საფელ ლევშიერში ჩაწერილი: დიდება მოგივიდა ბარბალობის ძალას, გენვეწებით: შეგვეწიე, კარგი ზამთარი გვიყვიე ჩვენ. საქონელს და ადამიანს, ჩვენ და ჩვენს ერთგულ ადამიანს, ჩემს მოძმეს და მეზობელს. ჩე რასაც ვერ მიგხვდე, დიდება მოგივიდა, ნუ გამიწყურები, დიდება მოგივიდა და მადლი მოგივიდა.

ჩაწერილია 50 წლის ვადა ჯაბას ასულის ჩარკვიანისაგან.

² ან ნიგვზიან ლემზირ-ებს. გამოაცხობდნენო, — უმატებს ჩემი მთხრობელი 58 წლის მელოზან მეშველიანი, სოფელ ზემო-ლექსურას მცხოვრები.

კუმაშ ი მადილ ჯერი, ოგხიდ მარემი საქონელი და მადლი გექნება, გაგვა-
 ნაშდობაშ, სოჲ ლოგო ჩი გტეშისა, მშვიდობით, სვე მოგვეცი ყველა საქმეში,
 ოგქაბუნ ოგქაბუნ ოგქაბუნ გვაშორე
 ხოლა მაზიგ, ოგქაბუნ ხოლა თეჲ-აჲბა, ცუდი სენი, გვაშორე ცუდი თვალ-ჲბა,
 ოგხიდ ხოჩა ზაჲ მატეღმუ, ოგლეჩ ჩი გაგვახარე კარგი წლის მოსავლით, და-
 მაზიგხენქა; ბარბალ კურნელ, მადილ სენისაგან; ბარბალე მკურნალო, მადლი
 ჯერი სი მადილშუ გოში, ხოჩა ლუნთს გექნება, შენ მადლით სავსევე, კარგ
 ლოგვენ ი თანაფ შიდობდ ოგუაჲ მიგვაყენე და აღდგომა მშვიდობით მო-
 კუმაშს ი მარას; ბარბალ კურნელ, საქონელს და კაცს; ბარბალე მკურნალო,
 მადილ გოში, მადლიან! გზაჲ შიდობდ მადლით სავსევე, მადლიანო! მგზაჲრი
 ოგუთიჲ აგითე ცხემირიან-ქემირიან, მოგვიყვანე შინ ნაზარდ-ნამატით,
 ამსუალდა მაშედ ბარბალ კურნელ, ადამიანის მშველელი ბარბალე მკურ-
 სგობდ ათვენ გუშტე ნაზუ-ნაჩომ, წინ წაიყვანე ჩვენი ნავალ-ნაქნარი,
 ლოგო სოჲ ჩი გტეშისა ი მადილ მოგვეცი სვე ყველა საქმეში და მადლი
 ჯერი, ლოგმურჯ ჩი გტეშისა ისგუთი გექნება, მოგვენმარე ყველა საქმეში შენი
 ლეჭერი-ლეღჯერი ი მადილ ჯერი“. შესაბრაალ-შესავედრებელი და მადლი
 გექნება.

ამ ვიდრების დროს კერიაზე ნაკვერჩხალს გამოყოფდნენ და ზედ საკმეველს დააკმევდნენ. ხშირად, საკმევლის უქონლობის გამო თაფლის ფიჭის ან დახოცილ ფუტკარს ხმარობდნენ. დამწვარი ფუტკარის კვამლი ბლომად იყო გამდგარი სახლში, სადაც ეს ლოცვა სრულდებოდა.

ძველად ბარბლაშუ-ის დღეს ხშირად წირვასაც მართავდნენ ხოლმე. საერთოდ ბარბლაშუ-ი ცნობილი იყო ბედნიერ დღედ. ამ დღიდან ელოდნენ დღის მატებას და იგი ითვლებოდა ყველა მომავალი დღეობის წინამორბედად. რა დღესაც ბარბალობა დამთხვეოდა, იმ დღეს უნდა დამთხვეოდა ყველა მომავალი დღეობა, როგორც მაგალითად: შობა, ახალწელიწადი და სხვ. და თუ ბარბალობის დამთხვევის დღე ცნობილი იყო ბედნიერად, იმ შემთხვევაში წლის ყველა დღეობა ბედნიერად ჩაივლიდა და მით ოჯახი უზრუნველყოფილი იქნებოდა კარგი მოსავლით, კარგი ამინდებით, ადამიანის მშვიდობიანობით და სხვა. სვანეთში მრავალია ბარბალ კურნელ-ის სახელობის საყდარი, რომლებსაც სვანები დიდი მზრუნველობით იცავდნენ.

1934 წლის დეკემბრის 3. დღეობა აღწერილია არსენ ონიანის მიერ, ლოცვის ტექსტი ჩაწერილია ამავე თემის სოფელ ლექსურის მცხოვრების ტაში ლიპარტელიანის კალისაგან.

2. დ ა ნ ა ზ , დ ა ნ ო ბ (9 დეკემბერი)

A. ბალს ქვემოთ

ა) ჩუბეხევეში

დანობ. ჩუბეხევეში დანობ-ს მხოლოდ უქმობდნენ. სხვა რაიმე წესჩვეულებათა შესრულება ამ დღეს აქ არ იცოდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი თავარარი. მთხრობელი. 54 წლის მაპარბე ცინ დ გ ლ ი ა ნ ი.

ბ) ფარში

დანობ. ფარელები ამ დღეს უქმობდნენ და სადილის წინ ლიმზურ-ს აწყობდნენ. დიხსალ-ი გამოაცხობდა ყველიან ან უბრალო ლემზირ-ებს და მათ დან-ს შეავედრებდა:

„დანს. დიდბუ აჯკედა, დან მპლდინან,
ისგუ ლიმზურ დიდბუ
ლუჯტარ ნაყრ, ფიშირ ლაღიშ
ლადელ ხოჩა გუჟი ანჰი,
ხემა ისგუა მეკერალს სი
ლახეშდ, ეჯჟი ლანეშდ
ნა, ჯაბიციდ ამის, დიდბიშ
ლეკედ დან“.

დანს დიდება მოგსვლოდეს, დანო მა-
დლიანო, შენი ლოცვა-დიდება
ჯკრიანი გვიყავ, მრავალი დღეის
დღე კარგ გულზე მოგვასწარი,
როგორც შენს მავედრებელს შენ
შეეწიე, ისე შეგვეწიე
ჩვენ, გენუკვით ამას, დიდების
მიმღებო დანო.

ლოცვის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ. და სხვა საკმელთან ერთად შეწირულ ლემზირ-ებს შეექცეოდნენ.

ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად ამ დღის უქმედ ლიმზურ-ი დაწესებული იყო შემდეგი „სასწაულის“ მიზეზით: ძველად ერთ თავადს ლატა-
ლელი კაცი გაუყიდა სადღაც შორეულ ქვეყანაში. იჯდა თურმე 9 დეკემბერს

მერხზე (ბანდარ-ზე) და ფიქრებით თავის საყვარელ სვანეთში იყო. უცებ ინა-ტრა: ნეტავი ეხლა, აი ამ ბანდარ-ით, ამიყვანა და ჩემს ოჯახში დამსვავო. ინა-ტრა ეს ლატალელმა თუ არა, მაშინვე ბანდარ-იანად მიწას მოსცილდა და თვალის დახამხამებამდე თავის ოჯახში გაჩნდა. ამ სასწაულის აღსანიშნავად დააწესეს სვანებმა 9 დეკემბერს დანობ-აო.

1936 წლის ივლისი. სოფელი ფარი. მთხრობელი
86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვი ბ ლ ი ა ნ ი.

გ) ეცერში

აწწწ-ში უქმე დღე იყო. დილით დიხსალ-ი პურის ფქვილისაან დააცხობ-და ლემზირ-ებს და მათ სახლის უფროსი აწწწ შეავედრებდა:

„დიდაბ აჯვანდ, მალდ აჯვანდ
აწწწ მალდინანს! აწწწ ფუსდ
ჟიბე ლკკლათხე, მარემი
ქუნემ ნაშუდები ი ნაფშირი ლანო“.

დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსე-
ლოდეს იან მადლიანს! იანო უფალო,
ზე ამადლებულო, კაცის სულადობის
მშვიდობა და სიმრავლე მოგვეცი.

შეწირული ლემზირ-ებით ისადილებდნენ. ამით თავდებოდა აწწწ-ის წეს-ჩვეულებები ეცერში.

1936 წლის ივლისის 31. სოფელი ისკარი.
მთხრობელი 61 წლის დემეტ გ ე რ ლ ი ა ნ ი.

დ) ცხუმარში

აწწწ-ში უქმე დღე იყო. ცხუმარელის ოჯახში ამ დღეს ფეტვის ლემ-ზირ-ები ცხვებოდა. ამ ლემზირ-ებს შესწირავდნენ აწწწ-ს და ევედრებო-დნენ მას თვალების ტკივილისაგან დაგვიფარეო. სხვა წესჩვეულება ცხუმარში ამ დღეს არ სრულდებოდა.

1936 წლის აგვისტოს 4. სოფელი სუფი. მთხრო-
ბელი 63 წლის დიმიტრი ჯ ა ჭ ვ ლ ი ა ნ ი.

ბ. ბ ა ლ ს ზ ე მ ო ტ

ე) ლატალში

აწწწ-ში. ეს დღე უქმე იყო და ვანკუთვნილი თვალების ტკივილის საწი-ნააღმდეგოდ. ვისაც ამ დროს თვალები სტკიოდა, ის თავის გუნებით ან მარ-ჩიელის რჩევით ამ დღეს მტემე იყო ე. ი. უქმელ-უსმელად რჩებოდა დილიდან

მზის ჩასვლამდე. სახლის უფროსი ქალი მიდიოდა ან-ის სალოცავში და თან მიჰქონდა ნადბაშუნ-ისათვის პურისა და ფეტვის ფქვილის ცომი. წამოღებულ ჰქონდა თან აგრეთვე ლეტურე—სანთელი, თვალის ტკივილით დაავადებულის სახელზე. სალოცავში ის აცხოვდა პურის ცომისაგან ლემზირ-ებს და ფეტვისაგან ჰკეტ-ებს ავადმყოფის სახელზე აუცილებლად სამ-სამ ცალს, ხოლო დანარჩენებზე რამდენიც მოხვდებოდა. ამ პურებით ხელში და ანთებული სანთლით ის ევედრებოდა ანს, აეშორებინა მისი ოჯახისათვის თვალების ტკივილი და ავადმყოფი მოერჩინა.

ხდებოდა ისედაც, რომ ოჯახი სახლში გამომცვარ პურებს და ლეტურე-ს გაატანდა თავის ოჯახის წევრ ბავშვს, რომელიც ამ შემთხვევაში სალოცავ ან-ის მცველი გვარის ნაწარშიერ-ის წარმომადგენელს გამოიხმობდა და მოტანილს შეაწირვინებდა. გასამრჯელოდ მას ბავშვი 2-3 ლემზირ-ს უტოვებდა, ხოლო დანარჩენი სახლში მიჰქონდა. აქ ყველანი თავთავის წილ ჰკეტ-ს და ლემზირ-ებს შესჰამდნენ და ამის შემდეგ მტემე-ც პირს აიხსნიდა.

1935 წლის აგვისტო. სოფელი მწცხვარიში.
მთხრობელი 57 წლის გიორგი გორგვილი.

ვ) ლენჯერში

ანაშ-ი უქმე დღე იყო განკუთვნილი თვალების ტკივილის საწინააღმდეგოდ და ფეტვის მოსავლიანობის დასაბეველად.

ჯერ კიდევ ფეტვის მოსავლის აღების დროს საუკეთესო ფეტვს გადაარჩევდნენ, დაფქვავდნენ და ანაშ-ისათვის შეინახავდნენ. ამ ფქვილს ფეტუ ანუ ანაშ გუბი-ი ეწოდებოდა.

დღეობა დღეს თვითელ ოჯახში ანაშ გუბი-ისაგან გამოაცხოვდნენ ფეტვის პურებს, რომლებსაც ჰკედარ ანუ ჰკეტარ (მხ. რ. ჰკედ, ანუ ჰკეტ) ეწოდებოდა, წაიღებდნენ მათ ან-ის ეკლესიის ნანგრევებზე სოფელ ქაშვეთში და იქ შესწირავდნენ. სამი ცალი ჰკედ-ით ან-ს ევედრებოდნენ — თვალის სიმართლე მოგვეციო და დანარჩენებს ფეტვის მოსავლიანობის სახელზე სწირავდნენ. ის ოჯახი, რომელსაც შინ თვალის ტკივილით დაავადებული ჰყავდა ვინმე, ამ დღეს საღამოსაც გამოაცხოვდა ფეტუა გუბი-ისაგან ლემზირ-ებს, რომლებსაც თვით ავადმყოფი შესწირავდა ან-ს და შესთხოვდა თვალების ტკივილისაგან მომარჩინეო.

ამ დღეს ეკლესიაში შეწირული ლემზირ-ებიდან ერთ ცალს იქვე ბავშვებს დაუბრუნებდნენ, დანარჩენს კი სახლში დააბრუნებდნენ და ოჯახის ყველა წევრს ავემბდნენ.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის გიგო შუკვაანი.

ზ) მესტიაში

ანაშ-ში ითვლებოდა საყოველთაო უქმე ღღედ და განკუთვნილი იყო ფეტვის მოსავლიანობისადმი.

ოჯახის ერთ-ერთი წევრი ამ ღღეს დიდიდან სალამომდე მტემე იყო — სრულიად უქმელ-უსმელი. სალამოს მერბიელ-ი გამოიღებდა ფეტვის გუიზ-ს¹, დაასხამდა წყალს, უზამდა მარილს და მოზელდა.

შემდეგ აუფუფუბული ცოპით ხელში ის ლოცულობდა:

„ო-ო, დიდებ პჯვად, დიდებ პჯვად	„ო დიდება მოგსვლოდეს, მადლი მო-
დან ლატლოშს!	გსვლოდეს იანს ლატალისას!
დან ლატლოშ, სი ჯევირადლ ისგუა	იან ლატალისაო, შენ გეხვეწები შენი
ი ს' ანმარჯუ ისგუ ლიმზურ, ფატუბ	გვიზით
მაჯადლ ანხად, დიდებუ აჯკედა დან	და შენ გაგვიმარჯვე შენი ლოცვა, ფეტვის
ლატლოშს; ჟოდე ლადი ლადელ	მოსავლით გაგვახარე, დიდება მოგსვლო-
აჯქუცედ, ეჩქად ნიშგუდე ფატუბ	დეს იან
ნოსა ახსუა, დიდებ პჯვად დან ლა-	ლატალისას; სანამ დღევანდელ დღის
ლოშს!“	თმობას არ
	შევწყვიტო, მანამ ჩვენი ფეტვის მავნე
	მაჭინ
	არაფერი ჰქნა, დიდება მოგსვლოდეს
	იანს ლატალისას!

ამ ლოცვის შემდეგ ის ცოპს პატარ-პატარა ნაჭრებად დაგლეჯდა და დაურიგებდა ოჯახის წევრებს, რომლებიც მათ მაშინვე შესჭამდნენ. დარჩენილი აუფუფებელი ცომისაგან მერბიელ-ი გამოაცხოებდა სულზე ორ ცალ პატარ-პატარა ლემზირ-ს — ერთს ფეტვის მოსავლისადმი განკუთვნილს და მეორეს თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. ფეტვის მოსავლისადმი განკუთვნილი ლემზირ-ებით ის იმგვარადვე ილოცებდა, როგორც ზემოთ, ხოლო თვალის ტკივილისადმი განკუთვნილ ლემზირ-ებზე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„დიდებ პჯვად დან ლატლოშს, დან	დიდება მოგსვლოდეს იანს ლატალისას,
ლატლოშ,	იანო ლატალისაო
სი ჯავგრუნედ ისგუა გუიზს, ნიშგუდე	შენ გავედრებთ შენ გვიზს ჩვენ ოჯახში
ქორა	
მერდა მარა ათქაბუინ ისგუ შეფუბდე	მყოფ ადამიანს ააცილე შენგან გაშვე-
მზიგ	ბული ქირი,
ათბაქ ნიშგუდე ქორა მერდა მარამი	გააქრე ჩვენს სახლში მყოფი ადამიანე-
თერლე	ბის თვალთა

¹ სხვა თემებისაგან განსხვავებულად მესტიაში ფეტვის გუიზ-ი წლის განმავლობაში დაფარული არ იყო უცხო პირებისაგან.

მასტურნა, ლექუა ლეცს ლახო, ლეკა ტკივილი, ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ-
ბიჭტს, ქარს,
დიდებ აჯკანდ ან ლატლიშს“. დიდება მოგვლოდეს იან ლატლისას“.

ლოცვის გათავების შემდეგ ამ ლემზირ-ებს ყველას ჩამოურიგებდნენ.

1936 წლის ივლისის 12. სოფელი სეტი. მთხრო
ბელი 60 წლის ტარასი ხაისავის ძე ნაკანი.

ვ) მულახში

აქნაწი ლამეს ვისაც ფეტვი ჰქონდა, ის პურის გარდა ფეტვის კვრე-
ბსაც გამოაცხობდა. საზოგადოდ ამ დღის წესჩვეულება მულახში ისევე სრულ-
დებოდა, როგორც ლატალში, მხოლოდ ეკლესიაში სიარული ამ დღეს აქ არ
იკოდნენ.

1935 წლის აგვისტო. სოფელი ჭოლახში.
მთხრობელი 74 წლის ემზა გუჯეჯიანი.

თ) იფარში

აქნაწი-ი ითვლებოდა ფეტვის მოსავლისადმი და თვალების ტკივილის
საწინააღმდეგოდ განკუთვნილ უქმედ. დილით მერბიელ-ი ჩვეულებრივ ლემ-
ზირ-ებს გამოაცხობდა გუჩის ფეკილისაგან და სადილის წინ სახლის უფროსი:
შევედრებდა მათ ან ლატლიშ-ს—აქნ-ის სახელობის ლატლის სალოცავს. სა-
ლამოს გუჩი-ის ლემზირ-ებთან ერთად აცხობდნენ ერთი დიდი ზომის ფეტვის
პურს, ჰკეტს, და ამ შესაწირავებით სახლის უფროსი კვლავ აქნ-ს მიმართავდა
ლოცვით—ოჯახს ფეტვის ბარაქას და თვალის სინათლეს ნუ მოაკლებო. ოჯა-
ხის ერთ-ერთი წევრი ამ დღეს დილიდან სალამომდე მტმე იყო—არაფერს არ
სჭამდა და წყალსაც კი არ დალევდა. მას ეს მტმე-ობა შეწირული ჰქონდა
ღვათება აქნ-ისათვის თვალების ტკივილის საწინააღმდეგოდ.

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკიფარი.
მთხრობელი 80 წლის სოზარ გულბანი.

ი) კალაში

ა. ხალდეში

აქნაწი. ხალდეშლები აქნაწი დღეს დილიდან სალამომდე, ბავშვების
გარდა, ყველა მტმე-იყო, ე. ი. არც სჭამდა და არც დალევდა რამეს. სალა-
მოს კი მერბიელ-ი ლემზირ-ებს გამოაცხობდა და ამ ლემზირ-ებით შევედრე-
ბოდნენ აქნ-ს:

„თემიშ ი გუჩიში ნახირული ლანო თვალის და გულის სიმხიარულე მოგვეცი.

ლოცვის გათავების შემდეგ პირს აიხსნიდნენ და შეწირულ ლემზირ-ებს ეზიარებოდნენ.

1935 წლის აგვისტოს 27. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასვიანი.

ბ. დავებრში

ანაშ. კალაში ანაშ-ს ორ დღეს უქმობდნენ. ეს უქმეები, დღეობის შეწირულება და ყოველგვარი წესჩვეულება მიმართული იყო ადამიანის დასაცავად თვალების ტკივილისაგან.

პირველ დღეს ოჯახის ის წევრი, რომელსაც წინასწარ შეთქმული ჰქონდა ანაშ-ს მეტმე-დ ყოფნა, ამ წესს იცავდა, ე. ი. მთელი დღის განმავლობაში არც რას დაღევდა და არც შესჯამდა. ხოლო საღამოს მისთვის გამოაცხობდნენ სამარხვო კვერს (კუახ ლემზირ-ს), რომელსაც მეტმე ან-ს შეავედრებდა და შემდეგ მარტო თვით შესჯამდა.

მეორე დღეს ბავშვების გარდა ოჯახში ყველა მეტმე იყო დილიდან საღამომდე. საღამოს ვახშმისათვის სამარხვო ლემზირ-ებს დააცხობდნენ, ან-ს შეავედრებდნენ და შეექცეოდნენ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი დავებრი. მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველიანი.

ია) უშგულში

ანაშ. უშგულში ამ დღეს ადამიანის ბედზე დილიდან საღამომდე ჰამასმის აღკვეთა იცოდნენ. ამ წესჩვეულებას სვანურად ლიტმე ეწოდებოდა, ხოლო იმ პირს, რომელიც ლიტმე-ს იცავდა, მეტმე-ს ეძახდნენ. თვითველ მოსახლესთან მეტმე-დ მისი ერთი რომელიმე წევრი იყო ხოლმე. საღამოს სახლის უფროსი მანდილოსანი გამოაცხობდა ლემზირ-ებს და ვახშმის წინ მათ ან-ის სახელზე შესწირავდნენ.

ზოგი მოსახლე ამ დღეს საქონლის ლიტმე-საც იხდიდა. ეს ის მოსახლეები იყვნენ, რომლებიც ამ წესჩვეულებას შუა მარხვაში არ იცავდნენ (იხ. ამავე თემის ისგ-ლილჩალ). ამ ოჯახებში ანაშ დღეს დილიდან საღამომდე მსხვილფეხა საქონელს (ძროხას, ხარს, ხბოს) წყალსაც არ დააღვეინებდნენ და არც რას აკმევდნენ. საღამოს კი წყალზე წაიყვანდნენ წყურვილის მოსაკლავად, საკვებს ბლომად დაუყრიდნენ და საქონლის ბედზე, მსგავსად ადამიანისა, ცალკე ლემზირ-ებს გამოაცხობდნენ და ან-ს შესწირავდნენ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ეიბიანი.
მთხრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი.

C. ქ ვ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ უ ი

იბ) ღაშხეთსა, ჩოღურსა და ღენტეხში

ღენტეხში-ი განკუთვნილი იყო მოსავლიანობის დასაბეველად. ამ მიზნით-
ყოველი მოსახლე ამ დღეს ან-ს ევედრებოდა კარგი მოსავალი; მაღირსეო და-
თან მას სამარხეო ტაბულ-ებს სწირავდა.

1934 წლის ივლისი-აგვისტო. სოფელი ჟახუნდერი, სოფელი
თეკალი და სოფელი ზემა-ღეჟსური. მთხრობლები 78 წლის
სოსო ლაბჯანიძე, 82 წლის ელისაბედ ჯამბურიძე.
და 76 წლის სიმონ ლიპარტიანი.

3. ჰკეღობ, ჰკეტობ, ჟენშიერი ჰკეტობ
(8 ან 10 ლექსები)

A. ბ ა ლ ს ჰ ვ ი მ ო ტ

ა) ჩუბეხეში

ჟენშიერი ჰკეტობ. ეს დღეობა დამოკიდებული იყო დანობ-ზე, უკანასკნელის მეორე დღეს მოდიოდა და ამიტომ მას ჟენშიერი ჰკეტობ ეწოდებოდა. ამ დღის სახელი ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ ლახამულელები¹ და ჩუბეხელები მას არც უქმობდნენ და ამ დღეს არც რაიმე განსაკუთრებულ წესჩვეულებას ასრულებდნენ. ჩუბეხეში ამ დროს ძალიან დიდი თოვლი იცის ხოლმე.

1936 წლის, ივლისის 27. სოფელი. თაერარი. მთხრობელი 54 წლის მაჰარბე ცინდელიანი.

ბ) ფარში

ჰკეღობ-ი მოდიოდა ჰიშდურობ-ის წინა დღით. ჰკეღობ დღეს საღამოს დიასახლისი გამოაცხობდა სამ ცალს ფეტვის კვერს ჰკედ-ს. სახლის უფროსი დაიჭერდა მათ ხელში, მივიდოდა სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და შესწირავდა ან-ს შემდეგი სიტყვებით:

„აანს დიდბუ აჯკედა
ფეტუშუ ლალშუენ ხი,
ფეტუ მასარდ ანიკდ,
ლუჯუტარ ნაყრ ჩიგარ ფეტუ,
დიდბიშ ლეკედ ან,
ხიკუდინ ნიშგე ნამჰურ“.

აანს დიდება მოგვლოდეს,
ფეტვით სახსენებელი ხარ,
ფეტვი ბლომად მოგვიყვანე,
დაგვიჯვარე ყოველთვის ფეტვი,
დიდების ღირსო იანო,
ინდომე ჩვენი შენაწირი“.

1936 წლის ივლისის 30. სოფელი ფარი. მთხრობელი. 86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიანი.

¹ ეს ცნობა შევამოწმეთ თვით ლახამულაში.

გ) ეცერში

ჰკკტობ. ეცერში ჰკკტობ-ი ენწაშ-ის წინა დღით მოდოდა და განკუთვნილი იყო აწწ-ის სახელისადმი, რომელიც ფეტვის მოსავლის მფარველად ითვლებოდა. მამაკაცებს სვანეთში ამ დროს გარე სამუშაოებიდან საშური არა აქვთ რა; ზამთრის პირობებში, როცა დიდი თოვლი დევს, სვანი დროს ხშირად უქმად ატარებს და ამიტომ ჰკკტობ დღე ამ მხრივ არაფრით განირჩეოდა ზამთრის მრავალი სხვა დღისაგან. ქალები-კი, რომლებიც ჩვეულებრივ ზამთრის დღეებს ხელსაქმის ანდომებენ, ამ დღეს არ რთავდნენ—უქმეაო. საღამოს დიხსალ-ი ფეტვის პურს ჰკკტ-ს გამოაცხობდა და მას აწწ-ს შეავედრებდა—ფეტვის კარგი მოსავალი მოგვეციო.

1936 წლის ივლისის 31. სოფელი ისკარი. მთხრობელი 61 წლის დემეტ გერლიანი.

დ) ცხუმარში

ჰკკდობ-ი ენწაშ-ის წინა დღით მოდიოდა. უქმე იყო, ქალები ამ დღეს სართავს ხელს არ ჰკიდებდნენ. სადილ-ისათვის დიხსალ-ი გამოაცხობდა ფეტვის ლემზირ-ებს, ლადიშ ყერ-ს (ამ დღის წმინდანს) შესწირავდა და ევედრებოდა მას საქონელი და კაცი ოჯახში მშვიდობით მიმყოფეო. ამით თავდებოდა ცხუმარში ჰკკდობ-ის წესჩვეულებანი.

1936 წლის აგვისტოს 4. სოფელი სუფი. მთხრობელი 63 წლის დიმიტრი ჯაკვილიანი.

B. ბ ა ლ ს ზ ე მ ო თ

ე) ლენჯერში

ჰკკტობ-ი ენწაშ-ის მეორე დღეს მოდიოდა. ლენჯერში მას არ უქმობდნენ, მაგრამ საღამოს ვახშმისათვის მერბიელ-ი ფატუა გუიზ-ისაგან მრავალ პატარა ზომის ლემზირ-ს აცხობდა, შესწირავდა აწწ-ს და ევედრებოდა მას—ჩემს ოჯახს ფეტვის მოსავალი გაუმრავლეო.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია. მთხრობელი 70 წლის გიგა შუკვანი.

4. ჭიშღურობ, ლიჭუღუპარ (10 ან 11 დეკემბერს)

A. ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო ტ

ა) ფარში

ჭიშღუტრობ-ი ქკკტობ-ის მეორე დღეს მოდიოდა. ეცერში მას სრულად არ იხდიდნენ¹, ხოლო ფარში ამ დღეს საღამოს ყოველი მოსახლე სამცალ ჭიშღუტარ-ს გამოაცხობდა. ჭიშღუტარ-ი ყველნარევე ფეტვის კვერებს ეწოდებოდა. მათი გამოცხობის შემდეგ სახლის უფროსი შესწირავდა ჭიშღუტარ-ს ან ფუსტ-ს და თან შეევედრებოდა:

„ან ფუსტ, ლეთი ქკკდარ ანანუ

ანო უფალო, წუხელის ფეტვის კვერები გამოგიცხვე—

ნომა მანდროვა, ბაზი ჭიშღუტარს

ნუ დამემღურები, ამაღამ კი ყველიან ფეტვის კვერებს

ჯამზერი, ადამდ ჯაბიცდ, ერე ხოჩა ზნ ანიჯდ ფეტუიშ, დიდბიშ ლეჯედ ანა“.

გწირავ, კიდევ გვედრები, რომ კარგი მოსავალი მოგვიტანო ფეტვისა, დიდების მიმღებო იანო“.

ამ ჭიშღუტარ-ის გარდა ვანშმისათვის სამარხო ფეტვის კვერებსაც (ქკკდარ-ს) აცხობდნენ.

1936 წლის ივლისის 30. სოფელი ფარი. მთხრობელი 86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიანი.

B. ბ ა ლ ს ზ ე მ ო ტ

ბ) მესტიაში

ლიჭუღუტარ. ასე ეწოდებოდა მესტიაში ანანუ-ის მეორე დღეს. ლიჭუღუტარს არ უქმობდნენ, მაგრამ შუადღეზე ყველიან ლუკუნ-ს გამოაცხობდნენ და ვიდრე თვით ისადილებდნენ მიცვალებულთა სულებისათვის გაშლიდნენ სუფრას, რომლის წინ სახლის უფროსი შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამდა:

„შტენდბაჟ ჯარხ, ჰემმა იზღდრლდენდს, შენდობა გქონდეთ, თუ გეკადრებოდეთ თუ არა და გვეპატიოს.“

1936 წ. ივლისის 12. სოფ. სეტი. მთხრობელი 60 წ. ტარასი თაისავის ძე ნაკანი.

¹ ცნობის სისწორე შევამოწმეთ თვით ეცერში.

5. შობ, ჰანტილოზ (24 დეკემბერს)

А. ბ ა ლ ს. ქ ვ ე მ ო ტ

ა) ღანამულაში

შობ-ს დილით დიხსალ-ი პურის ფქვილის ფაფას (თესლ-ს) მოხარშავდა და საღამოსათვის შეინახავდა. ხოლო ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი ამ დროს ღამპრია-ს სახელზე ხისაგან პატარა კოვზს (კიზ-ს) და ჩოგანს (ღუარ-ჩილ-ს) გასთლიდა—ღამპრია-ს მშობიარობის დროს დასჭირდებოდა.

საღამოს ყოველ ოჯახში ლობიან პურებს დააცხობდნენ და მუჯორ-ს დაამზადებდნენ თესლისათვის. ვახშობის დროს ორ სუფრას გაშლიდნენ—ერთს ღამპრია-ს ლიფანე-ს და მეორეს მიცვალეზულთა სულებისადმი განკუთვნილს. ღამპრია-ს ლიფანეს კერიის პირად მოთავსებულ სვანურ მერხზე (ბანდარზე) გაშლიდნენ: მის მომრგვალებულ თავზე დააწყობდნენ ქვაბიდან ამოღებულ მუჯორ-მოსხმულ თესლ-სა და ლობიან პურს. მიცვალეზულთა სულების ლიფანე-საც კერიის მახლობლად გაშლიდნენ და მასზედაც თესლ-სა და ლობიან პურებს დააწყობდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ღამპრია-სადმი განკუთვნილ თესლ-თან ერთად ჯამზე კიზ-სა და ღუარჩილ-ს ათავსებდნენ და სუფრაზე ერთსანთელს დაანთებდნენ, ხოლო სულების სუფრაზე—სამ სანთელს. ღამპრია-ს სუფრასთან დიხსალ-ი ევედრებოდა ღამპრია-ს-ოჯახის კეთილდღეობისათვის. სულების სუფრასთან კი სახლის უფროსი მამაკაცი სულებს ამასვე შესთხოვდა. ლოცვის შემდეგ მანდილოსნები ღამპრია-სათვის შეწირულ სანოვავეს შეექცეოდნენ, ხოლო კაცები და ბავშვები სულების ლიფანე-ს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადგამდნენ და ივახშმებდნენ. ვახშმის გათავების შემდეგ დიხსალ-ი კიზ-სა და ღუარჩილ-ს კიბდენ-ში ჩააწყობდა, სადაც ისინი მომავალ შობამდე ინახებოდა.

1936 წლის ივლისი. სოფელი ქვემო-ღანამულა. მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ საუხის ძე ქკადუა.

ბ) ჩუბეხევეში

შობ-ის წინა დღეებში ჩუბეხეველები ამზადებდნენ საკორკოტე ხორბალს. დაალობდნენ მას და ქერქს გააცლიდნენ. შობ-ს დილით მას დიდ ქვაბში მოათავსებდნენ, წყალს დაასხამდნენ და ქვაბს კერიის ნაჭაზე მოსახარშად შეჭკიდებდნენ. როდესაც თესლ-ი (კორკოტი) მოიხარშებოდა, თავზე მოდგმულ ქაფს კერიის ფილაქანზე (კაზ-ე) გადმოასხამდნენ და ქვაბს საღამომდე გემ-ში¹ შეინახავდნენ. ამის შემდეგ დიხსალ-ი შეუდგებოდა ე. წ. მუჯორ-ის კეთებას. მუჯორ-ი დანაყილი და ზეთგამოწურული კანაფის თესლია (ვიმბაშ-ი), რომელსაც

¹ გემ-ი ეწოდება სვანური სახლის მინაშენს, რომელშიც პურეულს ინახავენ.

მარილს მოაყრიდნენ და საწებელივით ხმარობდნენ. სალამო ხანს თესლ-ს კვლავ სვირ-ში შეიტანდნენ, ერთ ჯამს ცალკე გადაიღებდნენ, მას შუაში მუჯორ-ს და-ასხამდნენ, დიხსალ-ი წაიღებდა გემ-ში და ლოცვა-ვედრებით დადგამდა იმ კი-დობანთან (კიბდენ-თან), რომელშიც შენახული იყო ე. წ. ლამარიაშ ტაბლან-ში. ლამარიაშ ტაბლანში შემოდგომაზე კალოობის დროს ცალკე გამოყოფილი საუ-კეთესო ხორბალი იყო, რომელსაც დაფქვის შემდეგ კიბდენ-ში ჩაყრიდნენ და შეინახავდნენ ისე, რომ „უწმინდური“¹ არავინ მიჰკარებოდა და არც უცხო ვინმეს მოეკრა მისთვის თვალი, ვინაიდან ლამარიაშ ტაბლან-ში უწონან-ში იყო. ამ ფქვილისაგან აცხობდნენ ლემზირ-ებს. ზამთრის დღეობებში—შობ-ს, ქრის-დეშ-ს, გეშხტან-ს და კანდა-ს. მას შემდეგ რაც დიხსალ-ი შობ-ს სალამოს ლა-მარიაშ ტაბლან-ის კიბდენ-თან ერთ ჯამ თესლ-სა და მუჯორ-ს დასდგამდა, ის პირველად ახდიდა ამ კიბდენ-ის თავს და ერთ კარტა ფქვილს ამოიღებდა. ამ ფქვილისაგან გამოაცხობდა სამ ცალ სამარხვო ლემზირ-ს (კუბხ ლემზირ) და სახლის უფროსი მამაკაცი ვახშმის. წინ ამ ლემზირ-ებზე და თესლ-ზე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„ა-ა დიდებუ აჯედა, მალდოუ
აჯედა, შობ თატრარის დიდებუ!
შობ თატრარის, ფიშირ შობ
ხოჩა გუჟი ნახტი ქტინლემგენა
ი მარა, ხოჩემიშ ბენბეჟი
ნარდუნი ქტინლემგენე ი მარე მანგ.“

ა-ა დიდება მოგსვლოდეს, მალდრ
მოგსვლოდეს, შობ თავარისას, დიდება!
შობ თავარისავ, მრავალი შობ-ი
კარგ გულზე შეგვახვედრე საქონელს
და ადამიანს, კარგ გუნებაზე
გვამყოფე საქონელი და ადამიანი ყველა.

ლოცვის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ და ივახშმებდნენ. შობ-ი დიდ უქმე დღედ იყო მიჩნეული.

1936 წლის აგვისტო. სოფელი თავარაი. მთხო-
ბელი 54 წლის მამარბე ცინდელიანი.

გ) ფარში

შობ-ი საყოველთაო უქმე დღე იყო ფარში. რამდენიმე დღით ადრე გა-არჩევდნენ ხორბალს და ხელის საფქვავეზე დაფქვავდნენ მსხვილად შობ-ს დი-ლით ფაფის (თესლ-ის) გასაკეთებლად. შობ-ს დილითვე ამ თესლ-ს საწებლად ე. წ. მუჯორ-ს გაუკეთებდნენ: გამოხდიდნენ კანაფის თესლის (გიმბანის) ან-ნიგვზის (კაკ-ის) ზეთს, ჩენჩოს წყალში გახსნიდნენ, მარილით შეაზავებდნენ და შემდეგ თავისავე ზეთს გადაასხამდნენ. თესლ-სა და მუჯორ-ს სალამოსათვის შეინახავდნენ.

¹ „უწმინდური“ იყო, სვანის წარმოდგენით, თეიურაინი ქალი. საერთოდ ლამარიაშ ტაბ-ლან-ს ვრიდებოდა ოჯახში ყველა მისი წევრი; მხოლოდ დიხსალ-ი მიუახლოვდებოდა ხოლომე-ლამარიაშ ტაბლან-ით სავსე კიბდენ-ს.

წინასწარ, ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე, კალოობის დროს, მოიმარაგებდნენ აგრეთვე ახლად გაღწეულ საუკეთესო ხორბალს, დაფქვავდნენ მას, ცალკე კიბდენ-ში მოათავსებდნენ და შეინახავდნენ საახალწლო დღეობებისათვის. ამ ფქვილს ლამპარიშ ტაბლშ-ი ეწოდებოდა, წმინდად თვლიდნენ და უწონვში იყო, ე. ი. ოჯახისათვის უცხო პირებს არც დაანახებდნენ და არც შეაქმევდნენ მისგან გამომცხვარ კვერებს. ლამპარიშ ტაბლშ-ის კიდობანს პირველად შობ-ს საღამოს ხსნიდნენ. ვიდრე მას გახსნიდნენ, ოჯახის წევრი ნამაკაცი არყის ხისაგან ვათლიდა პატარა ჩოგანს, ღუარჩინ-ს. ამ ღუარჩინ-ით ამოიღებდა დიასახლისი საღამოს ლამპარიშ ტაბლშ-ს. როდესაც ვახშმისათვის მზადების დრო დადგებოდა და კერიაში ცეცხლს გააძლიერებდნენ, დიასახლისი დააპირებდა გასვლას გემ-ში, სადაც ოჯახის ფქვილეულის მარაგი ინახება. მას თან მიჰქონდა ღუარჩინ-ი, ფილაქნის (კა-ს) პატარა ნაჭერი და კარტა ფქვილისათვის. ამ დროს ოჯახის დანარჩენი წევრები კერიას გარს შემოუსხდებოდნენ, მის პირად ნახულ ნახშირის ნაჭერს ხელში მაგრად მომუჭავდნენ, თავებს დაბლა დახრიდნენ და სრულ სიჩუმეს ჩამოაგდებდნენ იმ დრომდე, ვიდრე დიასახლისი გემ-იდან ლამპარიშ ტაბლშ-ს არ შემოიტანდა. დიხსალ-ი გემ-ში შესვლისთანავე ლამპარიშ ტაბლშ-ის კიბდენ-ს მიუახლოვდებოდა, ლამპარია-ს სახელს ახსენებდა, კიდობანს თავს ახდიდა, ფილაქნის ნაჭერზე მუქით ფქვილს გადაიღებდა და მას ამ კიდობნის ძირის ქვეშ შედგამდა, შემდეგ ღუარჩინ-ით კარტა-ში საჭირო რაოდენობის ფქვილს გადაიღებდა, კიდობანს დახურავდა და გაემართებოდა სგირ-ისაკენ. მისი სგირ-ში შესვლისთანავე შინამყოფნი ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და წამოიშლებოდნენ. დიხსალ-ი კერიას მარჯვენა მხრიდან (წაღმით) მოუვლიდა და შეუდგებოდა ლამპარიშ ტაბლშ-ისაგან აუფუებელი (ჭურუ) ლემზირ-ების ცხობას. ლამპარიშ ტაბლშ-ის მსგავსად, მისგან გამომცხვარი ლემზირ-ებიც უწონვში იყო. ამ დღეს დამზადებულ თესლ-ს, მუჯორ-ს და ლემზირ-ებს ქორზ მახტშ-ი ვახშმის წინ ლამპარია-ს შესწირავდა:

„დიღბუ აჯკედა ლამპარია
 შობშს! ლამპარია შობშს, ფიშირ
 შობ ხოჩა
 გუჟი ნახტი, მპლღინ,
 ტეთხმპლს ი მარა ჩი,
 შტიღბა ი ნაშტღები ნაყრ,
 ი ნიშგე ნათინაჲ უმარცხტ—
 უტალდ ენურღტინ ქრისღე შობშს
 მპლღინ“.

დიღბა მოგსვლოდეს ლამარია
 შობისას! ლამარია შობისაო, მრავალი
 შობ-ი კარგ
 გულზე შეგვახვედრე, მაღლიანო,
 ოთხფებს და აღამიანს ყველას,
 მშვიდობა და მშვიდობიანობა მოგვეცი, ჩვენ
 და ჩვენი ნათესავი უმარცხოდ—
 უნაკლოდ გვაყოფე ქრისღე შობისაო;
 მაღლიანო.

შემდეგ სუფრას გაშლიდნენ, მიცვალებულებს შენდობას შეუთვლიდნენ და ივახშმებდნენ.

1936 წლის ივლისის 26. სოფელი ფარი. მთხრობელი
 86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვი ბ ლ ი ა ნ ი.

დ) ეცერში

შობ-ი უქმე იყო და ვინც ამ უქმეს გასტეხდა მისი ოჯახის მომავალი წლის მოსავალს წვრილი მარცვალი ექნებაო, ამბობდნენ სვანები. წინა დღით ხელის საფეკვაზე დაღერღავდნენ პურის მარცვალს და ჩაადგამდნენ მოსახარშავად; თესლ-ს მეორე დღისათვის (შობ-ისათვის) ამზადებდნენ. შობ-ს ღამით დიხსალი აცხობდა სამ ცალ პატარა კვერს. ეს კვერები ღერღილ-ისაგან (ხელის საფეკვაზე მსხვილად დაფეკვილი ხორბლისაგან) უნდა გამოეცხოთ. ამის შემდეგ ოჯახის წევრები კა-კერა-ს გარშემო შემოუსხდებოდნენ, ნახშირს მომუჭავდნენ და სრულ სიჩუმეს ჩამოაგდებდნენ. ამ დროს დიხსალ-ი გადიოდა კემჟ-ში.¹ მას თან მიჰქონდა სამი პატარა კვერი და თესლ-ი ჯამით. ის გაჩერდებოდა ლამპარიან შობ-ის კიბდენ-თან, ახსენებდა ლამპარია-ს სახელს და ევედრებოდა მას—ჩემი ოჯახის მოსავალს ბარაქა მოანიჭეო, ლოცვის შემდეგ თესლ-ს იგემებდა, ნალოც კვერს კიბდენ-ში ჩასდებდა, ხოლო ამ კიბდენ-იდან კარტა-ში გადაიღებდა საჭირო რაოდენობის ლამპარიან შობ-ისაგან და შეწირული თესლითურთ სგირ-ში გამოიტანდა. აქ ის კა-კერა-სთან მსხდომებს მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდა და საქალბო ადგილთან გაჩერდებოდა. დიხსალ-ის შემოსვლისთანავე ყველანი წამოიშლებოდნენ, ნახშირს ცეცხლში შეავდებდნენ და ხმას ამოიღებდნენ. დიხსალ-ი შეუდგებოდა ვახშმისათვის ლამპარიან შობ-ისაგან კუახ-ლემზირ-ების გამოცხობას. ეს ლემზირ-ები, ისევე როგორც ლამპარიან შობ-ისაგან (რომელიც შემოდგომის პირზე პირველ კალოზე გაღეწილი ხორბლისაგან მიღებულ ფევილს წარმოადგენს), უწონა-ში იყო. ვახშმის წინ ამ ლემზირ-ებზე ქორბ მახუში ასე ლოცულობდა:

„დიდებ პჯჳნდ, მალდ პჯჳნდ
ქრისდე ქალქიშს, დიდებ პჯჳნდ!
ქრისდე ქალქიშ, ფიშირ ღნდიშ
ლადედ ხოჩა გუჟი ნაჟრ. ხემა მიჟ
ი ღნდედ იცხემ, ამჟი
ლახცხამინ ნიშე ლიზგე-ლირდეს“.

დიდება მოგსელოდეს, მადლი მოგსელო-
დეს ქრისდე ქალაქისას, დიდება მოგსე-
ლოდეს! ქრისდე ქალაქისაო, მრავალი
დღევანდელი დღე კარგ გულზე მოგვეცი,
როგორც მზე და დღე იმატებს, ისე
მატება მიეც ჩვენს ყოფა-ცხოვრებას.

ლოცვის გათავების შემდეგ ოჯახი ვახშამს შეექცეოდა.

¹ კემჟ-ი ეწოდება სგირ-ის მინაშენს, სადაც ფევილსა და ხორბლეულს ინახავენ.

შობის წინა დღეს სოფელ ბარშის, ქელირისა და ქურაშის მცხოვრებნი მთელი კვირის სამყოფ შემას დასჭრიდნენ და მოიმარაგებდნენ, რის შემდგომ ნაჯახს, ცულსა და სხვა რკინეულს მთელი კვირის განმავლობაში ხელს აღარ მოჰკიდებდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ისკარი.
მთხრობელი 61 წლის დემეტ გ ე რ ლ ი ა ნ ი.

ე) ცხუმარში

ცხუმარში შობს სავსებით ისევე იხდიდნენ, როგორც ეცერში. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დღეს ლიმზერ-ის გადახდისას აქ ქრისდე-შობს-ს ევედრებოდნენ.

1936 წლის აგვისტოს 4. სოფელი სუფი.
მთხრობელი 63 წლის დიმიტრი ჯ ა ქ ვ ლ ი ა ნ ი.

ვ) ბეჩოში

ბეჩოში შობს დღეს ისეთსავე წესჩვეულებებს ასრულებდნენ, როგორსაც უცერსა და ცხუმარში. მხოლოდ აქ საღამოს რომ მოხარშულ თესლ-სა და კუბან-ლემზირ-ებზე ლოცულობდნენ, ამ ლოცვას და შესაწირს ლამპარიან შობს-ს უძღვნიდნენ და ევედრებოდნენ მას კარგი წელიწადი მოგვეყვანო.

1936 წლის აგვისტოს 10. სოფელი უშხვანარი.
მთხრობელი 90 წლის ახარეთ კ ვ ი ც ი ა ნ ი
და 51 წლის ამაიზ კ ვ ი ც ი ა ნ ი.

ბ. ბალს ზემოთ

ზ) ლატალში

შობს დღეს ხელის საფქვავზე დაფქვავდნენ მსხვილად ხორბალს და ფაფას, ქაქ-ს მოხარშავდნენ. ამის გარდა ამხადებდნენ მუჯორ-ს: გიმბან-ს (კანაფის მოხარშულ მარცვალს), ნიგოზს და მარილს ერთად დანაყავდნენ, ცოტა წყალს შეურევდნენ და აკეთებდნენ ფაფასავით. საღამოს ჟამს, ვახშობის წინ სახლის უფროსი მამაკაცი ერთ ხელში დაიჭერდა ქაქ-ს, მეორეში—მუჯორ-ს მივიდოდა სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და ასე ლოცულობდა:

„დიდებ აჯჯად ქრისდე ღერბათჲ,
ქრისდე ღერბეთ, სი ლანეშდ, ფიშირ
შობს ხოჩა გუჲი ნაყურ, შობს
ლამპარია“.

დიდება მოგსვლოდეს ქრისდე ღმერთო,
ქრისდე ღმერთო, შენ გვიშველე, მრავალი შობი კარგ გულზე მოგვეცი, შობს-ის
ლამპარიაჲ!.

ლოცვის შემდეგ დასხდებოდნენ და ივახშმებდნენ

1935 წლის აგვისტო. სოფელი მაცხვარიში.
მთხრობელი 57 წლის გიორგი გ ი რ გ ვ ლ ი ა ნ ი.

ც) ლენჯერში

შო ბ. ამ დღეს მხოლოდ მაცხტურ-ის მარე¹ ნავერიანები უქმობდნენ. თემის სხვა მოსახლეობისათვის უქმე არ იყო, მაგრამ გარკვეულ წესჩვეულებას ისინიც ასრულებდნენ. ყველაზე ადრე მაცხტურის ეკლესიაში შობ-ს ბავშვები იკრიბებოდნენ. ამ დღეს ყოველი ოჯახი დააცხობდა ლამწარი² გჭიზ-ისაგან ლემზირებს და წაიღებდა მაცხტურ-ის ეკლესიაში, სადაც შეევედრებოდა შობს ლამწარია-ს წლის მოსავლიანობას. ლოცვის შემდეგ ყოველი მლოცველი ბავშვებს თითო ლემზირ-ს დაუტოვებდა, ხოლო დანარჩენი სახლში მიჰქონდა. ოჯახში დილითვე მოღერლავდნენ ხელის საფეკვაზე ლამწარი² გჭიზ-ის ხორბალ-ს და მობარშავდნენ მისგან სქელ ფაფას, ქაქ-ს, რომლისთვისაც საწებლად გააკეთებდნენ მუჯორ-ს. მობარშვის შემდეგ ქაქ-ს მერბიელ-ი სარკმელზე შედგამდა საღამომდე, ხოლო საღამოს მას ყურადღებით დახედავდნენ: თუ ქაქ-ის ზედაპირი გახეთქილი არ იყო, ეს ოჯახისათვის ბედნიერებას და სარგებლიან წელიწადს მოასწავებდა და პირიქით. ვახშმის წინ მერბიელ-ი ქაქ-ს პეშვით სამჯერ ცალკე ჯამში გადაიღებდა, შუაზე მუჭით აღებულ მუჯორ-ს დაასხამდა, ჯამს კარტა-ში

¹ ყოველ სალოცავს ჰყავდა სვანეთში თავისი ძირითადი მომსახურენი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ხატის სამსახური. სალოცავის სიმდიდრე იმათ ხელში იყო, მათი ნებართვის გარეშე ხელს ვერავინ ახლებდა ეკლესიაში განძეულს. სალოცავის შენობის შეკეთება, მისი სახურავის დახურვა და სხვა საზრუნავი საქმე ყველაფერი მათ ევალებოდათ. მომსახურეთა შორის ყველაზე პატივცემულ მოსახლეს, რომელსაც შო კილი ეწოდებოდა, ეკლესიის გასაღები ებარა. სალოცავის მომსახურენი გამოდიოდნენ გარკვეული ერთის ან რამდენიმე გვარიდან. მეტ შემთხვევაში თითო სალოცავს ერთი გვარი ემსახურებოდა. ამ გვარის ხალხს ეძახდნენ სალოცავის კაცებს, ლაჰტამი მწრწლ-ს. უცხო გვარების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ უშუალოდ მიეძღვნათ სალოცავისათვის თავისი შესაწირავი, — ეს უნდა მომხდარიყო სალოცავის კაცების საშუალებით. მოტანილ შესაწირავებს რომელსავე ლაჰტამი მწრეს გადასცემდა, ის შესწირავდა მათ თავის სალოცავს და სამაგიეროდ შეწირულის ნაწილს დაიტოვებდა. მოგვყავს ლენჯერის თემის ძირითადი გვარები და მათი სალოცავები წარსულში სოფლების მიხედვით:

გვარი	სალოცავის სახელწოდება	სოფელი
შუქვანი	ჯტარ ქრისდეში ლაჰტამ	ლემსია
მერლიანი	ლამწარია	„
ნავერიანი	მაცხტური	„
გულედანი	მელი	ნესგუნი
მალედანი	„	„
ჯაჯვანი	თარგნგზელი	ლაშთხვერი
უდესიანი	„	„
ფილფანი	ჯგერჭგი	ქაშვეთი
ხეთასი	„	სოლი
ხორგვანი	„	„

ჩადგამდა და გვერდით ლამპრიან გუბიზ-ისაგან გაშრომცხვარ სამ ლემზირ-ს ჩაუყუდებდა. შემდეგ კარტ-ის ნაპირზე ანთებულ სანთელს მიაკრავდა და კარტა-ს გუბი-ში გაიტანდა, იქ კიბდენ-ის თავზე დადებდა და შეევედრებოდა ლამპრია-ს: ჩვენს ფქვილს ბარაქა მიეცი, პურს ნუ მოგვაკლებ და კეთილად მოგვანბარეო. შემდეგ კარტა-ს კიბდენ-ში ჩადგამდა და ასე დატოვებდა მეორე დილამდე (ხოლო მეორე დილით ამოიღებდა და სულ თითონ გაათავებდა იქვე). გუბი-ში ლოცვის შემდეგ მერბიელ-ი დაბრუნდებოდა სვირში, სადაც მას გაწყობილი ასუფრა ხვდებოდა. ვახშმის წინ სახლის უფროსი ლამპრიან გუბიზ-ისაგან გამომცხვარი ლემზირ-ებით ევედრებოდა შობა-ლამპრია-ს ოჯახის ბარაქიანობას.

მაცხტურ-ის შარე ნავერიანები ამ დღეს დილით ეკლესიის ეზოში აგებდნენ თოვლის პატარა მურყუბან-ს (კოშკს) და მასზე დასდგამდნენ ეკლესიიდან გამოტანილ მაცხტურ-ის ხატს, რომელიც აქ საღამომდე რჩებოდა. ხატის წინ სანთლებს დაანთებდნენ, ლემზირ-ებით დაილოცებოდნენ და საღამოთი ხატს კვლავ ეკლესიაში შეასვენებდნენ. თოვლის კოშკი იმდენად პატარა იყო ხოლმე, რომ მას არც-კი ანგრევდნენ.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია.
მეხნობელი: 70 წლის გიგო შუკვაანი.

თ) მესტიაში.

შობ. ასე ეწოდებოდა ქრისტეს-ის წინა დღეს მსუბუქი სამუშაოს გაკეთება—შეშის დაჭრა, მოტანა და სხვ., გარდა ყანებში ნაკელის გატანისა,—შეიძლებოდა საღამომდე, ხოლო საღამოთი კი უქმე იყო.

დილის საუზმის (ლენცელ-ის) შემდეგ მერბიელ-ი პურის წმინდა ფქვილისაგან მოხარშავდა ფაფას,—ქაქს (ამ დღის ფაფას შობა ქაქს ეწოდებდნენ) და საწებლად გამოხდიდა მუჯორ-ს—კანაფის თესლის ზეთს. შემდეგ ქაქს ნაწილს ჩამოსჭრიდა, გაიტანდნენ მას მანდილოსნები გუბი-ში და კიბდენ-თან ჩუბაჟ ლიმზგარ-ს შეასრულებდნენ. სახლის უფროსი მანდილოსანი (ხოშა ზურალ-ი) დაიჭერდა ხელში ანთებულ სანთელს და ფაფას, დაიჩოქებდა კიბდენთან მიწაზე, თავს მიწის პირად დახრიდა და ევედრებოდა ლამპრია-ს ოჯახის ბარაქას. დანარჩენი ქალები ამ დროს ხოშა ზურალ-ის გარშემო იყვნენ გაჩერებული და გულში იმასვე ევედრებოდნენ ლამპრია-ს, რასაც მათი უფროსი. ლოცვის გათავების შემდეგ შენაწირს იქვე შესჭამდნენ და ისე დაბრუნდებოდნენ მაჩუბ-ში.

ვახშისათვის ოჯახის ყოველ სულზე გამოაცხობდნენ თითო ცალ კანაფის გულიან (გიმბაშ-იან) ლემზირ-ებს. ამ ლემზირ-ებსა და ქაქს-მუჯორ-ს შესწირავდა ქორა მახტუში შობ ქრისტეს-ს და თან ასე შეევედრებოდა:

„ო-ო, დიდებ აჯჯანდ შობ ქრისტესს,
შობ ქრისტესს, სი ჯეგვრალდ, სი
დახმანზირ ნიშგუტეხანქა წყვლიან.

ო-ო, დიდება მოგვლოდეს შობ ქრისტესისას,
შობ ქრისტესისაგ, შენ გეხვეწები,
შენ შეიწირე ჩვენგან წმინდა

კუჩეცნა ნამზერუნ ი ზანაზ მაჯანდ
ანხნდ, ბედ ი ბარაქ ლანო, დი-
ღაბ პჯვანდ შობ ქრისდენშს“.

პურის შესაწირი და წლის მოსავალით
გაგვანარე, ბედი და ბარაქა მოგვეცი
დიდება მოგვლოდეს შობ ქრისდენშისას.

ლოცვის გათავების შემდეგ ოჯახი ვახშამს შეექცეოდა.

1936 წლის ივლისის 12. სოფელი სტეტი.
მთხრობელი 60 წლის ტარასი თაისავისძე ნაკანი

ი) მულახში

შობ-ის წესჩვეულება მულახში სავსებით ისეთივე იყო, როგორც ლატალში.
ში. ცოტადენი განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი,
ფაფას მულახში ქაქ-ს კი არ ეძახდნენ, როგორც ლატალში, არამედ თესლ-ს¹
და მეორეც, აქ ლოცვის დროს თესლ-თან ერთად მლოცველს სამი სამარხვეო
ლემზირ-ი და ანთებული სანთელი ეჭირა ხელში.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი ქოლაში.
მთხრობელი 74 წლის ემზა გუჯეჯიანი

ია) იფარში

შობ უქმედ ითვლებოდა და განკუთვნილი იყო ქრისდენ ლაშჩრია-სადმი,
რომელსაც სვანები ბედსა და ბარაქას („ბედ ი ბარაქ“) გამოსთხოვდნენ. დი-
ლით მის სახელზე ჩვეულებრივ ლემზირ-ებს შესწირავდნენ, ხოლო საღამოს პუ-
რის ფაფას (თესლ-ს) და ფაფას საწებელს, კანაფის ზეთით შესავებულ წვეინს
(მუჯორ-ს).

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკივარი.
მთხრობელი 80 წლის სოხარ გულბანი.

იბ) კალაში

ა. ხალდეში

შობ-ი უქმე იყო და ამ დღიდან იწყებოდა ხალდეში ლასკარებად² შეკ-
რება და ერთად დროს ტარება. რამდენიმე დღით ადრე შობამდე მოქროსდენშ-დ.

¹ შობა დღეს ფაფის მოხარშვის წესის არსებობას სვანეთში დარისპან მარგიანი შემ-
ჯეგანიად განმარტავს: „სვანის ქალები მშობიარეს რძის ფაფას უკეთებდენ და აჭმევდენ.
ხოლომე, ამ ჩვეულების მიხედვით 24 დეკემბერსაც ვახშამად აკეთებდნენ დაცხვილი წმინდა პუ-
რის მარცვლის ფაფას კანაფის ზეთით შემზადებულს და ვახშამდე სუფრახე ფაფას დგამდნენ
ლაშჩრია-ს სახელზე. ამ ფაფას შობა ქაქ-ს უწოდებდნენ (იხ. დ. მარგიანის ხელთნაწერი ენიმკ-ის
ეთნოგრა. განყოფილებაში).

² ლასკარ-ი ეწოდებოდა მოსახლეობის სადღეობო დაჯგუფებას, რომელიც ერთი ან რამ-
დენიმე გვარის მშობლად შოსახლე ოჯახებისაგან შესდგებოდა. ასეთი სადღეობო დაჯგუფება
თვითთულ სოფელში და, მაშასადამე მით უფრო, თემის ფარგლებში რამდენიმე იყო. მათი ახ-

ორი ტომარა ქერიდან არაყს გამოხდიდა. ნაშუადღევს მის მაჩუბ-ში ქრისდემ-ისათვის განკუთვნილ ღორს არყის გამხმარი კანით ყელში ჯაგარს გამოუწვავდა, შემდეგ დანით ყელს ძარღვს გადაუჭრიდა და ბილოს თავს მოაშორებდა. მისი სისხლისაგან ზისხორა-ს ამზადებდნენ: სისხლს შეაზავებდნენ სურნელით, მარილით, პეხილ-ით (ღორის შიგენულის ქონით), მას ღორის წელებში ჩაას-ხამდნენ, თავს გაუტრავდნენ და მოხარშავდნენ. ზისხორას მეორე დღისათვის ამზადებდნენ. ამავე დღეს მზის ჩასვლის შემდეგ მოქრისდემ-ის ოჯახში შეიკ-რიბებოდა ექვსი „წმინდა“ მამაკაცი და ფუთნახევარი ფქვილისაგან ერთ დიდ ლესურ-ს გამოაცხობდნენ შემდეგნაირად: მოზელდნენ პურს, დააგუნდავებდნენ, გულში ცოტა მარილს და ფინჩხა ყველს ჩააყოლებდნენ, გახურებულ კა-ზე და-დებდნენ და ზემოდან ნაკვერჩხალს დააყრიდნენ; კა-ს ლესურ-ითურთ პირდაპირ მიწაზე დადებდნენ. ამავე დღოს ქალები აცხობდნენ ექვს ცალ დიდ ყველიან ლესკარ-ს და მრავალ პურს. ქრისდემ-ისათვის განკუთვნილი პურების გამოსაც-ხობად მოქრისდემ-ს ამ დღეს ორი ტომარა ფქვილი მაინც დაეხარჯებოდა. რიღესაც სამზადისს გაათავებდნენ, მოქრისდემ-ის ოჯახში თავს მოიყრიდა მთე-ლი ლასკარ-ი ქალიან-ბავშვებიანად. ყველანი ერთად დადგებოდნენ მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან; საჯაჯ ამ დროს ლესკარ-ებზე ეწყო, სანთლები ენთო და ნატუსუნ-ი ეკვივა, და ერთხმად ლოცულობდნენ:

„დიდებ პუჯანდ ლამარიას, ბარაქ
ისგუი ნაწუბანთ ლი, კუხანშ
ი ჭობდრისიშ ნესვა, ჩიწვ
ბარაქ ლანო, ლამარია შობანშ,
მიშგუ ლასკარ ჩუბთლუთხ; დიდებ
პუჯანდ“.

დიდება მოგსელოდეს ლამარიას, ბარაქ
შენი ბოძებული არის, სხმარხეოსა
და სახსნილოს შორის, ყველგან
ბარაქა მოგვეცი, ლამარია შობისავე,
ჩემი ლასკარი გაამტარე, დიდება მოგ
სელოდეს.

აქედ გამოვლინება ხდებოდა გარკვეული დღეობების დროს. მაშინ ლასკარ-ის წევრები ერთ-დებოდნენ და სადღეობო წესჩვეულებას ერთად ასრულებდნენ. სალასკარო დღეობას ჰყავდა თავისი მასპინძელი. ამ დღეობაზე ევალეობდა წინასწარი სადღეობო სამზადისის გაწევა, თავის სახლში დღეობის გამართვა და ლასკარ-ის გამასპინძლება. ამ პირის მოვალეობა ლასკარ-ის შიგნით მორიგეობით სრულდებოდა—ერთ წელს ლასკარ-ის ერთი წევრი იყო დღეობის მასპინძლად. მეორე წელს მეორე წევრი, მესამე წელს მესამე და ე. შ.

სალასკარო დღეობა თვითთულ თემში წლის განმავლობაში რამდენიმე იყო (მა თვიურ-ული დღეობის სახელწოდების მიხედვით მოიხსენებოდა ლასკარ-ის მასპინძელიც. მაგალითად, თუ თემში სალასკარო დღეობა ახალწელიწადი (წომბა) იყო, მის მასპინძელს მეზომბა-ი ეწო-დებოდა, შობის (ქრისდემ-ის) მასპინძელს მოქრისდემ-ს ეძახდნენ, ახალკვირისას (ჟულიშინი-ის, ანუ წომბა თანაფ-ისას) მეუფწლიშ-ს ანუ მოთნაფ-ს და სხვა. თუმცა ხალხში ლასკარ-ის შეკრება შობ-ს საღამოს იწყებოდა, სალასკარო დღეობა აქ ქრისდემ-ი იყო და არა შობ-ი. ამიტომ შობ-ს დღეობის მასპინძელს რამდენიმეჯერ ლასკარ-ი გროვდებოდა, მოქრისდემ-ი ეწო-დებოდა. ხალხში ორი ლასკარ-ი იყო ქვემო (ჩუბბრი) და ზემო (კობრი) ლასკარ-ი. რცხა ლასკარ-ი აერთიანებდა მხოლოდ მოგვარეებს; ან სხვადასხვა გვარის ოჯახებს, მაშინ ლასკარ-ს შიგნით დამოუკიდებელი დასაწყებანი იყო მიჩნეული. მაგალითად, ხალხს ჩუბბრი ლასკარ-ში გაერ-თიანებული ოჯახები მისახლე ჩუბბრები: მოუხვდიად იმისა, რომ ყველა ეს ოჯახი ერთ ლასკარ-ს შეედგინდა, —ამ ლასკარ-ის გასკვიანებს და ჩუბბრებს შეეძლო ერთმანეთს დამოუკ-რებოდნენ.

ლოცვის გათავების შემდეგ ივანეშვიძენ. ვახუშტიე სიმღერები და ცეკვა იმართებოდა. პირველად იტყოდნენ ჯგერაგის სიმღერას, რომელიც შემდეგ სიტყვებს შეიცავდა:

„დიდებ ჯგერაგს ი-ჰო-ი-ჰა,
ამარს ისგუა ისგუი ყერ ნომა
წითუფე; სი ლოგუემდ, დიდებ
აჯვანდ ჯგერაგს.

დიდება ჯგერაგ-ს ი-ჰო-ი-ჰა,
შენს ამარას შენი წყალობა არ
დაგვიკარგო; შენ გვიშველე,
დიდება მოგსვლოდეს ჯგერაგს.

ყველა დღეობაში პირველად „ჯგერაგის“ სიმღერა ითქმოდა, შემდეგ მია-
ყოლებდნენ „ლილეს“-ს:

„დიდებ, დიდებ თარგლეზერაღს,
ძლუიდი ჯაცხები ოქტრემი,
ოქტრემუ სამკალინ გოშია,
ლაღგენა ისგუი განარე...
ლაღგენა ისგუი გიცრაღე,
მუჭუბარ ჯაგვდახ ოქტრემი,
ისგუი ნაბირ ლუიღლე
ლაღგენა ისგუი კანარე
სუიფილ მეტყოფი ჯეროღეხ,
ნაბირლუიღლე ისგუა კანარემ;
ლაღგენა ისგუა გიცრაღემ
სუიფილ მეტყოფი ჯეროღეხ,
ისგუე ნაბურღლე
შდულუღას ჯაცხები შაურღე
ხუნუღას ჯიყურღა ლაჩუარე“

დიდება, დიდება თარგლეზერებს,
გალავანი გარტყია ოქროსი,
ოქროს სამკაულით საგსეა,
შესაწირავი შენი ხარები...
შესაწირავი შენი ვერძები,
რქები გესვათ ოქროსი,
შენი შესაწირავი
შენი ხარების ნაბურღავები
მოედანი გადაფხეკილი გქონდათ,
ნაბურღავები შენი ხარების;
შესაწირავი შენი ვერძების
მოედანი გადაფხეკილი ჰქონდათ,
თქვენი ნაბურღავები
(კოშკის) სათოფურები გარშემოვლებული
შავარღნებითა საძირკველში გეწვა ირმები“.

ამათ სხვა სიმღერები მოჰყვებოდა და ასე ატარებდნენ დროს თითქმის
შუალამემდე სმა-ჰამა-ქეიფში.

შობ-ს საღამოს ყოველ ოჯახში დაფქვავდნენ ხელის საფქვავზე ხორბალს.
შემდეგ მისგან თესლ-ს მოხარშავდნენ, მას ან ნივგზით და ან კანაფის ზეთით
(გიმბაში ზეთ) შეაზავებდნენ და შესკამდნენ. ამ წესჩვეულების შესასრულებლად
მოქრისღემ-თან შეკრებილი ოჯახების მერბიელ-ებიც სახლში ადრიანად დაბ-
რუნდებოდნენ ხოლმე.

1935 წლის აგვისტოს 27. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასვიანი:

ბ. დავბერში

სოფელ დავბერში შობ-ს ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც სხვა
თემებში ბალს ზემოთ, სადაც შობ-ი საოჯახო დღეობად იყო მიჩნეული. ამი-
ტომ ბუო, რომ შობ საღამოს ლასკარ-ებად შეკრება აქ არ იტოდნენ. ყოველი

1 „ლილეს“ ტექსტი ნაკლულია, მთხრობელს არ ახსოვს მისი სრულად შინაარსი.

ოჯახი თავთავისათვის მოღერლავდა ხორბლის-მარცვალს ხელის საფქვევზე და მისგან მოხარშავდა ფაფას (თესლ-ს). ქორწ-მახუში ამ ფაფას ქრისდნე ლამწრია-ს შესწირავდა და შემდეგ შეწირულ ფაფას ვახშმად შეექცეოდნენ.

ნავახშმევს ძროხების მწველელი ქალი, რომელსაც სვანურად მგშგწლი ეწოდება, გამოიღებდა ახლადამოყვანილ უმარილო ყველს, მიიტანდა ისგნატფ-ის¹ საფურესთან, ძროხების პირდაპირ გაჩერდებოდა და ხმამალლა ლოცულობდა ლამწრია-ს. სახელზე, რომელსაც ის წველის ბარაქას და ძროხების გამრავლებას შესთხოვდა. ამ დროს მლოცველის მახლობლად დადგმული იყო პატარა სვანური სკამი, რომელთანაც ჩაცუტქდებოდა ბავშვი. როდესაც მგშგწლი ლოცვას გაათავებდა, ძირს დაიღუნებოდა, ყველიან ხელს სკამის ქვეშ გააძვრენდა და თან დაიწრიპინებდა ისე, თითქოს კატას ეძახისო. სკამის მეორე მხარეს ჩაცუტქული ბავშვი მას მიაშთი უპასუხებდა, გამოწვდილ ჭყინტ ყველს გამოართმევდა და იქვე შესკამდა. ამით თავდებოდა შობ-ის წესჩვეულება.

1936 წლის აგვისტო. სოფელი დავებრი.

მთხრობელი 85 წლის მარშალ მარგველანი.

ს. ვინაშელ მიახალშენებს შორის დაღში (აფხაზეთში).

შობ-ს იწყებოდა უქმე და გრძელდებოდა ახალწლის გათავებამდე. ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე, ლეწვის გათავების შემდეგ, ლასკარ-ის წევრები მიიტანდნენ თავის მოქრისდნეშ-თან თითო კარტა ფქვილს სადღეობო ღორბს საკვების საფასურში. ამ დროს შეარჩევდა მოქრისდნეშ-ი თავის საკუთარი ქონებიდან საუკეთესო ღორს, ცალკე დააბამდა და დაუწყებდა სუქებას. ამ ღორს ლექრისდნეში ეწოდებოდა, რადგან ის განკუთვნილი იყო სალასკარო დღეობა ქრისდნეში-სათვის, მაგრამ მას შობ-ის წინაღლით დაკლავდნენ ხოლმე. შობ-სა-ლამოს მოქრისდნეშ-ის ოჯახში შეიკრიბებოდა მისი ლასკარ-ი, დააცხობდნენ ლემზირ-ებს, მოხარშავდნენ ხორცს, ილოცავდნენ და ვახშმად დასხდებოდნენ; ვახშამზე დიდი სმა და მოლხენა გაიმართებოდა.

შობ-საღამოს მერბიელი აუცილებლად ყოველ ოჯახში მოხარშავდა თესლ-ს ლამწრია-ს შესწირავდა და ამ შეწირულით ყველა შინაყოფი ეზიარებოდა.

1935 წლის ივლისი. სოფელი აჯარა.

მთხრობელი 40 წლის იულიონ ხარძიანის ძე ხარძიანი, გადასახლებული კალის თემის სოფელ ვინაშიდან.

ბგ) უშგულში

შობ-იდან დაწყებული სამი დღის განმავლობაში უშგულში სალასკარო დღეობა სრულდებოდა: შობ-დღეს მოქრისდნეშ-ის ოჯახში გამოაცხობდნენ უამრავ ლემზირ-ს, მოხარშავდნენ ცერცვის შეკამადს (ლედრა ნაყუნ-ს) და გაშ-

¹ იგივეა, რასაც ბალს ქვემოთ ლეჰნდირ-ი ეწოდება; ისევე როგორც ლეჰნდირში, ისგნატფ-ის შიგნით ერთ მხარეს ხარებს და მეორე მხარეს ძროხებს ათავსებენ.

ლიდნენ სამარხო სუფრას, რომელზედაც სვამდნენ უხვად მომარაგებულ არაყს. ყველაზე მცირე ლასკარ-ს ამ დღეობაში ექვსი სტამანი (5 ჩარეჭი $\times 6 = 30$ ჩარეჭს) არაყი (ჭარაყ-ი) მანც დასჭირდებოდა, ხოლო დიდი ლასკარ-ი ოცამდე სტამან არაყს დახარჯავდა. შობ-ს დილიდან საღამომდე ლასკარ-ი შეკრებილი იყო მოქრისდემ-ის ოჯახში და დროს სმა-ჭამა-ჭეიფში ატარებდა. ნავახშუმეც მასპინძელს მოჰქონდა სუფრაზე ე. წ. ნაჭახშობურა, — ყველიანი კვერი (ქუთი) და ამ დღეს დავლული ლექრისდემ-ის მოხარული ხორცი. ლექრისდემ-ი შემოდგომიდან საგანგებოდ ნასუქი ტახი იყო. მას შემოდგომაზე მოქრისდემ-ი გამოყოფდა საკუთარი ქონებიდან და ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტად გაესუქებინა, რადგან ეს მისთვის სასახელო საქმე იყო.

შობ ღამეს ლასკარ-ი გვიან დაიშლებოდა და ყველა თავთავის სახლში მიდიოდა დასაძინებლად, ხოლო მეორე დილით კვლავ მოქრისდემ-თან იკრებებოდნენ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ებიანი.
მთხრობელი 86 წლის ივანე ხაჭავანი.

ც. ჭანტილოზის დღეობა

ნდ) ლაშხეთში.

ჭანტილოზ-ი უქმე დღე იყო. დილით ხოშა ზურნალ-ი დაცხვილ ხორბლის მარცვალს ჩაადგამდა და ხარზავდა საღამომდე, შემდეგ ხახვით, ნიგეზით და მარილით შეაზაფებდა და ამგვარად მიიღებდა კორკოტს, როშლსაც აქ ჭანტილოზ ეწოდებოდა. საღამოს ვახშმის წინ მამაკაცები, ვასათხოვარა ქალები და ბავშვები გადიოდნენ გარეთ. მარტო დარჩენილი მანდილოსნები, გააჩაღებდნენ ტეცხლს, დიასახლისი გამოაცხობდა ერთ მოზრდილ კვერს, რომელსაც ლამარია შილგენე ეწოდებოდა, დადებდა მას თეფშზე გადაღებულ ჭანტი-ს ნაწილზე, ნაკვერჩხალზე ნატუსუნ-ს ააკმევდა და ხოშა ზურნალ-ი ლოცვას შეუდგებოდა:

ლამარია, ხედა ჭანტილოზ ოგუჯად ლამარია, მრავალი ჭანტილოზა მოგვას
შეიღობდ გუიშგუე ქორისა მერ- წარი მშვიდობით ჩვენ სახლში მყოფს
დას ჩისა. ყველას.

ლოცვის ვათავების შემდეგ შენაწირს გაინაწილებდნენ და შესჯამდნენ ამის შემდეგ მიუბრუნდებოდნენ კერიას და ოჯახის ყოველ სულზე თითო ტანბელ-ს გამოაცხობდნენ. ამ კვერებს შორის ერთი ე. წ. ფუნს ტანბელ-ი განკუთვნილი იყო სახლის ფუროსი მამაკაცისთვის. ამის შემდეგ დაუძახებდნენ გარეთ გასულ ოჯახის წევრებს, გაშლიდნენ სუფრას და ვახშმად დაჯდომის წინ ქვარა მახუჯა ფუნსა ტანბელ-ს და ჭანტი-ს ლმერთს შესწირავდნენ.

1934 წლის ივლისი. სოფელი ვახუნდერი.
მთხრობელი 68 წლის სოსო ლობჯანიძე.

იე) ჩოლურში

ნიგევე, როგორც ლაშქარში, ჭანტილობ-ს ჩოლურშიც უქმობდნენ. დილით ხოშა-ზურალ-ი შეგუდებოდა ჭანტი-ს მოხარშვას და საკმაზით (ხახვით, ნიგვზით და მარილით) შეზავებდას. ვახშმის წინ იგივე ხოშა-ზურალ-ი გამოაცხობდა სამ ცალ ტაბელ-ს, რომლებსაც გულში ნიგოზს ჩაურთავდა. ამ ტაბელ-ს ლამარია შილგგნე ეწოდებოდა. ის წარმოადგენდა ოთხ კუწუბიან და შუაზე ორ ადგილას თითოთ ჩახვრეტილ კვერს. ქალები ამბობდნენ, რომ ლამარია შილგგნე ლამარიას ხელდასმული არისო. ვახშმის წინ ხოშა-ზურალ-ი გადაიღებდა თევზზე ჭანტი-ს ნაწილს, ამავე თევზზე ლამარია შილგგნე-ს მოათავსებდა და გაიტანდა ბელელში. აქ ბელლის კარებთან ის ევედრებოდა ლამარია-ს—ჩემს ოჯახს ბელსა და ბარაქას ნუ მოაქლებო:

„ქრისდე ლამარია, დიდაბ ფაქტდ, ქრისდეს ლამარია, დიდება მოგსვლოდეს, ოგხიდ ბედნ ი შარაქნ“. გაგვახარე ბედითა და ბარაქით.

ლოცვის გათავების შემდეგ ის იქვე შესჭამდა შენაწირს. თუ ვერ მოერეოდა, იქვე შეინახავდა და მეორე-მესამე დღეს ვათავებდა. შემდეგ სახლში დაბრუნდებოდა და ყველანი ერთად ივახშმებდნენ ჭანტი-თ.

1934 წლის ივლისი. სოფელი ლევშიერი.
მთხრობელი 50 წლის ვალო ჯაბას ასული ჩარ კვიციანი.

ივ) ლენჯახში

ჭანტილობ-ი უქმე დღე არ ყოფილა; მამაკაცები ამ დღეს მუშაობდნენ, ხოლო დიასახლისი დილიდან ცეცხლზე დიდ ქვაბს ჩამოჰკიდებდა და ჭანტი-ს ხარშავდა. ჭანტი მოხარშული ხორბლის მარცვალია, კორკოტი. მას იმდენს მოხარშავდნენ, რომ ოჯახს ორ-სამ დღეს ჰყრფნოდა. ვახშმის დროს მოხარშულ ხორბალს ერთ დიდ გობზე დაასხამდნენ და სხვადასხვა საკაზმით—მარილით, ხახვით და ნიგვზით შეზავებდნენ, თუ კი ასეთები ოჯახს მოეპოებოდა (იქ, სადაც ეს საკაზმი არ იშოვება, ამ დღისათვის საგანგებოდ მოიტანდნენ. მას მეზობელი კუთხიდან). ვახშმის დროს სახლის უფროსი მამაკაცი დაიჭერდა ხელში ჭანტით საესე გობს, პირს აღმოსავლეთისაკენ იზამდა და ასე ილოცავდა:

„ქრისდეშია ყერ ი ანგლმხ, ხუაჲ ჭანტილობ ოგუაჲ ნაჲ, მღიშგუა ნათსაჲს ი ქორა მარას; ჩის ცხემაჲშ, ქემაჲშ, ბელმჲ ი ბარაქჲშ, მაგ; ერ შუთილობდ ხუარდედ ფიშირ ზაჲს; ოგხიდ ამსტალდა ნაფშირაჲშ ი ნაშ-ლობაჲშ, კუშში ნაფშირაჲშ;

ქრისდემის წმინდაჲ და ანგელოხო, მრავალი ჭანტილობა მოგვასწარი ჩვენ; ჩემს ნათესავს და სახლის კაცს, ყველას ზრდით, მატებით, ბედით და ბარაქით, ყველა; რომ მშვიდობით ვიყოთ მრავალ წელს, გაგვახარე აღამიანის სიმრავლით და მშვიდობით, საქონლის სიმრავლით;

ოგქაბუნ მუშტრია თვი
 აყბა, ხოჩა ზად მახას ლოგვენ,
 ოგლჳი ი ოგქაბუნ ხოლა
 მეყუბაიელ ლეგლირდე, მადილ
 ჯერი, მადილშუ გოში; ჭანტილობა
 ყერი ანგლოზ, სი ოგქაა
 ლუფხუ შუტიდობდ, ამსუალდა
 მაშედ ლერბეთ, სი ლეხეშდ
 ისგუა მეგვრალს ი მადილ
 ჯერი, ოგხიდ მახე ზადა
 მახედნ ი მადილ ჯერი, ლოგო
 ისგუა ლადდებია ტაროს ი
 მადილ ჯერი, ლოგო სოა ჩი
 გუეშისა, კუმში ნაფუშირან ოგხიდ“.

აგვაცილი მავნე თვალი და
 ყბა, კარგ ზხალწელს მიგვაყენე,
 დაგვიცავი და აგვაშორე ცუდი
 მოარული ავადმყოფობა, მადლი
 გექნება, მადლით სასვე; ჭანტილობის
 წმინდაო და ანგელოზო, შენ მოგვას-
 წარი გაზაფხული მშვიდობით, ადამიანის
 შემწე ღმერთო, შენ უშველე
 შენს მავედრებელს და მადლი
 გექნება, გაგვახარე ახალი წლის
 მოსავლით და მადლი გექნება, მოგვეცი
 შენი სადიდებელი ტაროსი და
 მადლი გექნება, მოგვეცი სვე ყოველ
 საქმეში, საქონლის სიმრავლით გაგვა-
 ხარე.

ლოცვის გათავების შემდეგ გობს მაგიდაზე დადგამდნენ¹ თუ ჭკონდათ
 არაყს მოიტანდნენ და ივანშმებდნენ. რაც გადარჩებოდათ ჭანტი-დან, შეინა-
 ხავდნენ და მეორე-მესამე დღეს ყოველგვარი ლოცვის გარეშე შესჳამდნენ. ზოგ
 ოჯახში ამ ჭანტი-ს ჰურიით შეექცეოდნენ და ზოგან უპუროდ. ტაბულ-ების გამო-
 ცხობა ამ ღამეს არ იცოდნენ და მართო ჭანტი-ს სწირავდნენ¹.

1934 წლის დეკემბრის 25.

არსენ ზურაბის ძე ო ნ ი ა ნ ჯ.

¹ ა. ზ. თნიანის მიერ აღწერილ ჭანტილობ-ს ჩვენმა მთხრობელმა დამატებით დასძინა:
 ჭანტი-ს მშობიარე ქალს უკეთებდნენ ხოლმე. ამიტომ იყო, რომ 24 დეკემბერს საღამოს, როცა
 თითქო ლამარია-მ ქრისდე შობა; სვანები მის სახელზე ჭანტი-ს მოხარშავდნენ. ერთ ჯამ ჭანტი-ს და
 ერთ ლემზირ-ს უფროსი ქალი გაიტანდა ბელელში და იქ შეავედრებდა მათ ლამარია-ს, ეს
 ლემზირ-ი ვახშმის წინ სრულდებოდა.

1935 წლის აგვისტო. ლენტეხი, სოფელი ზემო ლექსურა.
 მთხრობელი 69 წლის ელისაბედ ღ ი პ ა რ ტ ე ლ ი ა ნ ი

6. ქრისდემს (25 დეკემბერს)

A. ბ ა ლ ს ჭ ვ ე მ ო თ

ა) ლახამულაში

ქრისდემს-ი დიდი უქმე იყო. ლახამულელს თუ ამ დღისათვის წინასწარ მომარაგებული ხორცი არ ჰქონდა, მაშინ ის ქრისდემს დილით ღორს დაჰკლავდა. ამ დღეს სუფრაზე აუცილებლად მოხარშული ხორცი უნდა ჰქონოდათ, რადგან ქრისდემს-ს მიცვალბულთა სულები იხსნილებდნენ და მათთვის სახსნილო ლიფანე უნდა მოეწყოთ. სულების ლიფანე-ს სადილობის დროს გაშლიდნენ. ტაბაგ-ზე დააწყობდნენ მოხარშულ ხორცს, ყველიანს, ხორციან ლემზირებს და დაანთებდნენ სამ ცალ სანთელს. სახლის უფროსი მივიდოდა სუფრასთან და მიცვალბულთა სულებს შენდობას ეტყოდა. ამ დროს რამდენიმე წუთის განმავლობაში ოჯახში სრული სიჩუმე სუფევდა, შემდეგ სუფრას აშლიდნენ და ხელმეორედ გააწყობდნენ, ან ტაბაგ-ს ადგილს გადაუნაცვლებდნენ და ოჯახის წევრები ისადალებდნენ.

ქრისდემს საღამოსაც სახსნილო სუფრას გაშლიდნენ. დიხსალი, როგორც სადილისათვის, ისე ვახშმისათვის მრავალ პატარ-პატარა ლემზირ-ს გამოაცხობდა ლამპარიშ ტაბლანშ-ისაგან. ლამპარიშ ტაბლანშ-ი და ამ დღის ლემზირ-ები ყველა უწონაშ-ი იყო, — უცხო პირებს მათ არც აჩვენებდნენ და არც აჭმევდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ქვემო-ლახამულა.

მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ სოუხის ძე ჭკადუა.

ბ) ჩუბეხევში

ქრისდემს. დიხსალი წამოდგებოდა ლოგინიდან გათენებამდე, ისე, რომ ფრინველსაც კი ვერ აესწრო, კარ-სარკმელ დახურულ სვირ-ში სასწრაფოდ ცეცხლს გააჩალებდა და ლამპარიშ ტაბლანშ-ისაგან გამოაცხობდა წვრილ-წვრილ ყველიან ლემზირ-ებს, რომლებსაც კუანჭილარ-ი ეწოდებოდა. მათ ქორა მახტ-შ-ი დაიქერდა ხელში, მივიდოდა სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა-

სარკმელთან (რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ გაღებული არ იყო) და მის წინ ასე ილოცავდა:

„ა-ა, დიდებუ აჯგედა, მწლდოუ აჯგედა, ქრისტე ქალქიშს დიდებუ აჯგედა! ქრისტე ქალქიშ მწლდინ, ამ ლზზგაისგაშ მერდე მარე ი ქტინღმგენე თერრე ნანგრჳან ანხიდ“.

ა-ა, დიდება მოგვლოდეს, მადლი მოგვლოდეს, ქრისტე ქალაქისას დიდება მოგვლოდეს ქრისტე ქალაქისაო მადლიანო, ამ სახლში მყოფი ადამიანი და საქონელი-თვალეზის სინათლით გაგვახარე.

ლოცვის შემდეგ კტანჭილ-ებს ყველას ჩამოუთრიგებდა, მათ იგი სასწრაფოდ უნდა შეეჳამათ, რადგან კტანჭილ-ები უწონაშ-ი იყო. ერთ კტანჭილ-ს მოიტოვებდა ოჯახის ვაჟიშვილი, გაიტანდა მას გარეთ, ისროდა სხვის ყანაში და თან მიაძახებდა:

„ანკ-კტანკ მწლდინ, ნაპრარ ჳეტიშ დაბართე“.

ანკი-კვანკი მადლიანო, ფრინველები ხვეის ყანებისკენ.

ქრისტეშ-ის წესჩვეულება ამით თავდებოდა. ჩუბეხევიში სხვა არა იცოდნენ რა, გარდა იმისა, რომ ეს დღე დიდი უქმე იყო.

1936 წლის აგვისტო. სოფელი თაერარი.

მთხრობელი 54 წლის მაპარბე ცინდელიანი.

გ) ფარში

ქრისტეშ*. ფარელსა სწამდა, რომ ბარბოლ-ს მზე მამლის სამ ნახტომს, ხოლო ქრისტეშ-ს ვერძის (გიცრის) სამ ნახტომს აკეთებდა.

ამ დღეს დილით ძალიან ადრე, ვიდრე ფრინველი გაიღვიძებდა, სახლის უფროსები წამოიშლებოდნენ, კერიაში ცეცხლს გააჩალებდნენ და ღისსალ-ი ლამარინ ტაბლზშ-ისაგან სულზე თითო ყველიან კვერს კტანჭილ-ს გამოაცხობდა. ეს კტანჭილ-ები უწონაშ-ი იყო და ამიტომ მათი გამოცხობისა და ლიმზურ-ის დროს სვირ-ის კარ-სარკმლები დახურული უნდა ყოფილიყო. ქორზ მახტშ-ი დაიჭერდა ხელში კტანჭილარ-ს და ევედრებოდა ქრისტე-ს:

„დიდებუ აჯგედა. ქრისტე შობაშს! ქრისტე შობაშს, ისგუ ლიმზურ დიდებ ლუჯჳარ ნწყრ, მწლდინ, ფიშირ ქრისტე ხოჩა გუჟი ნწყრ, ჩიგარ შტიდებდ

დიდება მოგვლოდეს ქრისტე შობისას! ქრისტე შობისაო. შენი ლოცვა-დიდება დაჯვარული გვიქენ, მადლიანო, მრავალი ქრისტეში კარგ გულზე მოგვასწარი, მუდამ მშვი-

* ამბობდნენ აგრეთვე: ქრისტეშობაშ.

ენურდუინ ნბ ი ნიშეე ნათი,
 ტეთხმალ ჩუანფიშირ, ჯაბიციდ,
 შაღდიან ქრისდე“

ღობით გეამყოფე ჩვენ და ჩვენი ნათე-
 სავი, ოთხფეხი გავვიზრავლე, გენუკვით,
 მაღლიანო ქრისდე.

ლოცვის გათავებისთანავე კუანჭილებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ და, უწონაშ-ის დარღვევის შიშით, ამ კვერებს მაშინვე გათავებდნენ.

სადილობის ხანს დაკლავდნენ ღორს, ცხვარს ან თხას, კვლავ ლემზირ-ებს გამოაცხობდნენ და სადილის წინ ლიფანე-ს გამართავდნენ. საღამოსაც ჯერ მი-
 ცვალეზულთა სულებს დაუჭურთხებდნენ მოხარულ ხორცს, ლემზირ-ებს და სხვა საჭმელსა და სასმელს და შემდგომ თვით ივასშებდნენ.

ქრისდეშ-ს მისვლა-მოსვლა და სტუმრიანობა მიღებული არ იყო.

1936 წლის ივლისი. სოფელი ფარი. მთხრობელი
 86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვი ბ ლ ი ა ნ ი.

დ) ეცერში

ამ დღეს დილით გათენებამდე დიხსალ-ი ლამარიან ტაბლან-ისაგან გა-
 შოაცხობდა წვრილ-წვრილ ყველიან კვერებს, რომლებსაც კუანჭილარ-ი ეწო-
 დებოდა. სახლის უფროსი დაიჭერდა მათ ხელში და ილოცებდა სგირ-ის აღმო-
 სავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან; ამის შემდეგ შელოცვილ ლემზირ-ებს
 ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდა და თავის წილს ყველანი მაშინვე შესჭამდნენ.
 ლიმზურ-ი და კუანჭილარ-ებით ზიარებას დასურულ კარ-სარკმელში ასრულებდ-
 ნენ. ლოცვის შემდეგ ოჯახში ჰკლავდნენ შემოდგომიდან ნასუქ ტახს ე. წ.
 ლექრისდეშ-ს. ზოგი ოჯახი ტახის გარდა ხარს, მამალს ან სხვა საკლავსაც დაკ-
 ლავდა ხოლმე. სადილად დააცხობდნენ კუახ ლემზირ-ებს, ყველიანებს (ქუ-
 თუბარ-ს),* მოხარავდნენ ხორცს და გაშლიდნენ სუფრას მიცვალეზულთა სულე-
 ზის სახელზე (ლიფანე). ცოტა ხნის შემდეგ სუფრას ადგილს შეუცვლიდნენ,
 საჭმელ-სასმელსაც გადასდგამ-გადმოსდგამდნენ ტაბაგ-ზე და თვით ისადილებ-
 დნენ. კუანჭილარ-ი, ლამარიან ტაბლან-ისაგან დამცხვარი ამ დღის ლემზირ-
 ები და ლექრისდე უწონაშ-ი იყო,—მათი შეჭმა მხოლოდ ოჯახის წევრებს
 შეეძლოთ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ისკარი.
 მთხრობელი 61 წლის დემეტ გ ე რ ლ ი ა ნ ი.

ე) ცხუმარში

ქრისდეშ-ს დილით გათენებამდე დიხსალ-ი დააცხობდა ლამარიან ტა-
 ბლან-ისაგან წვრილ-წვრილ ყველიან ლემზირ-ებს ოჯახის სულზე თითოს და
 ამის გარდა სამ ცალ მოზრდილ ხაჭაპურს. წვრილ ლემზირ-ებს კუანჭილარ-ი
 ეწოდებოდა, ხოლო რამდენადაც სამი მოზრდილი ხაჭაპური განკუთვნილი იყო
 მწყემსის, საქონლის ზამთრობით მკვებავისა და ძროხების მწველელისათვის,

იმდენად ერთ მათგანს ანდატიშ ლემზირ-ს, მეორეს მენნიშ ლემზირ-ს და მესამეს მუშგვლიშ ლემზირ-ს ეძახდნენ. როდესაც ყველა ლემზირ-ი გამოცხვებოდა, მათ ასე დაანაწილებდნენ: კუანტილ-ებს დაიჭერდა ხელში ქორს მახტუში და დანარჩენ სამ მოზრდილ ლემზირ-ს დაითითობდნენ ანდატი-ი, მენნი და მუშგალ-ი. ქორს მახტუში მივიდოდა სგირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან (რომელიც ამ დროს დახურული იყო), მენნი ხარების ბაგის წინ გაჩერდებოდა, ანდატი-ი ლაშდარ-თან და მუშგვლი ძროხების ბაგასთან (ლალდიარ-თან). თვითეული მათგანი სწირავდა ბარბოლ-ს თავის წილ ლემზირ-ს და ევედრებოდა მას: ქორს მახტუში—წვრილფეხა საქონლის გამრავლებას, მენნი—მსხვილფეხა საქონლის გამრავლებას მუშგვლი—მეწველი საქონლის ბარაქას და ანდატი-ი ყველა საქონლისათვის ლოცულობდა: უნებლად გვიმოფე და გაგვიმრავლეო. ლოცვის შემდეგ სამი უკანასკნელი პირი თავ-თავის ლემზირ-ებს ლოცვის ადგილზევე შესჯამდნენ ისე, რომ ამ დროს მათ არც ხმა უნდა ამოეღოთ და არც უკან მიეხედათ. ხოლო ქორს მახტუში-ი წვრილ ლემზირ-ებს ყველა შინამყოფთ სათითაოდ ჩამოუტრებდა და მათაც ხმაამოუღებლივ უნდა გაეთავებინათ ნალოცი.

შუადღისათვის ის ოჯახები, რომლებსაც საზამთროდ არ ჰქონდათ მომარაგებული ხორცი,—გოქს, ტახს ან სხვა წვრილფეხა საქონელს დაკლავდნენ და დიხსალ-ი ხაჭაპურებს დააცხობდა ბლომად. სადილის წინ სუფრაზე დააწყობდნენ მოხარულ ხორცს, ხაჭაპურებს და სხვა სანოვავებს მიცვალებულთა სულების მოსახსენებლად. ამ სუფრას ცოტა ხნის შემდეგ ადგილს შეუტკვიდნენ საქმელ-სასმელსაც გადასდგამ-გადმოსდგამდნენ სუფრაზე და თვით ისადილებდნენ. სადილად იმდენ ქუთუბარ-ს დააცხობდნენ, რომ ის მოსახლეს ვახშადაც ჰყოფნიდა. ამიტომ საღამოს პურების გამოცხობა აღარ იცოდნენ. ამ დღეს ყველა ლემზირ-ი უწონაშ-ი იყო.

1936 წლის აგვისტო. სოფელი სუფი.

მთხრობელი 63 წლის დიმიტრი ჯაჭვლიანი.

3) ბეჩოში

ქრისდეშ-ს ბეჩოში ისეთივე წესჩვეულებები სრულდებოდა, როგორც ცხუმარსა და ეცერში. დილით გათენებადღე დიხსალ-ი ლამარია ტაბლშ-ისაგან წვრილ-წვრილ ყველიან კვერებს (კუანტილარ-ს) გამოაცხობდა და მათ ხოშა მარე ქრისდე ქალქიშ-ს შეავედრებდა—ჩემი მოდგმა გაამართლე, ოჯახი კეთილად მიმოფე და ბარაქას ნუ მოგვაკლებო. ლოცვის შემდეგ კუანტილარ-ს შინამყოფთ ჩამოუტრებდნენ და ისინი ამ შეწირულ კვერებს მაშინვე შესჯამდნენ, რადგან კუანტილ-ები უწონაშ-ი იყო და მათი დიხსანს გაჩერება არ შეიძლებოდა.

სადილის წინ გოქს დაჰკლავდნენ, მის ხორცს მოხარშავდნენ და უამრავ ყველიან ლემზირ-ს დააცხობდნენ, რის შემდგომ მიცვალებულთა სულების სახელზე ლიფან-ს ვაშლიდნენ. სუფრაზე სულებს შეუნდობდნენ, ცოტას დააცილდნენ, შემდეგ სუფრას სხვა ადგილზე დასდგამდნენ, სუფრაზე გაწყობილ სანოვავებს ადგილს გადაუნაცვლებდნენ და ისადილებდნენ.

ვახშმად პურებს აღარ აცხობდნენ, რადგან სადილიდან ბევრი ხაჭაპური დარჩებოდა ხოლმე.

1936 წლის აგვისტოს 10. სოფელი უშხევანარი.
მთხრობელი 90 წლის ახარეთ და 54 წლის ამიხ
კვიციანიები.

ბ. ბ ა ლ ს ზ ე მ ო ტ

ზ) ლატალში

ქრისდემ-ი უქმე იყო. დილით გათენებამდე მერბიელ-ი ოჯახის ყოველ სულზე დააცხობდა თითო ცალ პატარა ზომის კვერებს, რომლებსაც ანჭი-კუანჭი ეწოდებოდა. ეს ლემზირ-ები უწუნა იყო—მათ უცხოს არავის დაანახებდნენ და არ შეაჭმევდნენ. როდესაც ანჭი-კუანჭ-ები გამოცხვებოდა, სახლის უფროსი მიიტანდა მათ მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და შესწირავდა ჯუპარ ქრისდემ-ს და თან შეევედრებოდა — შენ წყალობას ნუ მოაკლებ ჩემს ოჯახსაო. ლოცვის გათავების შემდეგ შეწირულ კვერებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ. ანჭი-კუანჭი-ს ლიმზურ-ი და ანჭი-კუანჭი-თ ზიარება სასწრაფოდ ხდებოდა, რადგან სვანებს ეშინოდათ, რომ ამ წესჩვეულების დაფარულად შესრულება არ დაირღვესო, უცხო პირთაგანმა არ შეგვასწროს ჟვალი და ამით ოჯახმა უნებური ცოდვა არ ჩაიდინოსო.

შუადღისათვის ყოველ მოსახლეს მიჰქონდა ეკლესიაში სამი ცალი ლემზირ-ი და ზედწ-ი, რომლებსაც ლაგწაში მწრე-ს დაალოცვინებდა ჯუპარ ქრისდემ-ის სახელზე და მას გასამარჯელოდ ერთ ნაკურთხ ლემზირ-ს დაუტოვებდა. ზედწ-ს იქვე ეკლესიაში შესჭამდნენ, ხოლო მორჩენილ ლემზირ-ებს სახლში დააბრუნებდნენ და მით ოჯახის წევრებს აზიარებდნენ. თუ ეკლესიის კარზე ლატალელს მოყვარე, ნათესავი ან ახლო მეგობარი შეხედებოდა,—სახლში მიიბატიყებდა და გაუმასპინძლდებოდა. ამ დღეს ყოველ ოჯახში სახსნილო სუფრა გაიშლებოდა ხოლმე.

1935 წლის აგვისტო. სოფელი მაცხვარიში.
მთხრობელი 57 წლის გიორგი გირგვლიანი

ბ) ლენჯერში

ქრისდემ-ი უქმე იყო. დილით გათენებამდე მერბიელ-ი გამოაცხობდა სულზე თითო ლემზირ-ს, რომელსაც ანჭი-კუანჭი ეწოდებოდა. მათი დანახვა ოჯახის გარეშე პირს არ შეეძლო. დახურულ კარ-სარკმელში ღწუნწუნ-თან (დარბაზიდან თივის ჩამოსაყრელ ადგილთან) სახლის უფროსი შეავედრებდა ქრისდემ ჯუპარ-ს ამ ანჭი-კუანჭი ლემზირ-ებს—ოჯახი მშვიდობიანად მიმყოფე და მრავალ ღწნ-ს (ღღესასწაულს) შეგვასწარიო. შემდეგ ანჭი-კუანჭი-ს შინ-მყოფს ყველას ჩამოურიგებდა. ეს ლემზირ-ები მაშინვე უნდა შეეჭამათ.

ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ დღეობათა კალენდარი

ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღეს წვრილფეხა საქონელს დაჰკლავდა, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს მიიწვევდა, ლიფანე-ს გაშლიდა და შემდეგ სტუმრებს სადილით გაუმასპინძლებოდა.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის გიგო შუკვანი.

თ) მესტიაში

ქრისდემს. ოჯახი წამოიშლებოდა დილით გათენებამდე. ლოგინში რჩებოდნენ მხოლოდ მონადირე და ჩიტების დაჭერის მოყვარული ბიჭი, თუ კი ასეთები მოიპოვებოდნენ ოჯახში. კუანჭილარ-ის წესჩვეულება კარ-სარკმლის გაუღებლად უნდა შესრულებულიყო. მერბიელ-ი ოჯახის ყოველ სულზე გამოაცხობდა თითო ლუკუნე-ს, რომელსაც კუანჭილ-ი ეწოდებოდა. გამომცხვარ კუანჭილ-ებს დაიჭერდა ხელში მერბიელ-ი ან სახლის უფროსი მამაკაცი და ლოცვას წარმოსთქვამდა.

„ო-ო, დიდებ აჯგვად, აფსსტს
დიდებუ აჯგვდა! სი ხი
სტეტი მუჭდი, სი ჯუმზერიდ
კუანჭილარს, სი ლახო
ნიშგტედ მუმპერის ხოჩა
სტეუ, აფსსტ, დიდებუ აჯგვდა“.

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, აფსსტს
დიდება მოგსვლოდეს! შენ ხარ
სვის მომცემი, შენ გწირავთ
კვანჭილებს, შენ მიეცი
ჩვენს ფრინველთა მონადირეს კარგი
სვე, აფსსტო, დიდება მოგსვლოდეს.

ამ ლოცვის გათავების შემდეგ კუანჭილ-ებს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ, ხოლო მწოლიარე მონადირეს და ჩიტების დამჭერ ბიჭს ლოგინშივე დააბანინებდნენ ხელ-პირს და კუანჭილ-ებს ისე შეაქმევდნენ. კუანჭილარ-ი და ამ კვერებით შესრულებული ლიმზურ-ი უწუნენ იყო, — ოჯახისათვის უცხო პირებს მათ არ შეახედებდნენ.

ცოტა მოგვიანებით, როცა უფრო გათენდებოდა, მაჩუბ-ში კერიის წინ ამ დღისათვის საგანგებოდ გასუქებულ ღორს, ლექრისდემს-ს, დაჰკლავდნენ, მის ზორცს მოხარშავდნენ და სადილ-ვახშმად შეექცეოდნენ. ნასადილევს იმართებოდა მეზობლების ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ერთუროთის გამასპინძლება.

1936 წლის ივლისის 12. სოფელი სეტი.
მთხრობელი 60 წ. ტარასი თაისავის ძე ნაკანი.

ი) მულახში

ა. კოლაში

ქრისდემს-ს უქმე იყო. ამ დღეს დილით ყოველ ოჯახში გამოაცხობდნენ ე. წ. ანჭი-კუანჭი-ს—პატარა კვერებს. ანჭი-კუანჭი სამი, ექვსი, ცხრა ან თორმეტი ცალი უნდა გამოეცხოთ. ოჯახის მამაკაცები გაიტანდნენ მათ კალოზე,

მონადირის სახელზე შესწირავდნენ და პნქი-კტპნქი ნაპრალემ-ს ახსენებდნენ. ლოცვის დროს ისინი მიმართავდნენ სოლომ-ს, რომელიც სვანს ფრინველების მოკვლის ნებას აძლევდა, და ნადირთ ღვთაება აფსანსთ-ს:

„დიდებუ აჯგედა სოლომს, ხოჩა სუტეტ დიდება მოგსვლოდეს სოლომს, კარგი ლოხტერინ ნიშგტედ ქორაშ მუმპტელის, სვე მიეცი ჩვენი სახლის ფრინველთ მონა- ჩიგარ ათხიად ნიშგტედ ქორაშ დირეს, მუდამ გაახარე ჩვენი სახლის ფრინველთ მონადირე და კაცი.“

ლოცვის გათავების შემდეგ პნქი-კტპნქი-ს დაინაწილებდნენ და შესკამდნენ. ქრისდემ-ისათვის განკუთვნილ ღორს მულახლები ორი-სამი წლის განმავლობაში ასუქებდნენ. ჩვეულებრივ მას შემოდგომაზე ამოირჩევდნენ ხოლმე და, როცა ყანებში საქმელი დაეღვეოდათ, შინ დაამწყვედევდნენ და საგანგებოდ კვებავდნენ. ისევე, როგორც მესტიაში, მულახშიც პნქი-კტპნქი-ს შეწირვის შემდეგ, მზე რომ ამოვიდოდა, ლექრისდემ-ს დაჰკლავდნენ და მის ხორცს სადილ-ვახშმად შეექცეოდნენ.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი ქოლაში.
მთხრობელი 74 წლის ემზა გუჯეჯიანი.

ბ. მურშკელში

ქ რ ი ს დ ე შ . იმ სოფლებში, სადაც მთავარი სამლოცველო ეკლესია მაცხოვრის სახელობისა იყო, მთელი სოფელი ერთად იხდიდა შობის დღეობას,¹ აღდგომას და ამალღებას. ის მოსახლე, რომელსაც რიგით სადღეობო ხარჯის გადახდა უწევდა (მოქრისდემ-ი), წინასწარ ასუქებდა ღორს, ვაცს ან ხარს. და ბლომად ამზადებდა არაყს. შობა დღეს ყველანი თავს იყრიდნენ მასპინძლის (მოქრისდემ-ის) ოჯახში. საერთო სუფრაზე დასხდომის წინ ისინი მაცხოვარს შესწირავდნენ პურს, ხორცსა და არაყს. შეწირვის დროს შემდეგ ლოცვა-ვედრებას წარმოსთქვამდნენ ხოლმე:

„დიდებ აჯგედ ნიშგტედ ფუსლ მაცხტარს, დიდებ! მაცხტარ, სი ლანემდ, ისგტა ყერშტ ი ჯამშოშტ. ნომა ანკტაღტნა ისგუ ეჯრ ი

დიდება მოგივიდა ჩვენ უფალ მაცხოვარს, დიდება! მაცხოვარო, შენ შეგვეწიე შენი მადლითა და ძალით; ნუ მოგვაკლებ შენ წყალობას და

1. ენიმკი-ს მეცნიერი თანამშრომელი მერი გუჯეჯიანი შენიშნავს: სასოფლოდ ამ დღეობას იხდიდნენ მულახის იმ სოფლებში, სადაც ქრისდემ-ს სახელობის ეკლესია არის და არა მაცხოვრისა. ამიტომ იყო, რომ ქრისდემ-ს სახელობის ეკლესიის მქონე სოფელ ლახირში და ცალდაშში დღეობა ქრისდემ-ს სასოფლოდ იხდიდნენ. ხოლო მაცხტარ-ის სახელობის ეკლესიები მრავალ სოფელშია, მაგალითად, ქოლაში, ჟაბეში, მუქალში, მაგრამ აღნიშნული დღეობა ამ სოფლებში ისე სრულდებოდა, როგორც ემზა გუჯეჯიანს აქვს გადმოცემული.

წყალობ, ნაშლობან ი ნათშირან
ათინად ნიშგუეჲ სოფელ, ნომა
ანშლხე ისგუ ნამზრუნ; ისგუ
ლიმზრ დო ათჳრშდღნად, ერქად
ისგუ ჟერ ი წყალობ ნომა
ანკჳაღტნა, ათმზირ ალ ქორ,
ისგუა ნამზრუნი მოშდამდ“.

შეწევას, მშვიდობიანობით და გამრავლებით გაახარე ჩენი სოფელი, ნუ გამოგვიღვე შენ შესაწირავს; სანამ შენი ვედრება და მსხვერპლის შეწირვა არ დაევიწყოთ, მანამ შენს შეწევას და წყალობას ნუ მოგვაკლებ, დალოცე ეს სახლი შენი შესაწირავის მომსახურეობისათვის.

ამის შემდეგ ხორცს; პურს და არაყს მღვდელს აკუროთხებიანებდნენ მთელი სოფლის (უკეთ, დღეობაში მონაწილეთა) მიცვალებულების სახელზე. ქრისტეშ დღეს შუალამედე სმა-ქამასა და მხიარულებაში ატარებდნენ.

1934 წელი. სოფელი: მურშკელი.
დარისპან გიორგის ძე მარგიანი.

ია) იფარში

ქ რ ი ს დ ე შ - ს უქმე იყო. დილით გათენებამდე ყოველ ოჯახში ასრულებდნენ საიდუმლო ლიმზირ-ებს. მერბიელ-ი ოჯახის ყოველ სულზე გამოაცხობდა ჩვეულებრივი ფქვილისაგან თითო ცალ პატარა ზომის ლემზირ-ს. ამ ლემზირებს კჳანჭილარ-ი ეწოდებოდა. ისინი უწუნა-დ იყო მიჩნეული, — მათი დანახვა ოჯახისათვის გარეშე პირებს არ შეეძლოთ. რადგან სვანის რწმენით კჳანჭილ-ების დანახვით ეს პირები ოჯახის წევრებს და საქონელს გათვალავდნენ. სახლის უფროსი მამაკაცი დაიქერდა ხელში გამომცხვარ კჳანჭილარ-ს და შეევედრებოდა ქრისტე-ლამზირა-ს:

დიდაბუ აჯურშტენან ქრისტე-ლამზირა, შობ-ქრისტეში ნაძღდა, დიდაბუ აჯგედა! კუმშიშ ი მარში ნესგა ლანემდ კუმშს ი მარა, ჯეგვრალდ ისგუა ჟერს ი წყალობს, იმგდროდღეს ი ლანმზირ, დორა ერნოშუ ნომა ანტურდ“.

დიდებამც მოგხსენებოდეს ქრისტე-ლამარია, შობ-ქრისტეშ-ის სილიადე, დიდებამც მოგსვლოდეს! საქონელსა და ადამიან შორის [ჩენ და ჩენს] საქონელს და ადამიანს შეგვეწიე, გვედრებით შენს წყალობას და შეწევას, იკადრე და შეიწირე [ჩენი შესაწირავი], თუ არა [არ იკადრებ და არ შეიწირავ], იმით [შუეფერებელი შესაწირავისათვის?] ნუ გაგვიწყრები.

ამ ლიმზირ-ის შესრულების დროს მაჩუბ-ის კარ-სარკმელი დახურული უნდა ყოფილიყო. შეწირული კჳანჭილ-ებით ოჯახის ყველა წევრებს აზიარებდნენ. ამისათვის მძინარე ბავშვებსაც კი დააღვიძებდნენ.

სადილისათვის ჩვეულებრივ ლემზირ-ებს გამოაცხობდნენ და ამ დღისათვის საგანგებოდ გასუქებულ ლექრისტეშ-ს — ხარს (ჯან), ვერძს (გიცარ), ან

ლორს (ხამ) დაკლავდნენ. ლეკრისდღეშ-ის ხორცს მოხარშავდნენ და სადილ-ვახშ-მად შეექცეოდნენ. იფარელი მოსახლე ამ დღისათვის ხშირად ახლო ნათესავებს დაპატიებდა ხოლმე და შეძლებისდა გვარად გაუმასპინძლდებოდა.

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკიფარი.
მთხრობელი 80 წლის სოხარ გულბანი

იბ) კალაში

ა. ხალდეში

ქ რ ი ს დ ე შ. დილით მოქრისდღეშ-ის ოჯახში საგანგებოდ ნასუქ ცხვარს დაჰკლავდნენ შემდეგი წესის შესრულებით. სახლის უფროსი („წმინდა კაცი“) ცხვარს ხელში აიყვანდა და მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან გაჩერდებოდა. აქ ამ დროს მოიტანდნენ ნაკვერჩხალს და ზედ ნატუ-სუნ-ს ააკმევდნენ. ხომა მარე ანთებული არყის გამხმარი კანით, ან სანთლით სამსხვერპლოს მატყლს შეუტრუსავდა შუბლზე, ზურგზე და კუდთან, — მისი სუნი ღმერთს შეეწირებაო. შემდეგ ცხვარს მარჯვნივ დაატრიალებდნენ, ილოცავდნენ მაცხტაშ-ის სახელზე და დაკლავდნენ მას. ყველაზე უწინ საკლავის გულ-ღვიძლს შესწვავდნენ, ლემზირ-ებს გამოაცხობდნენ და ზედან-ითურთ წაიღებდნენ მაცხტაშ-ის ეკლესიაში. სალოცავის კართან მლოცველები ჯერ სამგზის ჯგერაგ-ის სიმღერას იტყოდნენ, შემდეგ მაცხტაშ-ს შეავედრებდნენ მოტანილ შესაწირს და შეწირვის შემდეგ მას უკან გააბრუნებდნენ მოქრისდღეშ-ის სახლში. ცხვრის დაკვლა-ვატყავებაში მოქრისდღეშ-ს ლასკარ-ის წევრები ეხმარებოდნენ. მათვე აჰქონდათ შესაწირავი გულ-ღვიძლი, ლემზირ-ები და ზედან-ი ეკლესიაში და ისევ ეს პირები აბრუნებდნენ მათ მოქრისდღეშ-თან. მოქრისდღეშ-ის სახლში მათ სადილად დაახვედრებდნენ ხაჭაპურებს, საკლავის მოხარულ შიგნეულს და არაყს.

სალამოს ვახშმისათვის მოქრისდღეშ-თან თავს იყრიდნენ ლასკარ-ის ყველა წევრი. სუფრაზე ოთხ-ოთხ სულზე ჩამოარიგებდნენ თითო ულუფა (ლაგაფ) ლორისა და ცხვრის ხორცს, ბლომად არაყს, ხაჭაპურებს და სხვა საკმელ-სასმელს. სმა-ჰამა-ქეიფი და მოლხენა შუალამემდე გასტანდა ხოლმე.

ქრისდღეშ-ის მეორე დღეს ლალტეხა-ს უწოდებდნენ. ლალტეხა დაბრუნებას ნიშნავდა. ლასკარ-ი კვლავ უბრუნდებოდა მოქრისდღეშ-ის სუფრას და წინა დღით მორჩენილ საკმელ-სასმელით დილიდან სალამომდე ქეიფობდნენ. სადილად მოქრისდღეშ-ი თაშმეჯაბ-ს მოხარშავდა და სუფრაზე ჩამოარიგებდა. სენური სუფრა გარკვეულ წესის დაცვას მოითხოვდა: პირველად ორი ყანწით (ქერახს-ით) ლასკარ-ის მოსახსენებელი უნდა დაელიათ; სუფრის უფროსი (ტაბაგა თხუმ-ი) ამ ყანწებით ასე ილოცავდა:

„სი ლახემდ, ღმრბეა, გუთშგუთეა
ლასკარს, ამირ იათას ზაჟ ხოჩა
გუთი ამი ლავგრაშობ ტარტესუ

შენ შეეწიე, ღმერთო, ჩვენ
ლასკარს, ასი და ათასი წელი კარგ
გულზე ამის ვედრების დროს

ოგვედა ამეჩუ მერდა ლასკარს
ხოშამ ი ხობრამ“.

მოგვემოდეს აქ მყოფ ლასკარს
დიდსა და პატარას.

მესამე სასმისზე ჯგერაგ-ს იმღერებდნენ, მას ლილე-ს მიაყოლებდნენ, სხვა-
დასხვა სიმღერებს იტყოდნენ და სადღეგრძელოებს დალევდნენ.

თუ ამ დღესაც მორჩებოდა საჭმელ-სასმელი, ლასკარ-ი მესამე დღესაც
შეიკრიბებოდა მოქრისღეშ-თან და დროს იმგვარადვე ატარებდნენ, როგორც
წინა დღეებში.

1935 წლის აგვისტოს 27. სოფელი ხალდე-
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასციანი.

ბ. დავბერში

დილით ძალიან ადრე დიასახლისი გამოაცხობდა პატარა ზომის ყველიან
კვერებს, რომელთაც კუნჭკრლ-ი (მხ. რ. კუნჭკრლ-ი) ეწოდებოდა. ამ კუნ-
კრლ-ებს დაიკერდა ხელში სახლის უფროსი ქალი, შეევედრებოდა შობ ქრის-
ღეშ-ს ოჯახის კეთილდღეობისათვის და ნალოც კვერებს ჩამოუტირებდა ოჯა-
ხის წევრებს; ამ კვერებს ისინი მაშინვე შესჭამდნენ. ამის შემდეგ სოფელ დავ-
ბერში ყოველ ოჯახს მოსდიოდა ხორცის პატარა ნაკერი და ჭიქა არაყი მოქ-
რისღეშ-ისაგან.

კალაში ამ დღიდან იწყებოდა ლასკარ-ებად შეკრება. სოფელ დავბერში
სულ იყო ერთი ლასკარ-ი, რომელშიც 11 მოსახლე შედიოდა. ერთ წელს ერთი
მოსახლე იყო ლასკარ-ისათვის დღეობის გადამხდელი და მისი მასპინძელი, მეორე
წელს მეორე და ა. შ. თერთმეტ წელიწადში ერთხელ ხვდებოდა ამ დღეს დავ-
ბერის თვითეულ მოსახლეს დღეობის გადახდა. მორიგე მასპინძელს მოქრის-
ღეშ-ს უწოდებდნენ. ამ დღეს ის წინასწარ გასუქებულ ტახს (ლექრისღეშ-ს) და-
კერძს დააკვლევინებდა. ამ სამსხვერპლოების დაკვლა და არყით სტუმრების
გამასპინძლება ანუ, როგორც სვანები ამბობდნენ, მეგნე-ს მოვალეობა ამ დღეს
საღამოს და მეორე დღეს დილიდან საღამომდე ევალებოდა ლასკარ-ის ორ-
წევრს, რომელთაგან ერთი შარშანდელი და მეორეც მომავალი წლის მოქრის-
ღეშ-ები იყვნენ. ისინი ეხმარებოდნენ მორიგე მოქრისღეშ-ს სადღეობო არაყის
გამოხდაშიც, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ხდებოდა ქრისღეშ-ამდე. ქრის-
ღეშ-ს დილით ლასკარ-ში შემავალი ოჯახებიდან მხოლოდ თითო კაცი მიდიო-
და მორიგე მასპინძელთან დილის საუზმის (ლენცელ-ის) და სადილის მისართმე-
ვად. ვახშმისათვის კი მასთან იკრიბებოდა მთელი ლასკარ-ი და მის თვითეულ
წევრს თან მოჰქონდა თითო გამოცხვარი დიდ-დიდი ზომის პური, რომელსაც
ლასკარ-ი ეწოდებოდა. ვიდრე ვახშმად დალაგდებოდნენ ლასკარ-ის უფროსი
სუფრის წინ ხმა-მალა წარმოსთქვამდა ლოცვას, რომელშიც ევედრებოდა
შობ ქრისღეშ-ს ლასკარის გამრავლებას და კეთილდღეობას. ამ ლოცვას ამაგ-
რებდა დამსწრეთაგან ა-მ-ე-ე-ნ-ის შემოძახილი. ამის შემდეგ ყველანი სმა-ჭამა-
ქეიფს შეუდგებოდნენ. შუა ვახშამზე ლასკარ-ი შეასრულებდა ე. წ. ლიჭჭი-ს
წესს: კერიის პირად მეგნე-ები დადგამდნენ სვანურ მრგვალ სუფრას (ფიჩქ-ს)

და მასზე დააწყობდნენ ჯამს, რომელშიაც ეყარა წვრილად დაჭრილი ახალი ყველი, ერთ წყვილ კათხასა და წყვილ ყანწს (ქარახსს), სუფრიდან წამოდგებოდა და ფიჩქს მიუახლოვდებოდა ლასკარ-ის უხუცესი მამაკაცი. ის თავისთან გამოიწვევდა ლასკარ-ის უხუცეს მანდილოსანს. ფიჩქთან მისული მამაკაცი დაიჭერდა ხელში ქარახსს, მანდილოსანი კათხას, რომლებსაც მეგნე ნათავედი არაყით გაუფესბდა. ისინი წარმოსთქვამდნენ (ჯერ ხოშა მარე და შემდეგ ხოშა-ზურაღი) ლასკარ-ის სადღეგრძელო-სადიდებელს, სასმისებს გამოსცლიდნენ, იცეკვებდნენ და თავ-თავის პირვანდელ ადგილას დასხდებოდნენ საერთო სუფრასთან. მათ შემდეგ ფიჩქთან ლაქაჭს შეასრულებდა ლასკარ-ის ყველა წევრი უფროს-უმცროსობით და წყვილ-წყვილად ქალ-ვაჟნი. ვახშმის დასრულების შემდგომ ყველა საკუთარ ოჯახში მიდიოდა დასაძინებლად, ხოლო მეორე დღეს დილიდან ისევ მოქრისდემთან იკრიბებოდნენ და საღამომდე კვლავ ერთად ატარებდნენ დროს ჭამა-სმა-მოლხენაში. ქრისდემ-ის მეორე დღეს ლალტუხა ეწოდებოდა. ლალტუხა-ს ვახშმის დასრულებით თავდებოდა აგრეთვე საღასკარო დღეობა ქრისდემ-ი.

1936 წლის აგვისტო. სოფელი დავებერი. მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

იგ) უშგულში

ქრისდემ. ვიდრე ლასკარ-ი მოქრისდემთან შეიკრიბებოდა, დილით გათენებამდე ყოველ ოჯახში საიდუმლო ლიმზირი-ს ასრულებდნენ. ხოშა ზურაღი-ი ოჯახის ყოველ სულზე გამოაცხობდა თითო ცალ პატარა ზომის ყველიან კვერებს, რომლებსაც უშგულელები აღუდწლ-ს უწოდებდნენ. აღუდწლ-ი იგივე იყო, რასაც სხვა თემებში კუჭანჭილწრ-ი ერქვა. რადესაც აღუდწლ-ი გამოცხვებოდა, სახლის უფროსი შეავედრებდა მათ ქრისდე ლამწირას და შეწირულ კვერებს ჩამოურიგებდა ლოვინშა მწილ ოჯახის წევრებს.

დილით, მზის ამოსვლის შემდეგ, მოქრისდემ-ის ოჯახში დაჰკლავდნენ ვერძს (გიცვრ-ს) და ვაცს (ფიკუ-ს). მასთან დილიდანვე შეიკრიბებოდა ლასკარ-ი: გიშლიდნენ სუფრებს, ლასკარ-ის წევრები მათ გარს შემოუხსდებოდნენ უფროს-უმცროსობით და დაიწყებდნენ საერთო ჭამა-სმას, ქეიფსა და მოლხენას. პირველად სუფრაზე ე. წ. ლაჭუჭმიელ-ს იტყოდნენ: სუფრის უფროსის წინ მეგნე სამ კათხას დადგამდა და მათ ნათავედი არყით აავსებდა. ფეხზე წამოდგარი სუფრის უფროსი პირველი კათხით ქრისდე ლამწირა-ს ადიდებდა, მეორე კათხით მსაბინძელს ადღეგრძელებდა და მესამეით იმ პირის სადღეგრძელოს დალევდა, რომლისთვისაც კათხების გადალოცვა სწადდა. ამის შემდეგ დალევდა არაყს და ცალიერ კათხებს უკანასკნელად ნახსენებ პირს გადასცემდა. ახლა ეს პირი წამოდგებოდა ფეხზე, ამავე წესით ჩაატარებდა ლაჭუჭმიელ-ს და შემდეგ მას მესამე პირს გადაულოცავდა; ის კიდევ მეოთხე პირს გადააწოდებდა კათხებს და ასე რიგ-რიგობით შემოივლიდა ლაჭუჭმიელ-ი სუფრებს. ამის შემდეგ უკვე სადილის დროს სრულდებოდა ე. წ. ლიჭჭი: არაყის დამრიგებელი (მეგნე) კერიის პირად სვანურ

მრგვალ მაგიდას (ფიჩქ-ს) დადგამდა და ზედ მოათავსებდა წვრილად დაჭრილ ხორცს და ნათავედი არყით სავსე ორ წყვილ კათხას. ეს არაყი მეტის-მეტად მაგარია. ფიჩქთან პირველად ყველაზე უფროსი მამაკაცი მივიდოდა და ის გამოიწვევდა თავისთან ყველაზე უფროს მანდილოსანს. ისინი გაჩერდებოდნენ ან მიწაზე დაგდებულ ბალიშებზე წაიჩოქებდნენ ფიჩქ-ის წინ ერთი მეორის პირდაპირ, აიღებდნენ ხელში კათხებს და ასე დაილოცებოდნენ — ჯერ მამაკაცი და შემდეგ ქალი:

„დიდებ ქრისდე ლამარიას,
ლამარია, ბარაქ ლახო ნიშტუე
ლარდა-ლანას, ნაფშირი ლახო
ალ ლასკარს, ლასკარისგა მერდა
მარა, მუშგურის ი მინძელს
ხუბა ლაღი-ლაღელ შუიდებდ
ანაჰ, ზაღდიში ამ დრეტს მნჷ
ეჯხუინან შუიდებდ, სგაუ ლამჯედად
შუიდებდ მანგ თუეთნა ფაყშუ ი
ც თუეთნა ლანაქუშუ“.

დიდება ქრისდეს ლამარიას,
ლამარია, ბარაქა მიეცი ჩვენ
საცხოვრებელ-სამყოფს, სიმრავლე
მიეცი ამ ლასკარს, ლასკარში მყოფ
კაცს, სტუმარს და მასპინძელს
მრავალი დღევანდელი დღე მშვიდობით
მოგვასწარი, გაის ამ დროს მე
დაგხვედროდეთ მშვიდობით, თქვენ მო-
მსლოდეთ მშვიდობით, ყველა თეთრი
ქულითა და თეთრი თავსაფრით.

დალოცვის შემდეგ კახებს გამოსცლიდნენ და ერთად იცეკვებდნენ (ისტუ-ბიხ, ლისუმი—ცეკვა). ამ ლიპჭჭის წესს შეასრულებდა ლასკარ-ის ყველა წევრი წყვილ-წყვილად. ქალი და კაცი ერთად, რის შემდეგ გადადიოდნენ თავისუფალ სადღეგრძელოებზე. ძველებური სიმღერებიდან ამ დროს „ოი, ლილე-ს“ იტყოდნენ. თუ წლის განმავლობაში ლასკარ-ის რომელიმე წევრს ვაჟიშვილი შეეძინებოდა, ის მოქრისდემ-ის ოჯახში ამ დღეს შეიტანდა ე. წ. ნაღბანგ-ს. ნაღბანგ-ი ეწოდებოდა დიდი ზომის ყველიან პურს (ლუჭუნენჩხ-ს), რომელზედაც დაწყობილი იყო მოხარული ხორცის ლაგანგ-ი და გარშემო სანთლები ერთი. ამ ნაღბანგ-ს გადასცემდნენ სუფრის უფროსს, რომელიც ადღეგრძელებდა ნაღბანგ-ის მომთან ოჯახს და მისი მოტანის მიზეზს—ახლად შეძენილ ვაჟიშვილს. ლასკარ-ი ამ დღეს გვიანობამდე ქეიფობდა და მხოლოდ ნაშუაღამევს გაიკრიბებოდა მთვრალი ხალხი საკუთარ სახლებში დასაძინებლად.

ქრისდემ-ის მეორე დღეს ლალტახა ეწოდებოდა, ვინაიდან ლასკარ-ი მოქრისდემ-ის ოჯახში ბრუნდებოდა და წინა დღიდან მოჩენილი სანოვაგით ატარებდა დროს ჭამა-სმა-ქეიფში.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ეიბიანი.
მთხრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი.

C. ქ ვ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ უ ი.

იდ) ლენტეხში

ქრისდემ. ხალხს უხაროდა ქრისდემ-ის მოსვლა, უხაროდა, რომ მშვიდობით გაატარა გრძელი, ექვსკვირიანი ქრისტეშობისთვის მარხვა (ქრისდემი უკმ ანუ ჭიკმ), როცა ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც მარხულობდა და წინასწარ შენახულ გამხმარ ბალახ-ბულახზე, უმთავრესად ე. წ. ქალაკოდ-სა და ტელეფ-აზე გადადიოდა. შობის წინა კვირაში, ხოლო ძველად ქრისდემი ჭიკმ-ის დასაწყისშივე, ხუთი-ექვსი კარგი მოსიმღერე კაცი შეგროვდებოდა ერთად და ჩამოვილიდა სოფელს, ერთი სოფლიდან გადადიოდნენ მეორეში და ყველგან თვითეულ ოჯახის კარზე იმღერებდნენ ქართულ ენაზე „ალილოს“:

„ალილო და აქა ალილო, ალილო და აქა შობა, ღმერთმა ბევრი გაგიტე-ნოთ შობა-ახალწელიწადი. ოცდა ხუთსა ამ თვესაო ქრისდე იშვა ბეთლემსაო, ჩიტი შემოჯდა ღობესა, იძახის ქრისდე შობასა. ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ვართ ქრისდეს მახარობლები, ალილო და აქა შობა, აქა ალილო-ო“.

ამ სიმღერას იმეორებდნენ იმ დრომდე, სანამ ოჯახიდან, რომლის კარზე-დაც სიმღერას წარმოსთქვამდნენ, არ გამოუტანდნენ რაიმე საჩუქარს.

ქრისდემ-ი დიდი უქმე და დღეობა იყო. ყოველი ოჯახი ამ დღისათვის წინასწარ იმარაგებდა ხორცეულს. სადილისათვის ჩვეულებრივ პურების გარდა დიასახლისი გამოაცხობდა ხუთ ცალ ტაბულ-ს. ამთგან სამი ტაბულ-ი ჩვეულებ-რივი ზომის მრგვალი და ოთხ კუწუბიანი კვერი იყო, ერთი მათზე მომცრო, მრგვალივე კვერი, შუაზე კილით კიდემდე ხელის ყუით დანაკრავი, რომელსაც ლამარია-შილგენე ეწოდებოდა და მეხუთე ტაბულ-ი ჯვრის სახისა, რომელიც ყვე-ლა ტაბულ-ზე მცირე იყო და რომელსაც ფუსნა-ლემზირი-ი ეწოდებოდა. ლამა-რია-შილგენე-ს შეკმა დიასახლისს ევალებოდა, ხოლო ფუსნა-ლემზირი-ი სახლის უფროს მამაკაცს უნდა შეეკამა. დანარჩენ სამ ტაბულს, თუ მათ ოჯახშივე შეა-ვედრებდნენ, შინმყოფთ ჩამოურიგებდნენ, ხოლო თუ ეკლესიაში გაიტანდნენ და მღვდელს ან მულზონ-ს შეაწირვინებდნენ, მაშინ, მომტანი ოჯახის სურვილისდა მიხედვით, სამივეს ორ ცალს და ან მხოლოდ ერთს შემწირველს დაუტოვებ-და, მულზონ-ი იქნებოდა ეს, თუ სახლის უფროსი, შეწირვის დროს, ხელ-ში დაიჭერდა ხუთ ტაბულ-ს, რომელთაგან სამ ჩვეულებრივ ტაბულ-ს ერთმანეთ-ზე დაწყობილს ზემოდან დაადებდა ჯერ ლამარია-შილგენეს, შემდეგ ფუსნა-ლემზირი-ს და ფუსნა ლემზირი-ზე დაყრიდა ნატუსუნ-ს; მეორე ხელში ზედაშ-ს დაიჭერდა. მლოცველი შესაწირავებით დატვირთულ ხელებს ზევით ასწევდა და ისე ილოცავდა:

ქრისდემია-შობია ყერ ი ანგლოზ,
სი ლოგტემდ, ოგხიდ ამსტაღდა
ნაშდობოშ ი კუმში ნაფშიროშ,
უქმიშ ი საქმი ნაშშა მგ.
სალხინისა ლეგმარი გტაყრ,

ქრისდემის [და] შობის წმინდაო და
ანგელოზო, შენ გვიშველე, გაგვახარე
აღამიანის მშვიდობით და საქონლის სიმ-
რავლით, უქმის და საქმე-დღის ნამუშე-
ვარი ყველა სამხიარულოდ მოგვახმარე,

ლოგო ნადღური კუმაშს ი მარას, ოგხიდ ზნა მავენდ, ოგჷნა ლუფხუ შუილობდ კუმაშს ი მარას, ქრისდე-შობია ყერ ი ანგლოზ, სი ოგქაბენ ხოლა თეა-აყბა ოგქაბენ ხოლა მეყუბაბიელ ლეგლირდე, ლოგლეჩ ზიგხენ ი მაღილ ჯერი, მაღილშუ გოში“.

მოგვეცი სიმრთელე საქონელს და კაცს, გაგვახარე წლის მოსავლით, მოგვასწარო გაზაფხული მშვიდობით საქონელს და კაცს, ქრისდე შობის წმინდაო და: ანგელოზო, შენ აგვაცილე ცუდი თვალ-ყბა, აგვაცილე ცუდი მოარული ავადმყოფობა, დაგვიცავი სენისაგან და მაღლი გექნება, მაღლით სავსეე“.

ამის შემდეგ სასმისს დაცლიდა და თავის ადგილზე დაბრუნდებოდა. ამ დღეს ხშირად ახალი მიცვალებულისათვის საკურთხის გაამზადებდნენ და სადილობის დროს მიცვალებულის საფლავზე გაიტანდნენ. მას მღვდელი აკურთხებდა ან თვით სახლის უფროსი შეუწოდებდა მიცვალებულთა სულებს. ვისაც ახალი მიცვალებული არა ჰყავდა, ის ოჯახში გაწყობილ სადილის სუფრას 10—15 წუთით ლიფანე-დ განაკუთვენებდა, ძველ მიცვალებულთა სულებს შენდობას შეუთვლიდა და შემდეგ ოჯახის წევრები სადილის ქამას შეუდგებოდნენ.¹

1935 წლის დეკემბრის 28. არსენ ზურაბის ძე ონიანი. აღილო და ლოცვები ჩაწერილია თედო ყაბულთის ძე ონიანისაგან.

¹ ჩვენ მიერ აღწერილი ქრისდეშ-ი ეთანხმება არ. ზ. ონიანის აღწერილობას და დამატებით შემდეგს იძლევა: შეძლებული ოჯახები ამ დღეს ტახებს დაშაშხავდნენ. ქრისდეშ დილით, ვიდრე ფრინველები შეინძროდნენ ზოშა ზურალ-ი ე. წ. ინჷი-კუანჷი ლემეზირ-ებს გამოაცხოზდა, მათ კერიასთან ლამარია-ს სახელზე შესწირავდა და თან ევედრებოდა მას—ლამარია მაღლიანო, ყანები ფრინველისაგან დამიცავი, ფრინველს ნუ გააკარებ ჩემს ყანებსაო. შემდეგ შეწირული ინჷი-კუანჷი-თ ოჯახის წევრებს აზიარებდა.

1934 წლის აგვისტო. ლენტეხი, სოფელი ზემოლექსურა-მთხრობელი 58 წლის მელეხან მე-შველიანი.

7. დარუნენსგა, დარუნენსგა (25—31 დეკემბერი)

A. ბალს მემოტი

ა) ლახამულაში

დარუნენსგა. ქრისდემ-იდან დაწყებული დემუტამამდე, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ყოველ დღე, დილა-სალამოს, ლახამულელი მოსახლე უამრავ პატარ-პატარა ლამარია ლემზირ-ს აცხობდა. ამ ლემზირ-ებით სახლის უფროსი მოიხსენებდა სვანეთის ყველა ხატ-სალოცავ-ს და აგრეთვე ცაგერისა და სამეგრელოს წმინდანებსაც. ამ ლემზირ-ებს აცხობდნენ ლამარიან ტაბლან-ისაგან. ლამარიან ტაბლან-ი ეწოდებოდა შემოდგომაზე ლეწვის დროს პირველ კალო-დან გადარჩეულ საუკეთესო ხორბლის ფქვილს, რომელსაც ცალკე კიდობანში მოათავსებდნენ და ინახავდნენ ზამთრის დღეობებისათვის. როდესაც დიხსალ-ი ამ ფქვილს გაცრიდა ლემზირ-ებისათვის, ქატოს ცეცხლში ჩაყრიდა და დასწავავდა, რათა უცხოს არ შეეწრო მისთვის თვალი, ვინაიდან ლამარიან ტაბლან-ში იწონან იყო. ამ ფქვილისაგან გამომცხვარი ლამარიან ლემზირ-ებიც აგრეთვე უწონან იყო, მათ არავის უცხოს არ შეაქმევდნენ. ზოგი ოჯახი ლახამულაში ლამარიან ლემზირ-ს არ არიდებდა ოჯახისათვის უცხო პირს დასანახავად, მაგრამ შესაქმელად არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა.

1936 წლის ივლისი. სოფელი ქვემო ლახამულა.
მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ სოფის ძე კკა დუა.

ბ) ჩუბეხევი

დარუნენსგა. ქრისდემ-იდან დაწყებული კანდა-მდე ჩუბეხევი ყოველი მოსახლის ოჯახში უამრავ ლემზირ-ს აცხობდნენ ლამარიან ტაბლან-ისაგან. მათ ყოველ დღე, დილითა და საღამოთი, სწირავდა სახლის უფროსი (ქორზ მასტში). სვანეთის ხატ-სალოცავების სახელზე; ერთ დღეს წმინდანების ერთ რიგს მოიხსენებდნენ, მეორე დღეს მეორე რიგსა და ასე ჩაათავებდნენ დარუნენსგა-ს განმავლობაში ყველა ხატ-სალოცავის ხსენებას. სვანებში ძველიდანვე დარჩენილი თქმულება იმის შესახებ, რომ სვანები დარუნენსგა-ს ლიმზურ-ების (ლოცვა-შეწირულებათა) ძალით არიან გამრავლებულნიო. თვითველ წმინდანს, მისი ხსენების დროს, ოჯახი სამ ლემზირ-ს შესწირავდა; სახლის უფროსი დაიჭერდა ხელში ამ სამ ლემზირ-ს და ილოცებდა ჯერ ერთი წმინდანის სახელზე, შემდეგ შეწირულ ლემზირ-ებს განზე გადასდებდა და ახალი სამი ლემზირ-ით სხვა წმინდანს ახსენებდა და ა. შ. ამ დროს ის შემდეგნაირად ლოცულობდა:

„ა-ა, დიდბუ აჯედა, დამბადებელ
ხოზა ლერმეთ, დიდბუ აჯედა!
დამბადებელ ხოზა ლერმეთ
მწლიან, ამ მუიში
მუიშიგა¹ მწ ლერმეთ
ჟოხურშენიდ, მწ ხატ
ჟოხურშენიდ, მწ ნიშვე
მაშედ ჩემ, ხოჩემ მუჩემ“.

ა-ა, დიდება მოგსვლოდეს, დამბადე-
ბელო დიდო ლმერთო, დიდება მოგსვ-
ლოდეს! დამბადებელო დიდო ლმერთო
მადლიანო, ამ კვირის
კვირამდე რომელი ლმერთიც
ვახსენოთ, რომელი ხატიც
ვახსენოთ, ყველა ჩვენი
შემწე ჰქენ, კარგის მოქმედი.

შემდეგ ასევე მოიხსენებდნენ სხვა წმინდანებს; ამ დროს ხსენდებოდნენ შემ-
დეგი წმინდანები: თარგლეზერ, ჯგვრანგ, ფუსტ მუჰან, მაცხტარ, ჯგვრანგ ჟიბრე-
შია, კანაო თარგლეზერ, მემხელ ლელალ თარგლეზერ (ღემდერში), ისგლდშია
თარგლეზერ (ფარში), მაცხტარ ფარიშ, ჯგვრანგ მეცხემილ სტიფიშ (ფარში),
ფხტრერიშ თარგლეზერ (ეცერიშ), ჯგვრანგ ლუჰან, მაცხტარ სტიფიშ (ცხუმარ-
ში), ლაფსყალდშ თარგლეზერ (ცხუმარში), მუხერიშ თარგლეზერ (ლაფსყალდის
ხემოთ), გულანგ ვაბრელ; მან ლატლიან, მაცხტარ ლატლიან, ჯგვრანგ ბოგეშ,
ჯუშარ დუჰან, ჯგვრანგ სალ-ჰუბრიშ, ლალხორალშ თარგლეზერ (ლენხერაში),
ჯგვრანგ ჭანიშდიშ, იდლიანან თარგლეზერ, ჯგვრანგ ხუბრიშ, ჯგვრანგ ილორიშ,
ლამარია ქუთაშიშ, ჩოლურიშ ხატნახატ (დიდბუ აჯედა) და ბოლოს
ლამარია-ს ახსენებდა, შემდეგ იტყოდა — ვინც გამომრჩი და ვერ მოგიხსენე,
თქვენაც „დიდბუ აჯედა“ო, და უკანასკნელად კვლავ ლამარია-ს ახსენებდა და
ამით თავდებოდა ყოველივე ეს. ემუხტან დილით სახლის უფროსი კვლავ
დაიჭერდა ხელში ლემზირ-ებით საესე კარტა-ს და კვლავ ადიდებდა იმ წმინ-
დანებს, ვისი დიდებაც მას გამორჩა.

1936 წლის აგვისტო. სოფელი თავარაი. მთხრო-
ბელი 54 წლის მაპარბე ცინ დელიანი.

გ) ფარში

დარუნესგა. ყოველი ფარელი მოსახლე დარუნესგა-ს განმავლობაში
ყოველდღიურად აცხობდა ლემზირ-ებს დილა-სადამოს და სვანეთისა და საქარ-
თველოს სხვა კუთხეების სალოცავებს ადიდებდა. პირველ რიგში „სასვანეთოს“
სალოცავებს ჩაათავებდა და შემდეგ მეზობელ კუთხეების ხატების მოხსენებაზე
გადადიოდა. სვანის სადიდებელი სალოცავები ამ დროს შემდეგი იყო: აჯარან
ჯგვრანგ (დალის სალოცავი აფხაზეთში), შუერიშ ჯგვრანგ (იქვე), ჯგვრანგ
ჯგვრანგ (აფხაზეთში), ოქუმიშ ჯგვრანგ (იქვე), საბელიან საყდარ (იქვე), ყულიშ-
გარიშ საყდარ (ოდიშში), ჯუშარპატიოსან (იქვე), ილორიშ ჯგვრანგ (სამეგრელო-

¹ სვანებს ორნაირი კვირა აქვთ: შეიღლიანი „ნაგზი“ და „მუიში“; უკანასკნელი აღნიშ-
ნავს ოთხ სამუშაო დღეს—ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. დანარჩენი სამი
დღე პარასკევი, შაბათი და კვირა უქმეა („ლისტურეში-ია“)

ში, წანდისხაში¹ საყდარ (იქვე), ხონიშ საყდარ, ქუთაშიშ სობორო, ლამარია ცაგერიშ, ლელტხაშ საყდარ, ჩოლურიშ საყდარ, სასაშიშ საყდარ, ლაშხიშ საყდარ, უშგუტლამ ლამარია, ლავურკა ფუსტ, კალაშ საყდარ, იფარიშ ლამარია, წყირ- შიშ საყდარ, თეოფანიშ საყდარ (იფარიში), მელხაშ საყდარ, მუკალიშ საყდარ, ვესტინაშ მქინაჟი საყდარ, ლენჯარიშ საყდარ, ქაშტეთიშ საყდარ (ლენჯერიში), ნესგულამ საყდარ (ლენჯერიში), ლატლიაშ მან, შყალერიშ საყდარ, ლახუმიდიშ- საყდარ, ლაჰლამ საყდარ, მუხერდა თარგლეხერ (ლატალიში), თანდარე თარგლე- ხერ (იქვე), ყიქანქაშ საყდარ (იქვე), იფხიშ საყდარ (იქვე), ბალაშ ჯგერაგ (ბალ- ჰე), უშსტანარიშ ლამარია (ბეჩოში), თეინაშიშ ჯგერაგ (იქვე), გაბრელ გულამ (იქვე), მახერიშ ჯგერაგ (იქვე), შიხრაშ ჯგერაგ (იქვე), ტეხშიშ საყდარ (იქვე), მუხრა თარგლეხერ (იქვე), ბიჭოვერ ხატარ (იქვე, სოფელ დოლა-სუფში), ქარ- თანიანშ ჯგერაგ (იქვე), ჯგერაგ მენხაშ (ჰებუდში), ლაფსყალამ თარგლეხერ (ცხუმარიში), ცხემრიშ მაცხტარ, მაგარდელიშ ჯგერაგ (იქვე), ლობალდამ საყ- დარ (იქვე), ჰუყუტამ ჯგერაგ (ცხუმარსა და ეცერს შუა), კალაშიშ მაცხტარ (ეცერ- ში), ჟაბე კალაშიშ საყდარ (იქვე), ჩუმთამ ჯგერაგ (იქვე), ლანტელიანშ საყდარ (იქვე), ისკრიშ ბარბოლ (იქვე). ჯგერაგ ულულამ (ეცერს ზემოთ), ჯგერაგ ქუ- რანშიშ (ეცერიში), ბარბოლ ბარშიშ (იქვე), ქელირიშ საყდარ (იქვე), მოლაშ ჯგერაგ (იქვე), მურჭეილ თარგლეხერ (იქვე ფხოტერიში), ლაშხრაშიშ საყდარ (იქვე). სტიფიშ ჯგერაგ (ფარიში), ფარიშ მაცხტარ (ფარიში), ისგულდამ თარგლეხერ (იქვე), ქრისდე ტიბლარიშ, ხტალმი ლამხერიშ, ლამურყუამამ თარგლეხერ (იქვე), სტაჯარ თარგლეხერ (იქვე), ლეჰამ ჯგერაგ, მუკაიშ ჯგერაგ (იქვე), მუხხელ თარ- გლეხერ (ლეშდერიში), კანიშ თარგლეხერ (იქვე), ჯგერაგ ყიბრეშა (ჩუბეხეში), ლამარია ჩუბრიშ (იქვე), ჯგერაგ მუჰამ (იქვე), ცალრიშ საყდარ (იქვე), ლაშხ- რანშიშ ბარბოლ (იქვე), თატარარიშ მაცხტარ, ჯგერაგ მექტინა (იქვე), დერხტანშიშ საყდარ (იქვე), ლახტამ თარგლეხერ (იქვე); დელი თეკელიშ (იქვე), ჯგერაგ ბოგემ (ლახამულაში), ხტალმი ფუსტ (იქვე), გირგედ ლახმულამ (იქვე), იფარიშ მაცხტარ (ლენხერაში) ვანიშიშ საყდარ, იდლიანამ საყდარ, ჯგერაგ ხუბერიშ, ლამარია თანდარეშ, დალარ კუტარ, ტუბრე ლამხერ, ლახტამ ლამხერ, ტეთხამლე ლამხერ, ამსტალდამ მუწე, ლამარია“.

აღნიშნული სალოცავების ნაწილს პირველ დღეს აღიდებდნენ, მეორე დღეს განაგრძობდნენ სხვათა დიდებას და დარუნენსგა-ს ბოლოს ყველა სალოცავის მოხსენებას ჩაათავებდნენ. ლემზირ-ებს, რომლებითაც ხდებოდა წმინდანების და სალოცავების მოხსენება, ლამარიანშ ტაბლამ-ისაგან აცხობდნენ და ისინი უწონამ-ი იყო.

1936 წლის ივლისი. სოფელი ფარი. მთხრობელი მ. წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვი ბ ლ ი ა ნ ი.

დ) ეცერიში

ძ ა რ უ ნ ე ს გ ა. ქრისდეშ-ის მეორე დღიდან დაწყებული მეშხტამ-ამდე ეცერლის იჯახში ყოველდღიურად აცხობდნენ სადილად უამრავ კუხ-ლემზირ-ს.

¹ მთხრობელის გამოთქმით—ქანქინამ.

ლამპარიანს ტაბლანს-ისაგან, ამ კუბან-ლემზირ-ებს სწირავდნენ სვანეთის, აფხაზეთის, სამეგრელოს და ლეჩხუმის სალოცავეების სახელზე. პირველად სვანეთის სალოცავეების ლიმზირ-ებს გადაიხდიდნენ და შემდეგ სვანეთს გარეთ არსებული სალოცავეებისას, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პარასკევ დღეს არ ასრულებდნენ ამ ლიმზირ-ს. დარუნენსგა-ს ლემზირ-ები ყველა უწონანს-ი იყო, ისევე როგორც ლამპარიანს ტაბლანს-ი, ამავე ხნის განმავლობაში აღკვეთილი იყო ქალის ხელსაქმე — კრა-კერვა, ქსოვა, რთვა და სხვა და აგრეთვე იარაღისა და სხვადასხვა რკინეულის ხმარება. იმას, ვინც უწონანს-სა და ამ უქმე-აღკვეთას (კერბ-ს) დაარღვევს, ოჯახში წვრილფეხა საქონელი არ შერჩება, — ამბობდნენ ეცერლები.

1936 წლის ივლისი. სოფელი ისკარი.

მთხრობელი 61 წლის დემეტ გერლიანი.

ე) ცხუმარში

დარუნენსგა. ქრისტიან-სა და ეზიჰან-ს შუა ცხუმარელი მოსახლე მთელი კვირის განმავლობაში არ აიღებდა ხელში რკინეულს. ამიტომ იყო, რომ დარუნენსგა-ს წინ მთელი კვირის საყოფ შემას დაქრიდნენ და მოიმარაგებდნენ დარუნენსგა-ს ნაჯახის ხმარება არ დაგვიჭირდესო.

ისევე, როგორც სხვა სოფლებში ბალს ქვემოთ, ცხუმარშიც დარუნენსგა-ს განმავლობაში ყოველდღიურად მართავდნენ ლიმზირ-ებს. თვითეულ ოჯახში გამოაცხობდნენ ბლომად ლემზირ-ს და სადილის წინ შესწირავდნენ მათ სვანეთისა და მეზობელი კუთხეების სალოცავეებს. პირველად თავის სოფლის სალოცავეებს მოიხსენებდნენ, შემდეგ მახლობელი სოფლებისას; როდესაც ბალს-ქვემოთა სალოცავეების მოხსენებას მორჩებოდნენ, ბალს-ზემოურებზე გადავიდოდნენ, შემდეგ ქვემო-სვანეთის სალოცავეებს ჩამოჰყვებოდნენ და ბოლოს ლეჩხუმის, სამეგრელოს და აფხაზეთის ეკლესიების ხსენებით დაამთავრებდნენ. თავის სოფლის და მახლობელი სოფლების ხატებს საუთითაოდ ჩამოთვლიდნენ და თვითეულ მათგანს სამ-სამ ცალ ლემზირ-ს შესწირავდნენ, ხოლო დანარჩენების მიმართ ან თვითეული სოფლის მთავარ სალოცავეებს ასხენებდნენ და ან ზოგადად მოიხსენებდნენ — ამადაამ სოფლის სალოცავეებს დიდებო. შესაწირავი ლემზირ-ები ყველა ლამპარიანს ტაბლანს-ისაგან იყო გამომცხვარი და როგორც ეს ფქვილი, ისე ლემზირ-ები უწონანს-ი იყო — მათ ისე გამოაცხობდნენ, შესწირავდნენ და შესჭამდნენ, რომ ოჯახისათვის უცხო პირებს არ აჩვენებდნენ და არც აგემებდნენ.

დარუნენსგა-ში ხუთშაბათ დღეს დადურე ცაშ-ი ეწოდებოდა. ამ დღეს ნასადილევს კაცები სვირ-ში ქალებსა და გოგონებს მარტოდ დასტოვებდნენ და თვით გარეთ გადიოდნენ, რადგან ამ დროს საქალებო ლიმზირ-ი უნდა შესრულებულიყო, რომელზედაც მათათა სქესის დასწრება არ შეიძლებოდა. მარტოდ დარჩენილი ქალები ლიმზირ-ისათვის მზადებას შეუდგებოდნენ — კერიაში შენელებულ ცეცხლს გააჩაღებდნენ და დიხსალ-ს ეხმარებოდნენ ლემ-

“ზირ-ების გამოცხოვაში. დისხალ-ი გამოაცხოვდა ყველიან ან ნიგვზიან კვერებს, დანარჩენი ქალების თანხლებით მივიდოდა სგიორ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ასე ილოცებოდა:

„დიდებ აჯგად ლამარია დადუბრეშს, ჯაბიცილ მარემი ნაშუტდების, ზადა ნაუხერის, შადა ამტაღდაშდ ზოჩა ლესუ, ეჯი ნომა გეშ ანტიხტანა, მაღილ ჯერი“.

დიდება მოგვლოდეს ლამარია დედლებისას, გენუკვით ადამიანის მშვიდობას, წლის სიკეთეს, რაც ადამიანისათვის კარგი იყოს, იმას ნურაფერს დავაკლებ, მაღლი გექნება.

შემდეგ ასხენებდა ლამარიბ ჭარდშიშ-ს, რომლის სალოცავი ცხუმარის შთახეა მოთავსებული, და ბოლოს იტყოდა:

„ლამარიბ უშხტანრიშ, სი ლანეშდ, ჯოდიად ჯაბიცილ ფედიად სი ლანეშდ, ისეუ გუტიდამისგა შადა ხატ სგუფე-ჯი ანჟირინ, სიეა ანჟინდ, ჯამხერიდ, ანგიზირ“.

ლამარია უშხვანარისაო, შენ გვიშველე, შორიდან გენუკვით, ახლოს შენ გვიშველე, შენ მიდამოში რაც ხატი ბრძანდებოდეს, იმასაც წყალობა მოაცემინე, შენც შეგვიწყალე, გვედერებით, შეგვივედრე“.

ლოცვას რომ გაათავებდნენ, შეწირულ ლემზირ-ებს შეექცეოდნენ, რის შემდეგ კაცებს აცნობებდნენ, სახლში შემოსვლა შეიძლებაო. ამით თავდებოდა დართუნესგა-ს და დადუბრე ცაშ-ის წესჩვეულება.

1936 წლის აგვისტოს 5. სოფელი ტვიბერი.
მთხრობელი 70 წლის ირინა გოშვანი.

ვ) ბეჩოში

დართუნესგა-ს წესჩვეულება ბეჩოში ისეთივე იყო, როგორც ეცერსა და ცხუმარში. აქაც მთელი კვირის განმავლობაში, დაწყებული ქრისდემს-იდან და გათავებული ეშხტამ-ით, სვანეთის და მეზობელი კუთხეების სალოცავებს აღიდებდნენ და ლემზირ-ებს სწირავდნენ. ამ ლემზირ-ებს ზოგი ოჯახი ლამარიშ ტაბლშ-ისაგან ამხადებდა და მაშინ ისინი უწონაშ-ი იყო, ზოგი კი მათ ჩვეულებრივი პურის ფქვილისაგან აცხობდა. ბეჩოში ლამარიბ ტაბლშ-ს ლალცხატ-ში აღებულ ხორბლეულის ფქვილს ეძახდნენ. ლალცხატ-ი ეწოდებოდა პატარა საყანე მიწის ნაკვეთს, რომელსაც მოსახლე ჩამოსჭრიდა და სხვადასხვა უბედური შემთხვევის საწინააღმდეგოდ ან სიკეთის გამოსათხოვებლად შესწირავდა ამათიუმ წმინდანის სახელზე. ლალცხატ-ში ჩვეულებრივ პურს ან ქერს სთესავდნენ და მისი მოსავლისაგან სადღეობო კვერებს აცხობდნენ ან შესაწირ არაყს ხდიდნენ.

ეწმუჲმ საღამოს დისხალ-ი უამრავ ლემზირ-ს გამოაცხობდა. სახლის უფ-როსი ამ ლემზირ-ებით სავეც გობს (ჯარ-ს) ვახშმის წინ ყველა იმ წმინდანს შესწირავდა, რომელთა მოხსენება ოჯახმა ვერ მოახერხა (დააეწყდა ან სხვა მიზეზების გამო) ძარტნენსგა-ს განმავლობაში და თან ევედრებოდა მათ—ნუ გვიწყნთ, შეგვინდეთ, რომ სათითოოდ არ დაგასახელებოთ.

1936 წლის აგვისტოს 10. სოფელი უშხვანარი. მთხრო-ბელი 90 წლის ახარეთ და 51 წლის ამაიხ კვიციანი ებ დ ი

B. ბალს ზემოთ

ზ) ლატალში

ა. მაცხვარიში

ძ ა რ ტ ნ ე ს გ ა (ორთაშუა) ეწოდებოდა მთელ კვირას ქრისდემ-იდან ზამ-ბა-მდე. ამ კვირის ოთხშაბათ-პარასკევი (ძარტნენსა ჯიმაში ი ტებიშ) ხსნილი იყო. ოჯახის მანდილოსნები მთელი კვირის განმავლობაში დადიოდნენ სალოცავად ლატალის სხვადასხვა ხატებში. თვითეულ მათგანს სალოცავში მიჰქონდა ერთი-კარტა ფქვილი და ეკლესიის მინაშენში, რომელსაც ლაღბაში-ი ეწოდება, გამო-აცხობდა ლემზირ-ებს და შესწირავდა ამ ეკლესიის წმინდანს. სალოცავის კარ-ზე ფქვილით ან ცომით წასვლას და იქ ლემზირ-ების გამოცხობა-შეწირვას ლიღბაში-ი ეწოდებოდა. ძარტნენსგა-ს განმავლობაში მანდილოსნები ლიღბაში-ს აწყობდნენ ლატალის შემდეგ სალოცავებში: ერთ დღეს მაცხტარ-ის ეკლესიის კარზე, მეორე დღეს—აწნ-ში, მესამე დღეს—ჯგურაგ-ში, მეოთხე დღეს—თარინ-გზელ-ში, მეხუთე დღეს—ლამარია-ში, მეექვსე დღეს—მუხრ-ში და მეშვიდე დღეს ხომა ღერბეთ-ს ევედრებოდნენ სახლში და ან მაცხტარ-ის ეკლესიის კარ-ზე. ლოცვის დროს დაანთებდნენ სანთლებს (ღეტურე-ს), დააკმევდნენ ნატუ-სუნ-ს, შესთხოვდნენ სალოცავს ადამიანის ჯანმრთელობას, მოსავლიანობას, ოჯახის ბარაქას და ლემზირ-ებს შესწირავდნენ.

ძარტნენსგა-ში კვირა დღეს კუახ-ლიტრაში ეწოდებოდა¹. სოფელ მაცხვა-რიში კუახ-ლიტრაში სასოფლო დღეობა იყო, სოფელს არჩეული ჰყავდა დღე-ობის მასპინძელი ორი მოსახლე. ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე, მოსავლის აკრების დროს, მათ უნდა შეეგროვებინათ სოფელ მაცხვარიშის მოსახლეებ თითო ჩაფლაში-ი პურის ფქვილი (კუტეცენ-ი) და თითო ჩაფლაში-ი ქერი (ქემინ-ი). შეგროვილი ფქვილისაგან მორიგე მასპინძელი კუახ-ლიტრაში-ის დღეს გამოაც-ხობდა სოფლის მოსახლეთა რიცხვზე ორ-ორ ცალ ლესკარ-ს, სამ-ოთხ ცალ ლემზირ-ს და თითო ჯამს სამარხეო საჭამადს გააკეთებდა მოსულ სტუმარზე, ხოლო ქერისაგან სადღეობო არაყს გამოხდიდა რამდენიმე დღით ადრე დღეო-

¹ ლატალში სოფელ მაცხვარიშის მცხოვრებნი იხდიდნენ კიდევ მეორე უკვე სახსნილ-ლიტრაში-ს, რომელიც ყველიერში კვირა დღეს მოდიოდა ხოლმე.

² ჩაფლაში-ი საწყაოს სახელია.

ზამდე. დღეობა დღეს მასპინძლის ოჯახში იკრიბებოდა სოფელ მაცხვარიშის თვითეული ოჯახიდან ორ-ორი კაცი. გაშლიდნენ სუფრას, ჩამოარიგებდნენ საჭმელ-სასმელს და იმართებოდა საერთო სმა-ჭამა, ქეიფი და მოღბენა. ამ სუფრაზე ირჩევდნენ მორიგე მასპინძლებს მომავალი წლის კუახ-ლიტრაში-სათვის.

1935 წლის აგვისტოს 13. სოფელი მაცხვარიში.
მთხრობელი 57 წლის გიორგი გირგელიანი.

B. თენაშში

დარტნესგა ორჯერ მოდიოდა წელიწადში: ერთი იყო შობა-ახალწლის შუა-კვირა და მეორე აღდგომა-ახალკვირის შუა. ორივე დარტნესგა მეტად დიდ დღეობად ითვლებოდა. ნათქვამი იყო, რომ ამ კვირების განმავლობაში სამოთხის კარები მუდამ ღიაა და ვისაც სურს, თავისუფლად შეუძლია სამოთხეში შესვლა. რაც უნდა ცოდვიანი იყოს კაცი, თუ ის დარტნესგა-ში გარდაიკვალა, აუცილებლად სამოთხეში მოხვდება, სამოთხის კარები სანთლის არისო, სვანები მათ „სანთლი ყორპრს“ უწოდებდნენ.

ქრისტეშ დღეს დილის საუზმის (ჭამა ხარჯობ-ის) შემდეგ ლატალის ქალები მიდიოდნენ ანის სალოცავში, აქ ლიღბაშს გადაიხდიდნენ. და ევედრებოდნენ ანს დარტნესგა-ში ნასაქმარი მოგვიტევეო:

„აზნ ზნგლტუხ მალღიან, ამ მიში
ლინშურ მაჭინ ნომა ნაყრ
ი სი ლანეშდ“.

აზნ ანგელოზო მადღიანო, ამ კვირის
შეცოდებისათვის მანენს ნუ მოგვაყენებ
და შენ შეგვეწიე.

ამ ლოცვა-შეწირულებათა გადახდელისათვის ამიერიდან დარტნესგა-ში მუშაობა დასაშვები იყო. ქალს შეეძლო რთვა, კერვა და სხვა ქალის სამუშაოს გაკეთება. მაგრამ, ვინც ამ ლიმშურს არ შეასრულებდა, ნება არ ჰქონდა უქმე გაეტეხნა და ზემოაღნიშნული სამუშაოები შეესრულებინა. ყველასათვის, განურჩევლად იმისა, გამოთხოვილი ჰქონდა თუ არა უქმის გატეხა, დარტნესგა-ს განმავლობაში სასტიკად ეკრძალებოდა სარეცხის გარეცხვა, თმის გაპარსვა და თმის დავარცხნა. ვინც ამ წესიდან პირველ ორ მუხლს დაარღვევდა, მის პურეულს მომავალ წელს ვითომ წვრილი მარცვალი გამოეხსნოდა, ხოლო თუ თავს დაივარცხნიდა, მაშინ მის ყანას ცარიელი თავთავები ექნებოდა, — ამბობდნენ სვანები.

დარტნესგა-ს განმავლობაში ქალები ყოველ დღე მიდიოდნენ სალოცავებში და ლიღბაშებს იხდიდნენ. თვითეული ხატის მოსალოცავად გარკვეული დღე იყო განკუთვნილი. დარტნესგა-ს ორშაბათს ისინი თანლი თარინგზელში მიდიოდნენ, რადგან მისი მოლოცვა მუდამ ორშაბათობით ხდებოდა. თანლი თარინგზელ-ი ვაჟიშვილების მომცემი და მფარველი ღვთაება იყო. მას აგრეთვე თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ ევედრებოდნენ. ვისაც ვაჟიშვილის გამოთხოვა სურდა თანლი თარინგზელ-ისათვის, ნაღბაშუნ-ის გარდა, ზედამ-იც მიჰქონდა.

სალოცავში. ზედან-ზედ აუცილებლად ქერის არაყი უნდა ყოფილიყო და ამავე დროს „წმინდა“ შენახული, ე. ი. მას არ უნდა გაჰკარებოდა ქალი და არ მისცებოდა ღორის ქონი. ზედან-ზედ ღვინოს სწორედ იმიტომ არ ხმარობდნენ, რომ ის შორიდან მოტანილი იქნებოდა და შეიძლება „წმინდა“ არ ყოფილიყო, ზედან-ზედ შესახებებული არაყი ცალკე ინახებოდა [ქვევრში (კეც-ში) მას ვერ მოათავსებდნენ და ურიგ-მარიგოდ უბრალო ღვინოებში ან სხვა ხატის სახელზე მას ვერ დახარჯავდნენ]¹. ვაყიშვილის მსურველი მანდილოსანი ასე ევედრებოდა თანლი თარინგზელ-ს:

„თანლი მექემ თარინგზელ, ჯგვირვალ
ო ჯაბიც ლჰაჯ ი ბედნიერ სვეის,
სვეი მუჭტი ხი ი ნომა აჯშონდეს
ემხუ სვეა“.

მთის მიქემ თარინგზელო, გვედრები
და გენუვი სვიან და ბედიან ვაყიშვილს,
ვაყიშვილის მომცემი ხარ და ნუ დაი-
შურებ ერთ ვაყიშვილს.

ამის შემდეგ ზედან-ს პირს წაუქცევდა და რამდენიმე წვეთ არაყს მიწაზე დააპკურებდა. ძველად სალოცავიდან სახლში მოტანილ ზედანში-ს არაყს ფიჩქ-ზე დააპკურებდნენ, ცეცხლს მოუკიდებდნენ და იტყოდნენ:

„ერთმა ნიშგუთიე ხოლა ლესეს,
ამჟნუ მელამდ ახბდა“.

ვინც ჩვენთვის ცუდი იყოს,
[მას] ასე ალად მოეკიდოს.

ბოლო ხანებშიაც იცოდნენ: ზედან-ის სასმისის ძირში რომ არაყი დარჩებოდა, იმას ცეცხლში ჩააქცევდნენ და თან იტყოდნენ:

„ისგუთე ამახტს ამჟნუ ესგენა
ი სჰაჰჟნუ გარ ჯარს“!

თქვენი მტერი ასე დაიმხოს
და თქვენ კი ზე ამაღლდით!

ზოგჯერ, ვაყიშვილის მოსურნე მანდილოსანი თავის მაგიერ სხვას გაგზავნიდა თანლი თარინგზელ-ში მოსალოცავად. ასეთ შემთხვევებში გაგზავნილი პირი ზედან-ს მოკილ-ს გადასცემდა. მოკილ-ი შესწირავდა ხატს ამ შესაწირავს, შემდეგ შეწირულს თავის საკუთარ ჭურჭელში ჩაასხამდა და მხოლოდ ერთა ყლოუპ არაყს გაატანდა სახლში იმისათვის, რომ მით ზიარებულყო ვაყიშვილის მდომი მანდილოსანი. ამგვარად, შეწირული ზედან-ი ბლომად გროვდებოდა მოკილ-თან და ის სათემო საკუთრებას შეადგენდა და არა მოკილი-სას,—ერთად შეგროვილ შეწირულ არაყს ისევ თემის მცხოვრებლები შეს-

¹ საზოგადოდ არაყი სვანებს მეტად „წმინდა“ სასმელად მიიჩნდათ. როდესაც სვანს იმ ადგილას მისვლამ მოუხდებოდა, სადაც არაყსა ხდიდნენ, მისალმების მაგიერ ან მისალმების წინ აუცილებლად იტყოდა ხოლმე—არაყი წვიმსო. არაყს ვერ გამოუხდოდა მოსახლე, თუ მას შინ თვიურში მყოფი ქალი ჰყავდა. ასეთ „უწმინდურ“ ოჯახიდან საარაყე ქვებს არ ინათხოვრებდნენ. თვიურში მყოფი ქალი ახლო ვერ გაეკარებოდა იმ ადგილს, სადაც არაყსა ხდიდნენ. განსაკუთრებით წმინდად იყო მიჩნეული საზედაზე არაყი. მისი გამოხდა არ შეიძლებოდა, თუ ლატალის თემს შიგნით სადმე ნიცვალეებული ვერალებოდათ დაუმარხავი.

ჟამდნენ ხოლმე. ის, ვინც ერთხელ მიიტანდა ხატში ზედანშ-ს და გამოითხოვდა მისგან ვაჟიშვილის შეძენას, ვალდებული იყო ამიერიდან ყოველწლიურად მიეტანა მასთან ეს შესაწირავი, რადგან მის ოჯახს ეს მოვალეობა უკვე ბევრ-ად ედებოდა საშვილიშვილოდ¹.

ძარტნესგა-ს სამშაბათს ქალები მიდიოდნენ მაცხტარ-ის ეკლესიაში და იქ ლიდბანშ-ს იხდიდნენ. სვანების რწმენით მაცხტარ-ი დიდი სიციხიანი ავადმყოფობის გამჩენი იყო; მას შეეძლო ეს სენი მთელი ქვეყნისათვის მოედო. ამიტომ ევედრებოდნენ მას ამ დროს სვანები სიციხიანი ავადმყოფობა აგვაშორეო:

„მაცხტარ ლატლოშ, ისგუ ნაფიშდუ მაცხვარო ლატალისაო, შენი გაშვებული შაზიგ ნოს ლახთლელ ი ისგუა სენი არავის მიაკარო და შენ სუთიფისგა ნიშგუედდ ხოშა ნორ ჩუე- მოედანზე ჩვენზე დიდი არავინ ქნა. შინე“.

სოფელ იენაშის მცხოვრებლების გარდა, ყველა ლატალელი ქალი ძარტნესგა-ს ოთხშაბათს ლამარია-ს ევედრებოდა ლემზირ-ებით ხელში:

„ძარტნესგა ლამარია, ამ ქორისგა იარნესგას ლამარიაჲ, ამ სახლში უხუდ ი ჩამვად ღანო ისგუ უხვად და გამოუღვევლად მოგვეცი შენი ნალეჯი ი სი ღანეშდ“.

სვანეთში სალოცავი ლამარიები ყველა ერთი იყო გარდა ლენტო ლამარია-სი და ქუთაშიშ ლამარია-სი. ლენტო ლამარია ძვლების ტკივილისაგან დამცველი ღვთაება იყო. როდესაც მის სალოცავში მიდიოდნენ, თან შესაწირავად მიჰქონდათ ტანისამოსი ან მისი ნაწილები, რომლებსაც იქვე დასტოვებდნენ. ამ სალოცავში ქალები ხუთშაბათობით მიდიოდნენ და ლიდბანშ-ს იხდიდნენ ხოლმე. ქუთაშიშ ლამარია-კი მუცლის ტკივილისაგან (გადი მაზიგხან) დამცველი ღვთაება იყო. მას ჩვეულებრივ თავ-თავის სახლებში სწირავდნენ ლემზირ-ებს. ლამარია ქუთაში-სათვის განკუთვნილი იყო ორი დღეობა: ლამარია ლიფთვან-ი (იხ.) და ნალმარა ცაში-ი (იხ.).

ძარტნესგა-ს ოთხშაბათს სოფელ იენაშის მანდილოსნები ნათინმცველ-ს შესწირავდნენ ლემზირ-ებს და ევედრებოდნენ მას სახსრების ტკივილისაგან დავიცავიო:

„დიდბაი ლეგედ ნათინმცველ, ასსუა დიდების მიძებო ნათინმცველო, სახ- მაზიგ ნოსა ლანთლელ ი ლე- სრების ტკივილს ნუ მოგვაკარებ და საქ- ჩემ ი ლქქნესგ ანხუიჲ“.

¹ ყველა ორშაბათს ახალ შთვარეზე და, განსაკუთრებით, უფლიშ-ის (ახალკვირის) ორშაბათს, კვანჭიანების გვარის მამაკაცები მეორე ხატს ლესგულდანში თარინგხელ-ს სწირავდნენ კანაფის მორკვს, რომელსაც კუჭი-ი ეწოდებოდა. ვაჟებივე დართავდნენ ე. წ. ღორეკ-ზე კუჭ-ს, თვითვე მიჰქონდათ ის სალოცავში ზედანშ-თან, ნატუსუნ-სა და ლემზირ-ებთან ერთად. შევედრებდნენ თარინგხელ-ს თავის სეგ-ბედს და შესწირავდნენ მოტანილს შესაწირავებს.

დარტნესგა-ს ხუთშაბათს ქალების ლოცვა-ვედრება და შესაწირავი ლემზირები მიმართული იყო ჯგერაჲ ბოგაშ-ის სახელზე:

„დიდბა აჯგადა ჯგერაჲ ბოგაშს!
ჯგერაჲ ბოგაშ, ქტინლმგენე ი
მარე მან ლანგთხილ ისგუა
ბოგ ი ქტეკა“.

დიდება მოგსვლოდეს ჯგერაგს ხიდისას!
ჯგერაგო ხიდისაო, საქონელი და
ადამიანი ყველა გავვიფრთხილე.
ხილზე და ჭოკზე¹.

დარტნესგა-ს პარასკევის ლოცვა და შესაწირავი ლემზირები განკუთვნილი იყო კაიშა თარინგზელ-ისათვის. კაიშა თარინგზელ-მა იცისო, ამბობდნენ სვანები, მთის ფერღობებიდან მიწის ჩამოშვება და საზოგადოდ მიწის ჩაწევა, რის გამო სახლის საძირკვეს შეარყევს და ხშირად სახლებსაც დაანგრევს ხოლმეო. ძალიან ძლიერ და საშიშ ღვთაებად მიაჩნდათ სვანებს კაიშა თარინგზელ-ი. დარტნესგა-ს პარასკევს შეიძლება მოსახლე არ წასულიყო მის სალოცავში, მაგრამ სახლში მაინც უნდა შეეწირა ლემზირები და ელოცა მის სახელზე:

„კაიშა თარინგზელ, ლღვიმალა
ი დეცე-გიმს² ისგუ ბეტკ ლოხოდა“.

კაიშა თარინგზელო, ნაშენებს
და ცა-მიწას შენი შესაქრავი შემოაკარი.

დარტნესგა-ს შაბათს ლატალელი ქალები ჯგერაჲ უყულდაშ-ის სალოცავში შიდიოდნენ და ლიღბაშ-ს იხდიდნენ. ნაღბაშუნ-ების შეწირვის დროს ისინი ასე ევედრებოდნენ ჯგერაჲ უყულდაშ-ის:

„ჯგერაჲ უყულდაშში, ნიშგუეჲ
ლფაყუტს ცხტი ი ხანჯარ
ათქბტინ, ქვინლმგენას ისგუ
მეფშტედ ნადირ ნოსა ლახთილე“.

ჯგერაგო უყულდაშისაო, ჩვენ
ქედოსანს ისარი და ხანჯალი
აშორე, საქონელს შენი
გაშეებული ნადირი არ მიაკარო.

უყულდაშ-ის ჯგერაჲ-ის შესახებ შემდეგი თქმულება ოყო ხალხში დარტნესგა-ს: ძველად თურმე აღდგომის დარტნესგა-ს შაბათ დღეს (თამთა დარტნესგა-საფტინ-ს) ყოველწლიურად უყულდაშ-ის ჯგერაჲ-ს ილორის ხატისაგან ხარი მოსდიოდა. გათენდებოდა თუ არა დღეობის დღე, ხატის კარის წინ ეს ხარი იდგა და ელოდა, როდის დაიჭერდა მას ჯგერაჲ-ის მარე და შესწირავდა სალოცავს. მაშინ უყულდაშ-ის ჯგერაჲ-ს მომსახურებდად ტურანშა გვარის ხალხი ჰყოლია. ერთ წელს თურმე ილორის გამოგზავნილი ხარი ჯგერაჲ-ის მოკილ-მა მოიპარა და ხალხს კი არწმუნებდა: ილორმა წელს შესაწირავი არ გამოგვიგზავნაო. ამის შემდეგ ილორმა მართლაც შეწყვიტა ხარის გზავნა. ილორის მიერ გამოგზავნილი ხარის მოპარვის შემდეგ ტურანშერების ცხვრის ფარაში ერთი ურქო თხა (გაბუ) გაჩენილა. იმ ხანად ტურანშერებში ერთი მოსახლე-და ყოფილა დარტნესგა, რომელიდანაც მრავლდებოდა თურმე მათი გვარი. იმ მოსახლემ გაბუს მოკლა მოიწადინა. დანა რომ მოიჭნია მსხვერპლის ყელის გამო-

¹ სიტყვა ჭოკს ხმარობენ ლეჩხუმლები წყალზე გასასვლელად გადებული ძელის აღსანიშნავად.

² დეცე-გიმს სვანები ხმარობენ მიწა-წყლის და კარ-მიდამოს მნიშვნელობით.

შაქრელად, ის გაბუ-ს ასცდა, თვით მოხვდა თვალში და მაშინვე მოკლა. ამის შემდეგ ტურანშერებიც ამოწყვეტილა ისე, რომ ამ გვარიდან დღეს ერთი კაციც კი აღარ არის გადარჩენილი.

ილორი ძველად მარტო ლატალის ხატს არ უგზავნიდა ყოველწლიურად ცოცხალ ხარს. ამგვარი შესაწირი მისგან ლენჯერის ჯგერჯ-საც მოსდიოდა მის დღეობებზე. ლენჯერში გაგზავნილი ხარი მარტო იმით განსხვავდებოდა ლატალში გაგზავნილისაგან, რომ პირველს თავზე სვანური ქუდი ჰხურებია; ეს ქუდი, ამბობენ, პატარა იყო და წითელი ფართლისაგან შეკერილიო. მაშინ ლენჯერის ხატის მომსახურეები ანტოშიერები ყოფილან. ხატის მოკილ-ს ძალიან მოსწონებია ხარის წითელი ქუდი, დღე და ღამე ვეღარ ისვენებდა, ისე უნდოდა თურმე ამ ქუდის ხელში ჩადებდა. ერთ წელს ჯგერჯ-ის დღეობაზე, დილით ძალიან ადრე, ისე რომ კარგად გათენებულაც არ ყოფილა, ჯგერჯ-ის მოკილ-ს ილორისაგან გამოგზავნილი ხარი გზაზე შეფეთებია. ის თურმე სალოცავისაკენ მიეშურებოდა თავზე კოხტად დახურული წითელი ქუდით. ვეღარ გაუძლო გულში ანტოშიერს, ვეღარ მოითმინა და ხარს ქუდი მოსტაცა. ამის შემდეგ ილორმა ლენჯერის ჯგერჯ-საც შეუწყვიტა ხარის გზავნაო.

იმ დროს, როდესაც ილორი სვანეთის ხატებს ხარებს უგზავნიდა, სვანეთის სალოცავებისაგან მას სამაგიეროდ სანთელი მოსდიოდა ყოველწლიურად ილორის დღეობებზე. ეს სამი ხატი—ილორის, ლატალისა და ლენჯერის ჯგერჯები—ძმები იყვნენო, ამბობდნენ სვანები. ამ ძმებში უფროსი ილორიაო. სამივე ძმა კახეთიდან ყოფილან მოსული და აქ დასახლებულანო.

დარტნესგა-ს კვირა დღეს სვანის ქალები აწესებდნენ და სწირავდნენ მას ნაღბაშუნ-ებს. აწესებდნენ თვალისა და თავის ტკივილისაგან მფარველი ღვთაება იყო. მას სვანი მანდილოსანი ასე ევედრებოდა:

„აწესებდნენ, მარტო ი მათინ
ანქაბთინ, მასტუნა ნოსა ლანთლე,
ამ მინი ნაწვრალტ სეტებდ აწზიზ“.

იანო ლატალისაო, მარცხი და მავნე
აგვაშორე, ტკივილს ნურას მოგვაკარებ,
ამ კვირის შენავედრები წინ დაგვას-
წვდრე.

1935 წლის აგვისტოს 19. სოფელი იენაში.
მთხრობელი 47 წლის ქვერიჯა ფარჯიანი ს. ა.

ც) ლენჯერში

დარტნესგა ეწოდებოდა ქრისტეშ-სა და შუშხტამ შუა მთელ კვირას. ასევე უწოდებდნენ თანაფ-სა და უფლიშ-ის შუა კვირასაც. ზამთრის დარტნესგა-ს განმავლობაში ლენჯერის თემის მხოლოდ ერთი გვარის ხალხს ხაფთანებს, რომლებიც სოფელ სოლში ცხოვრობდნენ, აღკვეთილი ჰქონდათ ნემსისა და საზოგადოდ ყოველგვარი რკინეულის ხმარება. ამის გარდა ისინი უქმობდნენ კიდევ. ეს აღკვეთა და უქმობა მათ დადებული ჰქონდათ ბერის ხატის მეზრა თარგლეზერ-ის სახელზე და ამიტომ ამ აღკვეთა-უქმების დროს თარგლეზერივე კერბ-ს

ეძახდნენ. ხაფთანები ძალიან უფროთხოვდნენ კერბ-ის გატეხას—საქონელი აღარ გადაგვირჩება ხიფათისაგანო.

დართუნესგა-ს ხუთშაბათი, დართუნესგა ცუშ, ქალების სალოცავი დღე იყო. ამ დღეს დილიდან სტოვებდნენ მამაკაცები და ახალგაზრდობა ოჯახს და მიდიოდნენ სამუშაოდ სახლიდან მოშორებულ ადგილებში. ოჯახში დარჩენილი მანდილოსნები გააჩაღებდნენ ცეცხლს, მერბიელ-ი გამოიტანდა ლამაზი გუბ-ს და მისგან ლემზირ-ებს გამოაცხობდა. შემდეგ ის ამ ლემზირ-ებით ე. წ. გიმი-ლიმზირ-ს შეასრულებდა: დაიხოქებდა კა-კერ-ას წინ, შეევედრებოდა ლამაზ-რია-ს — ოჯახის ბარაქის ნუ მოგვაკლებო და შესწირავდა მის სახელზე გამომცხვარ ლემზირ-ებს. ამ დროს დანარჩენი მანდილოსნები მერბიელ-ის მახლობლად იდგნენ და თავ-თავისთვის ლოცულობდნენ ხმა-ამოუღებლად. როდესაც ლოცვას გაათავებდნენ, შეწირულ ლემზირ-ებს დაინაწილებდნენ და იქვე შესჭამდნენ.

გიმი ლიმზირ-ის გათავების შემდეგ კერიაში ცეცხლს შეუმატებდნენ და სადილისათვის სამზადისს შეუდგებოდნენ. ამასობაში ოჯახის დანარჩენი წევრებიც დაბრუნდებოდნენ სახლში და ყველანი ერთად ისადილებდნენ.

1936 წლის სექტემბრის 2. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის გიგო შუკვანი.

თ) მესტიაში

ზამთრის დართუნესგა-ში მესტიელები ხარებს უღელს არ დაადგამდნენ და არ ამუშავებდნენ, რადგან ეს ავირა კერბ-ი იყო. სხვა წესჩვეულებათა შესრულება დართუნესგა-ს განმავლობაში აქ არ იცოდნენ.

1936 წლის ივლისის 12. სოფელი სეტი. მთხრობელი
60 წლის ტარასი თაისავის ძე ნაკანი.

ი) მულახში

ნოელი კვირა ქრისდემ-იდან შუშხუამ-ამდე, რომელსაც დართუნესგა ეწოდებოდა, უქმეები იყო, სხვა რაიმე განსაკუთრებულ წესჩვეულებათ ამ დროის განმავლობაში არაფერს ასრულებდნენ, გარდა ხუთშაბათ დღისა, როდესაც ქალები გიმი-ლიმზირ-ს აწყობდნენ. ეს ხუთშაბათი, დართუნესგა ცუშ-ი, ქალების დღე იყო; გაისტუმრებდნენ თუ არა მამაკაცებს სახლიდან, მარტოდ დარჩენილები გამოაცხობდნენ ე. წ. ლამაზია ლემზირ-ებს, შესწირავდნენ მათ ლამაზია-ს სახელზე კა-კერ-ის ფეხთან და ევედრებოდნენ მას— ოჯახის ბარაქის ნუ მოგვაკლებ და ქალების ნასაქმარს გაუმარჯვეო. შეწირულ ლემზირ-ებს მაშინვე შესჭამდნენ, რადგან აღკვეთილი იყო მათი ჩვენება მამაკაცებისათვის. კა-კერ-ისთან შეწირულების მიტანა ამ დღეს სახლის უფროსი ქალის, მერბიელ-ის,

მოვალეობას შეადგენდა. დანარჩენი მანდილოსნები ამ დროს მის გარშემო იდგნენ და თავ-თავისათვის ლოცულობდნენ ხმააყოლებლად.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი ჭოლაში.
მთხრობელი 74 წლის ემზა გუჯეჯიანი.

ია) იფარში

დარტნესგა ეწოდებოდა მთელ კვირას ქრისდემ-იდან ზომხა-მდე. დარტნესგა-ს განმავლობაში გადაიხდიდნენ კათხ-ტაბაგ-ს, რომელიც განკუთვნილი იყო ოჯახის კეთილდღეობისადმი, ავადმყოფის სახელზე—მის მოსარჩენად ან წარმოადგენდა ე. წ. ნაუქმი-ს, უქმეების გატეხის გამო მისატყვებელ შესაწირავს. ნაუქმი-ს გადამხდელს მუჰბზარ-ი ეწოდებოდა. თუ თემში ბლომად იყო კათხ-ტაბაგ-ის და ნაუქმი-ს გადამხდელი ოჯახები, მაშინ ისინი რიგ-რიგობით ასრულებდნენ ამ წესს—ერთ დღეს ერთი მოსახლე, მეორე დღეს მეორე და ა. შ.

კათხ-ტაბაგ-ის ან ნაუქმი-ს მომწყობი დაკლავდა საკლავს, რომლის რიცხვი და საზოგადოდ ამ დღის ხარჯი დამოკიდებული იყო ოჯახის ქონებაზე. გამოაცხობდა მრავალ ლემზირ-ს, გამოიღებდა არაყს და უმასპინძლდებოდა მოწვეულ ხალხს. საგანგებოდ მიპატიჟების შემდეგ მასპინძელთან მიდიოდნენ: მისი ლამხუბ-იდან ყველანი—დიდი და პატარა, შორეული ნათესავებიდან მოსახლეზე ოთხ-ოთხი სული და თავის სოფლიდან ოჯახზე თითო კაცი. კათხ-ტაბაგ-ის დროს ახსენებდნენ ხოშა ღერბეთ-ს, ლაგურკა-ს, ჯგჯრწ-ს და ლამზრია-ს, ხოლო ნაუქმი-ს გადახდის დროს ამ ღვთაებათა გარდა განსაკუთრებით სოლომ ფუსნაბუჰსდიშ-ის ხსენებაში იყო ხალხი. ღვთაებათა ხსენება ნათავები არყით (ნათხუმ ჰარაყ-ით) ხდებოდა, ხოლო სუფრაზე-ამგვარი არყით ღვთაებათა ხსენებას ლაჭუშმიალ-ი ეწოდებოდა¹. ხალხი რომ გაშლილი სუფრების წინ დალაგდებოდა, პირველად მასპინძლის ოჯახს დალოცავდნენ:

„ლახეშდ ალ ქორსი ალ ქორა მწრდას“. შეეწიე ამ სახლს და ამ სახლში მყოფს.

ლაჭუშმიალ-ს მოაყოლებდნენ არყით სავსე კათხებს. ლაჭუშმიალ-ის დროს აუცილებლად უნდა ეხსენებინათ სამი ღვთაება: ხოშა ღერბეთ, ჯგჯრწ და ლამზრია. დანარჩენ ღვთაებათა ხსენება სტუმრების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. სმა-ჰამა-მხიარულების გათავების შემდეგ, როცა ხალხი წამოიშლებოდა თავ-თავის სახლებში წასასვლელად, მასპინძელი საყინ-ს გამართავდა: გარეთ გასასვლელ კარში ჩადგებოდნენ მეგნე-ები (არყის ჩამომრიგებლები; იმ პირს, რომელიც არაყს უშუალოდ კათხებში ასხამს წუდა ეწოდება), მათ ხელში ეჭირათ კარტა, რომელშიც ჩადგმული იყო არყით სავსე შოზრდილი კათხა. თუ სახლს ორი კარი ჰქონდა, მაშინ ყოველ მათგანთან დგებოდა თითო მეგნე, ხოლო თუ ერთი კარი—მაშინ მასთან ორი მეგნე იყო გაჩერებული.

¹ ლაჭუშმი-ი ღვთის წყალობით მოსაკითხით მოსვლას აღნიშნავდაო, — განმარტავს მთხრობელი.

სახლიდან გამსვლელ სტუმრებს ცალ-ცალკე აწვდიდა მეგნე არკით სავსე კათხას და ოჯახს ალოცვინებდა. სტუმარიც სასმისით ხელში ასე დაილოცებოდა:

„ალ საყიან ნოსა ანშტუხა,
ღერბმეთ, ალ ქორისგა“.

ამ საყიანს ნუ მოშლი,
ღმერთო, ამ სახლში.

სტუმარი კათხას გამოსცლიდა და მიემართებოდა თავის სიხლისაკენ.

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკიფარი.
მთხრობელი 80 წლის სოხარ გულბანი.

იბ) კალაში

ა. ხალდეში

ქრისტიანობიდან დაწყებული ზომბა-მდე მთელ კვირას დართნესგა ეწოდებოდა. ამ დროს განმავლობაში უქმე იყო და ოთხშაბათ-პარასკევს სახსნილო დღეები. დართნესგა-ს ხალხი ლოცვა-ვედრებასა და მოლსენა-ქეიფში ატარებდა დროს. როდესაც ლოცვა-ვედრებას და შეწირულებას მორჩებოდნენ, მეზობლები ერთმანეთს ეწვეოდნენ და გაშლილ სუფრასთან დროს ატარებდნენ. დართნესგა-ს ხუთშაბათი დართნესგა ცეშში ქალების დღე იყო. ამ დღეს ისინი თავთავის ოჯახს შიგნით ე. წ. გიმი-ლიმზირ-ს აწყობდნენ: გაისტუმრებდნენ მამაკაცებს სახლიდან, მერბიელ-ი ლამპრია ლემზირ-ებს გამოაცხობდა და კაკერ-ის ფეხთან ჩაცუტქული შესწირავდა მათ ლამპრია-ს სახელზე. დანარჩენი მანდილოსნები იქვე იდგნენ და ყველანი ერთად ევედრებოდნენ ლამპრია-ს— ოჯახში ბარაქა გაგვიმრავლე და სიმხიარულეში გაგვატარებინე მომავალი წელიწადიო.

დართნესგა-ში კვირა დღით, დართნესგა მიშლა დელ-ს, იმართებოდა სასოფლო დღეობა. ერთი ან რამდენიმე მოსახლე ამ დღეს ჭისხუ-ს ანუ უსხუ-ს დაჰკლავდა და მთელ სოფელსა და თავის მოკეთე-ნათესავებს უმასპინძლებოდა.

ჭისხუ-ის ანუ უსხუ-ს დაყენება შემდგენიარად ხდებოდა: კვირა დღეს, მის შემდეგ, რაც ხბოს დედის ძუძუს გააშვებინებდნენ, მიიყვანდნენ მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და ფუსნაბუჟსდიშ-ს შესწირავდნენ. სახლის უფროსი ამ დროს შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„დაღბ ზჯანდ, ფუსნაბუჟსდიშ,

დიდება მოგსვლოდეს, უფალო ბუასდისაო,

ისგუ უსხუ-ს, ისგუ ლალგენა

შენი უსხვა², შენი შესაწირავი³

უსხუ-ს ათფიშირ ნიშგუე ქორისგა;

უსხვა გაამრავლე ჩვენ სახლში;

¹ ანუ დართნესგა.

² უსხუ-ს ანუ ჭისხუ-ს ეწოდებოდა დიდი ღმერთისათვის შეწირულ მოზვერს ან ხარს.

³ ლიგნე—დაყენება, ლალგენა—დასაყენებელი.

ფუსნაბუხსდიშ, ისგუა უსხუა
ნაყა ისგუა ნწმზრუნდ, დიდამ
აჯუაღა“.

უფალო ბუასდისაო, შენი უსხვა
გყყავს შენ შესაწირაჲად, დიდება
მოგსვლოდეს.

ამ ხბოს კუროდ გაუშვებდნენ და სამი-ხუთი წლის შემდეგ მას დიდი ღმერთის სახელზე დაჰკლავდნენ.

დართუნესგა-ს კვირისათვის მასპინძლის ოჯახი წინასწარ მოიმარაგებდა არაყს და სხვა სურსათ-სანოვავს. დღეობის დღეს შესაწირავ უსხუაღ-ს მიიყვანდნენ მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, რქებზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ, ერთ სანთელს სახლის უფროსი აიღებდა და თავზე, ზურგსა და კუდთან ბალანს შეუტრუსავდა და ფუსნაბუხსდი-ს შესწირავდა შემდეგი ლოცვით:

„დიდამ აჯუაღა, ფუსნაბუხსდიშ,
ისგუა უსხუაირე ლაძჳნიწუ ტა-
რტეს ამიგ აშირ ათას ი მადლი
ჯერი; ფუსნაბუხსდიშ, ათფიშირ
ნიშგუთეა ქორისგა კუმამ ი მარე“.

დიდება მოგსვლოდეს, უფალო ბუას-
დისაო, შენი უსხვების დასაკლავი ტარო-
სი მომიტანე ასი ათასი და მადლი გექ-
ნება; უფალო ბუასდისაო, გაამრავლე
ჩვენ სახლში საქონელი და ადამიანი.

ვიდრე უსხუა-ს რქებზე სანთელი ჩაუქრებოდა, მამაკაცები მის წინ არაყს სვამდნენ. შემდეგ მიიყვანდნენ ხარს კერიის პირად, მარჯვენა გვერდზე წააქცევდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთისაკენ ჰქონოდა და ბანდარ-ზე დაჰკლავდნენ. დაკვლის დროს დანას ყელში დაუტრიალებდნენ, სისხლიდან დასწურავდნენ და შემდეგ თავს მოაშორებდნენ. ხარს გაატყავებდნენ და დააჩარქებდნენ. მარცხენა ბეჭის გათხოვილ ქალიშვილს (ჰასტიშ-ს) გაატანდნენ ძღვენად, ხოლო მარჯვენა ბეჭის ხორცი კუბან-ებს (ხორციან კვერებს) გამოაცხობდნენ. ამ დღეს დიდი ზომის კუბან-ებს აცხობდნენ. დანარჩენ ხორცს მშრალად მოხარშავდნენ და გულ-ღვიძლს კი (ყუიყე-გუი-ს) შესწავდნენ. ყუიყე-გუი, კუბან-ები და ზედამ-ი ეკლესიის კარზე მიჰქონდათ, ფუსნაბუხსდიშ-ს სწირავდნენ და თან ევედრებოდნენ ჩვენ ოჯახს და ოჯახის ერთგულებს შეეწიო. შეწირულ არაყს (ნათაველს) იქვე დალევდნენ, ზედ ლემშირ-ებისა და გულ-ღვიძლის ნაწილს დააყოლებდნენ, დანარჩენს კი სახლში წაიღებდნენ და მით შინმყოფთ აზიარებდნენ. ამ დროისათვის მასპინძლის ოჯახში შეიკრიბებოდნენ სოფლის მცხოვრებნი, ნათესავები და მეგობრები, გაშლიდნენ სუფრებს, უფროს-უმცროსობით გარს შემოუსხდებოდნენ და იმართებოდა სმა-ჭამა-ჭიფი. პირველი ორი ყანწით (ქერახს-ით) მასპინძლის ოჯახს დალოცავდნენ, მესამე ჭიქით ჯგჯრანგ-ს ახსენებდნენ, რომელსაც ჯგჯრანგ-ის სიმღერას მოაყოლებდნენ და შემდეგ დაიწყებოდა თავისუფალი სადღეგრძელოების სმა, სიმღერები და ცეკვა-თამაში. ასე ილხენდა სოფელი ნაგვიანვე ვახშობამდე, რის შემდეგ მთვრალი ხალხი თავ-თავის სახლებს უბრუნდებოდა.

B. დავებრი

დარტნესგა. ასე ეწოდება დროს ქრისტეში-იდან შუშხტამ-ამდე. ამ ხნის განმავლობაში უამრავი კუახ-ლემზირ-ი ცხეობდა ყოველ ოჯახში. ამ ლემზირ-ებით ლოცვა-ვედრებას უგზავნიდნენ სვანეთის ყველა სალოცავს. ამავე დროის განმავლობაში მართავდნენ კათხ-ტაბაგ-ებს. კალაში კათხ-ტაბაგ-ის წესები ისეთივე სახის იყო, როგორც უშგულში. (იხ.)

1936 წლის აგვისტო. სოფელი დავებრი.

მთბრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

ივ) უშგულში

ქრისტეში-სა და ზომხა-ს შუა მთელ კვირას დარტნესგა ეწოდებოდა. ამ კვირის განმავლობაში სვანებმა დიდი ლიმზურ-ების გადახდა იცოდნენ, — მათ უნდა მოეხსენებინათ და შესაწირი მიეძღვნათ მთელი სვანეთის და მეზობელი კუთხეების სალოცავებისათვის, მათი ამშენებლების და ხატ-ჯვრების მომ-ტან-გადმომსვენებელთა სახელზე. ამიტომ ყოველდღიურად, დილა-საღამოს, თვითივე ოჯახში უამრავ ლემზირ-ს აცხობდნენ. ქორწ მახტში-ი ლიმზურ-ის დროს სალოცავების მოხსენებაში გარკვეულ თანმიმდევრობას იცავდა: პირველად უშგულის წმინდანებს ახსენებდა, შემდეგ კალის, იფარის, მულახისა და მესტიის სალოცავებს ჩამოსთვლიდა, ამათ მიყოლებდა ქვემო სვანეთის ხატებს, შემდეგ იმ წმინდანებს, რომლებმაც ხატები გადმოასვენეს საწერეთლოდან (საწერეთლოხან), რაჭა-ლემზირიდან (ქართხან), ზესხვადან (ზესხუახან), შემდეგ ლატალ-ლენჯერის და ბალსქვემოურ სალოცავებს ჩამოსთვლიდა, მათ რომ ჩამოათავებდა, გადავიდოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სალოცავებზე, ბოლოს ლამზრია-ს ახსენებდა და უკანასკნელად შუშხტამ დილით სამ ლემზირ-ს აიღებდა და იმ წმინდანებს აღიდებდა, რომელთა სახელის მოგონება ქორწ მახტში-მა ვერ შესძლო. თვითივე წმინდანისა და სალოცავის სახელზე სამ-სამ ლემზირ-ს სწირავდნენ. ხელიწროობის გამო ზოგ ოჯახში შორეული თემების სალოცავებიდან ხშირად მხოლოდ მთავარ ხატებს მოიხსენებდნენ, ან ზოგადად იტყოდნენ ამდაამ თემის სალოცავებს დიდებო და ყველა ამ სალოცავის სახელზე სამ ლემზირს შესწირავდნენ.

დარტნესგა-ს განმავლობაში უშგულელები მართავდნენ აგრეთვე ე. წ. კათხ-ტაბაგ-ებსა და ბაცხ-ებს. ბაცხ-ს ჩვეულებრივ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად იხდადნენ. ბაცხ-ის მომწყობი ოჯახი წინა დღით დაჰკლავდა ერთს ან ორ-სამ ხარს, ხორცს მოხარშავდა და ულუფებად (ლაგაფ-ებად) დაანაწილებდა. ლაგაფ-ი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი კომლიც იყო უშგულში. ულუფებად დანაწილებამდე ცალკე გამოყოფდნენ და ოჯახის გათხოვლ ქალიშვილს (ჰასტიშ-ს) უგზავნიდნენ ხარის მარჯვენა ბეჭს, რომელსაც ამიტომ ნაწუბრი-ი (შესაწირავი) ეწოდებოდა. ამავე დროს ბაცხ-ის გადამხდელის ოჯახში აცხობდნენ საკმაოდ დიდი ზომის თითო კვერს. — უშგულის მოსახლეობის ყოველ სულ-

ზე. ამ კვერებს სეფსკუტერ-ებს უძახდნენ. ბაცხ-ობა დღეს დილიდანვე მიდიოდა. ხალხი არყის სასმელად მასპინძელთან. უკანასკნელის ეზოში გამოდგმული იყო არყით სავსე დიდი ზომის ხის ჭურჭელი—სეგდა, რომელსაც მიჩენილი ჰყავდა არყის განმანაწილებელი—მეგნე. მეგნე არყით სავსე კათხებს აწვდიდა ხალხს იმდენჯერ, რამდენჯერაც ისინი მოისურვებდნენ. არყის ამგვარად დაღვევის წესს საყვან-ი ეწოდებოდა. არყით დაკმაყოფილებულ ხალხს ურიგებდნენ წინასწარ დამზადებულ ხორცსა და პურს—მოსახლეზე თითო ლავაფ ხორცს და მის ოჯახში შემავალ ყოველ სულზე თითო სეფსკუტერ-ს, რომლებიც მათ თავ-თავის სახლებში მიჰქონდათ.

კათხ-ტაბაგ-ს უშგულელი მართავდა ოჯახის კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ოჯახში მძიმე ავადმყოფი მორჩებოდა. კათხ-ტაბაგ-ის გადამხდელი დაიბატოებდა გათხოვილ ქალიშვილებს (ჰასტიშ-ებს), ძმისწულებს და შვილიშვილებს (ნიბაშინ-ებს) და სხვა ახლო ნათესაებს. ზოგი მოსახლე, თუ მას წინასწარ ჰქონდა შეთქმული, უშგულის მცხოვრებთა კომლზე თითო კაცსაც მოიწვევდა, მაგრამ უკანასკნელთა მოპატიუება კათხ-ტაბაგ-ის მეორე დღის სუფრაზე ხდებოდა. ჰასტიშ-ნიბაშინ-ი და სხვა ახლო ნათესაები მასპინძელს დილით ეწვეოდნენ. ამ დროს ჰკლავდნენ დუმეყ-ში ნამყოფ ლაღად ნასუქ ხარს, ვერძსა და ტახს (მიცვალეზულთა სულეებისათვის და ცოცხალთა საკეთილდღეოდ განკუთვნილ სამსხვერპლო ხარებს სვანები დუმეყ-ში გაუშვებდნენ ხოლმე. დუმეყ-ში გაშვება ეწოდებოდა გაზაფხულზე, ხვან-თესვის გათავების შემდეგ. სამსხვერპლოდ გამოყოფილი ხარების მთა შხარაზე არეკვას გასასუქებლად. ამ ხარებს გააყოლებდნენ 10—15 სვანს, რომლებსაც მუღმუყ-ები ეწოდებოდა. ჩვეულებრივ მუღმუყ-ებად იყვნენ ადამიანის სიკვდილიანობით დაზარალებულ (ჭირისუფალ) ოჯახთა წევრები. ამ პირებს ატანდნენ თავის შესაწირავ ხარებს. კათხ-ტაბაგ-ის მომწყობი მოსახლეები არა მხოლოდ უშგულიდან, არამედ მულახიდან და მესტიიდანაც. თითო ხარის პატრონობისათვის მთა შხარაზე მუღმუყ-ები იღებდნენ ძველი ღირებულების ექვსაბაზიან სანთელს ან მის საფასურს. შესაწირავი ხარები შხარაზე ღვინობისთვემდე ლაღობდნენ. შემდეგ მათ უშგულში ჩამორეკვდნენ ხოლმე და, იმისდა მიხედვით, თუ როგორი პირობა იყო დადებული, ან პატრონებს მიჰგვრიდნენ ან თვით შეინახავდნენ კათხ-ტაბაგ-ის გადახდამდე). კათხ-ტაბაგ-ზე დაკლული ხარის ან ხარების გულ-ღვიძლს (ყუიყე-გუი-ს) და ზედაშ-ს სალოცავში წაიღებდნენ და იქ შესწირავდნენ. შეწირულ ზედაშ-ს იქვე დაღვედნენ, ხოლო გულ-ღვიძლს სახლში მიაბრუნებდნენ და მით შინმყოფთ აზიარებდნენ. ამის შემდეგ მაჩუბ-ის მარან-ში შეჰქონდათ ფიჩქ-ი და მას ქვევრის (კეცი-ს)¹ თავთან დადგამდნენ. ფიჩქ-ზე მოთავსებული იყო ხარის

¹ ძველბურთი ქვევრები მრავლად მოიპოვება უშგულის თემის მაჩუბ-ების მარნებსა და ციხეებში,—განმარტავს მთხრობელი და დასძენს—ძველად სვანებს არყის გამოხდა არ სცოდნიათ, მის მაგივრ თაფლისაგან რანგს აყენებდნენ და მას ხმარობდნენ როგორც სასმელად, ისე სახედაშედ. მთხრობელს არაფერი სმენია იმის შესახებ, იცოდნენ თუ არა ძველად სვანებმა

თავი, ლემზირ-ები, ზედაშ-ი და ანთებული სანთლები. მის გარშემო გაჩერდებოდნენ ოჯახის წევრები და ახლო ნათესაეები, ქორაშ მახტში ხმა-მალა ილოცებდა ოჯახის კეთილდღეობისათვის, დამსწრენი „ა მ ე-ე-ნ-ს“ იტყოდნენ და შემდეგ შეწირულ საჭმელ-სასმელს ეზიარებოდნენ². მეორე დღეს კათხ-ტაბაგ-ის გადამხდელთან იკრიბებოდნენ უშგულის მოსახლეობის წარმომადგენლები, ოჯახიდან თითო კაცი, ყველანი სუფრებს შემოუსხდებოდნენ, მასპინძელი ჩამოარჩებდა სამ კაცზე თითო ლაგაჟ ხორცს და თითო საშუალო ზომის ე. წ. გომეჯ-ს; გარდა ამისა სუფრაზე აწყობდნენ ჩვეულებრივ პურებს, მოჭქონდათ არაყი და სტუმრებს გულუხვად უმასპინძლდებოდნენ.

ზოგი მოსახლე ბაცხ-სა და კათხ-ტაბაგ-ს შემოდგომაზე ნოემბრის თვემდე (საშიშ-ამდე) ე. წ. ლახორ-ში გადაიხდიდა.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ყიბიანი.
მთხრობელი 80 წლის ივანე ხ ა ჭ ე ა ნ ი.

ქვევრების კეთება და სვანების ნაკეთებია თუ არა ის ძველებური ქვევრები, რომლებიც ციხეებსა და მარნებში მოიპოვება. ამჟამად კი უშგულელები ქვევრებს და საზოგადოდ თიხის ჭურჭელს. ორბელში (სოფელ ახალჭალაში) ყიდულობენ და იქიდან ეზიდებიან.

² მარანში ლიმზურ-ების გამართვა ჰასტიშ-ნიბაშინ-ის თანდასწრებით უშგულელებმა ზოგიერთ სხვა დღეობაშიც იცოდნენ.

**8. დეშტამ, ეშტამ, შეშტამ, უშუშტამ,
უშუშტამ, ლიქინალ (31 დეკემბერს)**

A. ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო ტ

ა) ლახამულაში

1. მოსახლეობის ერთ ნაწილში

დეშტამ. ოჯახის ახალგაზრდა წევრი მამაკაცი დილით ტყეში წავი-
დოდა და იქ ნაძვისა და მრავალკვირტიანი თხილის ტოტებს მოსჭრიდა. ამ ტო-
ტებს ერთმანეთში შეურევდა და ერთად შეკონავედა. ასეთ კონას გუიზ-ი ეწო-
დებოდა. გუიზ-ის გარდა ამ დღეს სვანს მოჰქონდა სახლში გულ-ად წოდებული
მსხლის ხე, რომელსაც ლიფანალ-ისათვის (იხ.) შეინახავდნენ. დეშტამ ლამეს
ნავასშმევაშდე გუიზ-ს, გულ-სა და ნაძვის ცალკეულ ტოტებს კალოზე დატო-
ვებდნენ.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე, მოსავლის აკრეფის დროს, ერთ-ერთ კვირა
დღეს, რომელსაც ლიზორალ-ი (იხ.) ეწოდებოდა, ლასკარ-ის წევრებს შორის
აგროვებდნენ სადღესასწაულო ხორბალს ან ფქვილს. ოჯახის ყოველ სულზე თი-
თო კარტა ფქვილი ან ხორბალი გამოჰქონდათ. თვითეული ოჯახიდან დამატე-
ბით გამოჰქონდათ თითო კარტა დიდი ღმერთის სახელზე². ამ ხორბალს ან
ფქვილს უფლიში ტაბლშ-ი ეწოდებოდა. უფლიში ტაბლშ-ში ხმარდებოდა სამ
დღესასწაულს დეშტამ-ს, კანდა-ს და უფლიშ-ს.

დეშტამ-ს ვახშმისათვის ლასკარ-ის მორიგე მასპინძლის (მეხელ-ის) ოჯახ-
ში დააცხოზდნენ უამრავ სადღეობო კვერებს უფლიში ტაბლშ-ისაგან და პირა-
დი საკუთრებიდან დაჰკლავდნენ ხბოს და სხვადასხვა წვრილფეხა საქონელს--
თხას, თიკანს ან კრავს. საკლავის დაკვლის დროს ლასკარ-ის უხუცესი წევრი
(ხლშა მარე) შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

¹ ლახამულასთვის დეშტამ-ის ორი ვარიანტი (1 და 2) მოგვყავს, ვინაიდან ეს დღეო-
ბა აქ ორნაირი სახით იყო წარმოდგენილი. ერთი სახის (1) დეშტამ-ში სალასკარო იყო, მის
წესებს ასრულებდნენ ლასკარ-ები, ხოლო მეორე სახის (2) დეშტამ-ში საოჯახო დღეობა იყო
და მას ცალკეული ოჯახები ასრულებდნენ, რომლებიც ლასკარ-ში არ (ან ალარ) იყვნენ გაერ-
თიანებულნი.

² თანაც და ნესტორ ჭკადუების თქმით, ხორბლის შესაკრეფად ხმარდებდნენ მეორე საწ-
ყავს, რომელსაც „ტურფა“ ეწოდებოდა. კარტა-ში 1/2 ფუთი ხორბალი ჩადის, ხოლო სამი
ტურფა 2 ფუთ ხორბალს იტევს.

„ო-ო, დიდბოჟ აჯედა, მალდოჟ აჯედა დლ ეშხტამის დიდბ! დლ ეშხტამის, ისეტი ტაბლასიმ ლიკალ ნარ ი ხოჩა გუეი ნაყრ ნს სახუბს, ლიყტლ ნებოსს ხოჩა გუეი ანუნ-ჭტირ უშხტართე, მარემ ქუნემ ნაშხა ჯადლუნიდ ბაზიმ ლიმზურს, მანე ზაქემ ლიცადლ ხოჩა გუეი ნაყრ ნს სახუბს“.

ო-ო, დიდება მოგვლოდეს, მაღლი მოგვლოდეს დალ ეშხვაამისას დიდბა! დალო ეშხვაამისაო, შენი ტაბლას ალე-ბის დრო გვაქეს, კარგ გულზე გვაყოფე ჩვენ სამმო, ლიყტლ¹ სალამოს კარგ გულზე შეგვყარე ერთმანეთს, ადამიანის სულის სამშვიდობოდ გიდენია ამაღამის ლოცვას², ახალი წლის შეცვლა კარგ გულზე მოგვეცი ჩვენ სამმოს“.

ამ საკლავის ხორციან ერთად, აგრეთვე მეხელი-ს პირადი საკუთრებიდან, ვახშმისათვის ხარშადენენ ღორის შაშხს (აპეტხ-ს). არაყი მეხელ-ს რამდენიმე დლით ადრე ჰქონდა გამოხდილი და ნავარაუდევო იყო ისეთი რაოდენობით, რომ ლასკარ-ს ჰყუნოდა ეშხტამ-ს ვახშმისათვის და ახალწელიწადს ორი-სამი დღის განმავლობაში.

მეხელ-თან ვახშამზე ეშხტამ სალამოს მოდიოდნენ ლასკარ-ის წევრები თავის ოჯახობით და იმართებოდა ჭამა-სმა, ქეიფი და სიმღერები. ნავახშმევს ლასკარ-ი დაიშლებოდა და ყოველი მეკომური თავის სახლს მიაშურებდა. ვიდრე თავთავის ოჯახებში შეიკრიბებოდნენ, სახლის უფროსი გაუვლიდა თავის ეზოში შენახულ გუიზ-სა და გულ-ს, რომლებსაც შინ შესვლისას თან შეიყოლებდა. მას შემდგომ, რაც გუიზ-ი და გულ-ი სახლის ქერქევს მოექცეოდა, სვანი სვანს გარედან ხმამაღლა ველარ დაუძახებდა და ყოველი მოსახლე იწყებდა თავისთვის საახალწლო სამზადისს. გააჩალებდნენ კერიაში ცეცხლს და ოჯახის უფროსი ქალი შეუდგებოდა საახალწლო პურების ცხობას. პირველად გამოაცხობდა სამ ცალ ლამარია ლემზირ-ს და შემდეგ ყველიანსა და ხორციან პურებს. ლამარია ლემზირ-ი იყო მრგვალი კვერი, რომელსაც ჩვეულებრივი ლემზირ-ებისაგან განსხვავებით ნაპირზე სამ ადგილას თითოთ ქდეები ჰქონდა გაკეთებული. ჩვეულებრივი სადღეობო შესაწირი კვერებიც (ლემზირ-ები) მრგვალი იყო, მაგრამ მათ ნაპირზე ქდეების ნაცვლად თითოთ სამი კუწუბი ჰქონდა გამოწვევრილი. ლამარია ლემზირ-ები უხილავი (უწონაშ-ი) იყო, მათი დანახვა არ შეეძლო ოჯახისათვის უცხო პირს. ეს ვრცელდებოდა აგრეთვე სახლის შინაურ მეკვლეზედაც (ქორნ მკუშხი-ზე), რომელიც ამიტომ ლამარია ლემზირ-ების გამოცხობას არ ესწრებოდა. როდესაც დინსალი ლემზირების ცხობას გააფავებდა და ღორის ხორციც მოიხარშებოდა (არაყი, ლასკარ-ის მეხელ-ის მსგავსად, რამდენიმე დლით ადრე ჰქონდათ გამოხდილი და მომარაგებული)—შეუდგე-

¹ ლიყტლ-ი ლახამულაში ახალკვირის შაბათს ეწოდებოდა.

² ლიმზურ-ის ცნებას კარგად უდგება ქართული სიტყვა წირვა, ვინაიდან როგორც ეს უკანასკნელი, ისე სვანური ლიმზურ-ი აღნიშნავდა არა მარტო ლოცვას, არამედ ერთდროულად ლოცვას და მსხვერპლის მიტანას.

ბოდნენ სამეკვლეო კალათის (ლაქშინაშ კუიდილო-ის) გაწყობას. ქორს მუქში ვერც ამ მოქმედებას დაესწრებოდა, მას ახალწლამდე ალკეთილი ჰქონდა სამეკვლეო სტერის დანახვა. ლაქშინაშ კუიდილო-ში ჩააწყობდნენ: გუიზ-ს, ერთ ჯამ (ფაქან) ფეკოს (ფექ-ს), ხორცს ლორისას, ბამბის ან მატყლის ძაფს, თომს (წერქუ-ს), ფართალს (ბარდან-ს), ვერცხლეულს, ლემზირ-ებს და სხვა.

ახალწელიწადს მეკვლედ ქორს მუქში-ს გარდა სვანის ოჯახს კიდევ ორი პირი ჰყავდა: წყლის მეკვლე (ლიცე-მუქში) და გარეშე მეკვლე (ქამე მუქში). ლიცე-მუქში-ც შინაური მეკვლე იყო, ამავე ოჯახის წევრი, მაგრამ პირველ ქორს მუქში-საგან გასარჩევად მას ლიცე-მუქში-ს უწოდებდნენ იმიტომ, რომ მის პირდაპირ მოეღობას შეადგენდა ახალწელიწადს დილით წყალზე წასვლა. ქორს მუქში აქვს ლამის სახლში ვერ დარჩებოდა. ამიტომ ის ჯერ კიდევ ლაქშინა-კუიდილოს გამზადებამდე მიდიოდა საცხოვრებელი ბინიდან სახლის მეორე სართულზე დასაძინებლად¹. ქამე მუქში გარეშე პირი იყო, სხვა ოჯახის წევრი, რომლის ფეხი მოსახლეს კეთილად ჰქონდა დაცლილი და ამიტომ ის თავის მეკვლედ ჰყავდა ამორჩეული. ერთი და იგივე პირი ქამე მუქში-ად რჩებოდა იმ დრომდე, ვიდრე მისი მეკვლეობა ოჯახისათვის არ გაცუდებოდა და იმ წელს მას ზარალი არ მოუვიდოდა. ასეთი შემთხვევის შემდეგ დაზარალებული ოჯახი სხვა ქამე მუქში-ს შეიგულებდა ხოლმე. აქვს ლამის ლამის კენჭის ყრის (ჯილმა-ს) საშუალებით ლიცე მუქში-ს ამორჩევდნენ.

აქვს ლამის დღეს სვანი ცდილობდა მხიარულად გაეტარებინა დრო, არავისათვის ეწყენინებინა, არავის წასჩულებოდა და ახალწლისათვის ცუდი არაფერი დაჰბედებოდა.

1936 წლის ივლისი. სოფ. ქვემო-ლახამულა. მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ სოფის ძე ჭკადუა.

ბ. მოსახლეობის მეორე ნაწილში

აქვს ლამის. სვანი ამ დღეს ცდილობდა არავის წასჩულებოდა, ცუდი რამ არ შეეხებებინა, არც თავისთვის და არც სხვისთვის. საზოგადოდ, სიტყვით და საქმით სიმხიარულე და სიკეთე დაეხებებინა მთელი მომავალი წლისათვის.

აქვს ლამის დილით ოჯახიდან ერთი რომელიმე მამაკაცი წავიდოდა ტყეში და იქ მოსჭრიდა ხშირწიწვიან ნაძვისა და მრავალკვირტიან თხილის ტოტებს დაფოთილ ხის ტოტებთან ერთად. ამ ტოტებს ერთად შეკონავდნენ და მას გუიზ-ს უწოდებდნენ. ამ ტოტების გარდა სვანს სახლში მოჰქონდა კაკლის ან მსხლის ხის მსხვილი ტოტი ჯულ-ი. ნავახშმევამდე ამ ტოტებს მოსახლე თავის ეზოში ინახავდა.

ხშირად აქვს ლამის-ის წინაღობა და ან თვით აქვს ლამის ყოველ ოჯახში გასუქებულ ნეზს დაჰკლავდნენ. ამ საკლავს სვანი შემოდგომამდე შეარჩევდა, გამოყოფდა, კისერთან ჯაგარს წაჰკრეჭდა, შემდეგ სხვა სადღეობო საკლავებთან ერთად დაამწყვდევდა და დაუწყებდა განსაკუთრებულ მოვლას, გადაჭარბებით კვებას და სუქებას. ჩვეულებრივ, სადღეობო საკლავების გამოყოფა და მათი

¹ სვანური სახლი (ქორ) ორსართულიანია. ზამთრობით სვანი ქვემო სართულში ცხოვრობს საქონელთან ერთად, ხოლო მეორე სართულში ამ დროს საქონლის საკვები აქვს შენახული. ზაფხულობით კი ზემო სართულს ხმარობს საცხოვრებელ ბინად. ბალს ქვემოთრად სახლის ქვემო სართულს ეწოდება სვირ-ი, ზემო სართულს ლუფხუ-ი ანუ დარბაზ-ი.

მოვლა-პატრონობა ოჯახის უფროსების ხელში იყო. სახლის უფროსის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე დღეობებზე მათი დაკვლა-შეწირვა. ხოშა მარე მიიყვანდა სამსხვერპლოს სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, წალმა (ე. ი. მარჯვენა) დაატრიალებდა მას ხმამაღალი ლოცვა-ვედრებით და შემდგომ სარკმლის პირდაპირ, კერიის პირად მდგომ მერხთან (ბანდარ-თან), ანთებული კვართ ყელს შეუტრუსავდა, მერხზე თავს დაუდებდა და ისე დაჰკლავდა. დაკლულ მსხვერპლს ქვემოდან ჭურჭელს შეუდგამდნენ და მის სისხლს დააგროვებდნენ. ეს სისხლი ოჯახის გარეშე პირათთვის ლალყაჯ-ი იყო, მისი არც დანახვა და არც შეჭმა არ შეეძლო ამ პირებს. ლალყაჯ-ი იყო მსხვერპლის ჯაგარიც, რომელსაც, გააცლიდნენ თუ არა ღორს, მაშინვე მიწაში ჩაფლავდნენ, ან ცეცხლში დაწვავდნენ. ლალყაჯ-ი იყო აგრეთვე მსხვერპლის შემდეგი ნაწილები (რომლებსაც ამიტომ პირველ რიგში გამოყოფდნენ და დაფარულ ადგილას გადააწყობდნენ): ნაწლავები, მუცელი (ჭად) ძუძუებიანად და ქვედა ყბა.

ეფესტამ საღამოს ვახშმისათვის მზადების გარდა, გაცილებით უფრო მეტად, მეორე დღისათვის ემზადებოდნენ: აცხობდნენ ლემზირ-ებს, ხორციან პურებს (კუბად, მრ. რ. კუბდარ), ხარშავდნენ ღორის ქვედა ყბას და სხვა ნაწილებს და სხვა. ამ ღამეს ვახშად სახსნილო სუფრას გაშლიდნენ. სუფრაზე აწყობდნენ ზისხორა-ს, კუბად-ებს, ღორის მოხარშულ გულ-ღვიძლს (ყუჩიყე-გუჩი-ს). ელენთას (ნენირ-ს) და სხვა საჭმელსა და სასმელს. ზისხორა-ს სვანები სისხლიან ძეხვს ეძახდნენ: დაკლული ღორის სისხლში გადაურევდნენ მსხვერპლისავე წვრილად დაჭრილ შინაგან ქონსა და ფიჭვებს, შემდეგ მას სუფთად გარეცხილ ნაწლავებში მოათავსებდნენ, ნაწლავებს პირებს მოუკრავდნენ და ისე მოხარშავდნენ. ზისხორა-ც ლალყაჯ-ი იყო, რადგანაც მას ამზადებდნენ მსხვერპლის სისხლისა და შინაგანი ნაწილებისაგან. ვახშმის ჭამის წინ გაშლილ სუფრასთან სახლის უფროსი ჯუპარ ეფესტამიშ-ს ასხენებდა და შეევედრებოდა მას—ოჯახი ბარაქით აგვივსე და ბედნიერებაში გაგვატარებინე მომავალი წელიწადი ჩემი შინამყოფებითო.

ნაგავშმევს ახალწლის მისალოც კალათას გაამზადებდნენ: გიდელ-ში (გუდელ ანუ ცხინკ) ალაგებდნენ ფართლელს, ფულს, ვერცხლელს, აბრეშუმის ძაფებს, ჯამით ფქვილს, ყველის წველას, ორს ჩვეულებრივი სახის ლემზირ-ს, ერთს კი—ჯვრის სახისას, რომელსაც სახელადაც „ჯუპარ“ ეწოდებოდა, ღორის ქვედა ყბას, გუჩო-ს, ვაშლებს, სხვადასხვა ხილელს და საზოგადოდ, ყველაფერს საუკეთესოს, რაც რამ ოჯახს მოეპოვებოდა. ამგვარად დატვირთული გიდელი სახლის მეორე სართულზე აჰქონდა ახალწლის შინაურ მეკვლეს, რომელსაც ქორაშ მუჭუში ეწოდებოდა. ქორაშ მუჭუში ეფესტამ ღამეს ოჯახის საერთო საცხოვრებელ ბინაში (სვირ-ში) ვერ დაიძინებდა, სხვაგან უნდა წასულიყო და ამიტომ უფრო ხშირად ის ღამეს სახლის მეორე სართულზე ათევდა (ე. წ. ლუფხუ-ში ანუ დარბაზ-ში).

ეფესტამ ღამეს სვანის გარედან ხმამაღლა დაძახება არ ვარგაო. ამიტომ თუ მეტისმეტი გასაჭირი დაადგებოდა სვანს და მეზობელთან მისულა მისთვის

აუცილებელი იყო, ის მიაღებოდა მის სახლს და ხმამაულებლად დაუეკავ-
ნებდა კარზე.

1935 წლის აგვისტო. სოფელი ქვემო-ლახამულა. მთხო-
ბელი 40 წლის გვაშა კვანჭიანი - ჭკადუასი და მი-
სი 16 წლის ვაჟიშვილი ლადი ჭკადუა.

ბ) ჩუბხევეში

ა ე შ ტ ჯ მ. ჩუბხეველები, ისევე როგორც სხვა თემის სვანები, ჯერ კი-
დედ შემოდგომიდან აირჩევდნენ, ცალკე დაბამდნენ და ასუქებდნენ ახალწლი-
სათვის განკუთვნილ ღორს, რომელსაც ლეკლანდ-ი ეწოდებოდა. საახალწლო
ღორი აუცილებლად ნეზვი (ყერ) უნდა ყოფილიყო.

ა ე შ ტ ჯ მ დილით გათენებამდე ყოველი სვანის ოჯახში იმდენ ცალ წვრილ ლემ-
ზირ-ს გამოაცხობდნენ, რამდენსაც ამ დილით შესაქმელად მოერეოდა ოჯახი. ამ
ლემზირ-ებს შემოდგომიდან ცალკე შენახულ საუკეთესო ხორბლის ფქვილისაგან
აცხობდნენ. ამ ფქვილს, რომელსაც ლამპარიშ ტაბლშ-ი ეწოდებოდა, ძალიან
„წმინდად“ ინახავდნენ, მაგალითად, თვიურიანი ქალი ახლო ვერ გაეკარებოდა
იმ კუთხეს, სადაც ლამპარიშ ტაბლშ-ით სავსე კიდობანი (კიბდენ-ი) იდგა.
როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამომცხვარი ლემზირ-ები უწონაშ-ი იყო, —
ოჯახისათვის უცხო პირებს მათ არ დაანახებდნენ. ა ე შ ტ ჯ მ დილით გამომ-
ცხვარ ლემზირ-ებს ხელში აიღებდა სახლის უფროსი და შემდეგი სიტყვებით
ილოცავდა:

„ო-ო, დიდბუ აჯედა, მალდოჟ
აჯედა დულ ა ე შ ტ ჯ მის, დიდბუ
აჯედა“.

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი
მოგსვლოდეს დულ ა ე შ ტ ჯ მ-ისას, დიდება
მოგსვლოდეს.

ლოცვის შემდეგ სახლის უფროსი ჩამოურიგებდა ყველას ლამპარიშ ტა-
ბლშ-ის ლემზირ-ებს და ისინიც მოკრძალებით შეექცეოდნენ მათ¹. გათავდებოდა
თუ არა უწონაშ-ის შეწირვა (ლიმზირ-ი), მანდილოსნები შეუდგებოდნენ ჯამ-
ჭურჭლის, ავეჯულის და ბინის დასუფთავებას, — ახალწელს ოჯახი ძველი
ჭუჭყით არ უნდა შეეგებოსო.

მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა, ლეკლანდ-ს დაჰკლავდნენ.
ვინაიდან ეს საკლავი ნეზვი იყო, ამიტომ დაკვლის წინ მას არ ავედრებ-
დნენ და არ სწირავდნენ ღვთაების თუ წმინდანის სახელზე [ღორებიდან
მხოლოდ ტახს მიიყვანდნენ ხოლმე სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა
სარკმელთან, ხმამალა ილოცავდნენ და შესწირავდნენ მას ღვთაებას, თუ წმინ-
დანს და შემდეგ დაჰკლავდნენ აუცილებლად მერხზე (ბანდარ-ზე) კერიასთან].

¹ ლამპარიშ ტაბლშ-ი და მისგან გამომცხვარი ლემზირ-ები მხოლოდ (ცინდელიანის
გვარის განშტოებას) ჯანჩიკარ-ებს მიაჩნდათ უწონაშ-ად.

სალამოს, ოჯახის ახალგაზრდა წევრი მამაკაცი ტყეში წავიდოდა და იქ მოსჭრიდა ნაძვის ხეს და თხილის ტოტებს. ახალწლისათვის განკუთვნილ ამ ნაძვის ხეს ჯულ-ს უწოდებდნენ, ხოლო თხილის ტოტებს კი გტიზ-ს. ჯულ-ის მოჭრის დროს სვანი აკვირდებოდა იმას, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე ხის პირველი ნაფოტი. სვანის აზრით, თუ ის კანით მოექცეოდა ძირს,—კარგი მოსავალი იქნებოდა, და თუ თეთრი გულით დაეცემოდა მიწაზე, საქონელს კარგი წველა ექნებოდა წლის განმავლობაში. ჩუბეხეველს კარგი წველა ურჩევნია კარგ მოსავალს. ტყეში მოჭრილ ხესა და ტოტებს სვანი სახლში წაიღებდა, ვახშობამდე თავის ბინის მახლობლად ყანაში დასტოვებდა, ხოლო ნავახშმევს გტიზ-ს შინ შეიტანდა და ჯულ-ს გარედან სახლის კარზე ააყუდებდა მეორე დილამდე.

ვახშმისათვის ზისხორა-ს ამზადებდნენ: ღორის ნაწლავებში ჩააწყობდნენ ღორის დაკეპილ გულ-ღვიძლს ღორისავე სისხლში შერეულს და მოხარშავდნენ. ვახშმის გათავების შემდეგ მეორე დღისათვის დიხსალ-ი პურებს გამოაცხობდა და მებორცე (მელელტუ-ი) ხორცს მოხარშავდა. ამავე დროს ირჩევდნენ ახალწლისათვის ე. წ. გარეშე მეკვლეს (ქამეშ მუჭუხ-ს). ქამეშ მუჭუხ-ს ყოველწლიურად არ ირჩევდნენ. ერთხელ არჩეულ გარეშე მეკვლეს მხოლოდ მაშინ შესცვლიდნენ ახალი პირით, როცა ან საქონელი დაეხოცებოდათ, ან ვინმე მოკვდებოდა მათ ოჯახში და სხვა. დაზარალებული მოსახლე თავის უბედურებას მეკვლეს აბრალებდა—ცუდი ფეხი დამიტოვაო. ახალ მეკვლედ ოჯახისადმი კეთილად განწყობილ პირებს შეარჩევდნენ. ამას გარდა ამ პირთა ფეხი ცუდად არ უნდა ჰქონოდა ვისმე დაცდილი. რამდენიმე ასეთი პირისაგან ღირსეული მეკვლის ასარჩევად აგეზხუზამ დამეს ლიჯლამ-ს გამართავდნენ—ყველა მათგანს კენჭს უყრიდნენ და რომლის სახელზედაც დანიშნული კენჭი ამოვიდოდა, ის იქნებოდა ამ ოჯახის ქამეშ მუჭუხ-ი. ამავე წესით აწარმოებდნენ შინაური მეკვლის და ხარის ან ვერძის არჩევასაც. შინაური ანუ, როგორც სვანები უწოდებდნენ, სახლის მეკვლე (ქორზ მუჭუხ-ი) სვანს ორი ჰყავდა: სახლის უფროსი (ქორზ მახტუშ-ი) და მდებარობითი სქესის წარმომადგენელი, ჩვეულებრივ ოჯახის უმცროსი წევრი (გოგონა). ქორზ მუჭუხ-ებს მეორე დღისათვის სამეკვლეოდ უმზადებდნენ ე. წ. ლაქუხიარ-ს: მოწულ კალათაში, ან გოდორში (ცხინკ ან კტიდოლ) ჩააწყობდნენ ლეშხირ-ებს, გტიზ-ს, ნაძვის ტოტს, ვერცხლის ფულს (თეთრ-ს), ჯამით ფქვილს, ბოთლით არაყს, თოშს (წერქტა-ს), მატყლს, კანაფს, თეთრი ფერის ფართალს (ბარდან-ს), ლეკლანდ-ის თავს და სხვ. საახალწლო არაყი მოსახლეს მუდამ რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა მომარაგებული; უკიდურეს შემთხვევაში აგეზხუზამ დილითაც შეიძლებოდა მისი გამოხდა.

1936 წლის ივლისი. სოფელი თავარბი. მთხრობელი 54 წლის მაპარბე ცინ დელ იანი.

გ) ფარში

ფარში აგეზხუზამ-ის წინა სალამოს ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და იქ მოსჭრიდა ტოტებს თხილისას, მსხლისას და მუხასას.

ამათგან პირველს უწოდებდნენ გუბიზ-ს, მეორეს ჯულ-ს და მესამეს ფეხ-ს. ეს ტოტები მიჰქონდათ შინ და ისეთ ადგილას ინახავდნენ, რომ დიხსალ-ს არ დაენახა.

ამავე საღამოს მოიწვევდნენ თავისთან სახლში საპატარძლოს, რომლის შემოყვანა გადაწყვეტილი იყო მახლობელ თვეებში. თელღა-ს დასწრება საჭირო იყო მეორე დღეს დილით, როდესაც უწონაშ-ის ლიშირი-ს შეასრულებდნენ. როცა რძალი ამ ლიშირი-ის მონაწილე გახდებოდა, მას უფლება ეძლეოდა დასწრებოდა ქმრის ოჯახში ყველა იმ საიღუმლო ლიშირ-ებს (ლალყაჯ-ებსა და უწონაშ-ებს), რომლებსაც კი ადგილი ექნებოდა მთელი წლის მანძილზე.

გეშტუშ-ს დილით გათენებამდე წამოდგებოდა დიხსალ-ი და ლამპარიშ ტაბლანაშ-ისაგან გამოაცხობდა ყველისგულიან პატარა კვერებს, რომლებსაც კუნჭილ-ი (მხოლ. რ. კუნჭილ-ი) ეწოდებოდა. ამ კუნჭილ-ებით, ზედაშით¹ და სანთლით² ხელში სახლის უფროსი შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„დიდბოტ აჯკედა, მალდოტ აჯკედა
დნლ გეშტუშიშ, ხოჩა გეშტუშის
ლანგენ, მალდინ, ნა ი ნიშგე
ნათი მან, ხოჩა ზანი ლიცილი
ნაყრ, მალდინა“.

დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლო-
დეს დნლ-ო გეშტუშ-ისაო, კარგს გეშტ-
უშ-ს მიგვაყენე, მადლიანო, ჩვენ და ჩვე-
ნი ნათესავი ყველა, კარგი წლის შეცვლა
მოგვეცი, მადლიანო!

ლოცვის გათავების შემდეგ კუნჭილ-ებს ჩამოურიგებდნენ ოჯახის ყველა წევრს, რომელნიც მოვალენი იყვნენ თავისი წილი შეეჭამათ ისე, რომ ნამცეციც არ გადარჩენოდათ, შეუშინეველად ძირს არ დაეარდნოდათ და მას უცხო თვალი არ მოხვედროდა. ამათგან ერთ პირს ორი კუნჭილ-ი ერგებოდა; ერთი ზედმეტი კუნჭილ-ი მას გარეთ, ჯულ-თან, უნდა შეეჭამა, რის შემდეგ ამ ჯულ-ს და მასთან ერთად გუბიზ-სა და ფეხ-ს წამოიღებდა და სახლის მახლობლად ისეთ ადგილას შეინახავდა, რომ დიხსალ-ს ვერ მოეკრა მისთვის საღამომდე თვალი. კუნჭილ-ები უწონაშ-ი იყო ე. ი. მათი დანახვა და შეჭმა ოჯახის გარეშე პირებს არ შეეძლოთ. ამიტომ კუნჭილ-ებზე ლოცვა და მით ზიარება კარ-სარ-კმელ ჩაკეტილ სახლში სრულდებოდა.

კუნჭილ-ებით ლიშირი-ის დამთავრების შემდეგ დაკლავდნენ კარგად გასუქებულ ბურვაკს („ჯით“-ს), მრგვლად მოხარშავდნენ და მის თავს ცალკე შეინახავდნენ საღამოს ლაქშხიარ-ში ჩასადებად.

გეშტუშ საღამოს დაამზადებდნენ მეორე დღის შემოსალოც ლაქშხიარ-ს, ანუ ლაშაშალ-ს: გვდელ-ში ჩადებდნენ ჯერ ლეშირი-ებს, შემდეგ ძალიან დიდი ზომის ყველიან პურს ლესკარ-ს ზედ გოჭის თავით, წველა ყველს, წერქუა-ს,

¹ ჩვეულებრივ ზედშ-ად სვანები ნათავედ არაყსა ხმარობდნენ.

² თუ ლიშირი-ი დღისით სრულდებოდა მზის სინათლეზე, მაშინ საკმევლს (ნატუსუნ-ს) აკმევდნენ ხოლმე, ხოლო მისი ღამით შესრულებისას, სანთელს ანთებდნენ. ვინაიდან გეშტუშ დილით ლიშირი-ი ჯერ კიდევ რიყრაყზე სრულდებოდა, როცა მზე ამოსული არ იყო, უნებლოდა და არც ფრინველები იყვნენ აშლილნი, ამიტომ ნატუსუნ-ის მაგიერ ამ დროს სანთელს ანთებდნენ.

კანაფს, ბამბას, ვერცხლის ფულს (თეთრ-ს) ვაშლში ჩარკობილს, ჯამით პურის ფქვილს და სხვას; ბამბა და კანაფი ჩამოცმული იყო ჩიჩილაკის მსგავსად გათლილ ტოტზე, რომელსაც ფეხ-ი ეწოდებოდა და რომელსაც აგრეთვე გვდელში დებდნენ, ხოლო გვდელ-ს გვერდზე სავსე დოქს მიუდგამდნენ.

ავსტრიაში ღამეს ირჩევდნენ კენჭის ყრით (ლიჯლბაგე-თი) მეკვლეს — ქორბეჭებ-ს, ქამე ბეჭებ-ს და აგრეთვე ხარსაც. კენჭებად ლობიოს ან მუხუნდოს მარცვლებს ხმარობდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ფარი. მთხრობელი
86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიანი.

დ) ეცერში

ავსტრიაში. ამ დღეს დილით ეცერშიც ისეთ წესებს ასრულებდნენ, როგორსაც სხვა თემებში ბაღს ქვემოთ. ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და იქ მოსჭრიდა მსხლის ხეს, რომელსაც ვულ-ი ეწოდებოდა, მრავალკვირტიან თხილის ტოტებს, რომელთა კონას გუბი-ს ეძახდნენ, და მუხის ტოტს, რომელსაც ფეხ-ი ერქვა. როდესაც ის მსხლის ხეს სჭრიდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმას აქცევდა, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე ხისგან ავარდნილი პირველი ნაფოტი: თუ ის კანით მოექცეოდა მიწაზე, ეს სვანებს კარგ ნიშნად მიაჩნდათ, — თეთრი წელიწადი გაგვითენდება, ე. ი. სამხიარულო და საბედნიერო წელიწადი, ხოლო თუ ნაფოტი გულით დაეცემოდა ძირს, ეს ცუდი ნიშანია. ამ ნაფოტს, მოჭრილ ხეს და ტოტებს შინ წაიღებდნენ. ნაფოტს რძის საკვეთში (ლალდგრ-ში) ჩასდებდნენ, ხოლო ვულ-სა და გუბი-ს გარეთ, კალოზე დატოვებდნენ.

ამავე დროს სახლის უფროსი ქალი, დიხსალ-ი, აცხობდა პატარა ზომის კვერებს, რომლებსაც კუნწილარ-ი ეწოდებოდა. ამ კუნწილ-ებს ლამაზი ტაბლავ-ისაგან აკეთებდნენ. როგორც ეს ფქვილი, ისე მისგან გამოცხვარი კვერები უწონაში იყო — მათ ვერც-კი დაანახებდნენ ოჯახისათვის უცხო პირებს. ამიტომ კუნწილ-ების გამოცხობა, შეწირვა და შექმა კარ-სარკმელ დაკეტილ სახლებში სრულდებოდა. ლოცვის დროს სახლის უფროსი დღე ეშხტამ-ისას¹ მიმართავდა და შემდეგი სიტყვებით ევედრებოდა:

„დღე ეშხტამიშ, ხოჩა ეშხტამ
ენცად, ფიშირ ლბდიშ-ლადეღ
ხოჩა გუჟი ნაყრ“.

დღე-ო ეშხტამ-ისაო, კარგი ეშხტამ-ი
შეგვიცვალე, მრავალ დღეეანდეღ დღეს
კარგს გულზე გვამყოფე.

კუნწილ-ებით ზიარების შემდგომ ჰკლავდნენ ლელშხტამ-ს. ლელშხტამ-ი ეწოდებოდა ეშხტამ-სა და კანდა-სათვის წინასწარ დაყენებულ და ნასუქ ღორს, ან გოჭს. ეშხტამ ღამეს მის შიგნეულს მოხარშავდნენ და ვახშმად შეექცეოდნენ.

¹ მთხრობელის თქმით, დღე ეშხტამ-ისა სხვა დღეთაგან და ნადირის მწყემსი დღე-ი კიდევ სხვა. დღე ეშხტამ-ისა ახალწლის, ახალი მისავლის და მომავალი ბედ-ილბლის ღმერთად იყო მიჩნეული.

ნავახშმვეს იწყებდნენ მეორე დღისათვის მზადებას. სახლის უფროსი ქალი (დიხსალ-ი) გამოაცხობდა პუხტურ-ს, ლაწღაშ ლემზირ-ს და მრავალ სხვა სადღეობო კვერს. ლაწღაშ ლემზირ-ს ანუ ეშხტამ ლემზირ-ს ლამარია ტაბლანშ-ისაგან აკეთებდნენ. მას შემდეგი წესით აცხობდნენ: დიხსალ-ი ლამარია ტაბლანშ-ს მოცომავედა და დაავუნდავებდა; შემდეგ ამ გუნდას ნაჭრებად დაგლეჯდა, თვითეულ ნაჭერს ამათუიმ ახლო ნათესავს ან მეგობარს შეუსახელებდა, შემდეგ ამ ნაჭრებს კვლავ შეაერთებდა და ერთი მთლიანი გუნდისაგან გამოაცხობდა შუაში ნახვრეტინას, მრგვალს და მრავალ კუწუბიან (მუჭტურ-იან) კვერს. ლაწღაშ ლემზირ-ის გამოცხობის დროს დიასახლისი შემდეგ ლოცვას ამბობდა:

„ღერმეთ, შემინდტილ ნაყრ
ესტაშთე ლანქადეს ალ
ტაბლანშენქა“.

ღმერთო, შეგვინდე
თუ ვინმე უღირსი
შევასახელოთ¹.

გამომცხვარ ლაწღაშ ლემზირ-ს სხვენზე (შგილ-ზე) ჩამოჰკიდებდნენ და მეორე-მესამე დღეს რომ ოჯახს კვერით შესახელებული პირი ეწვეოდა, ამ კვერს ჩამოუღებდნენ და მიაართმევდნენ. ისიც ლაწღაშ ლემზირ-ს ერთ კუწუბოს მოაკებრდა და კვერს მასპინძელს დაუბრუნებდა². ლაწღაშ ანუ ეშხტამ ლემზირ-ის გარდა დიასახლისი ოჯახის კეთილის მოსურენთათვის აცხობდა სულზე თითო ცალ ჩვეულებრივ კვერს (ქუხ ლემზირ-ს). ამ კვერსაც ლამარია ტაბლანშ-ისაგან აცხობდნენ და მათ გამოცხობისთანავე დაუგზავნიდნენ შესახელებულ პირებს ერთი ქიქა არაყითურთ. ეშხტამ ლამეს პურების ცხობას შეეძლო დასწრებოდა ყველა, ვისაც სურდა, იქნებოდა ის ქრისტიანი, თუ „თათარი“. ამით ამ პირებს უფლება ენიჭებოდათ მთელი წლის განმავლობაში გამხდარიყვნენ ამ მოსახლის ყველა საიდუმლო ლემზირ-ის მონაწილენი. ხოლო იმ პირებს, რომლებიც ამ ლამეს სახალწლო პურების ცხობას ვერ დაესწრებოდნენ, თუნდაც ამ ოჯახის წევრნიც ყოფილიყვნენ, მთელი წლის განმავლობაში ეკარგებოდათ უფლება ამ ოჯახის საიდუმლო ლემზირ-ებში მონაწილეობის მიღებისა მომავალ ეშხტამ-ამდე.

სახალწლო ლემზირ-ების გამოცხობის შემდეგ ოჯახი ირჩევდა მეკვლეებს და ხარს. ეცერში ორი შინაური მეკვლე ჰყავდათ ხოლმე: ერთს ქორაშ მკუშხ-ს და მეორეს ლიცე მკუშხ-ს ეძახდნენ. ლიცე მკუშხ-ის არჩევა უბრალო დასახელებით ხდებოდა, ხოლო ქორაშ მკუშხ-სა და ხარს კენკის ყრით (ლიჯლან-თ) ირჩევდნენ. ქორაშ მკუშხ-ი ამ ლამეს სგირ-ში ვერ დარჩებოდა, დასაძინებლად სადმე სხვაგან უნდა წასულიყო. ისეთ ოჯახებში, რომლებშიაც სანაქებო ცხენი ან ცხვარი მოიპოვებოდა, ხართან ერთად მეორე დღისათვის მეკვლედ ამ უკანასკნელებსაც აირჩევდნენ.

¹ სიტყვა-სიტყვით: ღმერთო, შეგვინდე, თუ ვისმესთან შეგვცდეს ამ ტაბლიდან.

² მთხრობელის თქმით, ლენჯერის თემში კი, როდესაც ეშხტამ ლემზირ-ი აცხობდა, ოჯახში იწვევდნენ იმ პირებს, რომლებიც ამ ლემზირ-ში იყვნენ შესახელებული; წესი იყო, რომ ამ პირებს თავის თვალთ დაენახათ ეშხტამ ლემზირ-ის გამოცხობა.

რჩებოდა კიდევ საახალწლო შემოსალოცის, ლაქმხინარ-ის, დამზადება, რომელიც აგრეთვე ემზატებოდა ღამით უნდა მომხდარიყო. გვდელ-ში ჩააწყობდნენ კარტით ლამპრიან ტაბლან-ს, ზედ ხაჭაპურს (ლაქმხინარ ქუთ-ს) დაადებდნენ, მის ზემოთ პუბუბარ-ს, ღორის თავს, წერტილ-ს, ვერცხლის ფულით შემკობილ ვაშლებს, ბაშბას, კანაფს და სხვ. საქონლისათვის საკვების მიცემის დროს მას პურეულის მარცვალს შეყვებოდა და ამ მარცვალს ეძებდნენ ქალები ბაგაში (ლალდინარ-ში) ემზატებოდა ღამეს. რამდენი მარცვალს არ უნდა ენახათ, სასობით შეინახავდნენ ღამისათვის ლიფშუდე-მდე (თესლის გახსნამდე), რომელიც უფრო ხშირად სრულდებოდა დღესასწაულ ლილაშუნე-ს და ზოგ შემთხვევაში შუა მარხვაში (ისგ-ლილჩან-ს), ან ხარება დღეს (ხარაბ-ს). ღამისათვის ლიფშუდე-ს დროს გამოიღებდნენ ემზატებოდა ღამიდან შემონახულ ხორბლეულის მარცვალს, მას ნეხვში აურევდნენ და ყანაში გაიტანდნენ; აქ ერთ ადგილას თოვლს ჩათხრიდნენ და ამ მარცვალს ნეხვიანად შიგ ჩათესავდნენ.

ყველაზე გვიან ემზატებოდა ღამეს ქორა მახტაშ-ი იძინებდა, რადგან მას კალოზე შენახული გუბი-ი შინ უნდა შეეტანა მის შემდეგ, რაც ოჯახის წევრები, განსაკუთრებით დიასახლისი, დაწვებოდა დასაძინებლად; მიღებული არ იყო, რომ შინამყოფთაგან ოჯახის უფროსის მეტს ვისმეს დაენახა გუბი-ი მეორე დღეამდე. ყველაზე მეტად მას ამ ღამეს დიხსალ-ს არიდებდნენ.

1936 წლის ივლისი. სოფელი ისკარი. მთხრობელი 61 წლის დემეტ გერლიანი.

ე) ცხუმარში

ემზატებოდა. გარდა ზოგიერთი თავისებურებისა, რომელთა შესახებ აქვეა მოთხრობილი, ამ დღეს ცხუმარში ისეთივე წესები სრულდებოდა, როგორც ეცერში. დილით გათენებამდე დიასახლისი (დიხსალ) აცხობდა ღამისათვის ტაბლან-ისაგან წერილ-წერილ ყველიან კვერებს, კუნჭილარ-ს, და სამ დიდი ზომის ხაჭაპურს. ერთი ამ ხაჭაპურთაგანი განკუთვნილი იყო ძროხის მწველელი ქალისადმი (მეშვალ-ისადმი), მეორე საქონლის მკვებავისადმი (მენი-ისადმი) და მესამე მწყემსისადმი (ანდატ-ისადმი). ამიტომ ამ ხაჭაპურებს ეწოდებოდა მეშვალ-ლემზირ, მენი ლემზირ და ანდატ-ლემზირ. როდესაც ეს ლემზირ-ები გამოცხვებოდა, კუნჭილ-ებს დაიჭერდა ხელში სახლის უფროსი და თითო-თითო ხაჭაპურს მენი, ანდატ-ი და მეშვალ-ი. სახლის უფროსი დახურული სარკმლის წინ ასხენებდა დალ ემზატებოდა, ხარების მკვებავი (მენი) ხარებთან, ძროხების მწველელი ქალი (მეშვალ-ი) ძროხების ბაგასთან და მწყემსი კი იმ ადგილთან (ლაშდარ-თან) სახლში, სადაც საქონელს თივას უყრიან ხოლმე მეორე სართულიდან. ყველა ესენი ევედრებოდნენ დალ ემზატებოდა-ს საქონლის გამრავლებას და ოჯახის ბარაქას ახალ წლის განმავლობაში.

ცხუმარში ორი ქორა მუკუხ-ის არჩევა იცოდნენ—ერთი ქალისა და მეორე კაცის. სხვა თემებისაგან განსხვავებით, აქ შინაურ მეკვლევებს, წესისდა თანახმად, ღამე საცხოვრებელ ბინაში (სგირ-ში) უნდა გაეთიათ.

ამ დღეს დილით ტყიდან მოტანილ თხილის ტოტებს კონად შეკრავდნენ და ზედ მატყლსა და კანაფს შემოახვევდნენ; ამგვარად გამზადებულ თხილის კონას გუბნი-ი ეწოდებოდა.

ეშხტამ ღამეს აცხობდნენ ლაწდამ ლემზირ-ს და დიდი ზომის პურს, ლაქ-შნიარ-ს, რომელსაც გულში ჩაატანდნენ ყველისა და ღორის ქაჭების ნაჭრებს ლაწდამ ლემზირ-ის გამოცხობის წინ დიასახლისი ცომის გუნდას ნაჭრებს აგლეჯდა, თვითველ მათგანზე წარმოსთქვამდა:

„ალი (შეთქმული პირის სახელი)
ლემედ ი ლემედ“.

ეს (შეთქმული პირის სახელი)
ეკმებოდეს და ენახვებოდეს.

შემდეგ ამ ნაჭრებს კვლავ შეაერთებდა და ლაწდამ ლემზირ-ს გამოაცხობდა. ამგვარად შესახელებულ პირებს, მას შემდეგ რაც ისინი ლაწდამ ლემზირ-ს იგემებდნენ, ნება ჰქონდათ კვერის გამოცხობის ოჯახში დასწრებოდნენ ყველა საიდუმლო შესაწირავს მთელი წლის განმავლობაში.

ამ დღეს ვახშმისათვის აცხობდნენ სამარხვო პურებს (კუბი ლემზირარ) და ხაჭაპურებს (ქუთუბარ), რომლებსაც ჭამის წინ სახლის უფროსი დამ ეშხტამიშ-ს¹ შესწირავდა.

საახალწლო ღორს, ლეკლანდ-ს, ეშხტამ-ს დღისით დაკვავდნენ. ეს ღორი უსათუოდ ნეზეი უნდა ყოფილიყო. ის რძლის (თელღრა-ს) საკუთრებას წარმოადგენდა—ან მამის სახლიდან იყო მონაყოლი (მაყან),² ან თავისი საკუთარი ფულით ნაყიდი. გამოიყვანდა ამ ღორს თელღრა და თავის სახელზე დააკვლევინებდა. ეშხტამ-ისათვის რძალი საკუთარ არაყსაც კი გამოხდიდა ხოლმე. თუ ოჯახში რამდენიმე რძალი იყო, მაშინ საახალწლო ღორს ისინი მორიგეობით გამოიყვანდნენ—ერთ წელს ერთი რძალი, მეორე წელს მეორე და ასე შემდეგ. დაკვლის შემდეგ მას მთლიანად ამოსჭრიდნენ ქვედა ყბას და გულმუცელს, რომლებიც ლალყაჯ-ად იყო მიჩნეული.

ეშხტამ ღამეს ოჯახის წევრები ბაგაში (ლალღირ-ში) ეძებდნენ და აგროვებდნენ საქონლისათვის საკვების მიცემის დროს გადაყოლილ მარცვლელს ფეტვისას, ქერისას, პურისას და სხვ. რა პურეულის მარცვალსაც მეტს შეაგროვებდნენ ამ დროს, იმ პურეულის მოსავალი ახალწელიწადს მოსახლეს საუკეთესო ექნებოდა, ამბობდა ხალხი. შეგროვილ მარცვლელს იანვრის რომელიმე დღეს გაიტანდნენ ბოსტანში ან მახლობელ ყანაში და თოვლში ჩათესავდნენ. ყოველივე ამის გარდა, ახალი და ძველი წლის შეერთების აღსანიშნავად, ეშხტამ

¹ მთხრობლის თქმით, დამ ეშხტამიშ-ი სხვა იყო და დამარ კუტივარ-ი კიდევ სხვა. უკანასკნელის მსგავსად დამ ეშხტამიშ-იც ქალი იყო. მას ნეზეს სწირავდნენ და ვეღარებოდნენ—ახალი წელი მშვიდობით მოგვასწარიდა.

² რძალს მაყან-ში მოჰყვებოდა ხოლმე: ძროხა, ხარი, მოზვერი, ცხენი, ცხვარი, ღორი. კმრის ოჯახში ის თავის საკუთრებას კიდევ უფრო აღიდებდა ხელსაქმის საშუალებით— შალს მოქსოვდა, ქუდს მოთელავდა, შემდეგ მათ გაჰყიდა და ფულს თავისთვის დაიტოვებდა.

ლამეს ტირიფის წნელისაგან წნავდნენ რგოლებს, რომლებსაც გირგუტდარ-ს ეძახდნენ.

ამ დღის დანარჩენი წესჩვეულებები ისეთივე იყო, როგორიც ეცერში.

1937 წლის აგვისტო. სოფელი სვიფი. მთხრობელი 63 წლის დიმიტრი ჯაჭვლიანი.

ვ) ბეჩოში

ეშხტაშ. სხვა თემების მოსახლეობის მსგავსად, ბეჩოელები ამ დღეს დილით ძალიან ადრე, გათენებამდე, წამოიშლებოდნენ. ლოგინიდან წამოდგომას განსაკუთრებით ოჯახის უფროსები ჩქარობდნენ. გააჩაღებდნენ კერიაში ცეცხლს და დიასახლისი (დიხსალ-ი) სწრაფად დააცხობდა პატარ-პატარა ყველიან კვერებს, რომლებსაც კუწანჭილარ-ი ეწოდებოდა. ამ კუწანჭილ-ებს, რომლებიც ლამარიან ტაბლშ-ისაგან იყო გამომცხვარი, დღე ეშხტაშ-ს შესწირავდნენ და მათ მაშინვე შესჭამდნენ ისე, რომ ნამცეციც არ გადაჩეხებოდათ. მათი შეწირვა და ზიარება კარ-სარკმელ დახურულ სახლში სრულდებოდა, ვინაიდან არ შეიძლებოდა უცხო პირისათვის დანახვება არც შესაწირავის და არც შეწირვის პროცესისა.

ამის შემდეგ მოსახლიდან ერთი რომელიმე პირი (ვაჟი) წავიდოდა ტყეში, სადაც მოსჭრიდა და სახლში წამოიღებდა მსხლის ხეს, — ჯულ-ს, თხილის (შდუხუნდ) ტოტებს — გუბის-ს, და მუხის ტოტებს — ფეხუ-ს. როდესაც სვანი მსხლის ხესა სჭრიდა, ის გულმოდგინედ აკვირდებოდა პირველი ნაფოტის გადმოვარდნას: თუ ეს ნაფოტი გულით მოექცეოდა მიწაზე, ხის მოჭრას თავს დაანებებდა და ეძებდა ისეთ მსხლის ხეს, რომლის პირველი ნაფოტი გარეკანით დაეცემოდა მიწაზე და ხის თეთრი გული კი, ე. ი. ანათალი მხარე, ცას შეხედავდა, — კარგი წველა გვექნებაო. მრავალკვირტიანი თხილის მოჭრილ ტოტებს გარს შემოავლებდნენ ჯერ მუხის ტოტებს, შემდეგ მას კანაფისა და მატყლის ძაფებით შეკრავდნენ და ისე შეინახავდნენ ჯულ-თან ერთად კალოზე ისეთ ადგილას, რომ დიასახლისს თვალი ვერ მოეკრა მეორე დილამდე.

ეშხტაშ-ს დილით ყოველ ოჯახში დაჰკლავდნენ კარგად ნასუქ ნეზეს (ყუწერ) და მისი სისხლისა და შიგნეულისაგან იმ ლამეს ვახშმისათვის ზისხორას-ს დაამზადებდნენ. ნავახშმევს ოჯახი შეუდგებოდა ახალწლის სამზადისს: დიასახლისი დააცხობდა ბლომად ლემზირ-ს და მათ შორის ე. წ. მუჟელ-ს და ლაწლანშ ლემზირ-ს. მუჟელ-ი „ჯვრის“ სახისა იყო, ხოლო ლაწლანშ ლემზირ-ი მრგვალ კვერს წარმოადგენდა. უკანასკნელის გამოცხობის დროს დიასახლისი შეუსახელებდა ოჯახიდან გასულ ვაჟიშვილს, გათხოვილ ქალიშვილს, შვილიშვილებს, სხვა ახლო ნათესავებსა და ძმადნაფიცებს. ეშხტაშ ღამიდან დაწყებული ლაწლანშ ლემზირ-ი ყველა დღეობაში (ღუნარ, მხ. რ. ღუნ) სხვენზე იყო ჩამოკიდებული ისე, რომ სტუმარს სახლში შესვლისთანავე მისთვის მოეკრა თვალი. ამ დღის დანარჩენი წესჩვეულება ისეთივე იყო, როგორიც ცხუმარში.

სოფელ უშხვანარში ამ დღეს ე. წ. კიშობ-ს გადაიხდიდნენ ზვავების საწინააღმდეგოდ. ამისათვის სოფელს წინასწარ გამოყოფილი ჰქონდა ოჯახზე

თითო კარტა ქერი. ქერს აგროვებდა ორი მორიგე მოსახლე (ხერასტ-ი), რომელთა მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე ამ ქერისაგან არყის გამოხდა და სოფლის მომსახურება. კწიშობ დღეს ხერასტ-ის სახლში სადილისათვის მიდიოდნენ თითო მოსახლიდან თითო კაცი. მათ თან მიჰქონდათ ერთი დიდი ზომის სამარხეო პური—კჭახ ლესკარ-ი, სამი ცალი ლემზირ-ი და აფუებული კვერი, რომელსაც სეფსკერ-ს ეძახდნენ. როდესაც ყველა მოიყრიდა თავს ხერასტ-ის სუფრის წინ, სოფლის უხუცესი ხმამაღლა დაილოცავდა კწიშა-ს სახელზე და შესთხოვდა მას სოფელი ზვავისაგან დაეცვა და დაეფარა. ლოცვის გათავებისას ყველა ერთხმად შესძახებდა „ა-ა-მ-ე-ე-ე“ და სუფრას შემოუხსნებოდნენ. იმართებოდა დიდი ქეთვი და მოლხენა, რომელიც სადამომდე ვასტანდა ხოლმე. სუფრაზე პირველად ე. წ. ლახტამიშლ-ს იტყოდნენ: სუფრის წინ სამი კაცი დადგებოდა ერთად, ქუდს მოიხილდნენ, არყით სავსე კათხებს ხელში დაიჭერდნენ და ჯგერანგ-ის დიდებას წარმოსთქვამდნენ. ამის შემდეგ კათხებს დასცილდნენ და მათ მეორე წყება სამ კაცს მიაწოდებდნენ. ისინიც იმავე წესით იმეორებდნენ ჯგერანგ-ის დიდებას და სხვა პირებს გადაულოცავდნენ გამოცლილ კათხებს. ასე მოივლიდა სუფრას ლახტამიშლ-ი. უკანასკნელის გათავების შემდეგ, ე. წ. სარტაშ-ი ჩამორიგდებოდა—დაწყებული უფროსიდან და გათავებული სუფრის უმცროსი წევრით თვითეული ცალკე წამოდგებოდა სუფრიდან, დაიჭერდა ხელში არყით სავსე კათხას და „საპატიებელს“ დალევდა. ამ კათხის გამოცლა სავალდებულო არ იყო,—ვინც გამოცლიდა, ხომ კარგი, ვინც არა და აპატიებდნენ. სარტაშ-ის საყან-ი მოსდევდა: სუფრიდან კვლავ სამ-სამი კაცი წამოდგებოდა, დაიჭერდნენ ხელში არყით სავსე კათხებს და დაილოცავდნენ საყან-ის დამწესებლის სახელზე:

„დიდებ აჯკად, საყან მწლდ ხოშა
ღერმათ, ოლი ისგუ ნაწესტ ლი,
ეჩა ი ლწდი ნენსგა ბედნიერ
ამსტაღლს ხამურჯტენს, ეჯკი
ბედნიერ ამმარჯტ ლიმზერ“.

დიდება მოგსვლოდეს, საყან-ის მადლო
დილო ღმერთო, ეს [ლოცვა] შენი დაწესებულია,
იმ დროისა და დღევანდელ
დღის შორის, რაც რომ ბედნიერ ადამიანს
გაემარჯოს, ისე ბედნიერად გამიმარჯვე [ეს] ლოცვა.

ამ სიტყვების შემდეგ კათხებს გამოსცილდნენ და მათ გადაულოცავდნენ სუფრის მეორე სამ წევრს, რომლებიც პირველი წყების მსგავსად დაილოცავდნენ, კათხებს. გამოსცილდნენ და მათ მესამე წყებას გადააწოდებდნენ, მესამე—მეოთხეს და ასე შემოივლიდა კათხები მთელ სუფრას. ვიდრე კათხას მეორე არ გამოსცილიდა, პირველი (გადამლოცავი) ქუდს ვერ დაიხურავდა, ასევე მეორეს მიმართ მესამე და სხვა. ვინც ამ წესს დაარღვევდა და უდროოდ ქუდს დაიხურავდა მას ზედმეტ კათხას გამოაცლევინებდნენ; ამ სახის ჯარიმას ჩანჩალ-ი ეწოდებოდა. ასე სვამდნენ და ილხენდნენ გვიან ვახშობამდე, რის შემდეგ კარგად შეზარბოშებული ხალხი იშლებოდა და ყველანი თავ-თავის სახლში მიდიოდნენ.

B. ბალს ზამოთი

ზ) ლატალში

მეშხტამ. ამ დღეობის მთავარი წესები ერთნაირი იყო ლატალის ყველა სოფელში. მხოლოდ ზოგ წვრილმანში არსებობდა განსხვავება და ამას თავთავის ადგილას აღვნიშნავთ.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე, როცა საქონელს საზამთროდ სახლებში შერე-კავდნენ, ყოველი მოსახლე შეარჩევდა დედალ გოჭს ან ცხვარს¹, ცოტაზე კუდს წააჭრიდა—საჭმელი უკეთ შეერგებო, გაუშვებდა თავისუფლად საზამთრო სა-ცხოვრებელ ბინაში (მაჩუბ-ში) და რაც შეიძლება უკეთ უვლიდა და კვებავდა, რადგან საახალწლოდ ეს საკლავი გოჭი (ლემზირ-ი) მსუქანი უნდა ყოფილიყო.

კალოობის დროს, აგრეთვე ცალკე გამოაპყოფდნენ პირველად გაღეწილ კალოდან საუკეთესო ხორბალს, დაფქვავდნენ და მყუდრო ადგილას შეინახავდნენ. ამ ფქვილს ლამწრია გუზი-ი ეწოდებოდა და მას დიასახლისის მეტი ვერავინ მიეკარებოდა. ვერც უკანასკნელი მივიდოდა გუზი-ის კიდობნის (კიბდუენ-ის) ახლო, თუ ის „უწმინდური იყო“, ე. ი. თვიურში იმყოფებოდა. როდესაც ოჯახს მხოლოდ ერთი კარტა ლამწრია გუზი-ი ჰქონდა გამოყოფილი, მაშინ ამ ფქვილისაგან საახალწლო ლემზირ-ებს აცხობდა, ხოლო თუ მეტი ჰქონდა მომარაგებული, მაშინ ლამწრია გუზი-ი მეშხტამ-ს გარდა, იხმარებოდა ზომხა-სა და ლიფანალ-ში.

მეშხტამ დილას, ვიდრე გათენდებოდა, ყოველი სვანის ოჯახში ე. წ. ანჭი-კუანჭი-ის წესი სრულდებოდა: პერბიელ-ი გამოაცხობდა იმდენ ცალ წვრილ ლემზირ-ს, რამდენი მოზრდილი წვერიც იყო ოჯახში. თუ ეს უკანასკნელი ერთი ან ორი სულისაგან შესდგებოდა, მაშინ სამ ლემზირ-ს გამოაცხობდნენ, რადგან სამ ცალზე ნაკლებს გამოაცხობა არ შეიძლებოდა. ეს ლემზირ-ები ცერცვისგულიანები იყო და ღერღლწრ-ი ეწოდებოდა. გაწომცხვარ ლემზირ-ებს მიიტანდნენ კარ-სარკმელ დახურულ სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და სახლის უფროსი დაილოცავდა დან ლემზირ-ის სახელზე:

„დნლ შეწხტმმ, ხოჩა გარ ენშხტამ
ნაჲ ქორს, ფიშირ ლნდი ლადელ
ხოჩა გუჟინ ანჲჲ“.

დნლ-ო მეშხტამ-ისაო, მხოლოდ კარგი
გვიშუშხვამე ჩვენს სახლში, მრავალი დღე-
ვანდელი დღე კარგ გულზე მოგვასწარი.

¹ სოფელ იფხიდან სოფელ იენაში გათხოვილი 47 წლის ქვერიჯა გვიჭიან-ფარჯია ნისა ამასვე ადასტურებს, ხოლო იენაშელი ემზა წერედიანის და შაუხან ფარჯიანის თქმით მეშხტამ-ის სამსხვერპლო საკლავი მამალი ღორი იყო და ამიტომ შემოდგომაზე სასუქად ტახს დააყენებდნენ ხოლმეო.

ლოცვის შემდეგ ოჯახის სათანადო პირებს ჩამოურიგებდნენ ამ შესაწირავს და ყველანი მოკრძალებით შესჯამდნენ მას. ამ ლოცვა-ზიარებას ვერ დაესწრებოდა ოჯახის ის წევრი, რომელიც წარსული წლის შემსტამ-ს სახლში არ იყო ნამყოფი. ხალხი ფიქრობდა, რომ თუ სვანმა ეს წესი დაარღვია, განსაკუთრებით გარეშე პირმა თუ დაინახა ღერღლწარ-ი, მაშინ ოჯახს იმ წელს უთუოდ ღორები ამოუწყდებოდა.

როდესაც ღერღლწარ-ის ჭამას გაათავებდნენ, ხომა მწრე დაიჭერდა ხელში „წმინდა“ თეთრი ფქვილით სავსე კარტა-ს, მივიდოდა ისევ მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ამ სარკმელს ცოტაზე გამოაღებდა, კარტ-ით ფქვილს ამომავალ მზის შუქს ან, თუ მზე არ იყო, დღის სინათლეს დაანახებდა და ხმამალა წარმოსთქვამდა:

„დღლ შემსტამიშ¹, ხოჩა გარენშტამ, ალი თეთნე ლი, ამჟინ თეთნა ზაჲ ლანგენ“.

დღლ-ო შემსტამ-ისაო, მხოლოდ კარგი. გვიშუშვამე, ეს თეთრი არის, ასეთ თეთრ წელიწადს მიგვაყენე.

ამ ლოცვის გათავების შემდეგ შეიძლებოდა სახლის კარ-სარკმელთა დაღება და გარეთ გასვლა. ნალოცი ფქვილის ნახევრისაგან ახალწელიწად დღეს ლიდბაშ-ს გადაიხდიდნენ და მეორე ნახევარს კი ერთგულ მეზობელს, რომელიც აუცილებლად სხვა გვარისა უნდა ყოფილიყო, გაუცკლიდნენ ახალწელიწად დღესვე ხელის ახსნის (ლიზიაშალ-ის) მიზნით.

ყოველივე ამის შემდეგ სახლის უფროსი დაიჭერდა ხელში სამსხვერპლო გოჭს, ლეზრმახ-ს, მიიყვანდა მას მაჩუბ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ შემდეგი სიტყვებით ლოცულობდა:

„დღლ შემსტამიშ, დიდნაჲჲ აჯჲედა, ფიშირ ზომხა. ხოჩა გუჲინ ანაჲ“.

დღლ-ო შემსტამ-ისაო, დიდება მოგსვლოდეს, მრავალი ახალწელი კარგ გულზე შეგვასწარი.

ან კიდევ ასე იტყოდა²:

„დღლ შემსტამიშ, ფიშირ ლნდი ლადელ ანაჲ შტიდებდ, ხოჩა გუჲინ, ქტინლემგენემიშ ი მარნემი ნაშდობოშტ ი ნაფ-შიროოშტ“.

დღლ-ო შემსტამ-ისაო, მრავალი დღევანდელი დღე შეგვასწარი მშვიდობით, კეთილი გულით, საქონლის და ადამიანის მშვიდობით და გამრავლებით.

¹ ქვერიჯას თქმით, ამ დღეს რომ ლოცვაში დღლ-ს ახსენებდნენ, ეს დღლ-ი სულ სხვა იყო, ვიდრე მონადირეობის მფარველი ღვთაება დღლ-ი.

² ეს ლოცვა ეზუა წერედიანის ნათქვამია. მისი წარმოდგენით დღლ-ი ტყეშია, კლდეებში. ეს ღვთაება საქონელსაც შველის და კაცსაც. საზოგადოდ, დღლ შემსტამიშ-ი ძლიერია, ყველაფერს და ყველას შველისო.

ლოცვის შემდეგ სამსხვერპლოს კერიასთან მიიყვანდნენ და მის პირად, აღმოსავლეთის კედლის პირდაპირ მდგარ მერხზე (ბანდარ), დააწვენდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთით ჰქონოდა, ორი კაცი ფეხებს გაუკრავდა და მესამე კი მუგუზლით ყელთან ჯაგარს შეუტრუსავდა და დაჰკლავდა. მის სისხლს ჭურჭელში დააგროვებდნენ და ლეზომახ-ს დააწარქებდნენ გარკვეული წესის მიხედვით: თავიდან კუდამდე მთლიანად ამოსჭრიდნენ ხერხემალს (ამ ნაწილს ზურგტუთილ-ი ეწოდება), ნაწლავებს და სხვა შიგნეულს-კი ცალკე გამოყოფდნენ. გარეცხილ-გასუფთავებულ ნაწლავში ტყირპის ქონსა და სისხლში არეულ ფილტვებს მოათავსებდნენ, შემდეგ მას პირებს მოუკრავდნენ და ისე მოხარშავდნენ. ამგვარად შემზადებულ ძეხვს ზისხორა ეწოდებოდა და მას შემხტამ ლამეს ვახშმად შეექცეოდნენ.

საახალწლო საკლავი ყოველწლიურად დედამთილსა და რძლებს გამოჰქონდათ მორიგეობით: ერთ წელს ლეზომახ-ი დედამთილის პირადი ქონებიდან იყო გამოყოფილი, მეორე წელს უფროსი რძლის პირადი ქონებიდან, მესამე წელს მეორე რძლისა და ა. შ.

შემხტამ საღამოს მოსახლიდან ერთი რომელიმე წავიდოდა ტყეში და თან წაიღებდა ყველიან ლემზირ-სა და ნაჯახს. იქ მსხლის ხეს და თხილის ბუჩქს მონახავდა და თვითეული მათგანის წინაშე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„ხტამ შემხტამ შიღბდ ოგტუნა,
ხოჩა გუჟინ გუარ ამ ხნტი ზამ“.

მრავალი შემხტამ-ი მშვიდობით მოგვესწროს, კარგ გულზე გვექონდეს ამ წლის მოსავალი“.

ამის შემდგომ ის მოსჭრიდა მსხლის ხესა და თხილის ტოტებს, ხეს ტოტებს გააცლიდა და წამოიღებდა მათ სახლში. გზაში ხავსსა და თეთრ ქვას (კყერო-ს) მონახავდა და იმათაც თან წამოიყოლებდა. ახალი წლის განმავლობაში ამ ქვას ყველს (თაშ-ს) ეძახდნენ და ფიქრობდნენ,—რაც უფრო დიდი იქნება შემხტამ-ს შემოტანილი კყერო, იმდენად მეტი წველა ექნება ოჯახს წლის განმავლობაში. ამგვარადვე ფიქრობდნენ ამ დღეს მოტანილი თხილის ტოტების შესახებაც, რომელთა კონას გუიზ-ი ეწოდებოდა (ხოლო ამ დღეს მოჭრილ მსხლის ხეს ვულ-ს ეძახდნენ): სვანების ძველი რწმენით, რამდენადაც უფრო კარგი, ე. ი. უფრო მრავალკვირტიანი გამოდგებოდა ის, იმდენად უკეთესი მოსავალი ექნებოდა იმ წელს სვანის ოჯახს და, პირიქით, უკვირტო ან მცირეკვირტიანი გუიზ-ის სახლში შეტანა ამ დღეს წლის ცუდ მოსავლიანობას მოასწავებდა. მსხლის ხეს შემხტამ ლამეს გარედან ააყუდებდნენ სახლზე, ხოლო გუიზ-ს გაახვედნენ ხავსსა და მცირე ნაკელში და სახლის კართან დადებდნენ გარედან, მოფარებულ ადგილზე.

ამავე საღამოს, მზის ჩასვლამდე, სახლის უფროსი ქალი, მერბიელ-ი, გამოიტანდა კერიასთან შემოდგომიდან შენახულ ლამწრია გუიზ-ს და გამოაცხობდა სამ ცალ პურს: ერთი განკუთვნილი იყო დიდი ღმერთისათვის და ეწოდებოდა ხოშა ღერთემში ლესკარ, მეორე—ლუთაება ლამწრია-სათვის და ეწოდე-

ბოდა ლამწრიშშ ლესკარ და მესამეს მუჟელ-ს ედახდნენ. ქორწ მახტუ-ი გოჭის ფეხის ძვლით კერიის წინ ამ ლესკარ-ებს აჭრელებდა და თან გაიძახოდა:

„კან, კან, კან; ფურ, ფურ, ფურ;
გიცარ, გიცარ, გიცარ; ფიკუ, ფიკუ,
ფიკუ; სგეი, სგეი, სგეი; მწრწმი
ნაშტდები, მწრწმი ნაშტდები, მწრწმი
ნაშტდები; ბედნიერ თელრა, ბედ-
ნიერ თელრა, ბედნიერ თელრა“¹

ხარი, ხარი, ხარი; ძროხა, ძროხა, ძროხა;
ვერძი, ვერძი, ვერძი; ვაცი, ვაცი, ვაცი;
ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი, ვაჟიშვილი;
ადამიანის მშვიდობა, ადამიანის მშვი-
დობა, ადამიანის მშვიდობა; ბედნიერი
რძალი, ბედნიერი რძალი, ბედნიერი
რძალი.

ლამწრიშშ ლესკარ-ი ქალების საკმელი პური იყო, კაცებს მისი შექმა არ შეეძლოთ, ხოლო ხოშა ღერთშიშ ლესკარ-ის შექმა ქალებისთვის აკრძალული იყო, ის მხოლოდ კაცებს უნდა შეექმათ. რაც შეეხება მუჟელ-ს,—მას შეინახავდნენ და როცა ნახალწლევს ხარებს ყანაში ან ტყეში გაიყვანდნენ პირველად, მათ ამ კვერს შეაგებებდა წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი,— მარჯვენა მხრიდან მოუვლიდა, წინ დაჰხვდებოდა და წარმოსთქვამდა შემდეგ ლოცვას:

„ზა მკწდი ხოჩა ხანი.
ლიცაწდწლსუ ჯიცაწდის,
ხოჩა ლიმწწწლუტუ ჯარხ“

წლის შემცვლელი კარგი წლის
შეცვლას შეგიცვლიდეს,
კარგი მუშაობის დრო გქონდეთ.

მესამე დღეს მუჟელ-ს ოჯახის წევრი მამაკაცები შესჰამდნენ ისე, რომ ნამცეცი არ დავარდნოდათ. ნამცეცის გადაგდებას ძალიან ერიდებოდნენ და ამიტომ სვანი მუჟელ-ს ჩოხის კალთაში (ლახზარწლ-ში) შესჰამდა შემდეგი სიტყვებით:

¹ იენაშელი ქვერიჯა კვრივია, ერთი შვილი ჰყავს, ოღლა, და ავადმყოფი მახლი, ნესტორი. ამიტომ ოჯახში ქვერიჯა მერბიელ-იც იყო და ხოშა მწრე-ც. აღნიშნულ წესს ჩვეულებრივ ის ასრულებდა ხოლმე და ამ დროს ასე ლოცულობდა:

„ჰასტიშ ი ნიბწწინ, ჩრეე, თხტიმ ეხერ მწრე,
ოღლა ი მიჩა აფხნეგარ, ნესტორ
ი მიჩა აფხნეგარ, ბარგ მწა ქწმ
არდქე, ეჯი შემუნდილ, ერქწა ნიშგუტეა
ერთგუილ ლწესს, ეჯი მაგუტ სგახა-
შღლდა, ალო ზა მკწდი, ერქწა ბწხი
ნიშგუტეა ერთგუილ სგა ხაგენეს, ერწ
ლიწედ გუიწმაგუიში შემუნდილ ჩტემწ“.

ასული (გათხოვილი ქალიშვილი) და დისწულ-
ძმისწულები, სიძე, მთავარი მოყვრები,
ოღლა და მისი ამხანაგები, ნესტორ
და მისი ამხანაგები, ბარგი რაც გარეთ
იყოს, ის ხელუხლებელი ქენი, ვინც ჩვენი
ერთგული იყოს, ის ყველა [შესაწიროში]
ჩაითვალოს. ამა წლის შემცვლელიც
ამაღამ ჩვენი ერთგული შემოვიდეს, იმის
დანახვა გვიზაგვიხის შენდობილი ქენი.

„უბოლო ამის დო ახთხლდენდ,
ერქად მიშგუ შარცხ
ნოსუტუ ხასმახ“.

ვიდრე ამას არ მოსძებნიდეთ,
მანამდე ჩემი მარცხი
არავის გაეგონოს.

ვახშმის გათავების შემდეგ ოჯახი შეუდგებოდა საახალწლო სამზადისს. მერბიელ-ი გამოაცხობდა ე. წ. ლაჭუშინჯარ-ს. ლაჭუშინჯარ-ის გამოცხობის პროცესს უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება ეკარგებოდა მომავალი წლის ისეთ საიდუმლო საოჯახო დღეობებზე დასწრებისა, როგორცაა მისარაბ, ლაღჩა, ისგ-ლილჩა და ჭაბგობ. განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდათ ის, რომ ოჯახის წევრს შეშხტამ ღამეს შეეხედა სულებისათვის გაშლილი სუფრისათვის (ლიფანე-სათვის.) თუ ამ დროს ოჯახის ქალი „უწმინდურად“ შეესწრებოდა, რისთვისაც ის შეშხტამ-ს ოჯახს გარეთ იყო დარჩენილი, — მასაც კი გაუტანდნენ გარეთ და შორიდან შეახედებდნენ ლაჭუშინჯარ-ს. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მას არ აღკვეთოდა წლის აღნიშნულ დღეობებზე ქმრის ოჯახში დასწრება. ლაჭუშინჯარ-ს შეადგენდა: ორი ლესკარ-ი, მუჟელი-ი და მათზე ზემოდან დადებული ლეზრმახ-ის თავი ან, თუ ოჯახს საკლავი არა ჰყავდა, ყველის წველა ან კვერცხი. შეშხტამ-ის ლიფანე-დან გადარჩენილ პურს თუ შემდეგში ნახავდა ვინმე, უკანასკნელს შეეძლო წლის საიდუმლო დღეობებზე დასწრება ამ ლიფანე-ს პატრონის ოჯახში. მაგრამ სვანების უმრავლესობა მაინც ვერ ენდობოდა ასეთ ადამიანს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისწრებდა მას თავის საიდუმლო დღეობებზე, თუ ეს პირი მის ოჯახში შეშხტამ ღამეს ლაჭუშინჯარ-ის გამოცხობაზე იყო ნამყოფი.

აგრეთვე ვახშმის შემდეგ ირჩევდნენ საახალწლო მეკვლეებს. კენჭისყრით (ლიჯღაშ) ირჩევდნენ ორ მეკვლეს — ერთს ქორა მკუშხ-ს და მეორეს ქამე მკუშხ-ს, რომელიც აგრეთვე შინაური მეკვლე იყო, მაგრამ შეშხტამ ღამეს სვირში არ დაიძინებდა და დარბაზ-ში ან სხვაგან გაათევდა ღამეს. გოჭის ფეხის ძვლისაგან გამოჭრიდნენ იმდენ კენჭს (ჯილწა-ს), რამდენიც წვერა იყო ოჯახში. ერთ მათგანზე ამოთლიდნენ ჯვარს და მას ხოშა ლერთემიმ ჯილწა ეწოდებოდა, მეორე კენჭზე სწორ ზოლს ჩაათლიდნენ და მას ჯგჯჯა ჯილწა-ს უწოდებდნენ, ხოლო დანარჩენ კენჭებს უნიშნოდ სტოვებდნენ და თვითველ მათგანს ყუბ (ცარიელი) ეწოდებოდა. დამზადებულ კენჭებს ჩაყრიდნენ ქუდში, ერთმანეთში აურევდნენ და ოჯახის ყველა წევრი ამოიღებდა სათითაოდ ხვედრ კენჭს. ვისაც ხოშა ლერთემიმ ჯილწა შეხვდებოდა, ის ქორა მკუშხ-ი იქნებოდა და ვინც ჯგჯჯა ჯილწა-ს ამოიღებდა, ის ქამე მკუშხ-ი უნდა ყოფილიყო¹. კენჭის ყრით ხდებოდა აგრეთვე მეკვლე საქონლის არჩევა იმ ოჯახებში, რომლებსაც შესახებებუ-

¹ სოფელ იენაში ქამე მკუშხ-ი არა ჰყავდათ ხოლმე. ქორა მკუშხ-ის ამორჩევა აქაც ისევე იცოდნენ, როგორც სოფელ ლახუშლი. მხოლოდ დიდი დემრთისათვის კენჭს არ გამოჰყოფდნენ. განსხვავებული იყო კენჭის მასალაც: აქ კენჭებს კულ-ის ტოტისაგან თლიდნენ და კენჭის ამოღების დროს თვითველი პირი შემდეგ ლოცვას წარმოუსტკავდა:

„ჯგჯჯა ჯილწაშ, ესტაა ხოჩა კიშხ
ხნდეს, ეჩის ოხოჟურ“.

ჯგჯჯა-ო კენჭისაო, ვისაც კარგი ფეხი
ჰქონდეს, იმას [კენჭი] ამოუგდე.

ლი სამსხვერპლო, უისხტ-ი¹ ან ლღგენე, არ ჰყავდათ. უკანასკნელ შემთხვევაში ოჯახს ურჩევნოდა მეკში ქუინღმგენე-დ კენჭის ყრის დროს ცხენი ამოსელოდა. როცა ოჯახში უისხტ-ი იყო, მაშინ აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო მეკვლე და ამიტომ კენჭის ყრა საჭირო აღარ იყო.

1935 წლის აგვისტო. სოფელი ლახუში.
მთხრობელი 97 წლის ბასლი ჩამგელანი.

ც) ლენჯერში

შეშხტამ დილით მოსახლიდან თითო კაცი ტყეში მიდიოდა და თან ლემზირ-ი და ნაჯახი მიჰქონდა. ტყეში ის მოძებნიდა ლამაზ არყის ხეს, მის წინ გაჩერდებოდა, ლემზირ-ს ზევით ასწევდა და დწლ შეშხტუი-ს ახსენებდა. შემდეგ მოიმარჯვებდა ნაჯახს, ხეს ძირში დაარტყამდა და ხიდან ავარდნილ პირველ ნაფოტს (ნათ-ს) მარცხენა ხელს შეაშველებდა იმისათვის, რომ ის მიწაზე არ დაეარდნილიყო. მას შემდეგ, რაც არყის ხე მიწაზე დაეცემოდა, სვანი თხილის ბუჩქს მოსძებნიდა და ტოტებს დასჭრიდა. ბოლოს ის ხავსს (ფუნთქუ-რ-ს) დაჰგლეჯდა და ტოტებთან ერთად არყის ხესთან მიიტანდა, ცოტას შეისვენებდა და ლემზირ-ს შესჰამდა. მოკრილ არყის ხეს ჯულ-ი ეწოდებოდა, ხოლო თხილის ტოტებს გუიზ-ი. ჯულ-ს, გუიზ-ს, ნათ-ს და ფუნთქუ-რ-ს სახლში წაიღებდა და კალოზე (კალტ-ზე) მოათავსებდა.

სალამოს, ვახშმის გაფაგების შემდეგ, მინელებულ კერიას ბლომად შეაყრიდნენ შეშას და დიდ ცეცხლს გააჩალებდნენ. კა-კერ-აზე მერბიელ-ი გამოაცხობდა ე. წ. ნაჭშუნ-ს. ნაჭშუნ-ი ეწოდებოდა ორ კვერს, რომელთაგან ერთი მრგვალი იყო და შუაზე ჰქონდა თიათი გაკეთებული ჯვრის გამოსახულება, მეორე — საქონლის ფეხის ძვლით (ჭიშხ-ით) დაკრელებული ლემზირ-ი. ნაჭშუნ-ის ჯვრის სახიან კვერს მუყელ-ი ეწოდებოდა. ამ ორი კვერის (ნაჭშუნ-ის) გამოცხობას დაესწრებოდა ყველა ის პირი, ვისაც ჰქონდა სურვილი ოჯახის საიდუმლო დღეობების მონაწილე გამხდარიყო მომავალი წლის განმავლობაში. როდესაც მუყელ-ი გამოცხვებოდა მას შუაგულში ვერცხლის ფულს (თეთრს) ჩაურჭობდნენ. ნაჭშუნ-ის გარდა მერბიელ-ი ამ დამეს თხუთმეტიოდე ლემზირ-ს გამოაცხობდა მეორე დღისათვის. ამავე დროს ხდებოდა ახალწლისათვის გარეშე მეკვლეს (ქამე მეკშხ-ის) ამორჩევა. კალოდან შემოტანილ ჯულ-ის ტოტს დასჭრიდნენ იმდენ ნაწილად, რამდენი კაციც ჰყავდა შესახელებული ოჯახს თავის ქამე მეკშხ-ად. შემდეგ ამ ნაჭრებს, რომლებსაც ჯილარ-ი (მხ. რ. ჯილამ) ეწოდებოდა, დანით აათლიდნენ სხვადასხვა სახის და რაოდენობის ნიშანს და თვითულ მათგანს დანიშნავდნენ სასურველი პირის სახელზე. ერთ ზედმეტ ნაჭერსაც გათლიდნენ, ზედ ჯვრის ნიშანს გაუკეთებდნენ, ჯგერამ-ს შეუსა-

¹ უისხტ-ი შეწირული ხარი იყო. მასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ე. წ. მუსხტ-ი. მუსხტ-ს ეძახდნენ ძროხას, რომლის მიმართ ოჯახს დათქმული ჰქონდა — ყველა მისი მოხვერი უისხტ-ად დაეაყენოყო.

ხელებდნენ და მას ჯგერწვი ჯილბა-ს უწოდებდნენ. შემდეგ ყველა ამ ჯილბა-ს ქუდში ჩაყრიდნენ, ქუდს რამდენჯერმე შეარხევდნენ, რომ „კენჭები“ ერთმანეთში არეულიყვნენ და ოჯახის რომელიმე წევრს მათ სათითაოდ ამოაღებინებდნენ. ვიდრე ჯგერწვი ჯილბა-ს არ ამოაგდებდნენ, მანამდე ამოღებულ ჯილბა-ებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ამიტომ მათ უკანვე ქუდში ჰყრიდნენ. ის პირი, რომლის სახელზედაც დანიშნული ჯილბა, ჯგერწვი ჯილბა-ს ამოგდების შემდეგ, პირველად ამოვიდოდა, — იქნებოდა ოჯახის ქმე მკვშ-ი. ასევე ჯილბა-ს საშუალებით ირჩევდა ოჯახი ახალწლის მეკვლე ხარსაც. მხოლოდ შინაური ანუ სახლის მეკვლე (ქორა მკვშ-ი) რჩებოდა არჩევანის გარეშე, რადგან მის მოვალეობას მუდამ სახლის უფროსი მამაკაცი ასრულებდა, ან, მეტად იშვიათად, კარგი ფეხის მქონე ოჯახის სხვა წევრი. ზოგჯერ ქმე მკვშ-ად ოჯახის წევრსაც ასახელებდნენ. ისეთ შემთხვევაში როცა ქმე მკვშ-ობა ამ უკანასკნელს ჯილბა-თ შეხვდებოდა, მაშინ ასეთი ქმე მკვშ-ი ამ ღამეს მანუბ-იდან უნდა წასულიყო დარბაზ-ში ან სხვაგან დასაძინებლად. ქორა მკვშ-ი შეშხტამ ღამეს სამეკვლეო შემოსალოცს გაამზადებდა: მოწულ გოდორში (ლალაშ-ში) ჩასდებდა მუყელ-ს, დაჭრელებულ ლემზირ-ს, ერთ ჯამ ფქვილს, გუიზ-ს, წერექუ-ს, ფუნ-თქურ-ს, ჭულ-ს, ნაფოტს (ნათ-ს) და სხვ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის გიგო შუკვანი.

თ) მესტიაში

შეშხტამ-ს საღამომდე სამუშაო დღე იყო. საღამოს, მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიწევდა, ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი მიდიოდა ტყეში და იქ მოსჭრიდა და სახლში წამოიღებდა არყის ხეს — ჭულ-ს, თხილის ტოტს (შდ-ხინდ-ს) და ნაძვის ტოტს (ლუმირ-ს). არყის ხის მოჭრისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე ამ ხის პირველი ნაფოტი. ანუ ის კანით ზემოთ მოექცეოდა და გადათლილი ნაწილით („თეთრი გულით“) ქვემოთ — ცუდი ნიშანი იყო, ასეთი არყის ხე სახულედ არ ვარგოდა და მას სვანი თავს ანებებდა; ხოლო თუ შავი კანით დაეცემოდა მიწაზე და თეთრი გული ცისაკენ ექნებოდა მიპყრობილი, მაშინ ეს ხე კარგი იყო, ჭულ-ად გამოდგებოდა. საერთოდ კარგ ნიშნად ითვლებოდა ოჯახისა და მოსავლიანობისათვის როცა სვანს მრავალი ხის გამოცვლა არ დასჭირდებოდა, და პირველად ამორჩეული ხე გამოდგებოდა სახულედ ე. ი. მისი პირველი ნაფოტი კანით დაეცემოდა მიწაზე.

ტყიდან მოტანილ არყის ხეს და ნაძვისა და კვირტიან თხილის ტოტებს მათი მომჭრელი თავის სახლის კალოზე (რომელიც ამავე დროს ეზოც იყო) ისეთ ადგილას შეინახავდა, სადაც მას ვერ შეხვდავდა ვერც კაცი და ვერც საქონელი. მას შემდეგ, რაც ჭულ-ს, ლუმირ-ს და შდინდ-ს ეზოში შემოიტანდნენ ოჯახის წევრები მუშაობას შესწყვეტდნენ, დაიუქმებდნენ და ამიერიდან სახლიდან რაიმეს გატანა და განათხოვრება, უმნიშვნელო ნივთისაც კი, არ შეიძლებოდა, — ოჯახისათვის ცუდი იყო.

მერბიელ-ი რომ ვახშამს ამზადებდა, ქორაზ მახტში ამ დროს კერიის წინ ბანდარ-თან მიიყვანდა ახალწლისათვის განკუთვნილ სამსხვერპლო ღორს, რომელსაც შემოდგომიდან ასუქებდნენ, ერთ ხელში ანთებულ სანთელს დაიჭერდა და ასე ილოცავდა:

„შეშხტამ დეცემ, ხოჩა ზნა ენცად
კუმაშს ი მარა ჩნ, ზნაჲ ნაჭხერი,
კუმში ნწფშირი ღწნო, მარცხ
ანქაბტინ კუმაშს ი მარა ჩნ“.

შეშხტამ-ო ცისაო, კარგი წელი შეგვი-
ცვალე საქონელს და ადამიანს ყველას,
მოსავლის სიკეთე[და] საქონლის სიმრავ-
ლე მოგვეცი, მარცხი აგვაშორე საქო-
ნელს და ადამიანს ყველას.

ამის შემდეგ ანთებული სანთლით სამსხვერპლოს შეუტრუსავდა ორივე მხარს და კეთას, ყელის ბალანს მუგუზლით გამოუწვავდა და ბანდარ-ზევე დაჰკლავდა. დაკლულ ღორს ქვემოდან ჯამს (ფაკან-ს) ან სხვა ჭურჭელს შეუდგამდნენ სისხლის დასაგროვებლად, რადგან ცუდ ნიშნად მიაჩნდათ სამსხვერპლო ღორის სისხლი რომ აქვე, კერიას პირად, მიწაზე დაქცეულიყო; დაგროვილ სისხლს გადააქცევდნენ ღორების სადგომთან ბნელ ადგილას სახლს შიგნითვე¹. ზომიან-ს ჯაგარს გააცლიდნენ, დააჩარქებდნენ და მოხარშავდნენ მეორე დღისათვის, ხოლო იმ ღამეს ვახშამად მის მოხარშულ გულ-ღვიძლს და სხვა შიგნეულს შეექცეოდნენ.

ნავახშმევეს ოჯახის ბავშვები შემოივილიდნენ ბაგას და ეჭებდნენ თივაში შეყოლილ პურის ან სხვა ხორბლეულის მარცვლებს, ამოკრებდნენ მათ და სათესლეს შეურევდნენ, — ეს მარცვლეული რომ შეჭყეება სათესლეს და დაითესება მთელი წლის მოსავლიანობისათვის კარგიაო. ამავე დროს ხელმეორედ გააჩაღებდნენ ცეცხლს კერიაში და მერბიელ-ი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას ოჯახის ყველა წევრის თანადასწრებით. ის, ვინც ამ მოქმედებას არ დაესწრებოდა, წლის საიდუმლო საოჯახო დღეობებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა და ვერ ეზიარებოდა ამ დღეობების ლალყაჯ-ებსა და უწუმენა-ს. ეს წესჩვეულებები დაუფარავი იყო წლის მანძილზე იმ პირისათვის, უცხოც რომ ყოფილიყო, რომელიც ამავე სვანის ოჯახში შეესწრებოდა შეშხტამ ღამეს კვერების ცხობას. მერბიელ-ი აცხობდა მუჟელუ-ს, ორ ნაჭმხუნ-ს — ერთს საკაცებოს კუწუბებიანს (მუჭუბარ-ით) და ერთს ქალებისათვის — ჭდეებიანს. მუჟელუ-ი შედარებით უფრო მოზრდილი კვერი იყო. გამომცხვარ ნაჭმხუნ-ებს მერბიელ-ი ისეთ ადგილას შეინახავდა, რომ უცხოს ვერ დაენახა, რადგან ისინი ლალყაჯ-ი იყო. მეორე დღეს საქალებო კვერს ქალები და საკაცებოს კაცები შეექცეოდნენ უცხო პირთაგან დაფარულად; სვანის თქმით, მათ მაშინ უცებ გააქრობდნენ. თუ ოჯახს გათხოვილი ქალიშვილი ჰყავდა (ჰასტიშ-ი), ნაწილს საქალებო

¹ დიდად მორწმუნე ოჯახები დღესაც ძველებურად იქცევიან და ამ სისხლისაგან ზისხორა-ს აკეთებენ, მაგრამ ასეთი ოჯახები მესტიაში ეხლა ნაკლებიაო, — დაამატა მთხრობელმა.

ნაკვშუნ-იდან მასაც შეუნახავდნენ და ჩუმაღ შეაჭმევდნენ, რათა მისთვის მშობლების ოჯახის კარი ღია ყოფილიყო ყოველგვარი საოჯახო საიდუმლო წესჩვეულების შესრულების დროს. როდესაც მუჟედუ-ის და ნაკვშუნ-ის მოცომილ გუნდებს მერბიელ-ი გახურებულ ფილაქანზე (კა-ზე) სდებდა, ის შემდეგ-ნაირად ლოცულობდა:

„ხომა ღერბეთ, ხოჩა ზაჲ ენცად
კუმაშს ი მწრა ჩნს, ზაჲჲ მანადღ
ანხნღ, კუმში ნაფშირან, მწრში
ნაშუღობან, ზაჲ-ი-ხომხა ანაჰ
ხოჩა გუჟი“.

დიდო ღმერთო, კარგი წელი შე-
გვიცვალე საქონელს და ადამიანს ყვე-
ლას, წლის მოსავლით გაგვხარე, საქონ-
ლის სიმრავლით, ადამიანის მშვიდობი-
ანობით, წელიწადი და ახალწელიწადი
მოგვასწარი კარგ გულზე.

მუჟედუ-სა და ნაკვშუნ-თან ერთად მერბიელ-ი აცხობდა ნაკურთხ წყალში მოხელილ ერთ პატარა კვერს, კირკალდუ-ს. კირკალდუ რკალის მოყვანილობის გულცარიელი კვერი იყო, გარეთ ნაპირებზე მრავალი მუჭუჭრ-ით. მას შეაბამდნენ სათესლე ლალაშ-ს (მოწულ კალათას, რომელშიც სათესლე ხორბლეული ინახება) და, როდესაც თესვას დააპირებდნენ, კირკალდუ-ს თესვში ჩაფშენეტავდნენ, აურევდნენ და ხორბლეულთან ერთად დასთესავდნენ. როდესაც მერბიელ-ი კვერების ცხობას მორჩებოდა, ნაკვერჩხალს, რომლითაც სადღეობო კვერები დააცხო, დაყრიდა კა-ზე, გადააჯგუფებდა იმდენ გუნდად, რამდენი სახის ხორბლეულიც ჰქონდა ოჯახს, შეუსახელებდა თვითეულ მათგანს ამა-თივე სახის ხორბლეულს და ასე დასტოვება მეორე დღემდე. მეორე დღით, ოჯახის წევრები შეგროვდებოდნენ კა-სთან და აკვირდებოდნენ ნაკვერჩხლის გუნდების ფერფლს: მეტად ფერფლმომდგარ გუნდაზე შესახელებული ხორბლეულის სახე ახალ წელიწადს კარგი მოსავლიანი იქნებაო და პირიქით.

ნავახშმევს ხდებოდა აგრეთვე ახალწლისათვის მეკვლე კაცებისა და ხარის არჩევა. ხარის არჩევა უბრალოდ სრულდებოდა: საუკეთესო ხარი მუდამ მისივე ოჯახის მეკვლე იყო. ხოლო მეკვლე კაცების ამოსარჩევად ზოგჯერ ჯი-ლან-ს მიმართავდნენ. ოჯახის რომელიმე წევრი ასახელებდა—ჩვენ სახლში ესა-დაეს პირი იყოს ხვალ ქორა მუჭუში (სახლის მეკვლე) და ესადაეს პირი ქანმე მუჭუში (გარეშე მეკვლე). უწინ ქანმე მუჭუში ცალკე, მაგრამ ამავე თემში, მო-სახლე ჰასტიშ-ი ან ნიბაშინ-ი უნდა ყოფილიყო; და ამავე დროს ისეთი ნათესავი, რომელიც ოჯახისათვის კეთილის მოსურნედ მიაჩნდათ. მას შეუთვლიდნენ—ჩემი ქანმე მუჭუში იყავიო და ისიც ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ბოლო ზანებში კი ოჯახი თავის შიგნით ირჩევდა ქანმე მუჭუში-ს. ქანმე მუჭუში ამ ღამეს ოჯახში არ რჩებოდა, მას სახლს გარეთ უნდა გაეთია საღმე ღამე და მეორე დღეს გარედან მისულიყო. თუ მეკვლეებად დასახელებული პირები ოჯახის

დანარჩენი წევრებისათვის მისაღები არ აღმოჩნდებოდა, მაშინ გამოკრიდნენ ოჯახის წევრთა რაოდენობის ხის „კენჭებს“ (ჯილჯარ-ს), სამს მათგანს სხვადასხვა ნიშანს გაუკეთებდნენ დანით, — ხომა ღერბეთ-ისას ჯგირის სახეს ამოსკრიდნენ, შემდეგ ერთს ცერისმაგვარ ქდეს გაუკეთებდნენ და მეორეს ზოლს ჩაათლიდნენ. ამ ჯილჯარ-ს დააგროვებდნენ ქუდში, აურევდნენ ერთმანეთში და ოჯახის წევრებს თითო-თითოს ამოაღებინებდნენ რიგ-რიგობით: ვისაც ნიშნიანი „კენჭები“ შეეჭედებოდა, ისინი იქნებოდნენ მეკვლეები. ხომა ღერბეთი ჯილჯარ-ს არავითარი დანიშნულება არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ის ამ დროს აუცილებლად უნდა შერეულიყო „კენჭებში“.

1936 წლის ივლისი. სოფელი სეტი.

მთხრობელი 60 წლის ტარასი ნაკანი.

ი) მულახში

შუშხტამ. მულახის თემში ამ დღეს დილით მოსახლიდან თითო კაცი შიდიოდა ტყეში, იქ ირჩევდა და სჭრიდა ერთ მოზრდილსა და ლამაზ შიშველ არყის ხეს და ხშირწიწვიან ნაძვის ტოტს. არყის ხის მოჭრის დროს ის აკვირდებოდა ხიდან პირველად ავარდნილ ნაფოტის დაცემას — თუ ნაფოტი გარეკანით მოექცეოდა მიწის პირად, ეს იმას მოასწავებდა, რომ არყის ხე ოჯახისათვის საბედნიერო იქნებოდა და მისი სახლში წაღება შეიძლებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში სვანი ამ ხეს თავს ანებებდა და ეძებდა მეორე არყის ხეს. ამ დღეს მოჭრილ არყის ხეს გულ-ი ეწოდებოდა. სვანი მას ნაძვის ტოტს გადააბამდა, სახლში წაიღებდა და საღამომდე თავის ეზოში დასტოვებდა.

ამის შემდეგ შემოდგომიდან ნასუქ ღორს, ზომხან-ს, დაჰკლავდნენ, მის თავსა და ხორცს ცალკე შეინახავდნენ, ხოლო შიგნეულს ვახშმისათვის მოხარშავდნენ და შეექცეოდნენ. ამის გარდა, ვახშმისათვის წვრილ ლემზირ-ებსაც დააცხოზდნენ და მათი შეწირვის დროს შეევედრებოდნენ დღლ შუშხტამის-ს¹ რათა მას ოჯახისათვის ბედნიერი წელიწადი მოებრუნებინა. შორეულ წარსულში ამ ღამეს ვახშმად მსხვერპლის შიგნეულისაგან ზისხორა-ს გაკეთება იცოდნენ. უკანასკნელ ხანებში კი ჩვეულებრივი სახის ძეხვებს ამზადებდნენ.

ვახშმის შემდეგ კერიაში შენელებულ ცეცხლს კვლავ გააცხოველებდნენ და მერბიელ-ი შეუდგებოდა მეორე დღისათვის ე. წ. ნაჭუხუნჭუარ-ის გამოცხობას. ნაჭუხუნჭუარ-ს შეადგენდა სამი კვერი: ერთი საკაცებო სამყურა (მუჭუჭარანი), რომელსაც მეორე დღეს მხოლოდ მამაკაცებმა შეესამდნენ, მეორე საქა-

¹ მასწავლებლის დარისპან მარგიანის ცნობით (რომელიც წარმოშობით მულახელია), მულახში დღლ შუშხტამში-ი მიჩნეული ჰყავდათ მუდმივად კლდეებში მცხოვრებ, მეტად ლამაზი სახის და ოქროსნაწნავებიან ქალ-ღმერთად. ამ ცნობიდან ცხადია, რომ მულახში დღლ შუშხტამის აიდენტიფიცირებდნენ მონადირეობის ღვთაება დღლ-თან.

ლებო, ლამაზიან ლემზირ-ი, სამკდიანი, რომელსაც ახალწელს ქალები შეეკცეოდნენ და მესამე მოზრდილი ზომის ყველიანი კვერი შუაზე ჯვრის გამოსახულებით, რომელსაც ფუსნა მუჭელტ-ი ეწოდებოდა. ამ კვერებს აცხოვდნენ კალოობის დროს ცალკე გამოყოფილი და შუშბუნამ-ისა და ზომხა-სათვის შენახული ხორბლის ფქვილისაგან, რომელსაც გუბი-ი ეწოდებოდა. თუ ნაჭშუნტუნ-ის გამოცხობას ვერ დაესწრებოდა ოჯახის რომელიმე წევრი მას ნება აღარ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ოჯახის საიდუმლო წესჩვეულებებში წლის მანძილზე, მომავალ შუშბუნამ-ამდე.

ამავე დროს ხდებოდა ახალწლის მეკვლეთა არჩევა—ერთი კაციისა და ერთი ქალისა. ეს არჩევა კენჭის ყრით (ლიჯლან-ს საშუალებით) სრულდებოდა. ნავახშმევს, დაწოლის წინ დაამზადებდნენ სამეკვლეო შემოსალოცს: მოწულთ კალათაში ჩააწყობდნენ ნაჭშუნტუნ-ს, მოხარშულ ღორის თავს, ყველის წველას, ვერცხლის ფულს, ერთ ჯამ ფქვილს (გუბი-ს) და სხვ.¹

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი ქოლაში.
მთხრობელი 74 წლის ემზა გუჯეჯიანი.

ია) იფარში

შუშბუნამ დილით ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი მიდიოდა ტყეში არყის ხის (ჭულ-ის) და თხილის ტოტების (კუთახ-ის, ანუ კინობითი ფორმით კუთახულ-ის) მოსაჭრელად. ოჯახის წევრები და, მათ შორის განსაკუთრებით მანდილოსნები, დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე ჭულ-ის მოკრის დროს მისი პირველი ნაფოტი; დაბრუნდებოდა თუ არა ჭულ-ის მომტანი სახლში, პირველად ამის შესახებ შეეკითხებოდნენ. თუ ეს ნაფოტი ანათალი გულით დაეცემოდა მიწის პირად, ქერქი კი ზემოდან მოეკცეოდა—ცუდი ნიშანი იყო. თუ პირიქით მოხდებოდა მაშინ, სვანის აზრით, ოჯახს ახალი წლიდან წველის დიდი ბარაქა ექნებოდა. კუთახულ-ის მოსაჭრელად სვანი შეარჩევდა მრავალკვირტიან თხილის ტოტებს—ბარაქა იცისო [კვირტის სახელწოდებიდან (კუთახ) მთლიანად თხილის კონასაც კუთახ-ი ანუ კუთახულ-ი

¹ ხეობთმოყვანილი შუშბუნამ-ის წესჩვეულებები ძირითადად ისეთივეა, როგორც სვან მხარეთმცოდნე დარისხან გიორგის ძე მარგვიანს აქვს მოცემული ენიმკი-ს დავალებით 1935 წელს შესრულებულ ნაშრომში: „მულახის თემის დღეობები“ (მისი ხელნაწერი იხ. ენიმკი-ს ეთნოგრაფ. განყოფ. არქივში).

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დ. გ. მარგვიანის რუსულ ენაზე დაბეჭდილ წერილში (Сванеты (некоторые верты быта). — СМОМПК, в. X, отд. I, 83-84) შუშბუნამ-ის წესჩვეულებათა კომპლექსში მოცემულია კულ-ის სახლში შეტანის, ანუ ე. წ. ბაშბულ-ს, რიტუალი, რომელიც მულახის თემის შუშბუნამ-ის წესჩვეულებათა შორის ჩვენ დამოწმებული არა გვაქვს და არც თვით დ. მარგვიანს მოუპოვებია ამის შესახებ ცნობა თავის ზემოაღნიშნულ ხელნაწერში.

ეწოდება. ჯულ-სა და კჭაფხულდ-ს სვანი სახლში წაიღებდა, ჯერ კალოზე დააწყობდა, შემდეგ კალოს შუაგულ ადგილას რაც შეიძლებოდა მაღალ კოშკად (მუსი მურყუბამ) თოვლს დააგროვებდა და მის წვერზე ჯულ-ს, მის ნაფოტს და კჭაფხულდ-ს დაამაგრებდა (უკანასკნელ ხანებში შემოიღეს თხილის ტოტისაგან შიშლაგ-ის (ჩიჩილაკის) გაკეთება).

ვიდრე ოჯახის ერთ-ერთი წევრი ტყეში მცენარეულის შერჩევას და მათ კალოზე მოწყობას აწარმოებდა, სახლის უფროს მამაკაცს აპყავდა სახლის მეორე სართულზე ე. წ. დარბაზ-ში თეთრი ფერის კრავი (მეწხალდ-ი) და იქ ევედრებოდა ჯგერწვ შუშტმიშ-ს—ბედნიერი წელიწადი დაგვიყენე, მრავალ ამ დროს შეგვასწარი, მშვიდობიანად გვამყოფე და კარგი მოსავალი მოგვანიჭეო. ლოცვის გათავებისას კრავს მარჯვნივ შეატრიალებდა და მაჩუბ-ში ჩადიოდა კრავითურთ, რომელსაც ცხვრებთან და სხვა წვრილფეხა საქონელთან მოათავსებდა.

ამასობაში მერბიელ-ი სადილისათვის ლემზირ-ებს გამოაცხობდა, ოჯახის რძალი (თელრა) თავისი პირადი ქონებიდან გამოიყვანდა საგანგებოდ ამ დღისათვის გასუქებულ ნებეს, ან ტახს, ლეზომახ-ს, და ოჯახის წევრ მამაკაცს დააკვლევინებდა. დარბაზ-იდან ჩამოსული ქორს მახტში სადილად გაშლილ სუფრას კვლავ ჯგერწვ შუშტმიშ-ს შეავედრებდა, რის შემდეგ შემოუსხდებოდნენ ტაბაგ-ს და ისაღილებდნენ. ვახშმისათვის ისევ ლემზირ-ებს აცხობდნენ და სახლის უფროსი მათ ისევ ჯგერწვ შუშტმიშ-ს სწირავდა. ვახშმის გათავების შემდეგ მომავალი წლისათვის განკუთვნილ წესჩვეულებას ასრულებდნენ. შენელებულ კერიაში ცეცხლს გააძლიერებდნენ, ოჯახის ერთ-ერთი წევრი ამ დღისათვის წინასწარ დამზადებულ „ბროლის“ ქვას შეიტანდა და კერიის პირად მოათავსებდა,—რაც უფრო დიდი იქნებოდა ეს ქვა, თითქო მით უფრო მეტი წველა ექნებოდა ოჯახს მომავალი წლის განმავლობაში; ამიერიდან ეს ქვა (ჩერხა) მუდამ კერიის პირად იდო და მას პურების საყრდენად ხმარობდნენ ნათი ცეცხლის პირად გაფიცება-გამოშუშვის დროს. მერბიელ-ი, ოჯახის ყველა წევრის თანადასწრებით, შეუდგებოდა ე. წ. ნაქშხუნ-ების ცხობას. გახსნიდა, შემოდგომიდან საგანგებოდ ამ დღისათვის ცალკე შენახულ, საუკეთესო ხორბლის ფქვილით საესე კიღობანს, გადმოიღებდა მსხვილად დაფქვილ ზორბალს და გამოაცხობდა სამ ცალ კვერს. ამ კვერებს გულად პურისავე დერლილი ჰქონდა ჩატანებული. ერთი მათგანი საკაცებო კვერი იყო, ის მხოლოდ კაცებს უნდა შეეჭამათ. ამ კვერს ნაპირებზე „რქები“ (მუჭჭარ-ი) ჰქონდა გაკეთებული. მეორე კვერი საქალებო იყო, ჰასაკში მყოფი (თვიურის მქონე) ქალების შესაქმელი; მას ნაპირებზე სამი ჰქონდა თითოთი გაკეთებული. მესამე კვერი, ე. წ. ფუსნა მუქელტი-ი, განკუთვნილი იყო დიდი ღმერთის სახელზე; ის თავისი მოყვანილობით (მრგვალი და შუაზე ამობურცული, სეფისკვერსა ჰვავდა. ამ სამ კვერს ერთად ნაქშხუნ-ი ეწოდებოდა. ის, ვინც ამ კვერების გამოცხობას ვერ დაესწრებოდა და შუშტამ ღამეს მათ ვერ ნახავდა, მომავალი წლის საიდუმლო დღეობების მონაწილე ამ ოჯახში ვეღარ იქნებოდა; და, პირიქით, სულ უცხო პირიც

კი, გადამთიელი ვინმე; თუ შუშხტამ ლამეს ნაჭშხუნ-ების გამოცხობას შეესწრებოდა სვანის ოჯახში, მას უფლება ჰქონდა წლის მანძილზე ამ ოჯახის ლალყაჯ-ების და უწუნა-ს მონაწილე გამხდარიყო. საახალწლო კვერების გამოცხობის შემდეგ სამეკვლეო შემოსალოც ლალშ-ს დაამზადებდნენ: მოწულგოდორში (ლალშ-ში), რომელსაც ჩვეულებრივ სათესლე ხორბლის შესანახავად ხმარობდნენ, ჩააწყობდნენ ერთ ჯამ ნაჭიშხი ფექ-ს, ნაჭშხუნ-ებს, წერე-ქუ-ს (თომს), მატყლის ფთილას, კანაფს, ჩაფრასტებს და სხვა ვერცხლის სამკაულებს, ლეზომან-ის თავს, კუაფხულდ-ს, ჯულ-ის ნაფოტს და სხვ. აღნიშნულ ნაჭიშხი ფექ-ით მომავალი წლის განმავლობაში მანდილოსნები ე. წ. დულ-ს აცხობდნენ და მით დულშამ-ს წესს ასრულებდნენ. დულშამ ეწოდებოდა მამაკაცების ჩუმი მანდილოსნების მიერ ყველიანი კვერის, დულ-ის, გამოცხობას და სხვებისაგან დაფარულად შექმას. დულშამ-ს წესს ჩვეულებრივ სახლის უფროსი ქალი, მერბიელ-ი, ასრულებდა ხოლმე. შუშხტამ ლამეს ოჯახის ბავშვები და, საზოგადოდ, ახალგაზრდა წევრები, ბაგას (ლალდიწარ-ს) დაუვლიდნენ და შიგ პურეულის მარცვლებს ეძებდნენ; ეს მარცვლები საქონლის საკვებ თივას ჩაჰყებოდა ხოლმე. რაც უფრო მეტს მონახავდნენ ამ მარცვლეულს, მით უკეთეს იყო, სვანების ძველი რწმენით. შეგროვილ მარცვლეულს ლალშ-ში ჩაყრიდნენ, გაზაფხულზე, თესვის დროს, მათ სათეს ხორბალს გადაურევდნენ და დათესავდნენ. ის ოჯახი, რომელიც თავისი ქამე მუჭუხი-ს (გარეშე მეკვლის) ფეხს ცუდად დასცილიდა და წლის განმავლობაში დაზარალდებოდა საქონლის ან ოჯახის წევრის სიკვდილით, შუშხტამ ლამეს ახალ ქამე მუჭუხი-ს ირჩევდა. მას ამ მოვალეობის დასაკისრებლად შეგულბული ჰყავდა ორი-სამი მეზობელი და მათში ერთის ამორჩევა ქამე მუჭუხ-ად ხის „კენქის“ ყრით (ლიჯულამ-თ) ხდებოდა. ჯულ-ის ნაჭრისა ან უბრალო წნელისაგან გამოკრიდნენ რამდენიმე „კენქს“ და ზედ სხვადასხვა სახის ნიშანს ამოსთლიდნენ. ამ „კენქებიდან“ ერთს ყველაზე მეტად დააჭრვლებდნენ და მას კაბამ-ს ეძახდნენ, მეორეზე ერთ ქდეს გაუკეთებდნენ, მესამეს-კი უნიშნოდ დასტოვებდნენ და მას ფუსუნა ჯილამ ეწოდებოდა. ამის შემდეგ ამ ჯილარ-ს ქულში ჩაჰყრიდნენ, აჩენჩხავდნენ და შესახელებული მეზობლების სახელზე სათითაოდ ამოიღებდნენ. რომლის სახელზედაც კაბამ ამოვიდოდა, ის მეზობელი იქნებოდა ამ ოჯახის ქამე მუჭუხი მეორე დღეს და ამ ამბავს ახალ ქამე მუჭუხი-ს დროულად შეატყობინებდნენ. ქორა მუჭუხ-ების არჩევა არასოდეს არ ხდებოდა ხოლმე, რადგან მათ მოვალეობას მუდამ სახლის უფროსი მამაკაცი და ამავე ოჯახის მანდილოსანი, ან გოგონა ასრულებდა. ლიჯულამ-ს დასრულების შემდეგ კერიას ნაჭაზე წყლით სავსე ქვას ჩამოჰკიდებდნენ მეორე დღით ოჯახის წევრების ხელ-პირის დასაბანად და კერიასთან ხმელ შეშას დააგროვებდნენ ახალწელს დილით ცეცხლის ასანთებად. ამის შემდეგ ყველანი დაწვებოდნენ და დაიძინებდნენ.

იბ) კალაში

ა. ხალდეში

შუშტჯმ დღეს დილით გათენებამდე ყოველ ოჯახში აცხობდნენ პატარა ზომის ლემზირ-ებს რიცხვით იმდენს, რამდენიც ადამიანის სული იყო ოჯახში. სახლის უფროსი დაიჭერდა მათ ხელში, მივიდოდა საზამთრო ბინის (მაჩუბ-ის) აღმოსავლეთის კედლის დახურულ მარჯვენა სარკმელთან და იქ ილოცავდა ჯგერჯგ შუშტმიშ-ის სახელზე:

„ჯგერჯგ შუშტმიშ, ხოჩა ზნაძ
ლიცვდღლ ზნმარჯუტ, ჩტანთეშირ
კუმეშ ი მნრე მნგ“.

ჯგერჯგ-ო შუშტჯმ-ისაო, კარგი წლის
შეცვლა მოგვიმარჯვე, გაგვიმრავლე
საქონელი და ადამიანი ყველა.

ნალოც კვერებს მაშინვე დაინაწილებდნენ და შესჭამდნენ. შემდეგ ოჯახის ერთერთი წევრი მამაკაცი წავიდოდა ტყეში, იქ არყის ხეს, ჭულ-ს, მოსჭრიდა, სახლში მიიტანდა და კალოზე შეინახავდა. ამ ჭულ-ს დააპობდნენ, გაახმობდნენ და ლიფნანლ-ისათვის შეინახავდნენ.

ხალდეში ახალწელიწადი სალასკარო დღეობა იყო. ლასკარ-ის მორიგე მედლეობე ე. წ. მეგნე, შუშტჯმ დღეს ამარაგებდა მეორე დღის სურსათ-სანოვავეს. მას ამ საქმეში ლასკარ-ის რამდენიმე წევრი (მოსკარ-ი) ჭხმარებოდა. დილით, მზის ამოსვლამდე, მეგნე-სთან იკრიბებოდა ექვსი მოსკარ-ი ეგრედ წოდებულ ლესერ-ის გამოსაცხობად. ლესერ-ი იყო უზარმაზარი ზომის პური ხორბლის წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარი და შუაგულში კვინიტ-მარილ ან ფინჩხა-ყველ ჩაყოლებული. ამ პურის გამოცხობა, მისი სიდიდის გამო, ქალებს არ შეეძლოთ. ექვსი ვაყვაცი მოზელდა და დააგუნდავებდა პურს, შემდეგ გახურებულ ფილაქანზე (კა-ზე) დადებდნენ და ზემოდან ღველფს გადააყრიდნენ. ლესერ-ის ფილაქანი ძალიან დიდი იყო და მას საგანგებოდ იმარაგებდნენ. სალასკარო პურის გამოცხობის შემდეგ მოსკარ-ებს მეგნე სადილით გაუმასპინდლებოდა და ისე გაისტუმრებდა.

ნაშუადღევს მიდიოდა მასთან ლასკარ-ის მომავალი წლის მეგნე და ღორის დაკვლა-გაკეთებაში ეხმარებოდა. დაკვლის წინ ანთებდნენ არყის ხის გამხმარ კანს და მით ღორს ყელში ჯაგარს ამოუწვავდნენ. მას დანით დაკლავდნენ—ყელის ძარღვს გადაუჭრიდნენ. საქმეს რომ მორჩებოდნენ, მომავალი წლის მეგნე თავის სახლს მიაშურებდა დღეობის საკუთარი საოჯახო წესჩვეულებათა შესასრულებლად.

შუშტჯმ საღამოს ხდებოდა ოჯახის გარეშე მეკვლის (ქამე მეკშხი-ს) არჩევა: არყის ხის ტოტისაგან იმდენ ცალ ჯილწა-ს გათლიდნენ, რამდენი მეზობელიც გამოდგებოდა, მოსახლის ფიქრით, მისი ოჯახის ქამე მეკშხ-ად. ერთ „კენჭს“ ჯვრის სახის ჭდეს. გაუკეთებდნენ და მას ფუნანაბუნსიღიშ-ს უწოდებდნენ.

კენჭის ამოღების დროს ვის სახელზედაც ეს უკანასკნელი ამოვიდოდა, ის იქნებოდა ოჯახის ქმე მკვში.

ნავახშმევს, მოგვიანებით ყოველი მოსახლე იმზადებდა მეორე დღისათვის ნაჭშუნჭურ-ს. ჯერ გამოაცხობდნენ ყველისგულიან წვრილ ლემზირ-ებს და მათ შორის ერთს პატარავე ზომის ფუსნა ლემზირ-ს, რომელსაც შუაზე ჯვრის გამოსახულებას უკეთებდნენ. ამ კვერების გამოცხობას უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უფლება აღარ ექნებოდათ მომავალი წლის საოჯახო საიდუმლო დღეობების მონაწილენი გამხდარიყვნენ. ლემზირ-ების გამოცხობის შემდეგ მიიტანდნენ კალათას (კჭიდოლ-ს) და გაავსებდნენ მას სახალწლო სანოვაგით. კალათაში აწყობდნენ წვრილ ლემზირ-ებს, მთელი ამ კვირის წმინდად ამოღებულ ყველის წველას, ღორის თავს, დაწულ თომს (წერაქუ-ს), ვაშლს, შაქარს და სხვა ტკბილეულსა და ხილეულს, თუ ასეთი ოჯახს მოეპოვებოდა, ყველაფერ ამას ზემოდან ფუსნა ლემზირ-ს დაადებდნენ.

ამის შემდეგ ოჯახის მამაკაცები გავიდოდნენ კალოზე და მის შუა ადგილზე ნიჩბით თოვლს დააგროვებდნენ; რაც უფრო დიდი ზომის თოვლის ზეინს დადგამდნენ ამ ღამეს, მით უფრო დიდი მოსავალი გვექნება მომავალ წელსაო, ფიქრობდნენ სევანები.

1935 წლის აგვისტო. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ ვასციანი.

ბ. დავბერში

შუშხტამ დილით ოჯახის წევრი მამაკაცი ტყეში წავიდოდა, იქ მოსჭრიდა და სახლში წაიღებდა არყის ხეს—ჯულ-ს, თხილის კვირტიან ტოტებს—კტიმპრ-ს და ხავსს (ხაჭს-ს). ჯულ-ის მოჭრის დროს ის აკვირდებოდა იმას, თუ როგორ დაეცემოდა მისი პირველი ნაფოტი. თუ ის კანით დავარდებოდა მიწაზე,—მომავალი წლის განმავლობაში ოჯახს კარგი წველა და მიწის მოსავალი ექნებოდა, ხოლო, თუ მიწის პირად ნაფოტის გადაჭრილი მხარე (გული) მოექცეოდა,—ეს ოჯახის წევრების სიმშვიდეს და ბედნიერებას მოასწავებდა, ფიქრობდნენ. არყის ხეს, მის ნაფოტებს, თხილის ტოტებს და ხავსს წაიღებდნენ და სახლის კართან მოათავსებდნენ გარედან, საღამომდე.

საღამოს ყოველ ოჯახში ორი-სამი წლის ნასუჭი ტახი დაიკვლოდა. ამ ტახს ლეზომახ-ი ეწოდებოდა, რადგან ის ახალწლისთვის (ზომხა-სათვის) იყო განკუთვნილი. ვახშმისთვის ჩვეულებრივ საკმელ-სასმელს დაამზადებდნენ და იმას შეექცეოდნენ. როდესაც ვახშამს დაასრულებდნენ, ოჯახის ყველა წევრის თანხდასწრებით, მერბიელ-ი გამოაცხობდა საახალწლო პურებს ე. წ. ნაჭშუნჭურ-ს. ნაჭშუნჭურ-ს შეადგენდა ერთი დიდი ზომის ყველიანი ლესკარ-ი და ერთი პატარა კვერი, რომელსაც ფუსნა მუქელუ-ი ეწოდებოდა. ამ პურებს მეორე დღისათვის ინახავდნენ, ხოლო ამავე ღამეს, ვახშმის შემდეგ შესაკმელად

მერბიელ-ი აცხოვდა ოჯახის სულზე თითო ცალ კვერს, კუბანკრლ-ს. ეს კვერები (კუბანკილარ-ი) ყველიანები იყო. მათ ჯგერაგ შუშხტიმიშ-ს შეავედრებდნენ და ისე დაინაწილებდნენ. შემდეგ ხდებოდა ე. წ. ლაქშიზარ-ის დამზადება: ლალაშ-ში ჩააწყობდნენ ლესკარ-ს, ფუსნა მუქელტ-ს, ყველის წველას, ჯამით ფქვილს, წერეჭტ-ს, თეთრს (ვერცხლისას), კტიმპრ-ს, ჯულ-ის ნაფოტს და ლეზომან-ის თავს; ლალაშ-ში მოათავსებდნენ აგრეთვე ბოთლით არაყს—ზედაშ-ს. ნაქსხუნტარ-ის გამოცხოვას და ლაქშიზარ-ის დამზადებას უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი. ის, ვინც შუშხტიმს ღამეს მათ ვერ შეხედავდა, მომავალი წლის განმავლობაში ოჯახის საიდუმლო ლიმპურ-ებს ველარ დაესწრებოდა და ოჯახის ლალაყაგ-ებისა და უწუნა-ს მონაწილე ველარ გახდებოდა. ის ოჯახი, რომელიც ამ წელს რითიმე დაზარალდებოდა, შუშხტიმს ღამეს ახალ ქანზე მკუში-ს აირჩევდა, რადგან თავის დაზარალებას ძველ ქანზე მკუში-ს აწერდა—წარსულ ახალწელიწადს მან ცუდი ფეხი დამიტოვაო. ახალი ქანზე მკუში-ს არჩევა კენჭის ყრით სრულდებოდა ისეთივე წესით, როგორც იფარის თემში. კალაში თვითეულ ოჯახს ახალწლისათვის ორი ქანზე მკუში ჰყავდა. ერთი მათგანი ხშირად ოჯახის რომელიმე ახალგაზრდა წევრი იყო, რომელიც შუშხტიმს ღამეს თავის მაჩუბ-ში არ გაათევდა, სხვაგან მიდიოდა დასაძინებლად და ახალწელს დილით გარედან შევიდოდა მეორე ქანზე მკუში-ს მსგავსად. ქორა მკუში-ები ოჯახს მუდამ ერთი და იგივე პირები ჰყავდა—სახლის უფროსი კაცი (ქორა მახუში) და სახლის უფროსი ქალი (მერბიელ-ი).

შუშხტიმ-ის ყველა დანარჩენი წესჩვეულება აქ ისეთივე იყო, როგორც ხალდეში, მხოლოდ ლასკარ-ის პურობისათვის ლესერ-ის გამოცხოვა არ იცოდნენ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი დავებრი.

მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

8. ვიჩნაშელ მოახალწენებს შორის დაღში (აფხაზეთში)

შუშხტიმ-ი უქვე დღედ არ ითვლებოდა. დილით წამოდგებოდნენ თუ არა ლოგინიდან, ოჯახის ერთი წევრი მამაკაცი წაივდიოდა და რიყიდან „ბროლის“ ქვას ე. წ. ქიშ-ს („ყველის წველას“) მოიტანდა, ხოლო მეორე წევრი ოჯახისა ტყისაკენ გაემურებოდა, იქ თხილის (გტიზ) და ნაძვის ტოტებს მოსჭრიდა და ხავსს მოჰკლევდა. ამის გარდა, ის შეარჩევდა ლამაზ არყის ხეს, ჯულ-ად რომ გაჰაადგებოდა ისეთს. მისი მოჭრის დროს სვანი აკვირდებოდა მიწაზე დაცვენულ ნაფოტებს, განსაკუთრებით პირველად დაეარდნილს. თუ ეს ნაფოტი მიწის პირად კანით დაეცემოდა ან ცერად (კაჩ-ად) დადგებოდა, ცუდი ნიშანი იყო, მომავალ წელს ადამიანის ავადმყოფობას მოასწავებდა; ხოლო თუ ის მიწას გადაჭრილი გულით დაეფინებოდა, — კარგი იყო, წლის მანძილზე ოჯახში ბარაქა გვექნებაო. ქიშ-ს, ჯულ-ს, გტიზ-ს, ნაძვის ტოტს და ჯულ-ის ნაფოტებს სვანი სახლში წაიღებდა და ჯულ-ის ნაფოტებს და „ბროლის“ ქვას ერთად შეინახავდა.

შუშხტიმს დილითვე დაჰკლავდნენ საახალწლო ღორს. ეს ღორი—ნეზვი იქნებოდა თუ ტახი, სულ ერთი იყო, —საგანგებოდ გასუქებული ჰყავდათ შე-

მოდგომიდან. მის შიგნულს ვახშმისათვის იმზადებდნენ და ლემზირ-ებთან ერთად შეექცეოდნენ.

ვახშმის შემდეგ კვლავ შეუქცებდნენ კერიას და მერბიელ-ი მეორე დღისათვის სადღეობო კვერების, ნაჭმუნჭნარ-ის, გამოცხობას შეუდგებოდა. შემოდგომიდან ცალკე შენახული ხორბლის ფქვილისაგან ის აცხობდა ერთ მრგვალ კვერს, რომელსაც ფუსუნა მუქელთ-ი ეწოდებოდა, და ერთ დიდი ზომის პურს — ლესკარ-ს, რომლის შუაგულზე თითოთი ჯვრის სახეს გამოიყვანდა. ნაჭმუნჭნარ-ის გამოცხობას უნდა დასწრებოდა ოჯახის ყველა წევრი, თუ მათ სურდათ, რომ მომავალი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიეღოთ საოჯახო საიდუმლო დღეობებში.

როდესაც ნაჭმუნჭნარ-ი გამოცხებოდა, მოამზადებდნენ ე. წ. ლაჭმხიარ-ს, სამეკვლეო შემოსალოცს: მოწულ კალათაში ჩააწყობდნენ ნაჭმუნჭნარ-ს, ჯამით ფქვილს, თომს (წერეჭნ-ს), „ბროლის“ ქვას, ღორის თავს, მატყლისა და კანაფის ძაფებს, ვერცხლეულს, კულ-ის ნაჭერს, გუბიზ-ს და სხვ. ყველაფერ ამას ამზადებდნენ სახლის შინა მეკვლისათვის, რომელიც ახალწედს დილით ამ სურსათ-სანოვაგით და ყოველგვარი ბარაქით სავსე კალათს მიუკვლევდა ოჯახს და კარმიდამოს.

შინა მეკვლეებს, რომელნიც ჩვეულებრივ ორნი იყვნენ, ქალი და კაცი, არ ამოირჩევდნენ ხოლმე, ისინი მუდამ სახლის უფროსები იყვნენ. კენჭის ყრის საშუალებით არჩევა ე. წ. ქამე მჭმხი-სა (გარეშე მეკვლესი) იცოდნენ და ისიც მაშინ, როცა ერთხელ ამორჩეულ ქამე მჭმხი-ს ფეხს უქანასკნელ წელს ოჯახი ცუდად დასცილდა.

1933 წლის ივნისი. სოფელი აჯარა. მთხრობელი
40 წლის იულონ ხარძიანის ძე ხარძიანი (დალში
გადასახლებული კალის თემის სოფელ ვინაშიდან)

იგ) უშგულში

შუშუბა. უშგულში ამ დღეს ხშირად ბაცხ-ს და, განსაკუთრებით, კათხ-ტაბაგ-ს აწყობდნენ ხოლმე. მაგრამ დამოუკიდებლად იმისაგან, ასრულებდა თუ არა ოჯახი ბაცხ-სა და კათხ-ტაბაგ-ს, ის მაინც იცავდა შუშუბა-ის შემდეგ წესჩვეულებებს.

შუშუბამ დილით ყოველი მოსახლე დაჰკლავდა ერთ კარგს შემოდგომიდან ნასუქ ტახს, რომელსაც ლეზრმახ-ი ეწოდებოდა. მის თავსა და ხორცს მეორე დღისათვის ინახავდნენ, ხოლო შიგნულს მაშინვე მოხარშავდნენ იმავე ღამეს შესაქმელად; ღორის შიგნულთან ერთად ვახშმისათვის ლემზირ-ებსაც აცხობდნენ.

ვახშმის წინ, მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა და სვანის ოჯახიც დღისით გასაკეთებელ საქმეს მოილევადა, ერთი რომელიმე მისი წევრი მამაკაცი

წავიდოდა ტყეში და იქიდან მოიტანდა არყის ხეს, ჯულ-ს, ხავსის. ნაკუწს და რიყებზე გავლისას, თან გაიყოლებდა „ბროლის“ ქვებს, რომლებსაც ქიჭპრ-ი ეწოდებოდა. ჯულ-ის სახლში შეტანა ნავახშმევეამდე არ შეიძლებოდა, მას საახალწლო კვერების გამოცხოვის შემდეგ შეიტანდნენ გარკვეული წესის დაცვით.

საახალწლო კვერების გამოცხოვა ნავახშმევეს იცოდნენ. ცეცხლს ხელმეორედ შეანთებდნენ და მერბიელ-ი შეუდგებოდა ცხობას. ის გამოიღებდა შემოდგომიდან ცალკე შენახულ საუკეთესო ხორბლის ფქვილს, რომელსაც გუბიზ-ი ეწოდებოდა, მოხელდა და პირველად დიდი ზომის კვერს—ლაჭშხიჭრ-ს, და შემდეგ საშუალო ზომისას—უშდბწლ-ს, გამოაცხოებდა. მათ გამოცხოებას უნდა დასწრებოდა ყველა, ვისაც სურდა ამ ოჯახში გაეტარებინა მომავალი წლის. საოჯახო საიდუმლო დღეობები და ამ დღეობების წესჩვეულებათა შესრულების მონაწილე გამხდარიყო.

როდესაც ლაჭშხიჭრ-ი და უშდბწლ-ი გამოცხვებოდა უშგულელ მოსახლეს. შეჭქონდა სახლში ჯულ-ი. ამისათვის გავიდოდა გარეთ ორი მამაკაცი. ერთ მათგანს ხელში ნაჯახი ეჭირა, მეორეს კი უშდბწლ-ი და ანთებული კვარი, რომლითაც გზას ანათებდა. ისინი მივიდოდნენ ჯულ-თან, პირველი მათგანი ჯულ-ს ნაჯახს მოუქნევდა და გადასჭრიდა ჯერ სიგანეზე რამდენიმე ადგილას და შემდეგ ჯულ-ის თვითელ ნაწილს სიგრძეზე აპობდა ოთხ-ოთხ ნაწილად. დაპობისას, რომ ჯულ-ს ნაფოტი (წთ) სცივოდა, ამ ნაფოტის მიწაზე დაცემის მიხედვით მკითხაობდნენ: მისი მიწაზე კანით დაცემა, სვანის აზრით, მიწის კარგ მოსავალს მოასწავებდა, ხოლო როდესაც ნაფოტი გადაჩეხილი გულით მოექცეოდა მიწის პირად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მომავალ წელს ოჯახს წველის ბარაქა ექნებოდა. პირველ სამ ნაფოტს და ჯულ-ის რამდენიმე ნაჭერს შინ შეიტანდნენ, ერთ ნაფოტს საფუარში ჩადებდნენ, მეორეს ბაგაში (ლალდიჭრ-ში) და მესამეს წერეთლ-ის კონის შუაგულში მოაქცევდნენ. ჯულ-ის ნაჭრებს კი შვილ-ზე შედებდნენ გასახმობად.

ამის შემდეგ ამზადებდნენ სამეკვლეო შემოსალოცს, ლაჭშხიჭრ-ს: მოწულ კალათაში (ლალწ-ში) ჩააწყობდნენ ერთ ჯამ გუბიზ-ის ფქვილს, ლეზომახ-ის თავს, თომს (წერეთლ-ს), ვერცხლის ფულს (თეთრს—მანეთიანს ან, უფრო ხშირად, აბაზიანს), „ბროლის“ ქვას (ქიტ-ს), თხილის კონას, ხავსს და სხვ.

ამავე დროს ირჩევდნენ ქაშე მკჭშხი-ს და სგა მკჭშხი-ს, ანუ ქორა მკჭშხი-ს. გარეშე მეკვლეს (ქაშე მკჭშხი-ს) კენჭს (ჯილბა-ს) უყრიდნენ: სამ სასურველად მიჩნეული მეზობლისაგან, ამოირჩევდნენ იმას, რომლის სახელზედაც დანიშნული კენჭი ამოვიდოდა. შინაური მეკვლე (ქორა ანუ სგა მკჭშხი) უშგულელს ორი ჰყავდა—ერთი ამ ღამეს სხვაგან წავიდოდა დასაძინებლად და მეორე-კი სახლში რჩებოდა და ოჯახს ახალწელს ყველაზე უწინ ულოცავდა. ორივე ამ მკჭშხი-ს აგრეთვე კენჭის ყრით ირჩევდნენ.

ვიდრე ოჯახი მეორე დღისათვის ცეცხლს შეინახავდა, ე. ი. ვიდრე რამდენიმე კარგად გაღვივებულ ნაკვერჩხალს ღრმად ნაცარში გაახვევდა,—მომავ-

ლის გაგების მიზნით. სახლის უფროსი მივიდოდა კერიასთან, გაღვივებულ ნაკვერჩხლებს და ღველფს ფილაქანზე (კა-ზე) დაჰყრიდა, შემდეგ მათ სამ ჯგუფად დანაწილებდა და შეუსახელებდა: ერთ ჯგუფს ხობლის (ქუეცენ) სახელზე, მეორე ჯგუფს ქერის (ქემინ) სახელზე და მესამეს ქუბას (მანწუ) სახელზე. ამ ლამეს ღველფის ჯგუფებს ასე დასტოვებდნენ, ხოლო მეორე დღეს დილით აკვირდებოდნენ—მომავალ წელს რომელი მარცვლეულის მოსავალი უკეთესი და რომლის უარესი, ან სულ ცუდი ექნება ოჯახსო: რომელ ჯგუფსაც თავზე მეტი ფერფლი ექნებოდა მოდგმული, თითქო მის სახელზე შეთქმული მარცვლეულის მოსავალი უკეთესი იქნებოდა და პირიქით.

შუშხტამ ლამეს, დაწოლის წინ წვრილად დააპობდნენ ხმელ შეშას და კვარს და კერიის პირად დაალაგებდნენ მეორე დილას ცეცხლის ანთების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად¹.

1936 წლის აგვისტო. სოფელი ყიბიანი.

მთბრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი.

ც. მამო სვანეთში

იღ) ლაშხეთში

ა. სასაშში

შუშხტამ. ჯერ კიდევ შემოდგომის დამდეგს დააყენებდა ლაშხელი სახალწლოდ ნეხეს, ზომხანს, და ასუქებდა შუშხტამ დღემდე. ამ დღეს განსაკუთრებით კარგი მოგლა და პატრონობა ჰქონდა, რადგან ყოველი მოსახლე ცდილობდა მეზობლებზე უკეთ გაესუქებინა თავისი ღორი და ამით სახელი გაეთქვა.

ლაშხეთში მიღებული არ იყო შუშხტამ დღეს სხვის ოჯახში სიარული და ამიტომ სვანს ძალიან არ სიამოვნებდა, თუ მას ამ დღეს უცხო პირი შეუვიდოდა სახლში.

¹ თავის უფალი სვანი (ბ. ნიერაძე) „შუშხტამ“-ს შემდეგნაირად აღწერს: „ახალწლის წინ საღამოს, ვახშობამდი, ყოველ ოჯახში დაბურბუშელებენ შოკლედ და წვრილად ხის ნაპობებისაგან შემდგარს კონას, რომელიც ოთხი კვირის წინათ იყო ჩამოკიდებული სახმობად ცხვენის ქვეშ ამ დანიშნულებისათვის. ბურბუშელას კერიასთან დასდებენ კიდევ უფრო გამომზობისათვის და ახალ წლის დილაამდი აქ უნდა იყოს, როდესაც მას პირველად დააყრიან ცეცხლზედ შეშის მაგიერ. საღამოს ახალწლის წინ ოჯახში ყველა მშვიდობიანათაა, ცუდს სიტყვას არავინ არ ეუბნება ერთმანეთს, რადგანაც, ხალხის აზრით, წელიწადი უკვე დამდგარია. სჭამენ ვახშამს; ნავახშმვეს ერთი ოჯახთაგანი სხვაგან მიდის საღამო სოფლის უკაცურს სახლში, სადაც მოვლიან აგრეთვე იმ სოფლის თვითელ მოსახლიდგან თითო კაცი. ამ კაცს სვანურად ჰქვია „ჭამე მუჭუში“, კართულად გარე მაკელიელი. ამ გარე მაკელიელის გარდა უნდა იყოს ორი შიგნით მაკელიელი („ისგაა მუჭუში“), რომელიც სახლშივე რჩებიან“. თავისუფალი სვანი, სახალხო დღესასწაულები სვანეთში, გაზ. „ზრომა“, 1883 წ., №№ 20, 22.

ნასუქი ნეზვის, ზომხნა-ს, დაჯგულა შუშხტამ-ს დილით მზის ამოსვლამდე ხდებოდა. ღორის შიგნეულისაგან ძეხვებს (კეპლარ-ს) გააკეთებდნენ და შეინახავდნენ მეორე დღისათვის. მეორე დღისათვის ინახავდნენ აგრეთვე ზომხნა-ს თავს. ხოლო მის ყბას შუშხტამ ღამეს ვახშმად შესქამდნენ ხოლმე. ვახშმისათვის, სხვა კვერებთან ერთად, აცხობდნენ სამს კუწუბიან ტაბულ-ს. ამ კვერებს გულში ზომხნა-ს შინაგან ქონს (ბადი-ს) ჩაატანდნენ და ისე გამოაცხობდნენ. ვიდრე ოჯახი ვახშმის ქამას შეუღებოდა, სუფრაზე დალაგებული სამი ტაბულ-ისა და ღორის ყბის წინ სახლის უფროსი ასე დაილოცავდა:

„ხოჩა შუშხტამ ოგშხტამენა
ქორს მერდას ჩის, ანსტაღდა
ნაშდობოშ ი კუშში ნაფშიროშ;
ბასილ ძელტა კალანდაშიაშ,
ოგტაჲ ხტაჲ კალანდობ შიდლობდ,
ამსტაღდაშ ი კუშში ნაშდობოშ“.

კარგი შუშხვამ-ი გმუშხვამებია
სახლში მყოფს ყველას, ადამიანის
მშვიდობიანობით და საქონლის სიმრავ-
ლით; ბასილ ზღვის კალანდისაო,
მოგვასწარი მრავალი კალანდობა
მშვიდობით, ადამიანის და საქონლის
მშვიდობიანობით.

ამის შემდეგ ის ოჯახის თვითეულ წევრს ჭიქით სასმელს მიაწოდებდა და ასე ეტყოდა:

„ხოჩა შუშხტამუ აჯშხტამენა!“

კარგი შუშხვამ-ი გმუშხვამებოდეს!

ისიც მოჰკიდებდა არყით სავსე ჭიქას ხელს და უბასუხებდა:

„სწ ხოჩა შუშხტამუ აჯშხტამენა,
ზომხა შიდობდუ აჯაენა ღეხტემ
ი გეზლა ნაშდობოშ, სგეჲ ნაფშირონუ

აღნიღწილდ, ხოლა თეჲ-აყბა ქა
ლქაბნეუ გტარ, ლქაბნეუ ლი
გუშგუე ქორხენქა ჩი რიგი ხოლა
მეყტაბიელ ლეგლირდე, შუშხტამი
ყერ ი ანგლოზუ ლიხ გუშგუე
ქორაშ ი ლირდემი მაშედ, ბობზარე
ლირდინუ აღნიღწილდ, ჩიგარუ გტარ

შენც კარგი შუშხვამ-ი გმუშხვამებოდეს,
ახალწელიწადი მშვიდობით მოგსწრე-
ბოდეს ცოლის და შვილების მშვიდობიან-
ობით, ვაჟიშვილის სიმრავლით გავხარე-
ბულიყოთ, ცუდი თვალ-ყბა ამორებული
გვქონდეს, ამორებული იყოს
ჩვენი სახლისგან ყოველგვარი ცუდი
მოარული ავადმყოფობა, შუშხვამ-ის
ძალი და ანგლოზი იყენენ ჩვენი
სახლის და ყოფის შემწე, ბავშვების
ზრდით გავხარებულებოთ, ყოველთვის
გვქონოდეს.

შუშხტანი ლადღებია დროი ი
ტაროც¹.

შუშხვამ-ის სადიღებელი დრო და
ტაროსი².

ამ ლოცვის გათავების შემდეგ ვახშობას შეუდგებოდნენ. ვინაიდან ზომხან-ს ყბა, რომელსაც ვახშმად შეექცეოდა ოჯახი, ლელყაჯ-ი იყო, ამიტომ ამ დროს ოჯახში უცხო პირის ყოფნა და, განსაკუთრებით, მისთვის ამ ხორცის შეთავაზება სასტიკად იყო აღკვეთილი.

ვახშმის გათავების შემდეგ ოჯახის მანდილოსნები შეუდგებოდნენ მეორე დღის საფერხავი პურის, ნაჭშხურა-ს, გამოცხობას: აუფუებელი პურის ცომში შეტურევენ ზომხან-ს ქონს (ლტესა-ს), აზელდნენ და შემდეგ გაბრტყელებულ გუნდას გარედან აფუებულ ცომს შემოაკრავდნენ და ისე გამოაცხობდნენ. ჩვეულებრივ ამ პურს მუდამ დიდი ზომისას აცხობდნენ; საუკეთესო ნაჭშხურა ის იყო, სვანის წარმოდგენით, რომელიც თავის სიდიდით პურის საზელ სვანურ გობს უდრიდა და რომელსაც სვანურ კერიაზე გამოაცხობდნენ. მისი გამოცხობის შემდეგ სამეკვლეო შემოსალოც ნაჭშხურ-ს ამზადებდნენ: გოდორში (კტიდოლ-ში) ჩააწყობდნენ ჯერ ნაჭშხურა-ს, რომელსაც ზემოდან ზომხან-ს თავს დაადებდნენ, შემდეგ ჩააწყობდნენ საფეკილეთი (კარტა-თი) პურის ფქვილს ზემოდან მოთავსებული ტაბულ-ით, ვაშლებს, რომლებშიც ვერცხლის ფულებს ჩაარკობდნენ, თომის (წერქტა-ის) კონას, ზომხან-ს მარჯვენა კანკს, ერთ სტამან² არაყსა და ბოლოს თავზე დაადებდნენ ე. წ. ფუსნა ტაბულ-ს. ეს უკანასკნელი ღვთაება ფუსნაბუხსდია-ს ტაბულ-ი იყო, პატარა ან საშუალო ზომის ჯვრის სახედ გამოყვანილი. ზოგ ოჯახში იცოდნენ შინა მეკვლეს (ქორა მქშხი-ს) შუშხტამ ლამეს გარეთ გაისტუმრებდნენ ხოლმე. მაშინ მას თან მიჰქონდა ნაჭშხურ-ი და მიჰყავდა ხარი იმისათვის, რომ მეორე დილას აღრიხანად თავის ოჯახისათვის მეკვლეობა გაეწია.

შუშხტამ ლამეს ვაყებს შეჰქონდათ თავ-თავის სახლებში მრავალკვირტიანი თხილის ტოტები, რომლებსიგანაც კონებს (გუხტარ-ს) აკეთებდნენ და ამ ლამეს იქვე სახლში ინახავდნენ. ამავე ლამეს სახლის კარის წინ მეორე დღისათვის მარხილს დადგამდნენ.

¹ არსენ ონიანის დაბეჭდილ სვანურ ტექსტებში ამ მომენტისათვის მოყვანილია შემდეგი ლოცვა:

„ჯგვრანგ შუშხტმიშ, სი ლრგტეშდ,
ხოჩა შუშხტამ ოგშხტან,
ხტაჲ ლადნ ლადედ ოგტაჲ
კუმშიში ი მარხმი ნაშტდობოშ“.

ჯგვრანგ-ო შუშხვამ-ისაო, შენ გვიშველე,
კარგი შუშხვამ-ი გვიშუშხვანე,
მრავალი დღეის დღე მოგვასწარი
საქონლის და ადამიანის მშვიდობიანობით.

იხ. Арсен Ониан, Сванские тексты на Лапхском наречии. Материалы по фетическому языкознанию, IX, Петр., 1917, стр. 15. ლოცვის ქართული თარგმანი ჩვენ დავერთეთ.

² სტამან-ი სამ ჩარეკიანი დოქია.

როდესაც შუშხტამ დღეს მეზობელი მეზობელს შეხედებოდა, ისინი ერთ-მანეთს ასე მიესალმებოდნენ: პირველი მეზობელი ეტყოდა—

„ხოჩა შუშხტამუ აჯშხტამენა“ კარგი შუშხვამ-იმც გშუშხვამებოდეს!

მეორე მეზობელი ამაზე უპასუხებდა—

„სნ ხოჩაუ აჯშხტამენა!“ შენც კარგი გშუშხვამებიდეს!

შედგენილია არსენ ონიანის მიერ 1935 წელს მოწოდებული მასალებისა და მისივე დაბეჭდილი სვანური ტექსტის მიხედვით (იხ. Арсен Оңиан, Сванские тексты, გვ. 15—16).

ბ. ჟახუნდერში

შუშხტამ. ჟახუნდერში ამ დღეს არ უქმობდნენ. დილით მზის ამო-სვლაზე ყოველი მოსახლე თავის საცხოვრებელ ზამთრის ბინაში (მაჩუბ-ში) სამსხვერპლო ნეზეს, ზომხნა-ს, დაჰკლავდა და მის თავ-ხორცს მეორე დღისათვის შეინახავდა.

სალამოს ეზოში შემოაცურებდნენ და მაჩუბ-ის კარის წინ დასდგამდნენ შეშით დატვირთულ მარხილს, რომელსაც შეშის ზემოდან ედო შუხის ორი ლამაზი ტოტი და „ბროლის“ ქვა. მუხის ტოტებს გუზმაგუზ-ი ეწოდებოდა და „ბროლის“ ქვას კი ქიტ-ი, ხოლო ამ დღეს მოტანილ მარხილ შეშას ლექთუნა სეტ-ს ეძახდნენ.

შუშხტამ ღამეს ვახშმისათვის მოამზადებდნენ საახალწლო ღორის ქვედა ყბას, გულ-ღვიძლს, ღორისქონიან სამ ტაბელ-ს, რომელთაგან ერთი ღამარია შილგენე იყო, მეორე ფუსნა ლემზირ-ი და მესამე ჩვეულებრივი ტაბელ-ი (მას სხვა სახელი არ ჰქონდა). ღორის ყველა ეს ნაწილი და პურები ლელყაჯ-ი იყო, ე. ი. მათი შექმა ეკრძალებოდა ოჯახის გარეშე პირებს. ეს აკრძალვა (ლელყაჯ-ი) გადამდები სენის (ზიგ-ის) საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული. ჟახუნდერში ზოგი მოსახლისათვის ღორის ქვედა ყბის მაგიერ ლელყაჯ-ი იყო ღორის ხერხემალი (შიყრა). ჩამოთვლილი სამი ტაბლიდან, ფუსნა ლემზირ-ი მხოლოდ მამაკაცებს ეჭმეოდა, ღამარია შილგენე მხოლოდ მანდილოსნებს, ხოლო მესამე უსახელო ტაბელ-ს ოჯახის ახალგაზრდობას და ბავშვებს შეაჭმევდნენ. სამი კვერის გარდა ვახშმისათვის უბრალო პურებსაც დააცხობდნენ. მოხარშულ-გამომცხვარ საჭმელს და აგრეთვე სასმელსაც კერიის პირად გააწყობდნენ ტაბაგ-ზე. ნაკვერჩხალზე ნატუსუნ-ს (საქმეველს) დააკმევდნენ და სახლის უფრო-ში, რომელიც ამავე დროს ახალწლის ქორა მკეშნი იყო, ტაბაგ-ის წინ ასე ილოცავდა:

„ზაი ყერიშ მეცნდოლ, ძულუბა.
ბასილ კალანდშუ, ლეგტემდ ი
ლეგტემეტერ! ზადნ მაჯადდ
ოგხინდ, მარნეში ნაშდობან,
კუშში ნაფშირან, მაზიგ ქოგქაზენ“.

წლის ძალის შემცვლელი ზღვის-
ბასილ კალანდისაო, გვიშველე
და გაგვიგონე! წლის მოსავლით
გაგვახარე, ადამიანის მშვიდობიანო-
ბით, საქონლის სიმრავლით, ქირი
ავგაცილე.

ამ ლოცვის გათავების შემდეგ ოჯახის წევრები სუფრას შემოუსხდებოდნენ და შენალოცს შეექცეოდნენ დიდი საიდუმლოებისა და სიწყნარის დაცვით — არც უცხოის უნდა გაეგო ეს ზიარება და არც მაზიარებლებს უნდა ამოეღოთ ხმა ამ დროს ტყუილ-უბრალოდ. ვახშიდან მორჩინილ ძვლებსა და ნამცეცებს ცეცხლში დასწვავდნენ, რათა უცხო ვინმეს არ მოეკრა თვალი მათთვის და ამით ოჯახს ლელყაჯ-ი არ გაეტეხა. თუ ამ დროს ოჯახში ახლად მოყვანილი რძალი იყო, ე. ი. ისეთი, რომელსაც ჯერ წელიწადი არ შესრულებოდა, ან გათხოვილი ქალიშვილი იმყოფებოდა სტუმრად თავის მშობლებთან, ამ პირებს ლელყაჯ-ის მონაწილედ ვერ გახდიდნენ. ვახშიმის დროს მათ სხვაგან გაიყვანდნენ და საჭმელსაც სხვას მიართმევდნენ.

ვახშიმის გათავების შემდეგ მანდილოსნები შეუდგებოდნენ მეორე დღისათვის საახალწლო პურების ცხობას. დიდი სასოებით და გულმოდგინებით ისინი გამოაცხობდნენ გარკვეული რაოდენობის პურებს: ორ ქონიან საფერხო პურს, ნაჭუხურა-ს, და ერთ ყველიანს ჯვრის სახედ გამოყვანილს, რომელსაც ფუსნა ლემზირ-ი ეწოდებოდა. როდესაც ეს პურები გამოცხვებოდა, ნაჭუხურა-ს გაამზადებდნენ: ლალაშ-ში ჩააწყობდნენ ორ ცალ ნაჭუხურა-ს, ფუსნა ლემზირ-ს, ლორის თავს, გუზმაგუზ-ს, არაყს ბოთლით და ყველაფერს, რაც რამ კარგი მოეპოებოდა ოჯახს, ცოტოტას ლალაშ-ში ჩააწყობდნენ. ამის შემდეგ ქორა მკუშში ერთ ხელში ლალაშ-ს დაიჭერდა, მეორეთი ხარს გაიყვანდა და წავიდოდა მაჩუბ-იდან, სხვა ბინას მონახავდა და იქ დაიძინებდა: ახალწელს დილით მას პირველს უნდა შეეღო მაჩუბ-ის კარი, გარედან შესულიყო და თან ბარაქა და დოვლათი შეეტანა ხარისა და ნაჭუხურა-ის სახით.

1934 წლის ივლისი. სოფელი ჟახუნდერი.

მთხრობელი ნმ წლის სასო ლოზქანიძე.

იე) ჩოლურში

შუშუტამ. ისევე, როგორც სხვა თემებში, ჩოლურშიც ყოველი მოსახლე შემოდგომიდან გამოყოფდა საახალწლოდ ნეზვს და სასუქად გაუშვებდა. ამიერიდან ამ ნეზვს ზომხაჲ ეწოდებოდა და მას განსაკუთრებით უყვლიდნენ და კვებავდნენ. შუშუტამ დილით გათენებამდე დაიჭერდა მას სახლის

უფროსი მამაკაცი და კერიის პირად მაჩუბ-ში დაჰკლავდა. ამ ღორის თავ-ყბასა და შიგნეულს მაშინვე გადამაღვდნენ საღამომდე. საღამოს მეორე დღისათვის მოხარშავდნენ თავს, ხოლო ყბასა და შიგნეულს ამავე ღამისათვის იმზადებდნენ ვახშმად. სახლის უფროსი ქალი (ხოშა ზურალ-ი) ზომხაჲ-ს ქონით და ტყირპით შეზავებდა ცომს და ე. წ. გუეჟ-ტაბელ-ს გამოაცხობდა. ეს ტაბელ-მრგვალი კვერი იყო ღორის კანკით დაჭრელებული ნაპირებზე წაწვერილი ოთხი „ყური“. დაჭრელების დროს ღორის კანკის ყოველ დასმაზე ხოშა ზურალ-ი იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს:

„ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ“... (ნეზვი-ტახი, ნეზვი-ტახიო...). სვანები ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებდნენ სიტყვებს „ნეზუ-ტახ“, ახალი წლის განმავლობაში ოჯახს იმდენად მეტი ღორი ეყოლებოდა.

ვახშმის დამზადების შემდეგ, როდესაც კერიის პირად ტაბაგ-ს დადგამდნენ და სუფრას გაშლიდნენ—სახლის უფროსი მამაკაცი დაიჭერდა ხელში გუეჟ-ტაბელ-ს, რომელზედაც დადებული იყო საახალწლო ღორის კუდი და ძუ-ძუები, გავიდოდა გარეთ და ღორების სადგომისაკენ მიაშურებდა. მას თან გაჰყვებოდნენ ოჯახის ბავშვები; რაც უფრო მეტი ბავშვი მისდევდა ხოშა მწრე-საო, ამბობდნენ სვანები, მით უფრო მეტი ღორი ეყოლებოდა ოჯახს ახალი წლიდანო. მიადგებოდნენ თუ არა საღორის კარს, სახლის უფროსი ხმა-მაღლა დაილოცავდა ღორების გამრავლებისათვის¹. ლოცვის შემდეგ ხოშა მწრე დაუნაწილებდა ბავშვებს გუეჟ-ტაბელ-ს და ღორის ხორცს, ხოლო ღორის ძუძუებს საღორეში შეაგდებდა. შეწირული სანოვავე ბავშვებს საღორის კართან უნდა გაეთავებინათ და ისე გაბრუნებულიყვნენ სახლში, სადაც მათ საერთო ვახშამი ელოდა.

ვახშობამდე მაჩუბ-ის კართან ეზოში შემოაგორებდნენ ერთ მარხილ შესას, რომელსაც ზემოდან ბლომად ეყარა მუხის ფოთლები—ამან კარგი წელიწადი იცისო, ამბობდნენ სვანები².

როდესაც ღორების მოლოცვასა და ვახშამს გაათავებდნენ, სახლის უფროსი მანდილოსანი (ხოშა ზურალ-ი) ხელმეორედ დაანთებდა ცეცხლს კერიაში და გამოაცხობდა ორ დიდს ნაჭუხურალ-ს. ორივე დიდი ზომის მრგვალი კვერი იყო საახალწლო ღორის ქონით შეზავებული, მაგრამ ერთ მათგანს ნაპირებზე ოთხი „ყური“ ჰქონდა გაკეთებული, მეორეს კი შუა ადგილას ოთხი ჭდე თითოთ ჩაჭდობილი. პირველ ნაჭუხურა-ს ფუსნა ტაბელ-ი ეწოდებოდა, მეორეს კი ლამარია ლგნე. ფუსნა ტაბელ-ი ახალწელს მამათა სქესის საქმელი იყო, ხოლო ლამარია ლგნე დედათა სქესისა.

¹ შუშუამ-ის ვარიანტების დადგენის დროს 1934 წლის ივლისში, ჩვენ ჩავიწერეთ სოფელ უკლესში (ჩოლურისავე თემშია) საღორის წინ ხოშა მწრე-ს შემდეგი ლოცვა: „ღმრბეთ ჯჳარ-ტებჳა, ათფიჳრ ხამარ“. ღმერთო ჯვარ-ვებჳა-ო, გაამრავლე ღორები.

² „ოჯუფიშირ კუმაშ ცხეკი ბალეშალ“. მოვიმზადევე საქონელი ტყის ფოთლივითაო, — ხშირად იტყოდა ხოლმე სვანი თავის გულში, როდესაც ამ დაფოთლილ მარხილს შეხნავდაო, — დასძინა უკლესელმა მთხრობელმა შუშუამ-ის აღწერის დროს მუხის ფოთლების მნიშვნელობის ნათელსაყოფად.

ლორის თავის მოხარუვისა და ნაჭმხურალ-ის გამოცხოვის შემდეგ აწყობდნენ ლაჭიშვი კარტა-ს: მეკლეს შემოსალოცად კარტა-ში ჩააწყობდნენ ნაჭმხურალ-ს, ზომხაჲ-ს თავს, ერთ ჯამ ფქვილს, სანთელს, ზედაშ-ს, ხილეულს, ვერცხლის მანეთიანს ან აბაზიანს, თხილის მრავალკვირტიან ტოტების კონას (ქუაფხ-ს) და სხვას¹.

1934 წლის ივლისი. სოფელი თეკალი. მთხრობელი 82 წლის ელისაბედ ჯამბურაძე.

ივ) ლენტეხში

ა. ქვემო ლეჩხურაში

შუშხურაშ-ს ხალხი უქმობდა, მაგრამ სტუმრიანობა ამ დროს მიღებული არ იყო. ამ დღეს მზადდებოდა საახალწლოდ ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და იკვლოდა საახალწლო ღორი, რომელსაც ზომხაჲ ეწოდებოდა, ახალწლის დღის სახელი. ეს ღორი შემოდგომიდან იყო საგანგებოდ ახალწლისათვის ნასუქი. ის შუშხურაშ-ის დღეს დაიკვლოდა, მხოლოდ ხორცის ჭამა საღამომდე არ შეიძლებოდა. ვინც უფრო მსუქან ზომხაჲ-ს დაკლავდა შუშხურაშ დღეს, ეს მისთვის უფრო სასახელო იყო. დაკლული ღორის ნაწილისაგან კუპატებს ამზადებდნენ. იმ დღეს, ერთმანეთთან შეხვედრისას ერთი მეორეს ულოცავდნენ—კარგი და ბედნიერი შუშხურაშ-ი გქონდესო („ხოჩა შუშხურაშ ლოქ აჯმხურაშენა“): შუშხურაშ საღამოს ვახშმისათვის ზომხაჲ-ს თავ-ყბას მოხარზავდნენ, გამოაცხოებდნენ ტაბლებს, რომლებსაც, ღორის ყბასთან ერთად, გაიტანდნენ სალორის კარზე, იქ შეალოცავდნენ ღორების გამრავლების ღმერთს ბასილ ძულტა კალანდაშიაშ-ს. და ტაბლებსა და ხორცს იქვე სალორის კართან შესჰამდნენ.

ამავე საღამოს ეზოში დგამდნენ ერთ მარხილ შემას ახალწელს ხარების გასაბმელად. ღორის თავს ამ ღამესვე მოხარზავდნენ და შეინახავდნენ. ამავე დროს გამოაცხოებდნენ საახალწლო, განსაკუთრებული სიდიდის, პურს. ეს პური: რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო, უმჯობესად ითვლებოდა, თუ კი გამოცხოება იქნებოდა შესაძლებელი, გობის ოდენა გამოსულიყო. მასში შერეული იყო ზომხაჲ-ს ქონი და სახელად ნაჭმხირა ეწოდებოდა. როდესაც ეს პური გამოცხებოდა, მას წნელის დიდ კალათაში ჩადებდნენ. მასთან ერთად ჩააწყობდნენ: ღორის თავს, პურჭლით ხორბლის ფქვილს, ვერცხლის ფულს, წითელ ვაშლებს, ერთ კონა წერტქოს (ბალახია ფეხზე დასახვევი), თავზე დაადებდნენ ერთ ტაბლას—ფუსნა ლემეზირ-ს; ამგვარად გაწყობილ კალათს გვერდით ერთს დოქ არაყს

¹ ჩვენ აღარ მოგვკავს ამავე ჩოლურის თემის სოფელ უკლესა და ლეჩხურაში აღწერილი შუშხურაშ-ი, რადგან ისინი თავისი წესებით სავსებით ემთხვევიან ხემოალწერილ სოფელ თეკალის შუშხურაშ-ს.

შიუდგამდნენ. ყოველივე ამის შემდეგ შუშხტამ-ისათვის გამზადებულ ტაბლებს შესწირავდნენ ბასილ ძულტა კალანდაშიაშ-ს და სავახშმოდ დასხდებოდნენ. ვახშ-მობამდე საახალწლო ღორის ხორცის ჭამა არ შეიძლებოდა, ხოლო ვახშამზე პირის ახსნა ამ ხორციით ხდებოდა. გარეშე ხალხის დასწრება შუშხტამ ღამეს წესად მიღებული არ იყო.

საახალწლოდ ქონიან დიდ პურს ღამხურად ნაჭხხურა, ხოლო ლენტეხურად ნაჭხხირა ეწოდებოდა.

1934 წლის 1 თებერვალი. აღწერილია არსენ ზურაბისძე ონიანის მიერ.

ბ. ზემო ლექსურაში

ლენტეხის თემში ახალწლის წინა დღეს ლიძიენალსა ც¹ ეძახდნენ.

სახლის უფროსები (ხოშა ზურალ-ი და ქორა მახტუშ-ი) შემოდგომაზე აირჩევდნენ საახალწლო ნეზეს, მოსჭირდნენ კუდს წვერს, ცოტაოდენ ჯაგარსაც და ზურგზე გადააყრიდნენ შემდეგი სიტყვებით:

„კალნმა ნანსკელე ნალგუარი“.

ტკავლის ოდენა სიმსუქნე.

შემდეგ მას, სამეისარო და ხოჩა ჭებიშ-ისათვის განკუთვნილ ღორებთან ერთად, ღამწყედევდნენ და შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში ახალწლამდე განსაკუთრებით უვლიდნენ და გადაჭარბებით კვებავდნენ, რადგან საახალწლო ნეზვი კარგად უნდა გასუქებულიყო და სუფთად ყოფილიყო შენახული.

ლიძიენალ დღეს, დილით ძალიან ადრე, საახალწლო ღორს (ლეკალანდე-ს) კერიის წინ სკამ-თან (მერხთან) მიიყვანდნენ, მუგუზლით ყელს შეუტრუსავდნენ სიტყვებით:

„ბასლი ძულტა კალანდაშ, ხტაძ კალანდა აგუაშ შუიდებლ“

ბასილ ზღვის კალანდისაო, მრავალი კალანდა მოგვასწარი მშვიდობით

და შემდეგ იქვე დაჰკლავდნენ. სვანის აზრით, ლიძიენალ დილით რაც უფრო ადრე დაიკვლოდა ლეკალანდე, იმდენად უფრო ადრე დაუმაკდებოდა ოჯახს ღორები მომავალ წელიწადს. დაკლულ ღორის თავსა და გულის მარჯვენა ნახევარს (ყუთყუე ფვრცელ) მაშინვე გადამალავდნენ ისე, რომ უცხოთ-თვის თვალი არ შეესწრო.

ამის შემდეგ ოჯახის წევრები საქმეებს მოიმიზებებდნენ და აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდოდნენ. მაჩუბ-ში დარჩებოდა მარტოდ-მარტო ხოშა ზურალ-ი, რომელიც ამ დროს ე. წ. არგილი ლიმეზირ-ს შეასრულებდა. ის გამოიტანდა და კერიის პირად ტაბაგ-ზე გააწყობდა ლეკალანდე-ს მარჯვენა ფეხს, ლეიძლის

¹ გამოთქვამდნენ აგრეთვე: ლიხიენალ.

მარჯვენა ნახევარს, ახლად მოხარულ კვერცხსა და ყველიან ლემეზირ-ს დასანთელს დაანთებდა, შემდეგ კერიასთან ცალფეხზე დაიხოქებდა („ლიტანიას იზამდა“), თავს მიწამდე დახრიდა და ილოცავდა:

„ღერბეთ, ანმარჯუტ დიდაბ, ხოჩა ზა აგუტსაცად, კუმაშ აგუტფიშირ!
ზაჲ მახე ბედნიერ, ხოჩა ზას ლაგუტავენ, ხოჩა ნამში აგუტიკ,
ხოჩა დაბ ი ლარე აგუტმარჯუტ, ეჩა მტუმარიდ მარე გუარღუთინ,
გუტუკ ი ქათალ აგუტფიშირ!“

ღმერთო დიდებულო, გაგვიმარჯვე, კარგი წელიწადი შეგვიცვალე, საქონელი გაგვიმრავლე! ახალო წელო ბედნიერო, კარგ წელიწადს მიგვაყენე, კარგი ნამუშევარი მოგვიტანე, კარგი ყანა და სათიბი დაგვიყენე¹, მისი მომხმარებელი ჩვენ გვამყოფე, გოჭი და ქათამი გაგვიმრავლე!

ლოცვას გაათავებდა თუ არა მუხლ-მოყრილი ხოშა ზურალ-ი, დაიწყებდა ტაბაგ-ზე გაშლილი შეწირულის ჭამას. ასეთ მდგომარეობაში მყოფს თავაუღებლად და გაუნძრევლად უნდა გაეთავებინა ეს სანოვავე და ცეცხლში დაეწვა მორჩენილი ძვლები და კვერცხის ნაჭუჭი. ამასობაში სანთელიც დაიწოდა, რის შემდეგ ოჯახის უფროსი ფეხზე წამოდგებოდა და საოჯახო საქმეს განაგრძობდა. არგილი ლიმეზირ-ი სრული სიწყნარით და საიდუმლოების დაცვით უნდა ჩატარებულყო; არავის, არამც თუ უცხო ბირთავანს, არაზედ ოჯახის არც ერთ წევრს არ უნდა დაენახა ხოშა ზურალ-ის ამ დროის ლიმეზირ-ი, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახს, სვანის რწმენით, დიდი უბედურება მოელოდა.

სალამოს შემით დატვირთულ მარხილს შეაცურებდნენ და სახლის კარის წინ დადგამდნენ. ამასობაში ვახშმისათვის სამზადისის დროც დადგებოდა და მანდილოსნები ფავაციცებით დაუტრიალდებოდნენ კერიას. მოხარშავდნენ ლეკალანდე-ს კუდს, ლეკალანდე-ს ქონს ცომში შეურევდნენ და მისგან ნეზუტახა ტაბულ-ს გამოაცხობდნენ. ეს კვერი ღორის ჩლიქით უნდა დაეჩხვლიტათ. ხოშა ზურალ-ი რამდენჯერაც ჩააჩხვლეტდა ღორის ჩლიქს, იმდენჯერ დაბალი ხმით წარმოსთქვამდა: „ნეზუტ-ტახ, ნეზუტ-ტახ“-ო. ვახშმის წინ სახლის უფროსი კაცი დაიჭერდა ხელში ამ ნეზუტ-ტახა ტაბულ-ს, სანთელს, ერთ ჭიქა ღვინოს, ლეკალანდე-ს ძუძუებსა და სასქესო ორგანოს, წაიყოლებდა თან ოჯახის ბავშვებს, წავიდოდა საღორესთან და, როდესაც მის კარს მიაღებოდა, შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამდა:

„ნეზუტ-ტახ, ნეზუტ-ტახ, ბასილ ძულუა კალანდაშ, ათაფიშირ გუშგუტე ხამარ!“

ნეზვი-ტახი, ნეზვი-ტახი, ბასილ ზღვის კალანდისაო, გაამრავლე ჩვენი ღორები!

მლოცავის გარშემო მდგომი ბავშვები ამ დროს თავის მხრივ გაიძახოდნენ: „ნეზუტ-ტახ, ნეზუტ-ტახ“-ო. ნალოც ტაბულ-ს და ღორის კუდს უფროსი ბავშვებს

¹ სიტყვა-სიტყვით: გაგვიმარჯვე

დაუნაწილებდა, ხოლო ღორის ძუძუებს, ჩლიქებს და სასქესო ორგანოს საღორეში შეყრიდა და თან ყველანი გაიძახოდნენ ზემოაღნიშნულ სიტყვებს. ნეზუტახა ტაბული საღორესთან უნდა შეეჭამათ, რის შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ და ოჯახი ვახშამს შეექცეოდა.

ვახშმის შემდგომ ხომა ზურალ-ი აცხობდა საახალწლო ლემეზირ-ებს, მათ შორის ე. წ. ფუსტა ლემეზირ-ს და დიდი ზომის ცერცვის-გულიან და ღორის ქონში არეულ ნაჭმირა-ს. ამავე დროს ხარშავდნენ ლეკალანდე-ს თავსაც. მოხარშავდნენ აგრეთვე კვერცხებს, იმარაგებდნენ ჭურჭლით ღვინოს, ხილეულს (ვაშლებში ვერცხლის ფულებს, ჩვეულებრივ აბაზიანებს, არჭობდნენ), სანთელს და სხვას. ყველაფერ ამას ჩააწყობდნენ გობში და მას ცეცხლის პირად მიდგამდნენ მიორე დილისათვის.

1934 წლის აგვისტო. სოფელი ზემო-ლექსურა.
მთხრობლები 76 წლის სიმონ ლიპარტელიანი
და 58 წლის მელეხან მეშველიანი.

ც. ფაქში

ლიძიენალ ლადელ-ს¹ ყველანი უქმობდნენ (ლისგურეში-ი იყო). ამ დილისათვის სამხადისს ჯერ კიდევ შემოდგომაზე იწყებდნენ. გიორგობისთვეში მოსახლე ირჩევდა საკალანდე ღორს, რომელიც აუცილებლად ნეზვი უნდა ყოფილიყო. არჩევისთანავე მას ცოტად კუდს შეაჭრიდნენ, ცალკე საღორეში დაამწყვდედნენ და დაუწყებდნენ საკვების გაორმაგებულად მიცემას. ამ საახალწლო ღორს ლეკალანდე-ს ეძახდნენ, დროგამოშვებით საღორეს გამოუსუფთავებდნენ და დაბანდნენ, რადგან ის მუდამ სუფთა უნდა ყოფილიყო. ლეკალანდე-ს პატრონობა მთელი ამ დროის განმავლობაში ახალწლის წინა დღემდე მინდობილი ჰქონდა სახლის უფროსებს—კაცსა და ქალს.

ლიძიენალ დღეს დილით, მზის ამოსვლამდე, დაიჭერდნენ ლეკალანდე-ს, კერიის პირად ყელს კვარით შეუტრუსავდნენ და დაჰკლავდნენ შემდეგი სიტყვების წარმოთქმით:

ბასილ ძულუაშ კალანდაში
ღერბეთ, ჩაგუთფიშირ კუშაშ!

ბასილ ზღვის კალანდის
ღმერთო, გაგვიმრავლე საქონელი!

ყველაფერი ეს ხდებოდა სახლში, კერიის პირად, გრძელ მერხზე, რომელსაც აქ სკამ-ი ეწოდება. დაკლულ სამსხვერპლოს სისხლს მაშინვე აკრებდნენ და გადაკარგავდნენ ისე, რომ უცხო პირს თვალი ვერ მოეკრა მისთვის. ამავე დროს ამოსჭრიდნენ ლეკალანდე-ს ძუძუებს, მოჰკვეთდნენ სასქესო ორგა-

¹ აგრეთვე: ლიძიენალ.

ნოს და ყველაფერ ამას საღამომდე გადამალავდნენ. ყოველივე ამ საქმის გათავების შემდეგ ოჯახი ისადილებდა.

ლიძინალ-ის საღამოს, ბინდის ქამს, ყოველ მოსახლიდან ოჯახის რომელიმე წევრი კაცი წავიდოდა ტყეში, იქ თხილის მრავალკვირტიან ტოტებს დაჭრიდა, კონად შეკრავდა და სახლში წაიღებდა. ეს თხილის კონა მას ფარულად მიჰქონდა, ცდილობდა უცხო ვინმეს არ დაენახა და, როდესაც სახლში შეიტანდა, ღორისთავთან ერთად მოათავსებდა და მეორე დღისათვის შეინახავდა.

სახლის უფროსი მანდილოსანი ამ ხანად ვახშმისათვის გამოაცხოვდა ლემეზირ-ებს, მათ შორის ერთს ნეზუ-ტახა ლემეზირ-ს, რომელსაც გულში ჩაუერთავდა საკალანდე ღორის ქონს და მარილს, და მეორე ლემეზირ-ს აგრეთვე ქონნარევს. ვახშმის წინ ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი გაიტანდა სახლიდან ნეზუ-ტახა ლემეზირ-ს, ღორის მოხარშულ გულ-ღვიძლს, სასმისით არაყს ან ღვინოს და თან ბავშვებს გაიყოლებდა. ისინი გაჩერდებოდნენ საღორის კარის წინ და მამაკაცი ასე ილოცავდა:

„ღერბეთ, სი ლოგუემდ,
ჩაგუფიშირ კუმაშ!“

ღმერთო, შენ გვიშველე,
გაგვიმრავლე საქონელი!

შემდეგ დაღევდა არაყს (თუ ღვინოს, რაც ჰქონდა მიტანილი), დაუნაწილებდა ბავშვებს ღორის გულ-ღვიძლსა და ლემეზირ-ს, რომლებსაც ისინი აქვე გაათავებდნენ და ისე დაბრუნდებოდნენ შინ. წასვლის წინ მამაკაცი შეაგდებდა საღორეში ლეკალანდე-ს ძუძუებს, ჩლიქებს, სასაქესო ორგანოს და რამდენჯერმე დაიძახებდა:

„ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ, ნეზუ-ტახ“.

სახლში ოჯახის უფროსები ილოცავდნენ საკალანდე ღორის ქონიან მეორე ლემეზირ-ზე და დაუნაწილებდნენ მას შინყოფთ — ოჯახში ყველა უნდა ზიარებულყო ამ დღეს ლეკალანდე-ს ქონიან ტაბულ-ით.

ნავახშმევს ზომა ზურალ-ი კვლავ კერიას მიუბრუნდებოდა და აცხოვდა ცერცვიან ან ლობიოს გულიან დიდ ტაბულ-ს, წვირლ ლემეზირ-ებს და მათ შორის ე. წ. ფუსტა ჭისხუ-ს. ტაბულ-ი და ყველა ეს ლემეზირ-ები მეორე დღისათვის ინახებოდა.

ამის შემდეგ აწყობდნენ გობში მეკვლის შემოსალოცს ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი ოჯახს მოეპოვებოდა — საახალწლო ტაბულ-ს, ფუსტა ჭისხუ-ს და სხვა ლემეზირ-ებს, ღორის თავს, თხილის კონას, ფქვილს ჭურჭლით, სანთელს, ყველის წველას, ჩაფრასტს და სხვა ვერცხლეულს და სხვა. გობს ცეცხლის პირას მოათავსებდნენ და გვერდით დოქით არაყს მიუდგამდნენ; ასე ბარაქიანად ხვდებოდა ოჯახი ახალწელს.

ლიძინალ ღამეს მანდილოსნები, ზომა ზურალ-ის მეთაურობით, აწყობდნენ ე. წ. ალაგი ლიხელე-ს (მიწისადმი მიძღვნას):

ნავახშმევს, როდესაც ოჯახის კაცები და ბავშვები დაწვებოდნენ და დაიძინებდნენ, უფროსი მანდილოსანი გამოაცხობდა სამ კვერს, რომელთაგან ერთი ფუსნა ჭისხტუ-ი იყო, მეორე ნამგლის სახისა და მესამე „კენჭივით მრგვალი და პატარა“. უკანასკნელ ორ კვერსაც, ფუსნა ჭისხტუ-ის მსგავსად, ჩატანებული ჰქონდა მარილი და მათ ზენახარ-ი ეწოდებოდა. ეს სამი კვერი აუცილებლად ოჯახის უხუცეს ქალს უნდა გამოეცხო. კიდევ სამი ხაჭაპურის (ლემეზირ-ის) გამოცხობაში მონაწილეობას იღებდნენ ოჯახის რძლებიც. ჩვეულებრივი ლემეზირ-ები მრგვალი და „რქებიანი“ პურები იყო. პურების გარდა შესაწირავად ამზადებდნენ: ქათმის მოხარშულ კვერცხს, რომელსაც ეწოდებოდა ლეხელე ლვარე, ლეკალანდე-ს მარჯვენა ფეხს და გულ-ღვიძლის მარჯვენა ნაწილს, ერთ ჭიქა ზედაშ-ს (არაყს ან ღვინოს) და სანთელს. ყველა შესაწირავს, გარდა ზედაშ-ისა, ჩააწყობდნენ საცერში (ლერჩილ-ში), სახლის უფროსი ქალღ დაიჭერდა საცერს მარცხენა ხელში, მარჯვენა ხელით კერიასთან ნაკვერჩხალზე სანთელს დაყრიდა, შემდეგ ზედაშ-ს აიღებდა და დადგებოდა კერიის წინ. რძლებიც კერიის გარშემო შემორიგდებოდნენ. ხოშა ზურალ-ი წარმოსთქვამდა ლოცვას, რომელსაც დამსწრე ქალები ჩუმად იმეორებდნენ. შემდეგ ყველანი დაიჩოქებდნენ ჯერ სახლის უფროსი ქალი და შემდეგ დანარჩენი დამსწრენი, და ლოცვას კვლავ გაიმეორებდნენ იმავე წესით, როგორც პირველად. ლოცვა რომ დასრულდებოდა რძლები განზე გადადებოდნენ და კერიას პირს აარიდებდნენ. სახლის უფროსი, რომელიც განაგრძობდა მუხლმოყრით კერიასთან დგომას, თავს მიწაზე დაუშვებდა და კერიის პირად მიწაში დამარხავდა მის მიერ გამომცხვარ სამ პატარა კვერს და მოხარშულ კვერცხს. შემდეგ ის კვლავ ილოცავდა ზედაშ-ით ხელში და ამ ზედაშ-ს დალევდა. ადგილისათვის მიძღვნა რომ დასრულდებოდა, შემწირველი წამოდგებოდა და იქ მყოფთ ღორის გულ-ღვიძლს, ფეხის ნაწილებს და ლემეზირ-ს დაუნაწილებდა. დარჩენილ ძვლებს კერიაში შეყრიდნენ და დასწვავდნენ, რომ სხვას არავის მოეკრა მათთვის თვალი. ალაგი ლიხელე განკუთვნილი იყო ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის.

1934 წლის აგვისტო. სოფელი ფაყი. მთხრობელი 45 წლის მარიამ ლიპარტელიანი და 52 წლის საბედ ლიპარტელიანი.

9. ზოგნა, კანდა, კალანდა (1 იანვარი)

A. ბალს ქვემოთ

ა) ლახამულაში

კანდა-ს უქმე (ლისგურეშ-ი) იყო. დილით, განთიადის ხანს წამოდგებოდა ლოგინიდან ლიცე მტკში, ზურგზე სურსათ-სანოვაგით საეცე საახალწლო შემოსალოც ლაქშიწაშ კტიდოლ-ს წამოიკიდებდა, ერთ ხელში წყლის ცარიელ ჭურჭელს, ჭახრი-ს ან გაბ-ს, დაიჭერდა, მეორე ხელში მოიმარჯვებდა თოკს, რომელზედაც ხარი იყო გამობჟული, და უკანასკნელის თანსლებით გაემართებოდა წყაროსაკენ. მივიდოდა თუ არა წყაროზე, ხარს წყლის დასაღევად მიუშვებდა, ლაქშიწაშ კტიდოლ-ს მიწაზე წყლის პირად ჩამოდეგამდა, ხელ-პირს დაიბანდა და შეუდგებოდა ლოცვას:

„ღერმეთ მწლიან, ხოჩა ჭიშხ აწვი-
დტინ, ჩიმი უჯრ ლანო! ზამახე, ზამი
მუკადი, ხოჩა ზა ესტყად მიშგუა ქორს;
ჩი ღერთემი უჯრ ლანო, მარემ ნაშ-
დები ი ტეთხმალლიშ ნწფშირი; ზამშ
ზამახე ხოჩა გუყი აჰი მიშგუა ქორს!“

ღმერთო მადლიანო, კარგი ფეხი მომა-
ტანინე, ყველას წყალობა მოგვეცი! წე-
ლი ახალი, წლის შემცვლელი, კარგი
წელი შეუცვალე ჩემს სახლს; ყველა
ღმერთის წყალობა მოგვეცი, ადამიანი
მშვიდობა და ოთხფეხის სიმრავლე; გაის
ახალი წელი კარგ გულზე მოასწარი ჩემს
სახლს.

ლოცვის გათავების შემდეგ ჭურჭელს წყლით აავსებდა, კტიდოლ-ს კვლავ ზურგზე წამოიკიდებდა, ხარს წაიყვანდა და წავიდოდა სახლისკენ¹. სახლის კარს რომ მიადგებოდა, სამჯერ ხმა-მალა დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკა-ა-რ!“

კარი გამოიღეთ!

¹ 1931 წლის ზაფხულში ჭვიბერის თემში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს მოხუცები აღნიშნავენ: კანდა-სათვის არჩეულ ხარს აგუბაშამ ღამეს რაც შეიძლება მეტ საჭმელს დაეუყრიდით—მეორე დღეს ბევრ წყალს დაღვესო. კანდა დილით ხარი წყალზე სამ კაცს მიჰყავდა. ეს კაცები მეკვლეები იყვნენ. ერთ მათგანს წყლის ჭურჭელი ეჭირა ხელში, მეორეს ზურგზე სამეკვლეო შემოსალოცი ეკიდა გოდრით და მესამეს ხარი მიჰყავდა. რაც უფრო მეტ წყალს დაღვედა კანდა დილით ხარი, იმდენად მეტი ბარაქა ექნებოდა ოჯახს ამ წლის განმავლობაში. ხელ-პირის დაბანისა და შესაფერი ლოცვის წარმოთქმის შემდეგ მეკვლეები ღემზირ-ს შესჭამდნენ და ისე გაბრუნდებოდნენ სახლისაკენო.

ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მა-ა-ა ჯულტე, სი ბედნიერ?“ რა გაქვს, შე ბედნიერო?
მეკვლე უპასუხებდა:

„ხოშა ღერთემი ეზრ მულტე, მიქამ
თარგლეზრიშ ეზრ მულტე, ჯგერავიშ
ეზრ მულტე. ყო-ო-რ მიკა-ა-რ!“

დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, მიქამ
თარგლეზერ-ის წყალობა მაქვს, ჯგერა-
ვ-ის წყალობა მაქვს. კარი გამიღე!

შინიდან კვლავ შეეკითხებოდნენ:

„სერ მა-ა-ა ჯულტე, სი ბედნიერ?“ კიდევ რა გაქვს, შე ბედნიერო?

ლიცე მკვში უპასუხებდა:

„ლამარიანშ ეზრ ამლტე,
შეთხმალლიშ ნაფშირი ამლტე, ეშდ-
დორი გაბშ ლეჯე ამლტე, ლამარიანშ ეზრ
კუტეცენ მასარდ ამლტე. ლურიანდ დემ
ლური, ყო-ო-რ მიკა-ა-რ!“

ლამარია-ს წყალობა მომაქვს,
ოთხფეხის სიმრავლე მომაქვს, თორმეტი
კასრი რქე მომაქვს, პური ბლომად მო-
მაქვს ლამარია-ს წყალობა. მოვდივარ და
ვერ მოვდივარ. კარი გამიღეთ!“

ეხლა კი დაუძახებდა მას შინმყოფი:

„ისგა, ისგა, სი ბედნიერ!“ შინ, შინ, შე ბედნიერო!

მეკვლე შევიდოდა სახლში წყლის ჭურჭლით და კუდილო-ით დატვირთუ-
ლი, თან ხარიც შეჰყავდა, უკანასკნელთან ერთად კერიას სამჯერ გარს შემო-
უვლიდა, შემდეგ ხარს შინმყოფს ვისმე გადასცემდა და თვით კი აღმოსავლეთის
კედლის მარჯვენა სარკმელთან დაგორდებოდა ისე, რომ მარჯვენა მკლავი თავ-
ქვეშ მოჰყოლოდა და დაიძახებდა:

„ზა პნგურან“.

წელიწადი მოგორდა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი წელი მეტად დატვირთული შემოვიდა
სახლში ყოველგვარი სიმდიდრით, ამ ტვირთის სიმძიმეს ველარ გაუძლო და
დაგორდა. მეკვლეს დაგორებას შინმყოფი მხიარულად შეხვდებოდნენ, გაიცი-
ნებდნენ. შემდეგ კუდილო-იდან ამოალაგებდნენ და ფიჩქ-ზე გააწყობდნენ ყვე-
ლაფერს, რაც შიგ იყო მოთავსებული, გარდა ლამარიან ლემზირ-ებისა, რომლებ-
საც ცალკე გამოყოფდნენ და მაშინვე შესჭამდნენ. ლამარიან ლემზირ-ები ოჯა-
ხის ყველა წევრს უნდა ეგემნა; ისინი უწონაშ-ი იყო და ამიტომ მათ შეჭმას
ჩქარობდნენ. შემდეგ იწყებოდა ლიშოშე-ს შესრულება. ლიშოშე ხელის ახსნას
ნიშნავდა. ოჯახის რომელიმე წევრი შეეკითხებოდა სახლის უფროსს—ვისი ხელი
გირჩევნიაო. ისიც დასახელებდა შინმყოფთაგანს ვისმეს. უკანასკნელი მივიდოდა

მასთან, გუიზ-სა და ლაქშნიარ-ის სხვა საგნებს კალთაში ჩაუდებდა და თან დალოცავდა:

„ღერმეთ, ხოჩა ზაჲ ესტყად! მახე ზაჲმიშ ლიტცდალ ლი, ტანიშ ნაჲკლე-რი ლახო! ალი მი უშონანდ ლოხომე, ეჯჷი უშონანდ ისგუი ეზრ ხაკერქინ!“

ღმერთო, კარგი წელიწადი შეუცვალე! ახალი წლის შეცვლა არის, ტანის სიმრთელე მიეცი! [როგორც] ეს მე დაუმაღლებლად მიეცე, ისე დაუმაღლებლად შენი წყალობა მიეცი!

ამ სიტყვებთან ერთად მიაწოდებდა ქორა მახტუშ-ს არყით სავსე სასმისს, რომელსაც უკანასკნელი გამოცლიდა და ცარიელ სასმისს მაგიდაზე დადგამდა. ასეთივე წესით აიხსნიდნენ ხელს ოჯახის დანარჩენი წევრები¹. ლიშოშე-ს გათავების შემდეგ სახლის კარს გარედან ქორა მუჭში მიადგებოდა და დააკაკუნებდა. მას გააგებებდნენ გუიზ-ს, ლეშირ-ს და ლაქშნიარ-ის სხვა საგნებს. ქორა მუჭში შევიდოდა სახლში, ლოცვა-ვედრებით კერძის გარს შემოუვლიდა, შემდეგ სარკმელთან დაგორდებოდა და ბოლოს ლიშოშე-ს შეასრულებდა. გათავდებოდა თუ არა ქორა მუჭში-ს მიერ ოჯახის შემოლოცვისა და ხელის ახსნის წესჩვეულება, — ქაშე მუჭში-თან აფრენდნენ მორბედს დასაპატიყებლად. ისიც მივიდოდა და კარს რომ მიადგებოდა, დააკაკუნებდა, რის შემდეგ შინმყოფნი მას გუიზ-ს გააგებებდნენ. როგორც ლიცე და ქორა მუჭში, ისიც ლოცვა-ვედრებით შემოუვლიდა კერძის გარს, სალოცავ სარკმელთან დაგორდებოდა და ლიშოშე-ს წესს შეასრულებდა. ყოველივე ამის შემდეგ გაშლიდნენ სუფრას და ჭამა-სმას შეუდგებოდნენ. ამ დღეს განსაკუთრებით დიდ პატივისცემას შეკვლევების მიმართ იჩენდნენ: ქაშე მუჭში ხომ აუცილებლად უნდა დაეთროთ და

¹ 1935 წლის ზაფხულში აღწერილი კანდა-ს ვარიანტის მიხედვით — კერძის გარშემო შემოვლის დროს ლიცე მუჭში შემდეგ ლოცვას ამბობდა:

„ზამახე, ზამი მცადი ღერმეთ, ხოჩა ზა ესტყად მიშტა ლახჷას! ჭოშა გუიზილდ ი ფინ-ხილდ ამის ხაჷა, ჭოშა ლეთ ი ლაღელ შმის ხარ, ენშელდ ხოჩერება ლახო მიშტა ლახჷას!“

წელი ახალი, წლის შემცვლელი ღმერთო, კარგი წელიწადი შეუცვალე ჩემს ოჯახს! რამდენიც კვირტი და წიწვი ამას (ე. ი. გუიზ-სა) აქვს, რამდენიც ღამე და დღე ამას გამოუვლია, იმდენი სიკეთე მიეცი ჩემს ოჯახს!

ლოცვის გათავების შემდეგ ზურგზე წამოკიდებული გიღლით მივიდოდა აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და მიწაზე დაჯდებოდა, ვითომ ტვირთისაგან ძალიან დამძიმებული ვარ და სკამი ვერ გამიძლებსო. ამასობაში ლოგინიდან წამოიშლებოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები, ტანთ ჩაიცვამდნენ, ხელ-პირს დაიბანდნენ და ლიშოშელ-ის წესჩვეულების შესრულებას შეუდგებოდნენ. ლიშოშელ-ი სახლის სალოცავ სარკმელთან სრულდებოდა. მამაკაცებს ამ დროს ქული არ უნდა ჰხურებოდათ.

მთხრობლები 40 წლის გვაშა კვანჭიანი-
ქკადუასი და მისი ვაჟიშვილი 16 წლის ვლადი-
მერ ქკადუა. სოფელი ქვემო ლახაშულა.

ნასადილევს, როცა ის წასასვლელად ემზადდებოდა მასპინძლებს, მას წერ-ქუა-თი დაასაჩუქრებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ. თუ ოჯახი შეძლებული იყო წერქუა-სთან ერთად მას სხვა საჩუქარსაც გაატანდა¹, რადგან, რაც უფრო კმაყოფილი წავიდოდა ოჯახიდან ქაშე მკეპხი, მით უფრო კარგი და სასახელო იყო ეს მოსახლისათვის.

კანდა-სათვის ოჯახს დაბატოებული ჰყავდა ჰასტიშ-ები, რომლებიც სა-დილობის ხანს ეწვეოდნენ და სალამომდე რჩებოდნენ. მშობლების სახლში შე-სვლის წინ თვითელი მათგანი კარის მახლობლად დადგმულ ნაძვის ხეს ტოტს ჩამოამტვრევდა, სახლში ფეხის შედგმისთანავე მას მალა აავდებდა და დაი-ძახებდა²:

„ტოშა ლეთ ი ლაღედ შმის ხადეს, რამდენი ღამისა და დღისა ეს იყოს, ერშელდ ხოჩერება ა ქორთე ანჯე; იმდენი სიკეთე ამ სახლში მოიტანე; ტოშა თინზილდ, ტოშა გტიზილდ ზლის რამდენი წიწვი, რამდენი კვირტი ამას ხეყეს, ერშელდ ზაჟ ამ ქორაშ ხოჩა ჰქონდეს, იმდენ წელიწადს ამ სახლის ამსგიდნაჟინ!“
კარგი დამანახვე!

სალამოს ჰასტიშ-ები თავ-თავის ქმრის ოჯახებში ბრუნდებოდნენ, ხოლო შინ დარჩენილი ოჯახის წევრები ვახშმად მესელ-თან მიდიოდნენ. ვახშმის წინ, როდესაც ლახამულას მოსახლეები თავს მოიყრიდნენ თავის მესელ-ეს ოჯახში, ქალები განზე გადგებოდნენ, კერიის მარცხენა საქალებო ადგილზე შეჯგუფდე-ბოდნენ, ხოლო მამათა სქესის წარმომადგენლები მივიდოდნენ სგირ-ის აღმოსავ-ლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ შეასრულებდნენ ლოცვა-ვედრებას. ყველაზე უფროსი და პატივცემული მამაკაცი სხვებზე წინ დადგებოდა და ხმა-მალა წარმოსთქვამდა ღვთაებათა და წმინდანების საღიდებელს:

„ო-ო, დიდებ პაჯად, მალდ პაჯად, ხო-ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგ-შა ლერმათ, დიდებ! ხოშა ლერმეთ სვლოდეს, დიდო ღმერთო, დიდება!“

¹ გვაშა და ლადიმერ კკა დ უ ე ბ ი ს თქმით, მას დასაჩუქრებდნენ აბრეშუმის თავსაფრით, წულით, ან სხვა რითიმე. წერქუა-ს მიცემის დროს მასპინძელი გარეშე მეკვლეს ასე დალოცავდა:

„ტოშა შვარ-ბიფხილდ შმის ხოწენეს, ტოშა რამდენიც ცვარ-ნაში ამას ენახოს, რამდენიც ლეთ ი ლაღედ შმის ხადეს, ერშელდ ხოჩერე-ღამე და დღე ამას გაეტარებინოს, იმდენი სი-ბა ლაჯომეს ლერთიშ.“
კეთე მოვცეს ღმერთმა.

კანდა დღეს თოვლით გუნდაობა და კიდაობა იცოდნენ. ნაშუადღევს სტუმრიანობაც იმართებოდა. ამ დროს სხვადასხვა ოჯახის წევრები ერთმანეთს ფულს (ვერცხლისას) გაუცვ-ლიდნენ და კარგ ხელს დაიბედებდნენ; ამას შიმი ლიცვდი (ხელის შეცვლა) ეწოდებოდა. შიმი-ლიცვდი-ს ახალწლის მთელი კვირის განმავლობაში ასრულებდნენ. ვიდრე ოჯახი შიმი ლი-ცვდი-ს არ შეასრულებდა, სახლიდან არაფერს არ გაანათხოვრებდნენ,—არ ვარგაო.

² გვაშა კკა დ უ ა ს თქმით, ვინც არ უნდა შესულიყო ამ დღეს სვანის სახლში, შინაური იქნებოდა ის თუ გარეშე პირი, ყველა ნაძვის ტოტს შეიყოლებდა, ჰერში ისვროდა მას და თან დაიძახებდა—ამ ოჯახს ბარაქას ნუშოაკლებო.

მან დიან, ქვეყანა ისგუთი ნაწესტ ლი, მანგ ხოჩა გარ ახწეს ნიშგე სახუბლისგა!

ო-ო, დიდამ აჯად, მანლდ აჯად, თარ-გლეზერს დიდამ აჯად! თარგლეზერ, ჩი ლერაემ ტუზირ სი სგეჯი, ჩი ლერ-მათ ხოჩა გარ ახმეწუნინ მიშგუა სა-ხუბთელისგა, ფიშირ კანდა ხოჩა გუჟი ენურდუინ!

ო-ო, დიდამ აჯად, მანლდ აჯად, მეჟერი ჯგერანგ დიდამ! ჯგერანგ მიდილ-შტ გეში, ამსოლდამ მანშედ სი სგე-ჯი ი მიშგუა სახუბანშ, ხოხტრამ ი ხოშამ, ჩი სი ლახეშდ, ზანიშ კანდა ხოჩა გუჟი აპი მიშგუა სახუბს!“

შემდეგ ის აღიდებდა „კუმშიშ მუჰტიდი ლერმეთ-ს“ (საქონლის მომცემ ლერმეთს), ან „ჟეთხმალლიშ მუჰტიდი ლერმეთს (ოთხფეხის მომცემ ლერმეთს), „შალიან-ს“ (კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიის ხატს კალაში) და სვანეთის სხვა სალოცავებს; ჩამოკყვებოდა ზედა (ბალს-ზემოთა) სოფლებიდან და ჩაათავებდა ქვედა (ბალს-ქვემოთა) სოფლების სალოცავების მოხსენებით. ლოცვა-დიდების დასრულების შემდეგ ყველანი გაშლილ სუფრას შემოუხსნებოდნენ უფროს-უმცროსობით. სუფრაზე საჰმელ-სასმელი ისე გულუხვად იყო დაწყობილი, რომ ცარიელი ადგილი მაგიდაზე არსად ჩანდა. პირველ კათხა არაყს უსადღერძელოდ გამოსცლიდნენ და ჯგერანგ-ის სიმღერას მიყოლებდნენ; შემდეგ დაიწყებოდა სასმისებით სხვადასხვა ღვთაებისა და წმინდანის მოხსენება და ბოლოს თავისუფალი სადღევრძელოები. სმა-ჰამა-ქეიფი და მოლხენა ნაშუალამევაძემე გასტანდა, რის შემდეგ მთვრალი ხალხი თავ-თავის სახლებში მიდიოდა დასაძინებლად².

1936 წლის ივლისის 21. სოფელი ქვემო ლახამულა.
მთხრობელი 85 წლის ფარნაოზ სოუხის ძე ჭკადუა.

¹ ლამხუბი-ი, სამხუბი-ი, ანუ სახუბი-ი ეწოდება სვანური გვარის ნარესაჟო ჯგუფს, რომლის წევრები თავის თავს ერთი წინაპრისაგან წარმოშობილად სთვლიან.

² 1935 წელს აღწერილი კანდა-ს ვარიანტის თანახმად, მრავალი ოჯახი ლახამულაში ამ დღეობის საღამოს წესჩვეულებებსაც თავის სახლში ასრულებდა.

ქვიზერის თემშიც კანდა საოჯახო დღეობა იყო. კანდა საღამოს აქ ე. წ. კულ-ის შინ შეტანა ხდებოდა. კულ-ს ეძახდნენ მსხლის ხეს, რომელსაც ავშუჟამ დღეს მოსჭირდნენ და ეხოში შეინახავდნენ. ამ კულ-ის შეტანა კანდა საღამოს შემდეგი წესით სრულდებოდა: ოჯახის ორი

დიდო ლმერთო მადლიანო, ქვეყანა შენი დაწესებული არის, ყველაფერი კარგი დააწესე ჩვენ სამმოში!¹

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, თარგლეზერ-ს დიდება მოგსვლოდეს! თარგლეზერ-ო, ყველა ლმერთის ვაზირი შენ ბრძანდები, ყველა ლმერთს სულ კარგი მოამართებინე ჩემს სამმოში. მრავალი ახალწელიწადი კარგ გულზე გვამყოფე!

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს მწყალობელ ჯგერანგ-ს დიდება! ჯგერანგ-ო მადლით სავსევე, ადამიანის შემწე შენ ბრძანდები და ჩემს სამმოს, პატარას და დიდს ყველას, შენ შეეწიე, გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოასწარი ჩემს სამმოს!

ბ) ჩუბხევეში

ახალწელიწადს ბალს ქვემოთ კან და ეწოდებოდა. ამ დღეს დილით ძალიან ადრე წამოიშლებოდნენ ლოგინიდან ქორბ მკუშხ-ები, ოჯახის უფროსი მამაკაცი და გოგონა. უფროსი ქორბ მკუშხი წამოიკიდებდა ზურგზე საახალწლო შემოსალოცით სავსე გოდორს (ცხინკ-ს), და გამოიყვანდა კისერზე თოკ მიბმულ ხარს, მეორე ქორბ მკუშხი დაიჭერდა ხელში წყლის ცალიერ ჭურჭელს (გაბტ-ს) და ორივენი ხმა-ამოუღებლივ გაუდგებოდნენ გზას წყაროსაკენ. წყაროზე მისვლისთანავე ხარს წყლის დასაღვეად მიუშვებდნენ, ხელპირს დაიბანდნენ, დაილოცებოდნენ და მეზობლების ქორბ მკუშხ-ებს მიესალმებოდნენ მათ მსგავსად წყაროზე მისულებს ხარით, ლაჭვიან-ით და წყლის ჭურჭლით. მეზობელი ქორბ მკუშხ-ები ულოცავდნენ ერთმანეთს ახალწელიწადს და, გარკვეული წესის დაცვით, არაყს სთავაზობდნენ: მიმთავაზებელი სასმისს არყით გაავსებდა და მეზობელ ქორბ მკუშხ-ს მიწაზე დაუდგამდა. ისიც აიღებდა, დალევდა არაყს და ცალიერ სასმისს კვლავ მიწაზე მოათავსებდა. ეს იმიტომ ხდებოდა რომ, ვიდრე სვანს ამ დღეს ე. წ. ლიშაშელ-ი (ხელის ახსნის წესი) შესრულებული არ ჰქონდა, არაყის არაფერს ჩამოართმევდა ხელიდან.

როდესაც ხარს წყალს დააღვეინებდნენ, გაბტ-ს აავსებდნენ წყლით, რომელსაც ამ დღეს ლჯე (რძე) ეწოდებოდა, ცხინკ-ს კვლავ ზურგზე მოიკიდებდნენ და ხარის თანხლებით ბრუნდებოდნენ შინ. სახლის კარს რომ მიადგებოდნენ, უფროსი ქორბ მკუშხი სამჯერ დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკვ-ა-რ!“ კარი გამიღე!

ამაზე შინიდან სამჯერვე შეეკითხებოდნენ:

„მა-ა-ა ჯულუა, სი ბედნიერო?“ რა გაქვს, შე ბედნიერო?

მესამე შეკითხვაზე ქორბ მკუშხი უპასუხებდა:

„ემდგორო გაბტ ლჯე მულუა, ზამი თორმეტი კასრი რძე მაქვს, წლის სიუხვე, ნაჭერი, მარემი ნაჭურები ი კუმში¹ ადამიანის მშვილობა და საქონლის¹ სიმრავლე.“

წვერი მამაკაცი კულ-ს მხრებზე შეიდებდა, მის შუა ადგილზე ამავე ოჯახის ყმაწვილს შესვამდნენ, „ბო-ო-მბლა, ბო-ო-მბლა-ს“ ძახილით შევიდოდნენ სახლში და კერძას გარს უვლიდნენ. ოჯახის წევრები კულ-ზე შემჯდარ ყმაწვილს ხის სადგისებით ჩხვლეტდნენ და ჩქმეტავდნენ ისე ძლიერად, რომ ბავშვი ხშირად ატირდებოდა ხოლმე. შემდეგ კულ-ს ცეცხლში შედებდნენ და გამოზოგვით ლიფანალ-ამდე ნელ-ნელა წვავდნენ.

აწერილია ქვიბერში 1931 წლის ზაფხულში.

¹ როგორც ცნობილია, ტერმინი „საქონელი“ ქართულში ვიწრო და ფართო მნიშვნელობით იხმარება: ვიწრო მნიშვნელობით „საქონელი“ აღნიშნავს შინაურ ცხოველებს, ხოლო ფართო მნიშვნელობით, ქონება ძირისაგან ნაწარმოები, ყოველგვარ მოძრავ კერძო საკუთ რე-

ამის შემდეგ ქორს მკვშნ-ები შედიოდნენ სახლში, კერიას მარჯვენა მხრიდან შემოუვლიდნენ სამჯერ, და ხარსაც შემოატარებდნენ. უფროსი შეკვლე ამ დროს ასე ილოცავდა:

„ჰა-ა, ზნაი მკვდი ღერმეთ, ხოჩა ზნუ ლანგენ! მწლიან, ტეთხმალს ი მარა ჩი ხოჩა ზნ ენცად; ზნაი ნაწხერი, კუმშიშ ცხემა ი ქემა, ქტინლმგენემი ი მარემი ნაფირი; ზნაშ ხოჩა გუ-ჟიოტ გუარ!“

ჰა-ა, წლის შემცვლელო ღმერთო, კარგი წელიწადი მოგვყენე! მადლიანო, ოთხ-ფეხს და ადამიანს ყველას კარგი წელი შეგვიცვალე; წლის სიკეთე, საქონლის ზრდა და მატება, სულდგმულისა და ადამიანის სიმრავლე წელს კარგ გულზე-დამც მოგვევარე!

კერიის გარშემო შემოვლას რომ მორჩებოდნენ, ლაქშიზარ-ით დახურული შეკვლე მიწაზე დაგორდებოდა ისე, რომ გოდორი თავ-ქვეშ მოჰქცეოდა და თან დაიძახებდა: „ზა ოგგურან“—წელიწადი მოგვიგორდა.

სვანის შეხედულებით, ახალწელიწადი მოსავლიანობით, ყოველგვარი სიკეთით და ბარაქით ისე იყო დამძიმებული, რომ მას ფეხზე დგომა არ შეეძლო, დაგორავდა და სვანის სახლშიც შეგორდებოდა ხოლმე, რასაც შინ მყოფნი დიდი კმაყოფილებით, მხიარულებით და სიცილ-ხარხარით ეგებებოდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ იმართებოდა ე. წ. ღმრთულ-ი: უფროსი ქორს მკვშნი ჩამოიხდიდა ზურგიდან ცხინკ-ს, ამოაწყობდა და მრგვალ სუფრაზე (ფიჩქ-ზე) დაალაგებდა ლაქშიზარ-ს, ფიჩქ-ს ხელში დაიჭერდა, დაუვლიდა ოჯახის წევრებს სათითაოდ, თვითულ მათგანს ფიჩქ-ს მარჯვნივ დაუჭრიალებდა და ასე დალოცავდა:

„ხოჩაუ ზნი ხარ მუშნის, ფიშირ ლანი ლადელ ხოჩა გუჟი! ალი მი უშონად ლოხომე, ეჯკი ხოჩერებაოტ ხაკურქენა მწგ!“

კარგი წელი ჰქონდეს მუშნის¹, მრავალი დღევანდელი დღე კარგი გულით [შეასწარი!] [როგორც] ეს მე დაუყვებდებლად მიეცე, ისე სიკეთემც მისცემოდეს ყოველგვარი!

ის პირი, რომელსაც ქორს მკვშნი მიმართავდა, ჩამოართმევდა მას ფიჩქ-ს და ყველაფერს, რაც ამ ფიჩქ-ზე იდო, სათითაოდ კბილს დააკარებდა და არყით სავეს სასმისს გამოსცილიდა. როდესაც ქორს მკვშნი ოჯახის ყველა წევრის ხელის ახსნას მოათავებდა, ფიჩქ-ს მიწაზე დაუშვებდა და ხმა-მალლა დაუძახებდა ოჯახის იმ წევრს, რომელსაც, მისი სურვილისდა თანახმად, ეხლა მის-

ბას. ამ ტერმინის შესატყვისი სვანური კუმშ ბალს ზემოთ იხმარება მხოლოდ ვიწრო მნიშვნელობით, შინაური ცხოველების აღსანიშნავად, ბალს ქვემოთ კი მას ფართო მნიშვნელობით ხმარობენ; აქ კუმშ ნიშნავს, შინაური ცხოველების გარდა, ფართალს და საზოგადოდ, ყოველგვარ მოძრავ ქონებას.

¹ კაცის სახელია.

თვის უნდა აეხსნა ხელი. უკანასკნელი მიუახლოვდებოდა ქორწილს, ფიქს-ს მოიმარჯვებდა, მარჯვენა დაუტრიალებდა და შემდეგ ხელში მიაწოდებდა. დანარჩენების მსგავსად ქორწილს მუქში-ც ლაქშიზორ-ის ყოველ ნაწილს სათითოდ კბილს დააკარებდა და არყით სავსე სასმისს გამოსცილიდა. ლიშაშელ-ის გათავების შემდეგ ქაშე მუქში-ს დასაპატივებლად გაგზავნიდნენ კაცს. უკანასკნელი გარეშე მეკვლეს სახლის კარს რომ მიაღებოდა, გარედან დაუძახებდა. დაძახებაზე სახლის პატრონი მას არაყს გააგებებდა, მიწაზე დაუდგამდა და ისე შესთავაზებდა, ხოლო მისული მას შესაფერისად დალოცავდა, არაყს დაღევდა და ცალიერ სასმისს ისევე მიწაზე მოათავსებდა, რის შემდეგ ორივენი შიმწვევის ოჯახისაკენ გაემართებოდნენ. მასპინძლის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, შიკრიკი ფეხს აუჩქარებდა და ქაშე მუქში-ს სახლის კართან თავის ოჯახის ლაქშიზორ-ს გამოაგებებდა. ისიც ჩამოართმევდა ამ ლაქშიზორ-ს, შევიდოდა სახლში, ლოცვა-ვედრებით კერიას გარს შემოუვლიდა, შემდეგ მიწაზე დაეცემოდა და დაიძახებდა:

„ზა ოგურან“ წელიწადი მოგვიგორდა.

შემდეგ ქორწილს მსგავსად, ისიც ლიშაშელ-ს ჩაატარებდა და ყველანი ერთად შემოუხსნდებოდნენ გაშლილ სუფრას და ისადილებდნენ. სადილის შემდეგ ქაშე მუქში დაემშვიდობებოდა თავის გულუხვ მასპინძლებს, რომლებიც მას წერტილ-თი დაასაჩუქრებდნენ, და თავის ოჯახს მიაშურებდა.

კანდა საღამოს, შიხის ჩასვლამდე სახლის უფროსი ქალი (დიხსალ-ი) დააცხობდა ერთ ყველიან ლემშირ-ს, რომელსაც ტპრი ლემშირ-ი ეწოდებოდა, აიტანდა მას სახლის მეორე სართულზე დარბაზ-ში, იქ ტპრ ბენდიერ-ის სახელზე ილოცავდა და შეწირულ ხაჭაპურს იქვე შესჭამდა. ტპრი ლემშირ-ის გამოცხობას, მის შეწირვას და შეჭმას არავინ არ უნდა დასწრებოდა, არც გარეშე პირი და არც შინაური. ოჯახის დანარჩენი წევრები დიდი და პატარა ამ დროს ციგითა (ჩარხ) და მარხილით (საჭ) ეზოში თოვლზე ცურაობდნენ; ვინც კანდა დღეს ერთხელ მაინც არ ვაცურდება თოვლზე, წლის განმავლობაში წელის ტკივილი დასჩემდებაო, ამბობდნენ სვანები.

კანდა საღამოს ბოძალეთ-ი ეწოდებოდა. შეგროვდებოდა ერთად სოფლის ახალგაზრდობა და სათითოდ ყველა მოსახლეს ჩამოუვლიდნენ. ეზოში შესვლისთანავე ორი ახალგაზრდა ვაჟი მოსახლის კარზე მიყუდებულ ჯულ-ს მხრებზე შეიღებდნენ, მესამე პირი ამ ჯულ-ზე მუცლით გადაეკიდებოდა და ასე შევიდოდნენ სახლში დანარჩენი ახალგაზრდების თანხლებით. ისინი კერიას სამჯერ გარს შემოუვლიდნენ და თან მღეროდნენ:

„ბო-ო-ო-მბლა, ბო-ო-მბლა, გემიშ ბომბლა, ბომბლა, ბელის კარზე და ყორყი ხარგელია, ჩიჩხ!“ ტვირთული, ჩიჩხ!

ამ სიტყვებს იმეორებდნენ, ვიდრე კერიის შემოვლას არ გაათავებდნენ. ამავე დროს ჯულ-ზე გადაკიდებულ კაცს ყოველი მხრიდან ჩხვლეტდნენ და ჩქმეტდნენ. ისიც წიხლის კვრით იგერიებდა ხალხს, რის გამო დიდი ხმაურობა და სიცილი იყო

სახლში გამეფებული. კერიის გარშემო შემოვლის შემდეგ ჯულ-ს მხრებიდან ჩამოიღებდნენ და მას ცეცხლში შეუკეთებდნენ. მასპინძლის ოჯახის წევრები სთავაზობდნენ სტუმრებს არაყსა და წვრილ-წვრილ ლემშირ-ებს. სახლის უფროსი კი წინასწარ გამომცხეარ დიდი ზომის ყველიანს, ე. წ. ჯულიშ ლემშირ-ს, ცეცხლში შეკეთებულ ჯულ-ის ბოლოზე დადებდა, დანას მოიმარჯვებდა, იქვე ჩაცუტებდებოდა, დაუწყებდა დანით ლემშირ-ს ჩხვლეტას და თან გაიძახოდა:

„ითქ, ითქ, ითქ;
მანაშ, მანაშ, მანაშ“

ხორბალი, ხორბალი, ხორბალი;
ჭეავი, ჭეავი, ჭეავი

და სხვა პურეულის სახელებს, შემდეგ საქონლის ყველა ჯიშს სათითაოდ ჩამოსთვლიდა და, ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე, თითოჯერ მაინც უჩხვლეტდა დანით ლემშირ-ს. დამსწრენი ამ დროს ფეხზე იდგნენ და გაიძახოდნენ:

„ჟერ, ჟერ, ჟერ“...

წყალობა, წყალობა, წყალობა...

უზომოდ დაჩხვლეტილ ჯულიშ ლემშირ-ს სახლის უფროსი ბოლოს წვრილად დაჭრიდა და შეგროვილ ხალხს გადაუყრიდა. დაესეოდა ამ ნაჭრებს დიდი და პატარა ყველა, ჰკრეფდა მიწიდან, ჰგლეჯდა ერთმანეთს ხელიდან, ატყდებოდა ერთი უსაშველო ხმაურობა და ამ ხმაურობასა და სიცილ-ხარხარში შესჭამდნენ ჯულიშ ლემშირ-ს, რის შემდეგ ყველანი გარეთ გაცვივდებოდნენ და ახლა მეორე მოსახლეს მიადგებოდნენ იმავე წესის შესასრულებლად, რომელიც პირველ ოჯახში ჩაატარეს.

მამა-პაპიდან დარჩენილი იყო წესად, რომ კანდა დღეს ყველას, დიდსა და პატარას, არყით სავსე სასმისები აუცილებლად გამოეცალა; ამ დროს სასმისის ძირზე არყის ჩატოვება არ ვარგაო, იტყოდნენ, არც მსმელისათვის და არც მისი ოჯახისათვისო. ამავე დროს ოჯახში ისე ვერაფერს შევიდოდა, რომ თან რაიმე საჩუქარი არ შეეტანა, თუნდაც ხის ტოტი, ფოთოლი ან სხვა რამ: ხელცარიელის სახლში შესვლა ოჯახს ავნებსო, ამბობდნენ სვანები.

1936 წლის ივლისის 16. სოფელი თავრარი. მთხრობელი 54 წლის მაპარბე ცინდელიანი (მათოყშერის სამხუბიდან).

გ) ფარში

კანდა დილით ძალიან ადრე, როცა ჯერ კიდევ ოჯახში ყველას ეძინა, წამოდგებოდა ლოგინიდან ქორწ მუჭში, გამოიყვანდა ხარს, კისერზე თოკს გამოაბამდა, ზურგზე გიდელს (გდელ-ს) წამოიკიდებდა, ცალ ხელში არყით სავსე ბოთლსა და ცალიერ წყლის ჭურჭელს (გაბუ-ს) დაიჭერდა, მეორე ხელს ხარის თოკს მოავლებდა, მას თან გაიყოლებდა და წავიდოდა წყაროზე. წყაროზე მისვლამდე ქორწ მუჭში უბრობას იცავდა—ხმას არ ამოიღებდა და არავის არ

დაელაპარაკებოდა. წყაროზე მისვლისას ხარს წყლის დასაღვეად მიუშვებდა, თვითონ ხელ-პირს დაიბანდა, ილოცავდა და ქურჭელს წყლით აავსებდა. ამის შემდეგ ის მიუბრუნდებოდა სხვა ოჯახების მეკვლეებს, რომლებიც აქ მოსული იყვნენ იმავე მიზნით, როგორც თვითონ, მიესალმებოდა და ახალ წელიწადს მიულოცავდა. ქორწინებები ერთმანეთს არაკს სთავაზობდნენ, მაგრამ ამ დროს სავე ქიქებს ხელში არ მიაწოდებდნენ—მიწაზე დასდამდნენ სასმისებს და მიწიდანვე აიღებდნენ, გამოსცილდნენ არაყს და ისევ მიწაზე მოათავსებდნენ; თავის ოჯახებში ღიშაშელ-ის შესრულებამდე, არც ერთი სვანი არ ისურვებდა სხვისგან ხელის ასხნას—შიძლება სხვამ ცუდი ხელი დამიბედოსო.

ხარი რომ წყლის სმით მოძლებოდა, ქორწინებები დაემშვიდობებოდა მეზობლებს, წამოიკიდებდა თავის გიდელს კვლავ ზურგზე, ხელში წყლით სავსე ქურჭელს დაიჭერდა და ხარის თანხლებით გაუდგებოდა გზას თავის სახლისაკენ. სახლის კარს რომ მიაღებოდა, ის ხმამაღლა დაიძახებდა სამჯერ:

„ყო-ო-რ მიკარ!“ კარი გამიღე!

მესამე დაძახების შემდეგ შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მა-ა ჯულთა, სი ბედნიერ?“ რა გაქვს, შე ბედნიერო?

ამაზე მეკვლე უპასუხებდა:

„ხოშა ღერთემი ჟღრ მულთა, ჩი ღერთემი ჟღრ მულთა, ქუთინლმგენემი¹ ნაწეშირი მულთა, მარემი ნაწედები მულთა, გაბტუ გუთეში ლჯე მულთა, ყო-ო-ორ მიკარ!“

დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, ყველა ღმერთის წყალობა მაქვს, საქონლის¹ სიმრავლე მაქვს, ადამიანის მშვიდობიანობა მაქვს, კასრი სავსე რძით მაქვს. კარი გამიღე!

მეკვლე რომ წყაროდან წყალს მიიტანდა, ამ წყალს ლჯე-ს, რძეს, უწოდებდნენ. ყოველგვარი სიკეთის და ბარაქის ჩამოთვლის შემდეგ, ქორწინებები მიესალმებოდა სახლში, ილიით გუთიზ-ს შეიყოლებდა, კერძის გარს შემოუფლიდა ხართურთ, გუთიზ-ით და გიღლით ზურგზე, შემდეგ სალოცავ სარკმელთან მივიდოდა, უცებ მიწაზე დაეცემოდა მარჯვენა მხარით და თან დაიძახებდა:

ზატემ ჯაჩეჩხ!“

წელიწადმა მოგახვავა!

ამის შემდეგ ხარს თავის ადგილას დააბამდნენ და ღიშაშელ-ს შეასრულებდნენ: ოჯახის წევრები შეეკითხებოდნენ მეკვლეს—ვისი ხელი გირჩვენიაო. ისიც თავისთვის სასურველ პირს დაასახელებდა. უკანასკნელი დაიჭერდა ხელში წერქა-ს და ჯამით ფქვილს, რომელშიც ჩარჭობილი იყო ფეხ-ი ანუ ბომბლა,

¹ სიტყვა-სიტყვით: სულდგმულის

მიუახლოვდებოდა მეკვლეს, ჯამს მარჯვნივ დაუტრიალებდა და შემდეგი სიტყვებით დალოცავდა:

„ზამში მკცადი მალდინან, ხოჩა ზა ოს-
ცად, ნაჭტურიაშ ბედ ლახო, ხოჩა
შტიდებდ ხარდუინ, აშირ, ათას ზაჭ
უმარცხედ ი უტალუდ ხარდუინ, მალ-
დინან ზამში მკცადი!

თე იმა ლახტხერე, ში იმა ათფედა,
მეგ ისგოტ ლასერგებ ლი, ალი მი ლა-
ჯომე, ეჯეი უშონანდოტ ჯაკერქა მეგ

წლის შემცვლელი მადლიანო, კარგი
წელიწადი შეუცვალე, ჯანმოელობის
ბედი მიეცი, კარგა მშვიდობით ამყო-
ფე, ასი [და] ათასი წელიწადი უმარც-
ხოდ და უზიანოდ ამყოფე, მადლიანო
წლის შემცვლელი!

თვალი რასაც მოჰკრა, ხელი რასაც
შეახო, ყველა შენი სასარგებლომც
იყოს, [როგორც] ეს მე მოგცე, ისე დაუ-
მადლებლადამც გეშოვნებოდეს ყველა-
ფერი

ამასთანავე მიაწოდებდა ლაქშინარ-ს. ქორა მკეშხი ჩამოართმევდა მას,
კბილს დააკარებდა ღორის ყურს და ყველაფერს, რაც ლაქშინარ-ში შედიოდა,
და შესვამდა არაქს. ამავე წესით შეასრულებდნენ ლიშაშელს ოჯახის დანარჩენი
წევრები, რის შემდეგ ბავშვს გაგზავნიდნენ და ქაშე მკეშხი-ს მიიპატიებდნენ.
ქაშე მკეშხი ჩაიწყობდა ქალამანში (ჩაფელ-ში) წერაქტ-ს ისე მრავლად, რომ ის
ფესხამოსს ზემოდან გადმოეფინებოდა და ისე მივიდოდა მასპინძელთან. მასპინ-
ძელი მას კართან გუიზ-ს და გიდელს შეაგებებდა. ამ გუიზ-ით და გიდლით
ხელში ქაშე მკეშხი სახლში შევიდოდა, ლოცვა-ვედრებით კერიას გარს შემო-
უვლიდა, შემდეგ სგირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის მახ-
ლობლად დაეცემოდა და დაიძახებდა:

„ზაჭემ ჯაჩჩის!“

წელიწადმა მოგახვავა!

შემდეგ ლიშაშელ-ს შეასრულებდნენ და ყველანი გაშლილ სუფრას შემოუსხ-
დებოდნენ. უხვი სადილის შემდეგ გარეშე მეკვლე გამოეთხოვებოდა მასპინძელს
და წერაქტ-ით, თეთრ-ით, ან სხვა რაიმეთი დასაჩუქრებული შინ ბრუნდებოდა.
ყველას, ვინც კი ამ დღეს სვანს სახლში ეწევოდა, მასპინძელი წერაქტ-ით
დასაჩუქრებდა ხოლმე.

კანდა დღეს ყოველ მოსახლესთან ციგაობა იმართებოდა. დიდი და პატარა
ციგას ან მარხილს მუცლით დააწვებოდა და თოვლზე ისე დასრიალებდა— წლის
განწავლობაში თირკმლები (ქაქარ) და ზურგი (შიყ) აღარ მეტკინებო.

კანდა სალამოს სახლის უფროსი (ქორა მახტუში) დაიჭერდა ხელში დიხსალ-ის
მიერ გამომცხვარ დიდი ზომის თხელსა და „რქებიან“ (მუჭტუარ-იან) ლავაშს, რო-
მელსაც ქალბაზარ-ი ეწოდებოდა, გარეთ გასავალ კართან გაჩერდებოდა და
შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

ქალბაბბარ მალდიან, ფიშირ ბზნიშ
ლეთ ხოჩა გუჟი ენურდტინ, ფიშირ
ამ დრეჟ ხოჩა გუჟი! შტიდბზშ დრეჟ
ლანო, მალდიან, ხოჩა ზზ ენცად,
მალდიან!

ქალბაბბარ-ო მალდიანო, მრავალ ამა-
ლამის ლამეს კარგ გულზე გვამყოფე,
მრავალ ამ დროს კარგ გულზე [შეგვას-
წარი]! მშვიდობის დრო მოგვეცი, მა-
ლდიანო, კარგი წელიწადი შეგვიცვა-
ლე, მალდიანო!

ქალბაბბარ-ი ქაშშელდიან-ის „აფხნიკი“ იყო. ქაშშელდიან-ი კი მზის ყარაუ-
ლი, ის მხესა დარაჯობდა — გველემაჰმა არ გადაყლაპოსო. მზე რომ დაბნელ-
დებოდა ხოლმე, ხალხი ასე გაიძახოდა:

ა-ა-ა ქალბაბბარ ი ქაშშელდიან, იმეგ
ხარი, — ჟანეცხ, ჟანეცხ!“

ა-ა-ა ქალბაბბარ-ო და ქაშშელდიან-ო,
სად ხარ, — გაიღვიძე, გაიღვიძე!

ლიმზირ-ის გათაეების შემდეგ, სახლის უფროსი გადააბიჯებდა კარის
ზღურბლს და იქვე გაჩერდებოდა. ამ დროს ოჯახის დანარჩენი წევრებიც
გარეთ გაიკრიფებოდნენ და მომზგრ-ის პირდაპირ კალოზე გაჩერდებოდნენ. მომ-
ზგრ-ი მოიმარჯვებდა ხელში ქალბაბბარ-ს და ისროდა ოჯახის წევრებისკენ. ვინც
მის დაჭერას მოახერხებდა, ქალბაბბარ-ს უკანვე მომზგრ-ს გადმოუგდებდა. ასე
სამჯერ ესროდნენ ერთმანეთს მომზგრ-ი და ოჯახის წევრები ამ ლავაშს, შემ-
დეგ დაინაწილებდნენ მას და იქვე შეეჭყეოდნენ. გათაეებდნენ თუ არა მის ქამას,
მამაკაცები ჯულ-ს გამოიტანდნენ, მას წვერს წააჭრიდნენ და ჯულ-ის ამ ნაჭერს
ყუარზე შეაგდებდნენ. ამასობაში სვანის ეზოში იკრიბებოდნენ მისი ნათესავები
და მეზობლები. მათგან ორი მამაკაცი გაიდებდა მხარზე მოსახლის ჯულ-ს, რომ-
ლის შუა ადგილზე ბავშვს მოათავსებდნენ (ეს ბავშვი თუ ბიჭი იყო, მაშინ
ჯულ-ს მხედრულად გადააჯდებოდა, ქალი კი მას მუცლით გადაეკიდებოდა) და
ყველანი სახლში შედიოდნენ, კერძას გარს უვლდნენ და თან გაიძახოდნენ:

ბო-ო-მბლა. ბო-ო-მბლა, გემიშ ყორჯი
ხარგელია, რიჩხ-!

ბომბლა, ბომბლა, ბელლის კარზე და-
ტვირთული, რიჩხ!

ჯულ-ზე შემჯღარ ბავშვს ყოველ მხრიდან ბჭყენდნენ და ჩხვლეტდნენ ისე
გამეტებით, რომ ხშირად ბავშვი ატირდებოდა ხოლმე. ჯულ-ს რომ კერიის გარ-
შემო შემოატარებდნენ, შემდეგ სკირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკ-
შელთან მივიდოდნენ და მის წინ ჯულ-ის მზიდავნი უცრად დაეცემოდნენ
მიწაზე და ბავშვიც გადმოვარდებოდა. განთავისუფლებულ ჯულ-ის ერთ ნაჭერს
კერძაში შეუკეთებდნენ, სადაც ის ნელ-ნელა უნდა დამწვარიყო, მეორეს ლიფა-
ნალ-ისათვის შეინახავდნენ, ხოლო ჯულ-ის მესამე პატარა ნაჭერს მოშავალ
კანდა-მდე ინახავდნენ. სახლის უფროსი მივიდოდა ცეცხლში შეკეთებულ

ჯულ-ის ნაჭერთან, ჩაცუქებდებოდა, ჯულ-ის ნაპირზე ნაჭმუნ-ს მოათავსებდა და შეუდგებოდა დანით მის ჩხვლეტას სიგრძესა და სიგანეზე ჯვრის სახედ. ამ დროს ის გაიძახოდა:

„ჩი ღეროემ ჟერ, ჩი ღერთემ ჟერ, ხოშა ღერთემ ჟერ, ხოშა ღერთემ ჟერ, მარეში ნაშტეები, მარეში ნაშტეები, ქტინლმგენემი ნაფშირი, ქტინლმგენემი ნაფშირი, ეჯი კტეცენ, ეჯი კტეცენ, ეჯი კან, ეჯი კან, ეჯი ფურ, ეჯი ფურ, ეჯი ღოლჰქ, ეჯი ღოლჰქ, ეჯი ღტაქმარე, ეჯი ღტაქმარე, ეჯი ზურალ, ეჯი ზურალ, ეჯი კიბლონ, ეჯი კიბლონ“...

ყველა ღმერთის წყალობა, ყველა ღმერთის წყალობა, დიდი ღმერთის წყალობა, დიდი ღმერთის წყალობა, ადამიანის მშვიდობიანობა, ადამიანის მშვიდობიანობა, საქონლის სიმრავლე, საქონლის სიმრავლე, ეს ხორბალი, ეს ხორბალი, ეს ხარი, ეს ხარი, ეს ფური, ეს ფური, ეს ცხვარი, ეს ცხვარი, ეს ვაჟკაცი, ეს ვაჟკაცი, ეს ქალი, ეს ქალი, ეს კიბობანი, ეს კიბობანი...

და მრავალ სხვა სიკეთეს ჩამოსთვლიდა. სევანს ეგონა, რომ რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებდა თვითთული მათგანის სახელს და რაც უფრო მეტჯერ დაჩხვლეტდა ნაჭმუნ-ს, იმდენად მეტი რაოდენობით და სიუხვით ექნებოდა წლის განმავლობაში ჩამოსთვლილი სასურველი სიკეთე. ბოლოს ჯვარედინად დაჩხვლეტილი კვერი ოთხად გაიჭრებოდა. ამას ელოდნენ მაყურებლებიც, მაშინვე მისცვივდებოდნენ და კვერის ნაჭრებს დაიტაცებდნენ. ნაჭმუნ-ის შეკმის შემდეგ სტუმრები სტოვებდნენ ოჯახს და ზოგი თავის სახლში წავიდოდა, ზოგი-კი მეორე მეზობლის კარ-მიდამოს მიაშურებდა ჯულ-ის შეტანის წესჩვეულების შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად.

1936 წლის ივლისის 26. სოფელი ტარი. მთხრობელი 86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიანი.

დ) ეცერში

კანდა დილით, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ლიცე მკვში წყაროზე წასასვლელად მოემზადებოდა—ზურგზე შემოსალოც გიდელს წამოიკიდებდა, ცალ ხელში წყლის ცალიერ ჭურჭელს დაიჭერდა, მეორით ხარს ან ცხენს გაიყვანდა და გზას გაუდგებოდა. წყაროზე მისვლისთანავე ხარს წყალზე მიუშვებდა, თვითონაც ხელ-პირს დაიბანდა, დაილოცებოდა და მიესალმებოდა მეზობელ მზახლეების ქორა მკვშებს, რომლებიც აქ მოსული იყვნენ ხარისათვის წყლის დასალევიანებად. ვიდრე საქონელი წყალსა სვამდა, მეკვლეები ერთმანეთს ახალწელიწადს ულოცავდნენ და არაყს სთავაზობდნენ გარკვეული წესის დაცვით: საგვ და ცალიერ არყის სასმისებს მიწაზე დაუ-

დგამდნენ ერთმანეთს, — იქიდან უნდა აეღო სტუმარს სავსე და მასპინძელს გამოცლილი სასმისი, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ვისაც სვანი ამ დღეს პირველად რაიმეს გამოართმევდა ხელიდან, იმისგან „აეხსნებოდა“ ხელი. ხელის ახსნას კი, სვანის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი წლის განმავლობაში საკუთარი ბედ-იღბლიანობისათვის. თუ იღბლიანი და მისთვის კეთილის მოსურნე პირისაგან აიხსნიდა ხელს, მაშინ მთელი წლისათვის ბედნიერებას და სიკეთეს დაიბედებდა და, პირიქით, უიღბლო და ავი ხელი უბედურებას დაუბედებდა. ამიტომ ყოველი სვანი ამ დღეს ყველაზე უწინ საკუთარ სახლში აიხსნიდა ხოლმე ხელს თავისი ოჯახის წევრებისაგან.

როცა ხარი თუ ცხენი წყლის სმით მოძღებოდა, მეკვლე მას შინისაკენ წაიყვანდა და ზან გაიყოლებდა წყლით სავსე ჭურჭელს და საახალწლო შემოსალოც ლაქზნიარ-ს. მეკვლეს მიტანილი წყალი ამ დღეს ლჯე-დ იწოდებოდა და საახალწლო შემოსალოცში შედიოდა. მეკვლე რომ სახლის კარს მიაღებოდა, ხმა-მალა დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკარ! კარი გამიღე!“

ამ სიტყვებს ის სამჯერ გაიმეორებდა; ორჯერ არას უპასუხებდნენ, ხოლო მესამე დაძახებაზე შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მა-ა ჯულუბა, სი ბედნიერ?“ რა გაქვს, შე ბედნიერო?“

მეკვლე ამაზე უპასუხებდა, რომ მას აქვს ღმერთების წყალობა, ადამიანის მშვიდობა, საქონლის სიმრავლე, რძით სავსე ჭურჭელი და ყოველგვარი ბარაქა. ამის შემდეგ მას შინ შეიპატიებდნენ. სახლში შესვლისთანავე მეკვლე კერძს გარს შემოუვლიდა მარჯვნივ სამჯერ, თან ხარს ან ცხენს შემოატარებდა და წლის შემცვლელი ღმერთის დიდებას ამბობდა. შემდეგ ხარს ან ცხენს ქორა მახუში-ს სავარძელთან (ასკამ-თან) მიიყვანდა და იქ თივას დაუყრიდა, თვითონ კი სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მივიდოდა, იქ მიწაზე დაგორდებოდა და დაიძახებდა:

„ზატემ ჯაჩეჩხ!“ წელიწადმა მოგახვავა!“

ახალწელიწადი, ხალხის აზრით, მეტად დიდი ბარაქისა და სიმდიდრისაგან, რომლებიც მას სახლში შეჰქონდა, ისე იყო დამძიმებული, რომ ფეხზე დგომას ვერ ახერხებდა და დაგორდებოდა. ამიტომ იყო, რომ ლიცე მკეზხი-ს წაქცევას ოჯახი მხიარულად ხვდებოდა, ყველანი იცინოდნენ, უხაროდათ, რომ ასეთი სიუხვით ეწვიათ მათ ახალწელიწადი.

ამოაწყობდნენ მრგვალ მაგიდაზე (გვრდ-ზე) ლაქზნიარ-ს და ლიშა-შელ-ს შეასრულებდნენ: პირველად ლიცე მკეზხი დაასახელებდა ოჯახის წევრს, რომლისგანაც მას სურდა ხელი აეხსნა. დასახელებული პირი მიიტანდა

მასთან გზად-ს, მარჯვნივ დაუტრიალებდა, დალოცავდა და გაშლილ სუფრას ხელში მიაწოდებდა. მეკვლე ლაჭუშინარ-ის ყველა ნაწილს კბილს დაადგამდა, შემდეგ გზად-ს მიწაზე დაუშვებდა და არყით სახსე სასმისს გამოსცლიდა. ანეთივე წყით აიხსნიდნენ ხელს (ლიშაშელ-ს შეასრულებდნენ) ოჯახის დანარჩენი წევრებიც.

ლიშაშელ-ის გათავებისთანავე ოჯახის უმცროს წევრს დარბაზ-ში აგზავნიდნენ და დაძახებინებდნენ იმ დამეს იქ მყოფ ქორაზ მუჭუხი-ს. უკანასკნელს სვირ-ის კართან ლაჭუშინარ-ს, გუბ-ს და ცოცხალ ცხვარს შეავებდნენ. ამგვარად დაიტვირთებოდა ქორაზ მუჭუხი და ისე შევიდოდა სვირ-ში, კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, შემდეგ ცხვარს ასკამ-თან თივას დაუყრიდა, თვით სალოცავი სარკმლის წინ მიწაზე დაგორდებოდა „ხატეჟი ჯაჩიხ“-ის ძახილით და ლიშაშელ-ს შეასრულებდა.

ამასობაში დისხალ-ი სადილისათვის ემზადებოდა, — აცხობდა ყველიანსა (ქუთ) და ხორციან (კუბად) ლემშირ-ებს. მორბედს ქამე მუჭუხი-ს დასაპატივებლად გაგზავნიდნენ. სადღეობო ტანისამოსში გამოწყობილი ქამე მუჭუხი, როლის ჩათვლ-ს ამშვენებდა ზემოდან ბლომად გადმოშვებული ახალა წერქუა, მასპინძელს კარზე მიადგებოდა საკუთარი არყით ხელში. მასპინძელი კი კარზე გზად-ს შეავებდა. გზად-ით და არყით დატვირთული ქამე მუჭუხი, შინაურთ; მეკვლეების მსგავსად, კერიას გარს შემოუვლიდა, სალოცავ სარკმელთან დაგორდებოდა და შემდეგ ლიშაშელ-ს შეასრულებდა. ამას მოჰყვებოდა მხიარული სუფრა. მეკვლეები ამ დღეს დიდ პატივში იყვნენ, ყველა ცდილობდა მათ გულუხვად გამასპინძლებოდა და მათი გული მოეგო. ნასადილევს ქამე მუჭუხი გამომშვიდობებოდა მასპინძელს და წერქუა-თი დასაჩუქრებული მიდიოდა შინსაკენ.

ამ დღეს ცივაობა იცოდნენ. დიდი და პატარა თოვლზე დასრიალებდა, წლის განმავლობაში ზურგი აღარ გვეტყინებო.

კანდა საღაშოს ოჯახის წევრი მამაკაცები კალოზე შენახულ ჯულ-ს სახლ-ში შეიტანდნენ. ორი მამაკაცი შეიღებდა მას მხარზე, ჯულ-ის შუა ადგილას ბავშვს შესვამდნენ, ნელი ნაბიჯით შინ შევიდოდნენ, კერიას გარს შემოუვლიდნენ სამგზის და თან გაიძახოდნენ:

„ბო-ო-მბლა, ბო-ო-მბლა, გემიმ ყორ-
ჟი ხარგელია, რიჩხ!“

ბომბლა, ბომბლა, ბელლის კარზე
დატვირთული, რიჩხ!

ოჯახის წევრები ჯულ-ზე შემჯდარ ბავშვს ჩქმეტდნენ; ჩხვლეტდნენ და ატირებდნენ, ხოლო თვითონ სიცილ-მხიარულებაში იყვნენ. კერიას გარშემოვლას რომ მორჩებოდნენ, ბავშვს გადმოსვამდნენ და ჯულ-ს კი ცეცხლში შეუქეთებდნენ მარჯვენა მხრიდან. სახლის უფროსი მივიდოდა მასთან, ნაპირზე ყველიან ლემშირ-ს დაადებდა, დაუწყებდა ამ ლემშირ-ს დანით ჩხვლეტას და თან იძახდა:

„ზამი მეცადი, ხოჩა ზან ენცად, ზამი ხოჩა გუჟი ნწყრ მარემ ქუნემ ნაშდობოშუ, ქტინლუმენემ ნაფშიროშუ, ზამი ნაფშიროშუ, ხოჩა გუჟი ანჯემრატინ ისეჟუ ჟრ ი წყალობ! ჳან, ჳან, ჳან, ფურ, ფურ, ფურ, ღოლაქ, ღოლაქ, ღოლაქ, დაჯღ, დაჯღ, დაჯღ“....

წლის შემცვლელი, კარგი წელიწადი შეგვიცვალე, გაისს კარგ გულზე გვამყოფე ადამიანის სულის სიმშვიდით, საქონლის სიმრავლით, წლის სიუხვით, კარგ გულზე მოგვანამარებინე შენი წყალობა! ხარი, ხარი, ხარი, ფური, ფური, ფური, ცხვარი, ცხვარი, ცხვარი, თხა, თხა, თხა“...

ამ ეცერს ჳულიშ ლემზირ-ს უწოდებდნენ. დაჩხვლებილ ჳულიშ ლემზირ-ს ქორს მახტში ოჯახის წევრებს დაურიგებდა. ამასთანავე არიგებდნენ სულზე თითო ხაჭაპურს, რომლებიც დიხსალ-მა ჳულიშ ლემზირ-თან ერთად გამოაცხო¹.

1936 წლის ივლისის 31. სოფელი ისკარი.
მთხრატელი 61 წლის დემეტ გერლიანო.

ე) ცხუმარში

კანდა დილით ძალიან ადრე გაიღვიძებდა ლიცე მეჭმში, ხმაამოუღებლივ წამოდგებოდა ლოგინიდან, მხარზე საახალწლო შემოსალოცით საესე გჯდელ-ს წამოიკიდებდა, ერთ ხელში წყლის ქურჭელს დაიჭერდა, მეორეთი ხარს

¹ აკად. ნ. მარის ერთ-ერთ ნაშრომში მოცემულია ეცერის ახალწლის აღწერილობა. ამ აღწერილობაში ახალია ჩვენთვის რიტუალის ერთი მომენტი—მეკვლეების მიერ ლოცვა-ვედრებით სახლის გარედან შემოვლა სამგზის. რიტუალის ეს მომენტი არც ეცერში და არც სხვა თემებში ჩვენ დამოწმებული არა გვაქვს. აკად. მარი იძლევა აგრეთვე ახალწლის რიტუალის ზოგიერთ ისეთ დეტალსაც, რომლებიც ჩვენ აღწერილობაში ცოტა სხვანაირად არის მოცემული. შედარებისათვის მოგვყავს მის მიერ აღწერილი ეცერის ახალწელიწადი სრული სახით:

«Чествуется Новый год. На это чествование сваны смотрят отчасти, как на подготовку к великому празднику усопних. На мелком орехе зимою растут особья шишки, но свански называемые в Эцере გვო გვი. Когда осыпаются листья, они только и украшают ореховое дерево (ჟ შტახენდ იძიჟიძი). Накануне Нового года эцеры собирают их, связывают веревкою или скрученными сучьями (რ წირეხი) длиною меньше аршина и приносят домой. 1-го января до рассвета мужчины выходят из дома, выводят с собою из комнаты с привязи быка, овцу или также лошадь, умываются, берут заготовленную гирлянда шишек (св. გვი), которая до того момента не вносила в дом, обходят дом с моланием три раза, подходят к занертой двери и просят открыть ее. Из оставшихся внутри одна, обыкновенно жена, спрашивает: «что несешь?» Снаружи отвечают «милости бога, архангелов, Христа». Перечисляются предметы благополучия или благосостояния по сванским понятиям. Это повторяется троекратно, и только после третьего раза жена возглашает:

„ყორ მკვარ ჯარ სი ბედნიერ: სვალე!“ «Да будет тебе открыта дверь на счастье: пожалуй!».

Гирлянда шишек или пучок сохраняется до вечера 5-го января, когда после разговора за ужином ее сжигают. Н. Марр, Из поездок в Сванию, XV II, I, 1913, გვ. 9.

გაიყვანდა და წავიდოდა წყაროზე. აქ ის ხარს მიუშვებდა წყალზე, თვითონ ხელ-პირს დაიბანდა, თან წალეხულ გუბიზ-სა და წერქუტა-ს ნაწილს ჩამოაცლიდა და ეკლესიაში მიიტანდა. ეკლესიის კარის წინ გაჩერებული მეკვლე ვევედრებოდა წლის შემცვლელ ღმერთს—წელიწადი კეთილად მომიბრუნე და ნურას დააკლებ ჩემს ოჯახსო, შემდეგ გუბიზ-სა და წერქუტა-ს ეკლესიის კედლის ნაჩრებ-ტებში შეარქობდა ან იქვე მიწაზე მოათავსებდა და უკანვე გაბრუნდებოდა. წყაროზე ამ დროს თავმოყრილნი იყვნენ სხვადასხვა მოსახლის მეკვლეები, რომლებიც ერთმანეთში შამი ლიფშუდე-ს ასრულებდნენ: თვითელი მათგანი აირჩევდა იმ პირს, რომლის ხელიც მას თავისთვის საბედნიეროდ მიაჩნდა და ისინი ერთმანეთს გაუწოდებდნენ არყით სავსე სასმისს და ლემზირ-ს და დალოცავდნენ. შიმი ლიფშუდე-ს გათავების შემდეგ, ლიცე მეჭუში შინ ბრუნდებოდა. სახლის კარს რომ მიადგებოდა, დაიძახებდა—კარი გამიღეთო. პირველ ორ დაძახებაზე მას ხმას არ გასცემდნენ, ხოლო მესამე დაძახების შემდეგ შინიდან შეეკითხებოდნენ—რა მოგაქვსო. ისიც ჩამოსთვლიდა ყოველგვარ სიკეთეს, რომლებიც უნდოდა ჰქონებოდა მის ოჯახს წლის განმავლობაში. ამის შემდეგ მას სახლში შეიწვევდნენ. ლიცე მეჭუში გიდელ-წამოკიდებული და წყლით სავსე ქურჭლით ხელში, ხარიანად კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, შემდეგ ხარს ასკამ-თან მიიყვანდა და თივას დაუყრიდა, ხოლო თვითონ სალოცავი სარკმლის წინ დაგორდებოდა და დაიძახებდა:

„ზაჲ აჭუტურან!“ წელიწადი მოვევიგორდა!

გიდლიდან ამოალაგებდნენ ლაჭუშიარ-ს სვანურ მრგვალ სუფრაზე და გაიმართებოდა ლიშაშელ-ი: პირველად ლიცე მეჭუში დაასახელებდა ოჯახის რომელიმე წევრს, რომლისგანაც მას სურდა ხელი აეხსნა. დასახელებული პირი მეკვლეს წინ სუფრას მარჯვნივ დაატრიალებდა, დალოცავდა მას და სუფრასა და არყით სავსე სასმისს ხელში მიაწოდებდა. ლიცე მეჭუში სუფრაზე გაწყობილ ლაჭუშჩარ-ის ყველა ნაწილს კბილს დაადებდა და არაყს შესვამდა. ასეთივე წესით შეასრულებდნენ ლიშაშელ-ს ოჯახის დანარჩენი წევრებიც. ამის შემდეგ დარბაზ-იდან ქორაზ მეჭუში-ს ჩამოიყვანდნენ, სვირ-ის კართან მას მიაგებდნენ ლაჭუშიარ-ს, გუბიზ-სა და ცხვარს ან კრავს, თუ ასეთები ოჯახს მოეპოვებოდა. ეს შინაური მეკვლეც ყველა იმ წესებს შეასრულებდა, რომლებიც მასზე ადრე ლიცე მეჭუში-მ ჩაატარა: კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, კრავს ან ცხვარს ასკამ-თან თივას დაუყრიდა, სალოცავ სარკმელთან დაგორდებოდა და ლიშაშელ-ს შეასრულებდა. დიხსალ-ი ამ დროს ცეცხლს უტრიალებდა, ხაჭაპურებს და კუბად-ებს აცხობდა და დილის საუზმისათვის (ხაციც) ემზადებოდა. ქაშე მეჭუში-ს დასაძახებლად კაცს აფრენდნენ. გარეშე მეკვლეს საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილს, ფეხსაცმელიდან გადმოშვერილი წერქუტა-თი და ხელში არყით, მასპინძლის სახლიდან გიდელს და კრავს გააგებებდნენ. ამ კრავით და გიდლით დატვირთული ქაშე მეჭუში შედიოდა სახლში, კერიას

გარს შემოუვლიდა, სალოცავ სარკმელთან დაგორდებოდა „ზნაჭტურან“-ის წარმოთქმით, ლიშაშელ-ს შეასრულებდა, შემდეგ გაშლილ სუფრაზე ყველანი მხიარულად ჩაატარებდნენ ხაციც-ს და გარეშე მეკვლე თავის სახლში დაბრუნდებოდა წერქუა-თი დასაჩუქრებული.

კანდა დღეს ყოველი მოსახლე თავის კარმიდამოს მასლობლად ციგაობას მართავდა. დიდი და პატარა გაწვებოდა მუცლით ციგაზე ან მარხილზე და ერთხელ მაინც გაცურდებოდა თოვლზე—წლის განმავლობაში ზურგი აღარ ამტკივდებოდა.

სალამოს ჯულ-ის სახლებში შეტანა ხდებოდა. ვახშმის წინ სოფლის ახალგაზრდები ერთად შეიკრიბებოდნენ და ეზო-ეზო დადიოდნენ. მოსახლის ეზოში ორი ახალგაზრდა მხარზე ჯულ-ს გაიდებდა, ჯულ-ის შუა ადგილას ბიქს შესვამდნენ (გოგოს ჯულ-ზე შესმა აქ არ შეიძლებოდა) და ყველას თანხლებით შედიოდნენ მოსახლის სახლში და თან გაიძახოდნენ:

„ბო-ო-მბლა, ბო-ო-მბლა, გემიშ ყორ-
ქი ხარგელია, რიხ!“

ბომბლა, ბომბლა, ბელის კარზე და-
ტვირთული, რიხ!

სახლის უფროსი მათ კართან მიაგებებდა ლემზირ-ებით სავსე კარტა-ს, რომლის თავზე დადებული იყო ე. წ. ჯული ლემზირ-ი, და გადასცემდა მას ჯულ-ის შემომტანათაგან იმას, რომელიც პირველი შემოადგამდა ფეხს სახლში. ახალგაზრდები შემოატარებდნენ ჯულ-ს კერიას გარშემო ერთგზის ზემოაღნიშნული სიმაღლით, „რიხ“-ის წარმოთქმის დროს ჯულ-ს შუაზე ჩასტეხდნენ და ბავშვს მიწაზე დასცემდნენ. შემდეგ ჯულ-ის ნახევრებს ერთმანეთზე მიაწყობდნენ და ცეცხლში შესდებდნენ. სახლის უფროსი ამოიღებდა კარვიდან და ჯულ-ზე მოათავსებდა ჯული ლემზირ-ს, იქვე ჩაცუტვლებოდა, დაუწყებდა ამ ლემზირ-ს დანით ჩხვლეტას და თან გაიძახოდა:

„ჩი ღერთემი ყურ, ჩი ღერთემი ყურ,
ჯან,ჯან, ჯან, ფურ, ფურ, ფურ, ლო-
ლაქ, ლოლაქ, ლოლაქ, დაჯღ, და-
ჯღ, დაჯღ, კუეცენ, კუეცენ, კუე-
ცენ“...

ყველა ღმერთის წყალობა, ყველა
ღმერთის წყალობა, ხარი, ხარი, ხარი,
ფური, ფური, ფური, ცხვარი, ცხვარი,
ცხვარი, თხა, თხა, თხა, ხორბალი,
ხორბალი, ხორბალი...

და სხვა საქონლის ჯიშებს, პურეულს და ოჯახის ყოველგვარ ბარაქას ჩამოსთვლიდა. უკანასკნელად ის წარმოსთქვამდა რამდენჯერმე „ხამ, ხამ, ხამ“—ლორი, ლორი, ლორი... და ამ დროს დამსწრენი, განსაკუთრებით ბავშვები, მისცვივდებოდნენ ჩხვლეტისაგან დასერილ-დანაწილებულ ჯული ლემზირ-ს და დაიტაცებდნენ. დანარჩენ ლემზირ-ებს სახლის უფროსი რამდენიმე ნაჭრად დანაწილებდა და არაყთან ერთად სტუმრებს მისთავაზებდა. ყოველივე ამის შემ-

დეგ სტუმრები სტოვებდნენ ოჯახს და მეორე-მოსახლისაკენ მიემგზავრებოდნენ ჯულ-ის შეტანასთან დაკავშირებული წესჩვეულების შესასრულებლად.

სახლის უფროსი კანდა ღამეს დაწოლის წინ წყლით სავსე ჯამს (ფაკან-ს) სარკმელზე შესდგამდა—ხვალ კვიმატიანი ღლეა და დილით, სარკმლის გაღების დროს, შეიძლება მავნე. სული შემოვარდესო და მაშინ ის წყალში ჩავარდება და დაიხრბაო.

1936 წლის აგვისტოს 5. სოფელი სუფი.

მთხრობელი 63 წლის დიმიტრი ჯ ა კ ე ლ ი ა ნ ი

ვ) ბეროში

კ ა ნ დ ა -ს ბეროში სავსებით. ისეთივე წესჩვეულებები სრულდებოდა, როგორც ცხუმარის თემში. განსხვავება მხოლოდ ერთ რამეში იყო: კანდა საღამოს ბეროში ჯულ-ს საკუთარი ოჯახის წევრები შეიტანდნენ სახლში და ამ დროს ისინი შემდეგ გაიძახოდნენ:

„ბო-ო-მბლა, ბო-ო-მბლა, გუემიშ ყორ- ბომბლა, ბომბლა, ბელის კარზე და-
ჟი ხარკაშლა, რაბ!“ ტვირთული, რაბ!

ღლეობა აღწერილია 1931 წელს სოფელ დოლა-სუფში და შემოწმებული 1936 წლის აგვისტოს 11 სოფელ უშხვანარში. მთხრობლები 51 წლის ამაიზ და 60 წლის ს ო ხ კ ე ლ ი ა ნ ე ბ ი

ზ. ბალს ზემოთ

ზ) ლატალში

ზ ო მ ხ ა დილით გათენებამდე ქორა მკვში წამოიკიდებდა ზურგზე ლალაშ-ს, ცალ ხელში წყლის ცალიერ ჭურჭელს დაიჭერდა, მეორეთი მეკვლედ არჩეულ ხარს, ან ცხენს გაიყვანდა და წავიდოდა წყაროზე. გზაში მას ქამე მკვში შეეგებებოდა მუყელტ-ით ხელში და შემდეგ სიტყვებით დალრცავდა:

„ხოჩაჲ ზაჲი ლიცაღალ ჯარ, ხოჩამ კარგიმც წლის შეცვლა გკონებოდეს,
ზაჲტუ ლახგენენა ნალდრყოშტ ი ნაფ- კარგს წელიწადსამც მისდგომოდე უზი-
შიროშტ“. ანოდ და სიმრავლით.

წყაროზე მისვლისთანავე მეკვლე ხელ-პირს დაიბანდა, ილოცავდა, ხარს წყალს დააღვინებდა, ჭურჭელს წყლით აავსებდა და სახლში ბრუნდებოდა. წყაროზე, ან გზაში სხვადასხვა ოჯახების ქორა მკვშ-ები ერთმანეთა.

რომ შეხვდებოდნენ, მისაღმების შემდეგ ერთი-მეორეს არყით სავსე სასმისებს შესთავაზებდნენ და თან ეტყოდნენ:

„ამჟინ გტეში ზანსუთ ლახვენენა!“ ასე სავსე გაისსამც მისდგომოდე!

თავის სახლის კართან მისვლისას ქორა მტეში დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკარ, ბენნიერ“. კარი გამიღე, ბენნიერო.

შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მამ აჯლტა, სი ბენნიერ?“ რა მოვაქვს, შე ბენნიერო?

ამაზე მეკვლე უბასუხებდა:

„მარემი ნაშდტები, ჯანა ჯტეგ, ხოჩა ადამიანთა მშვიდობიანობა, ხარების ზანი ლიცაღლ უმარცხტ, უტალტუ“. ჯოგი, კარგი წლის შეცვლა უმარცხოდ, უზიანოდ.

ამ სიტყვებით ის მარჯვენა ფეხით შევიდოდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, ხარსაც შემოატარებდა, შემდეგ ხარს ბოძზე მიბამდა, თავას დაუყრიდა და ლატეშიარ-ს კი საფუარის გვერდით დასდგამდა. ამასობაში ოჯახის წევრები ლოგინიდან წამოიშლებოდნენ, მეკვლის მიერ მოტანილი წყლით, რომელსაც ლჯე (რძე) ეწოდებოდა, ხელბირს დაიბანდნენ, საუკეთესო ტანისამოსში გამოეწყობოდნენ, ფესსაცმელში ახალ წერეჭტ-ს ბლომად და მსუბუქად ჩაიფენდნენ და ფესსაცმელს ისე ჩაიცვამდნენ, რომ წერეჭტ-ი გარეთ გადმოაფენოდათ — მთელი წლის განმავლობაში დოვლათიანად და მსუბუქად ვივლითო, და კერიის პირად დასხდებოდნენ. ამ დროს სრულდებოდა ე. წ. ლიშიაშალ-ი: ქორა მტეში ხელში მუქელტ-ს და ლორის თავს დაიჭერდა, ოჯახის წევრებს ჩამოუვლიდა და თვითეულს ცალკე მარჯვნივ დაუტრიალებდა მუქელტ-სა და ლორის თავს და ეტყოდა:

„ხოჩა ზანი ლიცაღლტუ ჯარ კუმში კარგი წლის შეცვლამც გქონებოდეს საქონ-ქამოტუშ, ცხამოტუშ, ნაშდობოტუშტ, უმარ-ლის მატებით, ზრდათ, მშვიდობიანობით, ცხტ, უმზიგარ ზამ ისგუა ი ისგუა უმარცხო, გაუჭირვებელი წელიწადი [გქო-ერთგუთილ მარემი ნაშდობოტუშტ, ფიშირ ნებოდეს] შენი და შენი ერთგული ადა-ზანი ლიცაღლი, ხოჩა გუყი ლიპო-მიანის მშვიდობიანობით, მრავალი წლის შეცვლით, კარგ გულზე მოსწრებით.“

დალოცვილი ოჯახის წევრი მუქელტ-ს აკოცებდა და არყით სავსე სასმისს გამოსცილიდა. როდესაც ლიშიაშალ-ს გაათავებდნენ, მერბიელ-ი გაშლიდა სუფ-

რას, რომელზედაც ღორის ხორცს, მის თავს და ნაჭუჭურა-ს მიიტანდა. უკანასკნელს არასოდეს არ დაანახებდნენ ოჯახისათვის უცხო პირებს და ამიტომ საუზმიდან მორჩენილ მის ნაწილს დაფარულ ადგილას შეინახავდნენ ხოლმე—უცხოთ ვალი არ მოხვედისო.

ამის შემდეგ მოდიოდა ქაშე მკუჭხი. ის სახლის კარს რომ მიადგებოდა, დააკაკუნებდა. შინმყოფნი მას ლალაშ-ს შეაგებებდნენ საახალწლო შემოსალოცით. ლალაშ--ით დატვირთული გარეშე მეკვლე შევიდოდა სახლში, კერიას გარს შემოუვლიდა, შემდეგ მის უკან (კაჭეშგემ) საფურათან დაგორდებოდა და დაიძახებდა:

„ამჟრუ აჯგურუნენახ ზაა!“ ასემც დაგორებოდეთ წელიწადი!

ამას ყველა სიცილ-მხიარულებით ხვდებოდა. შემდეგ გარეშე მეკვლე ლიშიაშალ-ს შეასრულებდა და ყველანი სადილად დასხდებოდნენ. ქაშე მკუჭხი-ს დაასაჩუქრებდნენ ან საქალამნე ტყავით, ან ხუთიოდე მანეთით და ჯიბეში აუცილებლად წერეჭუ-ის კონას ჩაუდებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

ნაჭუჭურ-ის მუყელტ-ს ოჯახის წევრთაგან მხოლოდ მამაკაცები სკამდნენ. ქამის დროს ისინი ცდილობდნენ ნამცეცი მიწაზე არ დაეარდნოდათ და ამიტომ ჩოხის კალთას გაიშლიდნენ წინ, ან ქელში შესკამდნენ. მუყელტ-ის ნამცეცს თუ ვინმე ფეხს დაადგამს, მას ფეხის ტერფი დაუტებრდებოა, — ამბობდნენ სვანები.

ვინც ამ დღეს სვანის სახლში შევიდოდა, შინაური იქნებოდა ის, თუ გარეული, სახლის კედელზე გარედან მიყუდებულ კულ-ს ტოტს მოსტენდა, სახლში შესვლისთანავე მას სხვენზე შეაგდებდა და თან წლის შემცველ ღმერთს ახსენებდა.

ზომხა დღეს თოვლზე ციგაობა იცოდნენ. დიდი და პატარა უკულმა შეაჯდებოდა მარხილსა ან ციგას და თითოჯერ მაინც გასრიალდებოდა—წლის განმავლობაში ზურგი მაგარი გვექნებოა.

ახალწელიწადს ბედობა დღე იყო. ამიტომ ამ დღეს მამაკაცები ნელ ხეს გააპობდნენ, ქალები ცოტაოდნენ დართავდნენ და ვაკერავდნენ რამეს, მონადირე ცდილობდა ფრინველი ან ნადირი მოეკლა—წლის განმავლობაში ნადირობა კარგი მექნებოა; სასესხებლად მისულ მეზობელს არას დაუჭერდნენ და ხელცარიელს არ გააბრუნებდნენ, მხიარულობდნენ, ჩხუბს ერიდებოდნენ, ყოველ საქმეში, რომელსაც კი ამ დღეს წამოიწყებდნენ, გამარჯვებას ცდილობდნენ, რათა წლის განმავლობაში ყველაფერში გამარჯვებული გამოვიდეთო.

მეხუჭამ ღამეს მოტანილ ჯულ-ს (ერთს მსხლისა და მეორეს არყის ხეს) ლიფანალ-ამდე ეზოში შეინახავდნენ და მხოლოდ ლიფანალ-ს შეჰქონდათ სახლში.

ახალწლის შემდეგ, პირველად რომ შეშის მოსატანად წავიდოდნენ ტყეში, შეშის ზემოდან მარხილზე აუცილებლად ნაძვის ხეს დასდებდნენ და უკან ისე გამობრუნდებოდნენ; ეს დღე, სვანების რწმენით, ზომხა-ს გამოყოლილი დღე იყო.

პირველად აღწერილია 1931 წლის ზაფხულში სოფელ იენაშნი. ხელმოწერად აღწერილი და შემოწმებულია 1935 წლის აგვისტოს სოფელ ლახუშდში. მთხრობლები: 97 წლის ბასლი ჩ ა მ გ ე ლ ა ნ ი, 57 წლის გიორგი გ ი რ გ ვ ლ ი ა ნ ი და 47 წლის ქვერიჯა ფ ა რ - ჯ ი ა ნ ი ს ა.

(5) ლენჯერში

ზომხა დილით ყველაზე ადრე ოჯახში ქორწინებულ მკვებში წამოდებოდა, ხელ-პირს დაიბანდა, კერიაში ნაკვერჩხლებს გამოჩხრკედა, ზედ შეშას და-აყრიდა და შეუბერავად ცეცხლს გააჩაღებდა. შემდეგ ის წამოიკიდებდა ზურგზე ლალშ-ს, ცალ ხელში წყლის ცალიერ ჭურჭელს (სეგდა-ს) დაიჭერდა, მეორით ხარს გაიყვანდა და წავიდოდა წყაროზე, სადაც ხარს წყალს დაალევიებდა, სეგდა-ს წყლით აავსებდა (ამ დღეს მოტანილ წყალს ლჯე, რძე, ეწოდებოდა), ილოცავდა და, თუ წყაროზე სხვა ოჯახის ქორწინებულ მკვებებს შეხვდებოდა, მაშინ მათთან ლიშმაშწალ-ის წესს შეასრულებდა—ისინი ერთმანეთს არაყს და-ალევიებდნენ და დალოცავდნენ; არაყით სახსე ჭურჭელი ერთიმეორისათვის ხელში უნდა მიეცათ, ზოლო გაცილილ სასმისს მიწაზე დადგამდნენ და პატრონი მას იქიდან აიღებდა—არ ვარგაო, ფიქრობდნენ სვანებმა, ამ დღეს ცალიერი ჭურჭლის ხელში მიჩვენება, ბარაქისაგან დაცლასა ნიშნავსო. წყაროდან გამობრუნებული ქორწინებულ მკვებში ჯერ თავის კალაზე შეჩერდებოდა, მის შუა ადგილას თოვლს დააგროვებდა (მუსი მურყამ-ს ააგებდა), შიგ ჭულ-სა და გუბ-ს ჩაარჭობდა, მას წაღმიდან გარს შემოუვლიდა ზურგზე ლალშ წამოკიდებული და თან ხარს შემოატარებდა, შემდეგ დაიჩოქებდა, ლაჭუხიან-ს ამომავალ მზისაკენ ზეაღმართავდა და შეევედრებოდა „ზმა მკვნილ-ს (წლის შემცვლელს)—ახალი წელი კეთილი დაგვიყენე, ოჯახი ბარაქით აგვივსეო. ლო-ცვის შემდეგ წავიდოდა შინისაკენ და სახლის კარს რომ მიადგებოდა, დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკვარ, ბენიერო!“ კარი გამიღე, ბენიერო!

ასე გაიმეორებდა სამჯერ. მესამე დაძახებაზე შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მა აჯღუტე, სი ბენიერო?“ რა მოგაქვს, შე ბენიერო?

მეკვლე ჩამოსთვლიდა ყოველგვარ სიკეთეს, რომელიც სურდა მის ოჯახში უღვეველი ყოფილიყო წლის განმავლობაში:

„სგუბინ მუჟელუ ფუსდა ჯერ, ეჩნარ. წინ წამძლოლი უფლის წყალობა, იმის მკვიმ მარემი ნაშუტეები, ეჩნარ მკვიმ. შემდეგ აღამიანის მშვიდობიანობა,

ჯანი ჯუზეპე, ეჩნარ მუკიმ მუკუელი, მბდღული“...

იმის შემდეგ ხარის ჯოგი; იშის შემდეგ ლორი და თხა-ცხვარი¹...

ამის შემდეგ კარს გაულებდნენ და ეტყოდნენ:

„სგანსგუჯუჯ, სი გოლიათიშ“. შემობრძანდი, შე სანატრელო.

ქორს მუკუში შევიდოდა სახლში და კერიას მარჯვნივ გარს შემოუვლიდა ხარით და ზურგზე წამოკიდებული ლალაშ-ით, თან ოჯახის ბედნიერებისა და წლის სიკეთე-ბარაქისათვის ლოცულობდა. შემდეგ ხარს იქვე ბოძთან დააბამდა და საკმელს დაუყრიდა. ამასობაში წამოიშლებოდნენ ლოგინიდან შინმყოფნი, ქორს მუკუში-ს მიერ მოტანილ ლეჯე-თი ხელ-პირს დაიბანდნენ და მეკვლეს ხელს აახსნევიებდნენ (ლიშაშ-ს გააკეთებინებდნენ). შემდეგ სათითოდ გარეთ გავიდოდნენ, ჟულ-ს პატარ-პატარა ნაკრებს აკლიდნენ, სახლში შეჭკონდათ და შვილ-ზე (სხვენზე) ავლებდნენ შემდეგი სიტყვებით:

„ხოია ზაფე ეგუტადა!“ კარგი წელიწადი შეგეცვლოდეს!

მერბიელ-ი კერიას უტრიალებდა, აცხობდა ახალ-ახალ ლემხირ-ებს. ცეცხლის პირად ფიჩქ-ს დადგამდნენ და ზედ ამ პურებს და სხვა საკმელ-სასმელს დააწყობდნენ. გარედან შემოისმოდა ქამე მუკუში-ს კაკუნი. მაშინვე მას ლალაშ-ს გააგებებდნენ და სახლში შეიპატყებდნენ. ქამე მუკუში ლალაშ-ს ზურგზე წამოიკიდებდა და, როგორც-კი ფეხს შესდგამდა სვირ-ში², მაშინვე თან შემოტანილ ჟულ-ის ნაკერს შვილ-ზე შეაგებდა და კერიას შემოუვლიდა გარშემო მარჯვნივ ოჯახის სიკეთისათვის ლოცვა-ვედრებით. შემდეგ ფიჩქ-ს

¹ მუკუელი ღორს აღნიშნავს, ხოლო მბდღული ცხვარსა და თხასო, განმარტავს მთხრობელი.

² ასე ეწოდება, ბალს ქვემოურის მსგავსად, ლენჯერში სახლის პირველ სართულს, სადაც სვანის ოჯახი ზამთრობით საქონელთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო ზედა სართულში, დარბაზ-ში ამ დროს თივას ინახავდნენ. ლენჯერში ქორ-ს (სახლს) აქვს კიდევ მაჩუბნი-ი—სვირის ქვემოთ სარდაფი მიწური კედლებით და იატაკით. მთხრობელის თქმით, ლენჯერში მაჩუბნი-ი ძველად თოფის წამლის დასამზადებელი სახელოსნო იყო. მისი კედლები და იატაკი მუდამ ნოტიო ყოფილა და ამიტომ ობს იკიდებდა. ამ ობს გულდასმით მოუხეკდნენ, შესაფერის ჭურჭელში დააგროვებდნენ, დატყებინდნენ, შემდეგ მას დიდხანს ადუღებულ წყალს ასხამდნენ და, ბოლოს, კარგად დაწურავდნენ და გასაცივებლად ვარცლზე (ჯარ-ზე) გადაიღებდნენ. გაცივებული მასა „ისრების მსგავსად“ ლავდებოდა. ამ დროისათვის ოჯახს მომარაგებული ჰქონდა ე. წ. ჰადრა (ელი), რომელსაც დასწავდნენ, მის ნახშირს გაცივებულ მასას დააყრიდნენ და დანაყ-ვდნენ. ცალკე ინახებოდა გოგირდი. შემდეგ ყველა ამას ერთმანეთში შეურევდნენ და კვლავ ნაყავდნენ დილიდან საღამომდე მთელი დღის განმავლობაში, ზოგჯერ მეტხანსაც, თოფის წამალი (ქაგ) მზად იყო მხოლოდ მაშინ, თუ ხელის გულზე დაყრილი დანაყილი მასა ხელს არ დასწავდა.

სვანური სარდაფი მრავალ სხვადასხვაგვარ დანიშნულებას ასრულებდა. ამის გამოვლინება სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ახლად გამოხულ გ. ი. ლეკავას და მ. ი. ჯანდიერის წიგნში Архитектура Сванетии (Изд. Всес. Ак. Арх., 1938) სვანური სახლის სარდაფის გეგმა მოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, სარდაფის ფუნქციების შესახებ ავტორები მეტად ზოგად და ბუნდოვან ცნობებს იძლევიან.

შიუჯდებოდა, თბილ-თბილ ლემზირ-ებს გადატეხდა და ოჯახის ყველა წევრს ლიშიაშალ-ს შეუსრულებდა, თან „ზადი მკვდილ-ს“ ახსენებდა. მასპინძელი მას ზუვად გაუმასპინძლდებოდა და გასტუმრებისას წერეჭე-ით და ფულით დაასაჩუქრებდა. ამ დღეს ბავშვები ლალდიწარ-ში (ბაგაში) მარცვლეულს ეძებდნენ—ბზესა და თივას ჩაჰყვებოდაო, და თუ ნახავდნენ, საახალწლო ლალწმ-ში ჩაყრიდნენ მარცვლეულის ბარაქისათვის.

ნასადილევს ციგაობა იმართებოდა. გაიტანდნენ კალოზე ჩარხ-ს (ციგას) და თითოჯერ მაინც გასრიალდებოდნენ თოვლზე ციგაზე უკულმა შემჯდარნი—ზურგის სიმაგრისათვის კარგიაო.

ამავე დროს მეზობლები შიმი ლიფშუტე-ს ასრულებდნენ: ერთმანეთს უცვლიდნენ ქალები ფქვილს და კაცები ვერცხლის ფულს.

ლენჯერის მოსახლეობა ზომხა-ს და მის მეორე დღეს, სამეკვლეო წესჩვეულების შესრულების შემდეგ, ლიშუტალ-ებს აწყობდა თავის მორიგე მიეშუტალ-ის სახლში. ლიშუტალ-ი ერთხელ გაყრილი ოჯახების ხელმეორედ შეყრას ეწოდება, ხოლო ლაშუტალ-ი და მიეშუტალ-ი ხელმეორედ შეყრილ ოჯახებს და პირებსა ჰქვიათ. აღნიშნულ დღეებში ეს ოჯახები ერთად შეიკრიბებოდნენ და დროს ჭამა-სმა-ქეიფში ატარებდნენ. ლაშუტალ-ის მორიგე მასპინძელი (მეხრეს-ი) წინდაწინ გამოხდიდა არაყს და სხვადასხვა სურსათ-სანოვავეს მოიმარაგებდა. ზომხა დღეს ის დაჰკლავდა კარვად გასუქებულ ტახს ან ვაცს (გიცწარ-ს). მეხრეს-თან მიმავალი თვითიული მიეშუტალ-ე თან წაიღებდა ერთ კარტა პურის ფქვილს და მორიგის ოჯახში მისგან პურებს გამოაცხობდა. საერთო სუფრაზე მიღებული იყო ე. წ. სარტწმ-ის შესრულება: წამოდგებოდა ორი კაცი, რომელთა წინ მუწიდი დადგამდა არყით სახსე კათხებს, და ლისარტწმ-ს იტყოდნენ:

„სარტწმ-საყნ, მესყენა შტენდბაჲ ჯარხ,
მეთრა შტიღბა“.

სარტწმ-საყნ-ის დამწესებელს შენ-
ღობა ჰქონდეს, მსმელს კი მშვიდობა.

შემდეგ კათხებს გამოსვლიდნენ და გარეთ გავიდოდნენ. პირველ ორ კაცს მიეშუტალ-ეთა მეორე წყება მიჰყვებოდა, მეორეს მესამე და ასე შემოვილიდა სარტწმ-ი სუფრას; როდესაც მეორე წყვილიედი გავიდოდა გარეთ, პირველად გასულები შინ შებრუნდებოდნენ და ასე შემდეგ.

გადმოცემით, სარტწმ-ის დამწესებელი ყოფილა ლატალელი კაცი, რომელსაც სახელად კახანი ჰქვიათ. ერთხელ თურმე ლატალის მთა ლენწლაზე უზარმაზარი გველი (ჰერწამ) გაჩნდა. ის იმდენად დიდი და ძლიერი ყოფილა, რომ კუდით ხეს რომ მოედებოდა, ძირიანად თხრიდა, ხოლო როდესაც დაეხვეოდა და დაიძინებდა, მისი თავის მისაკვლევადა და დასანახავად კაცი სამ კიბეზე უნდა ასულიყო. დასადგურდა მთაზე ეს გველი და ლატალელებს წაერთვათ საშუალება ამ მთის საძოვრებზე საქონელი ეძოვებინათ. ძალიან გაუჭირდა ხალხს. მაშინ ერთმა ლატალელმა სახელად კახანმა იკისრა თურმე ამ გველის მოკვლა. შეიარაღდა კახანი და წავიდა ლენწლასაკენ, თან ლატალელებს დაუბარა—გამობრუნებისას ლეთნიერში (ადგილის სახელია). დიდი ქვაბით რძე დამახვედრეთო.

მივიდა კახანი ლენწლაში, აიარა სამი კიბე, ჰერწან-ს თავში სამი ისარი ესროლა და მოჰკლა. კახანი ადგილ ჰპარაშთან რომ მისულა, მხოლოდ მაშინ დაუწყია თურმე გველს გაშლა. კახანი ისე იყო ფერშეცვლილი და გასისხლიანებული, რომ მხოლოდ ლეთნიერში რძით გაბანის შემდეგ თუ იცნობდა მას კაციო. გახარებულ ლატალელებს უკითხავთ კახანისთვის—სთქვი, რითი დაგაჯილდოვით გველისაგან განთავისუფლებისთვისაო. კახანს მიუვია—სხვას არას გთხოვთ, როცა ერთად შეიკრიბოთ ხოლმე, ერთი კათხა არყით შესანდობარი შემომიბთავლეთო. ასე დაწესებულა სარწმუნო-ი.

1936 წლის აგვისტოს 26. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის გიგო შუკვანი.

თ) მესტიაში

ზ ო მ ხ ა დილისათვის ყოველ ოჯახში წინასწარ იყო დამზადებული: კერიის პირად წვრილად დაჩეხილი ხმელი შეშა ცეცხლის მოსაკიდებლად, ნაჭაზე წყლით სავსე კარდალა შიგ ჩაგდებული ჯამით (ფაკან-ით) ხელ-პირის დასაბანად, ლალწში-ი სახალწლო შემოსალოცით (ლემზირ-ებით, მუჟელუ-ით, ერთი ჯამი ფქვილით, ყველის წველათი, ღორის თავით, წერეჭუ-ით, ჩაფრასტით ან ვერცხლის სხვა ნივთით და მისთანათი) ქორს მკუშნი-სათვის, არყით სავსე დოქი და ოჯახის ყველა წევრისათვის საუკეთესო სადღეობო ტანისამოსი, რომელიც მათ ლოგინთან იყო დაწყობილი ზომხა დილით ჩასაცმელად.

ზომხა-ს, ჯერ კიდევ ვათენებული არ იყო, როდესაც ქორს მკუშნ-ები ლოგინიდან წამოიშლებოდნენ. ისინი ხმა ამოუღებლივ ტანთ ჩაიცვამდნენ, მომზადებული წყლით ხელ-პირს გადაიბანდნენ, უფროსი ქორს მკუშნი კერიაში ღრმად ჩაფლულ ნაკვერჩხლებს ამოქეჟადა, ზედ გამხმარ ფიჩხს დააყრიდა და ქუდით აუქარებდა, რადგან ამ დღეს ცეცხლის გაჩაღება შეებრვით არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ უფროსი ქორს მკუშნი თოკს ჩააბამდა და გამოიყვანდა მეკვლე ხარს, უმცროსი ქორს მკუშნი კი ზურგზე ლალწშ-ს წამოიკიდებდა და ხელში არყით სავსე დოქს დაიჭერდა. ასე დატვირთული გავიდოდნენ ისინი ხმა ამოუღებლივ გარეთ და სახლის კარს მაგრად გაიხურავდნენ. წინ უფროსი ქორს მკუშნი მიდიოდა ხარის თანხლებით. შუა კალოზე უფროსი მეკვლე ხარს თავის ამხანაგს გადასცემდა და თვით კი ამ ადგილზე თოვლის ზვინს დადგამდა და წინა საღამოს მოტანილ ნაძვისა და თხილის ტოტებს მის შუაგულში დაამაგრებდა. ამგვარი თოვლის ზვინს ზომხა დღეს „ლამშუნ-ს“ უწოდებდნენ. ჩვეულებრივ ყოველდღიურ ხმარებაში ეს სიტყვა („ლამშუნ“) მოლენწილსა და ბზესაგან განიავებულ ხორბლის გროვას აღნიშნავს. ორივე მეკვლე ხარითურთ თოვლის ლამშუნ-ს მარჯენივ სამჯერ გარს შემოუვლიდნენ, შემდეგ დაიჩოქებდნენ და ასე ილოცავდნენ:

„ო-ო, დიდბუ აჯგედა, ზადი ყერი მცჳდი, ხოჩა ზად ენცად, ბედლი ი ბარაქდ ანხნდ; ლამზრია, ზადი მაჯად ანიჯდ ი სი ლანეშდ, მადილ ჯერა“.

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, წლის ძალის შემცვლელი, კარგი წელი შეგვიცვალებ, ბედით და ბარაქით გავგახარებ; ლამზრია, წლის მოსავალი მოგვიტანე და შენ გვიშველე, მადლი გექნება.

გათავებდნენ თუ არა ლოცვას, შინისაკენ გაბრუნდებოდნენ. სახლის კარის წინ უფროსი ქორს მკჳმხი დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მიკარ, ყო-ო-რ მიკარ“.

კარი გამიღე, კარი გამიღე.

მხოლოდ მესამე დაძახებაზე მას შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მად აჯღუტა, სი ბედნიერ?“

რა მოგაქვს, შე ბედნიერო?

ამაზე ქორს მკჳმხი უბასუხებდა:

„თხუმი ამყა ფუსნა ეჯრ, მარემი ნაშტედები, ზადან ნატხერი, კუმში ნაფშირი; ზადიღიშუ ოგუქნა ხოჩა გუყი“.

თავდაპირველად მომაქვს უფლის წყალობა, ადამიანის სიმშვიდე, წლის სიკეთე, საქონლის სიმრავლე; ვაისიმც მოგვსწრებოდეს კარგ გულზე.

ამის შემდეგ მათ კარს გაუღებდნენ და ქორს მკჳმხეები შინ შევიდოდნენ. შესვლისას პირველად მარჯვენა ფეხს შედგამდნენ, კერიას გარს შემოუვლიდნენ მარჯვნივ სამჯერ და ხმაძალდა ილოცავდნენ:

„ო-ო, დიდბუ აჯგედა, ხოშამ ღერბეთი! ზადი ყერი მცჳდი, ხოჩა ზად ენცად, მარემი ნაშდობან, კუმში ნაფშირან ანხნდ, ზადიღიშ ანჰჰ ხოჩა გუყი“.

ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, დიდო ღმერთო! წლის ძალის შემცვლელი, კარგი წელი შეგვიცვალებ, ადამიანის მშვილობიანობით და საქონლის სიმრავლით გავგახარებ, ვაისი მოგვასწარი კარგ გულზე.

კერიის ვარშემოვლას რომ მორჩებოდნენ, წარს იქვე მახლობელ ბოძზე მიაბამდნენ და თივას დაუყრიდნენ. ამასობაში ლოგინიდან წამოიშლებოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრებიც, ყველანი ახალ ტანისამოსში გამოეწყობოდნენ, წინ დღით მომარაგებული წყლით ხელ-პირს დაიბანდნენ და ცეცხლის პირას შეჯგუფდებოდნენ. ამ დროს სრულდებოდა ე. წ. ლაშიაშწლი: უფროსი მეკვლე ლალაშ-იდან ამოიღებდა მუყელტ-ს, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა წერექუ-ი, მას ზემოდან ლემზირ-სა და ყველის წველას დაადებდა, სათითოდ შემოივლიდა ოჯახის წევრებს და ყოველ მათგანს მუყელტ-ს მარჯვნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა; ოჯახის მოხუცს უმტკივნელოდ და დაუფარდნელად ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდა; მოზარდს ეტყოდა—სახელოვანი ვაჟკაცი გამოდიო, ხნიერ მანდილოსანს—კარგი სიბერე მოგეცეს; შვილებისა და შვილიშვილებისაგან მუდამ პატივცემული იყავიო და გასათხოვარ ქ-ლს კი კარგ ბედსა და

ვ. ბარდაველიძე, სვანურ დღეობათა კალენდარი.

იღბალს უსურვებდა. დალოცვილი პირი მუყელტუ-ს აკრებდა, და-ხელის ამხსნელს (მეშიაშვლ-ს) ყველისა და ლემზირ-ის ნაჭერს ჩამოართმევდა და შესჭამდა. ამ დროს მეორე მეკვლე მას არყით სავსე სასმისს აწვდიდა, რომლის გამოცლის შემდეგ სასმისს ძირს დადგამდა, რადგან ზომხა დღეს ცარიელი ქურჭლის ხელში მიწოდება, ხალხის აზრით, არ ვარგოდა. ლიშიაშვლ-ის შესრულების დროს, ან მისი გათავების შემდეგ, საიდუმლო კვერების, ნაჭუხუნ-ის, „სწრაფად გაქრო-ბა“ ხდებოდა—საქალებო ნაჭუხუნ-ს ქალები და საკაცებოს კაცები შესჭამდნენ. შემდეგ მენენ-ი აიტანდა დარბაზ-ში ერთ ლემზირ-ს, იქ საქონლის პარაქისათვის ილოცავდა და შეწირულ კვერს იქვე თივაში შეინახავდა. ამავე დროს მერბიელ-ი პურეულის პარაქისათვის მეორე ლემზირ-ით მაჩუბ-ში ილოცავდა და ლემზირ-ს კიბდენ-ში ჩასდებდა.

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არც კი იყო, როცა სახლს ქაშე მკუშხი მიადგებოდა კარზე და დააკაკუნებდა. მას წულაში ჩაგებული ჰქონდა წერექუ-ი ისე ბლომად, რომ ამ წერექუ-ის ბოლოები წულაზე გარედან იყო გადმოფენილი, —ბარაქიანი ფეხით მოდისო, ამბობდნენ სვანები ასე გამოწყობილი ქაშე მკუშხი-ს შესახებ. კაკუნზე მას შინმყოფნი ლალაშ-ით სახალწლო შემოსალოცს გააგებებდნენ. ქორა მკუშხ-ის მსგავსად, ლალაშ-ით დატვირთული გარეშე მეკვლე შევიდოდა, კერიას გარს შემოუვლიდა ლოცვა-ვედრებით, ლიშიაშვლ-ს შეასრულებდა და, მასპინძლების მიწვევით, სუფრას მიუჯდებოდა. ამ დღეს ქაშე მკუშხი-ს საუკეთესოდ უმასპინძლებდნენ და სახლში საჩუქრებით გაისტუმრებდნენ; თუ გარეშე მეკვლე კაცი იყო, მას საქალამნე ტყავს (ლერფელ-ს), ან ფულს შესთავაზებდნენ, თუ ქალი, მაშინ კრავს გააყოლებდნენ, ან იმასაც ფულით დაასაჩუქრებდნენ.

ზომხა დღეს ყოველი მოსახლე თავ-თავის კალოზე ციგაობას მართავდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი მარხილს ან ციგას პირუტყუ შეაჯდებოდა და ერთხელ მაინც გასრიალდებოდა თოვლზე, —წლის განმავლობაში ზურგი აღარ ამტკიცებდნენ.

ამავე დროს იმართებოდა მეზობლების ერთმანეთთან მიმოსვლა და ლიშიაშვლ-ი. ძალიან ცუდად მიაჩნდათ თუ ახალწელიწადს რომელიმე მოსახლე მეზობლისაგან ხელაუხსნელი დარჩებოდა, ნათქვამი იყო—ხელაუხსნელის მიცვალებული ლიფანაშ-ს გამწყრალი და შეშინებული იქნებაო.

ზომხა საღამოს ვახშმის წინ გულ-ის სახლში შეტანა იცოდნენ. ოჯახიდან ორი მამაკაცი და ბავშვი (ბიჭი) გავიდოდნენ კალოზე და თან სამ ცალ ლემზირ-ს გაიტანდნენ. წინა დღით მოტანილ გულ-ს სიგრძეზე გადაჭრიდნენ ორ ან სამ ნაწილად, შემდეგ ამ ნაწილებს მწყობრად დაალაგებდნენ, ზედ ბალიშს დააფენდნენ, ბალიშზე ბავშვს შესვამდნენ, შემდეგ გულ-ს ბოლოებიდან ასწევდნენ და შინ შეიტანდნენ, კერიას გარს შემოუვლიდნენ მარჯვნივ და თან გაიძახოდნენ:

„ჯიში ბუნუ ბა-ა-ნჯლუ, ჯიში ბუნუ ბა-ა-ნჯლუ“.

რამდენჯერმე გაიმეორებდნენ ამ სიტყვებს და ბოლოს. დასძენდნენ:

„ზადიშუ ოგუტჰენა ხოჩა გუჟი კუმაშს გაისიმც მოგვსწრებოდეს კარგ გულზე ი მნრა, ჩი“.

ჯულ-ის შემტანებს კართან ქორა მახტში შეეგებებოდა და ლემზირებს, რომლებსაც ისინი კალოზე გასვლისას გაიყოლებდნენ და შემდეგ ჯულ-თან ერთად შინ შეტკონდათ, ჩამოართმევდა, კერიასთან მიიტანდა და მის პირად მიწახე დადებდა, ზემოდან თეთრი ცხვრის მატყლს დააფენდა და დანით ჩხვლეტას დაუწყებდა შემდეგი სიტყვებით:

„მარემი ნაშტდები, მარემი ნაშტდები, ზადი ნაშტერი, ზადი ნაშტერი, კუმში ნაფშირი, კუმში ნაფშირი, ჳან, ჳან, ჳან, ფჷრ, ფჷრ, ფჷრ, კიბღტენ, კიბღტენ, კიბღტენ, დაჯღ, დაჯღ, დაჯღ, ჷოლდაქ, ჷოლდაქ, ჷოლდაქ, გიცარ გიცარ, გიცარ, ფიკჷ, ფიკჷ, ფიკჷ, ლტებ, ლტებ, ლტებ, ზადი ნაშტერი, ზადი ნაშტერი, მარემი ნაშტდები, მარემი ნაშტდები, ზადიშუ ოგუტჰენა ხოჩა გუჟი“.

ადამიანის მშვიდობიანობა, ადამიანის მშვიდობიანობა, წლის სიკეთე, წლის სიკეთე, საქონლის სიმრავლე, საქონლის სიმრავლე, ხარი, ხარი, ხარი, ფური, ფური, ფური, კილობანი, კილობანი, კილობანი, თხა, თხა, თხა, ცხვარი, ცხვარი, ცხვარი, ვერძი, ვერძი, ვერძი, ვაცი, ვაცი, ვაცი, სკა, სკა, სკა, წლის სიკეთე, წლის სიკეთე, ადამიანის მშვიდობიანობა, ადამიანის მშვიდობიანობა, გაისიმც მოგვსწრებოდეს კარგ გულზე.

როდესაც მას ამ დროს კერიის გარშემო მოსიარულე ჯულ-ის დამტარებლები მიუახლოვდებოდნენ, ის მათ მიუბრუნდებოდა და დანით ჩხვლეტას დაუწყებდა. ამავე დროს ჯულ-ის დამჭერთ და ჯულ-ზე მჯდომ ბავშვს ჩხვლეტდნენ და ბჭკენდნენ ყოველმხრიდან ოჯახის დანარჩენი წევრები. კერიის გარშემო სამჯერ შემოვლის შემდეგ ბავშვს ჩამოსვამდნენ და ჯულ-ს კი გასახმობად სხვენზე (შგილ-ზე) შეაგდებდნენ. სახლის უფროსიც ათავებდა ლოცვას, ლემზირ-ს წვრილ-წვრილად დაჭრიდა და კა-ზე დაყრიდა. ამას ელოდნენ ოჯახის ბავშვები, რომლებიც მაშინვე მისცივდებოდნენ, დაიტაცებდნენ კერის ნაჭრებს, მატყლს გააცილიდნენ და შესჭამდნენ. ეხლა ქორა მახტში ჯამში ფქვილს ჩაყრიდა, ბლომად წყალს დაასხამდა, კარგად აურეგდა და მიღებულ სითხეს მოასხამდა ლეკუნდირ-ს, შგილ-ს, კიბღტენ-ებს და სხვა ავეჯეულს,—მათ ავი თვალი აღარ მიეკარებაი.

თუ ოჯახი „უწმინდური“ იყო, ე. ი. სახლში თუ ახლად მომშობიარებულნი თვიურში მყოფი ქალი მოიპოვებოდა, ჯულ-ის შინ შეტანის წესჩვეულებას გადასდებდნენ ადგომ-ისათვის (5 იანერისათვის).

როცა ზომხა კარგ მოვარეს დაემთხვეოდა, სვანები იმ დღეს ტყიდან მარხილით შეშას მოიტანდნენ. ტყეში მიმავალს ჭიშკართან მარჯვენა მხრი-

დან ოჯახის წევრი ქალი ან კაცი მუჟელტ-ს შეაგებებდა და ასე დალოცავდა: „ხოჩა ლიმშაელუ ჯარ, უმარცხუ, ბედ-კარგი მუშაობის დრომც გქონებოდეს, უმანიერ ზაჟუ ჯარ!“ რცხო, ბედნიერი წელიმც გქონებოდეს!

ამ მუჟელტ-ს შეინახავდნენ და მეორე-მესამე დღეს მას მხოლოდ მამაკაცები შეექცეოდნენ, რადგან მუჟელტ-ი ქალებს არ ექმეოდა.

1936 წლის ივლისის 7. სოფელი სეტი. მთხრობელი 60 წლის ტარასი ნაკანი.

ი) მ უ ლ ა ზ შ ი

ა. ქ ო ლ ა შ შ ი

ზომხა დილით ძალიან ადრე წამოიშლებოდნენ ოჯახის უფროსი ქალი და კაცი, რომლებიც ახალწლის შინაური მეკვლეები იყვნენ, უბრად ხელბირს დაიბანდნენ და ცეცხლს აანთებდნენ. ამ დღეს ცეცხლის შებერვით ანთება არ შეიძლებოდა. ამიტომ კერიაში ღრმად შენახულ ნაკვერჩხალს გამოიჩქინდნენ, ზემოდან წვრილად დაჭრილ ხმელ შუმას დააყრიდნენ და დააცლიდნენ, სანამ ცეცხლი თვითონ არ აინთებოდა. შემდეგ მეკვლე ქალი ლალაშ-ს ზურგზე წამოიკიდებდა, კაცი მეკვლე ხარს წინ გაივდებდა და კალოზე გავიდოდნენ. აქ ისინი ააგებდნენ თოვლის მურყუამ-ს, რომლის შუაგულში ნაძვის ტოტს დაამაგრებდნენ. რაც უფრო დიდი ზომისა იქნება ზომხა-ს თოვლის კოშკი, მით უფრო მსხვილ თავთავეებს მოიბამს ამ წელს პურეულიო, ფიქრობდნენ ძველად. მეკვლეები თოვლის მურყუამ-ს სამჯერ გარს შემოუფლიდნენ ხარითა და ლალაშ-ით და თან ლოცულობდნენ:

„ო-ო, ზაჟა ყერი მცჷდი მალდინან, ხოჩამ ზატ მახა ლანგენ; ნიშგუე ქორაშ კუმაშ ი მარე ცხამან ი ქამან ანხიზდ; ლანო კუმში ნაფშირი ი მარემიშ ნაშუდები; მგვმარიდ მარე ხარდტინ; ლეგმარი კუმაშ ლანო ნიშგუე ქტინი ლატურად ი ღერთაშ ნაშზურუნდ.“

ო-ო, წლის ძალის შემცვლელი მადლიანო, კარგ წელიწადს ახალს მიგვაყენე; ჩვენი სახლის საქონლის და ადამიანის ზრდით და მატებით გავგახარე; მოგვეცი საქონლის სიმრავლე და ადამიანი მშვიდობიანობა; მომხმარებლად ადამიანი ამყოფე [და] მოსახმარი საქონელი მოგვეცი ჩვენი სულის შესარჩენად და ღვთის შესაწირავად.

ლოცვის შემდეგ გაბრუნდებოდნენ და სახლის კარს რომ მიუახლოვდებოდნენ, დაიძახებდნენ:

„ყო-ო-რ მიკარა!“

კარი გამიღე!“

ამაზე შინიდან, შეეკითხებოდნენ:

„მამ ნაბუნდინური აჯღუტე?“

რა ბედნიერება მოგაქვს?

მეკვლევები უბასუხებდნენ:

„მარნში ნაშდლები, კუმშიშ ნაფშირი, ლაწნირ ლი ჭანარში გუტეში, ლაფურტდ ლი ფურალში გუტეში, ლაჩაჭირ ლი ჩაჭარში გუტეში, ლადგირ ლი დაკლარში გუტეში, ლალოლიაქირ ლი ლოლიაქარში გუტეში, ლახმირ ლი ხამარში გუტეში“.

ადამიანის მშვიდობიანობა, საქონლის სიმრავლე, სახარეა ხარებით სავსე, საფურეა ფურებით სავსე, საცხენეა ცხენებით სავსე, სათხეა თხებით სავსე, საცხვრეა ცხვრებით სავსე, საღორეა ღორებით სავსე.

შევიდოდნენ სახლში, კერიას სამჯერ გარს შემოუვლიდნენ ხარით და ლაღში-ით და თან ასე ლოცულობდნენ:

„ო-ო, ზამა ყერი მცუდი მალდინ, გირგოლ ბაცი ძულუაჲ კალანდშე, ხოჩა ამ ზაჲ მახა ლანგენ, კუმში ნაფშირან, მარნშიშ ნაშდლობან ანხიანდ; მაჩნენ ზამ ლიცაღლ ჩუ ას ხარენს, ეჯ მერმად ნამ ანაჲ; ხოჩა ამ ზაჲ მახა ლანგენ, მადილ ჯერი, მარცხე ი მათინ ანქაბინ ნიშგუტეჲ ქორაშ კუმაშს ი მარა, ფათა-კალუნქა, კირი ნაფურცხუნქა ქა ნუმმა-გუტეშ ანბერე, ცხამან ი ქამან ანხიანდ, ქამში ი ავი ნესგა ხოჩა გარ ანნალკ, ხოლა მექაბი ნაყრ“.

ო-ო, წლის ძალის შემცვლელი, მადლიანო, გირგოლ ბაცი ზღვის კალანდინსაო, კარგ ამ წელიწადს ახალს მიგვაყენე, საქონლის სიმრავლით [და] ადამიანის მშვიდობიანობით გაგვახარე, საუკეთესო წლის შეცვლა თუ ვინმეს ჰქონებოდეს, ის მეორედ ჩვენ მოგვასწარი, კარგ ამ წელიწადს ახალს მიგვაყენე, მადლი გექნება, მარცხი და მავნე გვაშორე ჩვენი სახლის საქონელს და კაცს, ბალნის ბლუჯისა [და] ჩლიქის ნამცეცის გარდა ნურას მოგვაკლებ, ზრდით და მატებით გაგვახარე, გარეთ და შინ კარგი შეგვახვედრე, ცუდი აგვაშორე.

კერიის შემოვლის შემდეგ ხარს ბოქზე მიამადნენ და თივას დაუკრიდნენ. ამასობაში ოჯახის დანარჩენი წევრებიც წამოიშლებოდნენ ლოგინიდან, ხელ-პირს დაიბანდნენ და კერიას გარს შემოუსხდებოდნენ. ერთ-ერთი მეკვლე, რომელიც ხელბარაქიანად ითვლებოდა, ლიშიაშალ-ის წესს შეასრულებდა: დაიჭერდა მუყელტ-ს, რომელსაც ზემოდან ედო: ყველი—წველის ბარაქისათვის, ვერცხლის ფული—ფულის დოვლათისათვის და წერეჭუ-ის კონა—საქონლის გამრავლებისათვის, რიგ-რიგობით ჩამოუვლიდა ოჯახის წევრებს, თვითეულის წინ შეჩერდებოდა, მუყელტ-ს მარჯვნივ დაუტრიალებდა და თან ასე დალოცავდა:

„ო-ო, ზამა ყერი მცუდი, ხოჩამ ზაჲ მახა ლანგენ, მადილ ჯერი, ცხამან“.

ო-ო, წლის ძალის შემცვლელი, კარგ წელიწადს ახალს მიგვაყენე, მადლი გექ-

ათხიად, მადლილ ჯერი, გეზღორე ნაშუ-
დობან ათხიად, ჭყინტგეზალ ხათხე-
ლინ ი მადლილ ჯერი, ზნად ყერი მცუ-
დი, მალდინან, მანგ მიჩა გტრმი ნაბაშ
ხწყრ, ქანმიშ ი აგრ ნესგა მანგ დიდ ი
მუდ ოთგენ, ლითჭრი ხეკუტეს, ლითჭრ
ჰაჯ ლნხო, ჩნ ხოჩანგარ ლნხალკ, ალ
ხატისგა მარცხ ი მატინ ათქაპუტინ, მანგ
უხტედ ი უტკლანტედ ლნხო“.

ნება, ზრდით გაახარე, მადლი გექნება,
შვილების მშვიდობიანობით გაახარე, ვა-
ჟიშიელი შესძინე და მადლი გექნება, წლის
ძალის შემცველო მადლიანო, ყვე-
ლა მისი გულის ნებისა ჰყავ, გარეთ და
შინ ყველა დედად და მამად დაუყენე,
სწავლა უნდოდეს, სწავლის უნარი მი-
ეცი, ყველაფერს კარგს და შეამთხვიე,
ამ წელს მარცხი და მაგნე აშორე, ყვე-
ლაფერი უხვად და დაუნანებლად მიეცი.

დალოცვილი პირი აკოცებდა მუჟელტ-ს. ყველს მოჰკბეჩდა და შესჭამდა
პატარა ნაწილს და ბოლოს ხელს მოაგლებდა ფულსა და წერეკუტ-ს. როდესაც
ლიშიაშლ-ს ოჯახის წევრებთან მოათავებდა, მეკვლე კიდობანთან მივიდოდა,
მასაც მუჟელტ-ს დაუტრიალებდა და ილოცავდა:

„ლამწრია, მადლილ ჯერი, მალდინან, ალ
ხატისგა სალხინისგა ლეკმარიდ გარ
ენწეხანტინ ნიშგუტე ლეკმარი ქონებ,
იშგან უნდომდ ნოსა ენწეხანტინა, ბედ ი
ბარაქ ლნხო ნიშგუტე ლეკმარის“

ლამწრია, მადლი გექნება, მადლიანო, ამ
წელს ლხინში მოსახმარებლად და დაგვა-
ჭირვებინე ჩვენი მოსახმარებელი და ქონე-
ბა, სხვა უნდომზე არ დაგვაჭირვებინო, ბე-
დი და ბარაქა მიეცი ჩვენს მოსახმარებელს.

შემდეგ დარბაზ-ში ავიდოდა და თივასთან ილოცავდა:

„დიდებუ აჯგედა, ღერბეთ მალდინან, ლნ-
ხო ბარაქ ნიშგუტე ნენის, ნანწური ნოსა
ანგუდე, ანხიად კუმში ნანწირან, ხოჩან
მახა ზნის ლანგენ, მადლილ ჯერი“.

დიდება მოგსვლოდეს, ღმერთო მადლი-
ანო, მიეცი ბარაქა ჩვენ (საქონლის)
საკვებს, (საქონლის) საკვების ნაკლებობა
არ მოგვიტანო, გაგვახარე საქონლის სიმ-
რავლით, კარგს ახალს წელიწადს მიგ-
ვაყენე, მადლი გექნება.

სხვადასხვა წვრილი კვერები, ლამწრიან ლემზირ-ი და სასოგადოდ ლაქში-
წრ-ის ნაწილები ისე უნდა შეეკამათ, რომ მათთვის უტახოს თვალი არ შეესწრო.
სახლის უფროსი გაჭრიდა ლამწრიან ლემზირ-ს იმდენ ნაწილად, რამდენიც ოჯახში
სული იყო, და თან გაიძახოდა:

„ზნად ზერზენ, ზნად ჩერჩენ, წირხემ
შდა!“.

წლის (მოსავლის) ზუზუნი, წლის (მო-
სავლის) შრიალი, უროსოდენა თავთავი!

ლამწრიან ლემზირ-ის ნაწილებს ყველას ჩამოურიგებდა. ლაქშიწრ-ით ზია-
რების შემდეგ მოსახლეს ქამე მუკუში მიადგებოდა კარზე და დაიძახებდა კარი
გამიღეთო. მას შინიდან შეეკითხებოდნენ, რა მოგაქვსო და ისიც, შინაური მეკვლის
მსგავსად, ჩამოსთვლიდა მრავალ სიკეთეს და ბარაქას. ამაზე მას მუჟელტ ს გააგე-

ბებდნენ. ქამე მუჭში შევიდოდა სახლში და მუქელუ-თან ერთად შეიყოლებდა ნადვის ტოტს, რომელსაც სხვენზე შეაგდებდა და დაიძახებდა:

„ხოჩაჲ ზაჲ ეჯცადახ!“.

კარგი წელიწადი შეგეცვალოთ!

ამაზე მას უპასუხებდნენ:

„სგან ხოჩაჲ ზაჲ ეჯცადახ, სგან ლანჯედად შუიღებდ“.

თქვენც კარგი წელიწადი შეგეცვალოთ, თქვენც მოგივიდეთ მშვიდობით.

ქამე მუჭში კერიას სამჯერ გარს შემოუვლიდა და ლიშიაშწალ-ის წესს შეასრულებდა. ამის შემდეგ ოჯახი მას გულუხვად გაუმასპინძლებოდა და გასტუმრებისას წერეკჷ-ის კონით დასაჩუქრებდა.

ზომხა დღეს სტუმრად დადიოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ბარაქიანი ხელი ჰქონდათ, — ერთად შეიყრებოდნენ და მეზობლებსა და ნათესავებს ჩამოივლიდნენ.

დაღამებისას, სავახშმო სამზადისის დროს, ოჯახიდან ორი მამაკაცი და ბავშვი გავიდოდნენ კალოზე, სადაც ჯულ-ი იდო, ჯულ-ს ჯირკზე ააყუდებდნენ და ერთი დარტყმით მას ნაჯახით თავს გადაუბობდნენ, შემდეგ ბოლოებზე მოაულებდნენ ხელს და ასწევდნენ, შუაზე ბავშვი (ბიჭი) გადააჯდებოდა და ასე შედიოდნენ სახლში, კერიას სამჯერ გარს უვლიდნენ და თან „ბამბლუს“ გაიძახოდნენ. ამ დროს ჯულ-ზე შემჯდარ ბავშვს ყოველი მხრიდან ისე გამეტებით ბწყენდნენ და ჩხვლტდნენ, რომ ის ტკივილისა და შიშისაგან ტირილს იწყებდა. ბოლოს ბავშვს ვადმოსვამდნენ, ჯულ-ს ცეცხლში შეუკეთებდნენ და გამოზოგვით სწვავდნენ ისე, რომ ის ლიფანალ-ამდე მიჰყოლოდათ. მერბიელ-ს ამ დროისთვის გამომცხვარი ჰქონდა დიდი ზომის კვერი, ე. წ. ჯული ლემზირ-ი, რომელსაც ის ქორა მახუშ-ს ჩააბარებდა. უკანასკნელი დანას მოიბარჯვებდა, ჯულ-ზე წაუსვამდა რამდენჯერმე, თითქო ლესავსო, შემდეგ დანის ტარზე ჯული ლემზირ-ს დადებდა და ილოცავდა. შემდეგ კვერს პატარა ნაწილებად დაჭრიდა და კა-ზე დააწყობდა. ამას ელოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრებიც; მისცივდებოდნენ კა-ს, კვერის ნაჭრებს დაიტაცებდნენ და შესჭამდნენ. თვითეული მათგანი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ნაჭერი ჩაეგდო ხელში, რადგან რაც უფრო ბლომად შესჭამდა ჯული ლემზირ-ს, მით უკეთესია მისთვისაო, ამბობდნენ.

ესლა სახლის უფროსი კერიასთან გაწყობილ სადგისს, ცომსა და თეთრი ცხვრის მატყლს მიუბრუნდებოდა, სადგისით ცომში მატყლს არჭობდა და, რამდენჯერაც ერთ ამოსუნთქვაზე მოასწრებდა, იმეორებდა:

„წან, წან, წან... ფურ, ფურ, ფურ... ხარი, ხარი, ხარი... ფური, ფური, ფური... ხამ, ხამ, ხამ...“

და სხვა; ასახელებდა ყველაფერ იმას, რის მომჩაელებდა და სიუხვე სურდა იმ წელს ოჯახისათვის. ის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტჯერ გაემეორე-

ბინა თვითეულის სახელი: რამდენადაც მეტჯერ იტყოდა ამ სახელებს, იმდენად მეტი ექნებოდა ან ეყოლებოდა ოჯახს იმ წელიწადს დასახელებულიო, — ფიქრობდნენ სვანები. ბოლოს მატყლიან ცომს ჯამში ჩასდებდა, წყალს დაასხამდა. ერთმანეთში გადაურევდა და ამ სითხეს ჭერს შეასხამდა; ნათქვამი იყო, რაც უფრო მეტი ცომი და წყლის შხეფები მოხედება ჭერს, მით უფრო ბარაქიანი და მოსავლიანი წელიწადი ექნება ოჯახსაო.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი კოლაში. მთხრობელი 74 წლის ეშა გუჯეჯიანი

ხ. მურშკელში

ზომხა. პირველი იანვრისათვის სვანს ჰყავდა ორი მეკვლე: ერთი შინაური, ქორა ანუ სვან მკუში, და მეორე გარეშე პირი, ქანე მეკუში. შინაური მეკვლე დილით ძალიან ადრე ადგებოდა, აიღებდა პატარა გოდორს (ლაღშ-ს), ჩააწყობდა შიგ შესაწირავ პურებს, ფუსნა მუჟედუ-ს, მოხარშული ღორის ხორცის ნაჭერს, ბოთლით არაყს, მოუკიდებდა სანთელს, მივიდოდა ბაგასთან და აუშვებდა საუკეთესო ხარს, რომელსაც კისერზე თოქს მოაბამდა და მასთან ერთად კერიას წალმა შემოუვლიდა. შემდეგ ახალწელს მიულოცავდა ჯერ ხარებს, ძროხებსა და სხვა საქონელს, უსურვებდა მათ გამრავლებას, მერე მიუბრუნდებოდა ოჯახის წევრებს, ლოგინ-ლოგინ დაივლიდა და ულოცავდა მათ ბედნიერ ახალწლის მობრუნებას და ყოველმხრივ ბარაქიანობას. ამასობაში კიდევ წამოიშლებოდნენ ლოგინიდან ოჯახის დანარჩენი წევრები და მოემზადებოდნენ ქანე მეკუში-ს შესახვედრად. გარეშე მეკვლე, შევიდოდა თუ არა სახლში, მიულოცავდა ყველას და უსურვებდა მრავალი ახალწლის შეხვედრას ბედნიერად და ოჯახის დოვლათით. შემდეგ ჩამოართმევდა დიასახლისს ფუსნა მუჟედუ-ს, ზედ დადებდა წერეჭუ-ის კონას, რომელიც სიუხვის მრმასწავებელი იყო, რამდენადაც ის მრავალი წვრილი და გრძელი ბალახისაგან შესდგებოდა, კვერის წალმა ტრიალით მივიდოდა ოჯახის თვითეულ წევრთან და ლოცავდა მას. უკანასკნელი ფუსნა მუჟედუ-ს ორივე ხელით შეეხებოდა და აკოცებდა. ამის შემდეგ სადილად დასხდებოდნენ, პირველ კახხა არაყს მეკვლის ხელიდან მიიღებდნენ და ერთმანეთს ულოცავდნენ ახალწლის მოსწრებას. სადილის შემდეგ უფროსი ქალები და კაცები მიდი-მოდიოდნენ მეზობლებთან და ხელს იხსნიდნენ (ლიშიაშწლ-ის წესს ასრულებდნენ).

ზომხა საღამოს ორ-ორი მოსახლე (მეზობელი, ან მოძმე ოჯახები) ერთად იკრიბებოდნენ. მორიგე მასპინძლის მოვალეობას შეადგენდა ვახშმის გამართვა; მას ამისათვის წინასწარ ჰქონდა გამოხდილი არაყი და ზომხა დღეს საკლავს დაჰკლავდა. ერთ წელს ერთი მოსახლე მორიგეობდა და მისი სტუმარი იყო მეორე მოსახლე და მეორე წელს შარშანდელი სტუმარი მასპინძელი ხდებოდა და მასპინძელი კი მისი სტუმარი. სვანის ძველი რწმენით, რაც უფრო მხიარულად შეხედებოდა და ვაატარებდა ის ახალწელს, იმდენად მხიარული წელიწადი ექნებოდა. ამიტომ ყველა ცდილობდა, ამ დღეს რაც შეიძლება მეტად ემხიარულა. კარგად ექამა და ესვა, ერთმანეთს არ წასჩხუებოდნენ, რაც შეიძლება კარგი დაებედათ და ავი კი თავიდან აეცილებინათ.

1935 წელი. სოფელი მურშკელი. აღწერილია დარის-პან გიორგის ძე მარგიანის მიერ.

ია) იფარში

ზომხა. ახალწელიწადს დილით, გათენების ხანს, წამოდგებოდნენ ქორა მკვშ-ები, ხმა ამოუღებლივ ხელ-პირს დაიბანდნენ კერიის ჯაჭვზე ჩამოკიდებული ქვაბის წყლით. უფროსი ქორა მკვში საუკეთესო ხარს გაიყვანდა, უმცროსი ლალაშ-ს¹ წამოიკიდებდა და გადიოდნენ გარედ. სამჯერ გარს. შემოუვლიდნენ კალოზე დადგმულ თოვლის „კოშკს“ და თან ლოცულობდნენ:

გირგოლ ბასლი ძულუა კალანდწშ,
გირგოლ ბასლი ძულუა კალანდწშ,
გირგოლ ბასლი ძულუა კალანდწშ!
ხოჩა ზაჲ ენცად, ზანიჲყერი მცჷნდი,
ხოჩა ზაჲ ენცად! ცხამან ი ქაჷხან
ანხიპდ, ნაშდობან ანხიპდ!¹

გირგოლ ბასლი ზღვის კალანდისაო,
გირგოლ ბასლი ზღვის კალანდისაო,
გირგოლ ბასლი ზღვის კალანდისაო!
კარგი წელი შეგვიცვალე, წლის ძალის
შემცვლელო, კარგი წელი შეგვიცვალე!
ზრდით და მატებით გაგვახარე, მშვიდობიანობით გაგვახარე!

მუსი მურყუამ-ის (თოვლის კოშკის) გარშემოვლა ისე უნდა მომხდარიყო, რომ ვერც ქორა მკვშ-ები და ვერც ხარი უცხოს ვერ დაენახა. ლოცვის შემდეგ ისინი კვლავ სახლისაკენ მიდიოდნენ და, კარს რომ მიაღებოდნენ, დაიძახებდნენ:

„ყო-ო-რ მიქარ, სი ბედნიერ!“

კარი გამიღე, შე ბედნიერო!

შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მაჲ აჯღუა, სი ბედნიერ?“

რა მოგაქვს, შე ბედნიერო?

ამაზე მეკვლეები უპასუხებდნენ:

„ზაჲგ ნაჷხერი, ნაშტდები, ცხამა
ი ქაჷმა“

წლის სიკეთე, მშვიდობიანობა, ზრდა და მატება.

1. ამ ლალაშ-ზე გარედან ჩამოკიდებული იყო ნაკურთხ წყალში მოზედილი პატარა კვერი, კირკაღუ, რომელსაც თევის დროს დაფშვნდნენ, სათეს ზორბლეულს შეურევდნენ და ამ ზორბლეულთან ერთად დათესავდნენ; ლალაშ-ში ჩაწყობილი იყო ჯვარის სახის კვერი, ფუსნა მუჷედუ-ი, ე. წ. კაჷ ლემზირ-ი და ლამარია ლემზირ-ი, წერგქუ-ის კონა, ნაჷვის ტოტი (ფურ), თხილის ტოტი (კუაჷხ), ე. წ. გოგლანდ-ის წითელი ნაყოფი, რომელსაც წამლად ხმარობდნენ საქონლის მუცლის შემობერვის საწინააღმდეგოდ (საქონელს ან ყელზე გაუკეთებდნენ და ან მუცელზე წაუსვამდნენ, როცა მუცელი შემოებერებოდა), თეთრი ქვები (ჩურხა), შემოდგომიდან შენახული საუკეთესო პურის ფქვილი (გუიხ), რომელიც უცხო პირებს არ დაენახებოდა და რომელსაც ინახავდნენ დღეობა ვორ-ლიკაშლ-ისათვის (ცნობები შეკრებილია 1931 წლის ზაფხულში იფარში სოფელ ნაიფარში).

ამის შემდეგ შედიოდნენ სახლში, კერიას სამჯერ გარს შემოუვლიდნენ, ხარსაც შემოატარებდნენ და ბოლოს სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმლის წინ დაგორდებოდნენ მიწაზე შემდეგი სიტყვებით:

„ზა ენგურანა!“

წელიწადი დაგორდა!

ეს აღნიშნავდა, თითქოს წელიწადი იმდენად დამძიმებული იყო სახლში შემოტანილი სიკეთით, რომ სიმძიმეს ვეღარ უძლებდა და დაგორდებოდა.

ქორს მკვშხ-ების წამოდგომის შემდეგ იმართებოდა ლიშიაშწლ-ი: კერიას მახლობლად ფიჩქ-ს დადგამდნენ და ზედ დააწყობდნენ წერეჭუ-ში შეხვეულ ფუსნს მუყელტ-ს და „წყელიან“ (წმინდა) ჩაფრასტს ან სხვა რამ ვერცხლის ნივთს. ფიჩქ-ს მიუახლოვდებოდა ქორს მკვშხი და აიღებდა ხელში ფუსნს მუყელტ-ს და წყელიან-ს. ამ დროს მას შეეკითხებოდნენ—ვისი ხელი გირჩევნიაო. ის დაასახელებდა ოჯახის რომელიმე წევრს, რომელიც დაძახებისთანავე მივიდოდა მასთან, ართმევდა ხელიდან ფუსნს მუყელტ-ს და წყელიან-ს, ეამბორებოდა მათ და ფიჩქ-ზე დადებდა. ქორს მკვშხი ისევ აიღებდა ამ საგნებს და შეკითხვაზე—ვისი ხელი გირჩევნიაო, ახლა დაასახელებდა ოჯახის მეორე წევრს, რომელიც ისევ მოიქცეოდა, როგორც პირველი დასახელებული პირი. ასეთი წესით ის ყველასთან ლიშიაშწლ-ს შეასრულებდა. ლიშიაშწლ-ის გათავების შემდეგ ოჯახი ეშურებოდა ხნჭის-ის მოწყობას; ხევისის დროს ყველაზე უწინ ნაჭშხუნ-ებს შესჭამდნენ—კაცები საკაცებოს და მანდილოსნები საქალბოს,—რადგან მათი „გაქრობა“ საშური საქმე იყო, გარეშე პირს (ქამე მკვშხი-ს) არ უნდა შემოესწრო და ნაჭშხუნები არ უნდა დაენახა.

ქამე მკვშხი მიადგებოდა გარედან სახლს და დააკაკუნებდა. შინმყოფნი მას შეაგებებდნენ ლალშ-ს, რომელსაც ის ზურგზე წამოიკიდებდა, შინ შევიდოდა, კერიას გარს შემოუვლიდა მარჯვნივ ოჯახისათვის ლოცვა-ვედრებით, შემდეგ ლეკენდირ-თან მივიდოდა და საქონელს ახალწელიწადს მიულოცავდა, ავიდოდა დარბაზ-ში და იქაც ილოცავდა, შემდეგ კალოზე გავიდოდა. და ასე ლოცვა-ვედრებით შემოივლიდა მოსახლის კარ-მიდამოს. სახლში რომ შებრუნდებოდა, მას მასპინძელი მოწიწებით მიიყვანდა კერიას მახლობლად ვაშლილ სუფრასთან, ბალიშზე დასვა მდა, ლიშიაშწლ-ს უხამდა (ხელს აუხსნიდა არაყის და ლემზირ-ის შეთავაზებით) და კარვად გაუმასპინძლდებოდა. გარეშე მეკლეს ერთ საქალამნე ტყავს აჩუქებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

მეკლეობა რომ მოთავდებოდა ქალები კალოზე გადიოდნენ, პირუტყულმა ჩარხ-ს (მარხილს) შეასხდებოდნენ და თოვლზე ცურაობდნენ,—ზურგე აღარ გვეტკინებო.

ყოველივე ამის შემდეგ იმართებოდა მეზობლების ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და შიმი-ლიფშუტე (ხელის შენაცვლება): ისინი ერთმანეთს უცვლიდნენ წერეჭუ-ს, ფულს, ან სხვა რაიმე ნივთს, ასაჩუქრებდნენ ერთი-მეორეს და ამავე დროს საჩუქარს აუცილებლად ხელში მიაწოდებდნენ.

იბ) კალაში

ა. ხალდეში

ზომხა. ახალწლის შინაური მეკვლე ხალდეშლებს ორი ჰყავდათ: ერთი იყო სახლის უფროსი მამაკაცი და მეორე ოჯახის რომელიმე წევრი, რომელიც ახალწლის ღამეს სახლში არ გაათევდა, სხვაგან უნდა წასულიყო დასაძინებლად. ზომხა დილით ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, როდესაც წამოდგებოდა ლოგინიდან სახლის უფროსი, საუკეთესო ხარს გაიყვანდა და წყაროზე წავიდოდა. მას თან მიჰქონდა საახალწლო შემოსალოცი კუთილოლი-ით ზურგზე მოკიდებული. წყაროზე კუთილოლი-ს ჩამოიხსნიდა, ხარს წყლის დასაღვეად მიუშვებდა, თვითონ ხელ-პირს დაიბანდა, პირჯვარს გადაისახავდა, შემდეგ მარჯვნივ დატრიალდებოდა და თან წაღებულ წყლის ქურქელს წყლით აავსებდა და სახლში ბრუნდებოდა იმავე გზით, რომლითაც წყაროზე მივიდა. სახლის კარს რომ მიაღებოდა ხარით, წყლის ქურქლით და კუთილოლი-ით დატვირთული მეკვლე დაიძახებდა:

„ყ-ო-ო-ო მიკარ, ბედნიერ!“

კარი გამიღე, ბედნიერო!

შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მამ ნაბედნიერ აჯღუა?“

რა ბედნიერება მოგაქვს?

ამაზე მეკვლე უპასუხებდა:

„კუმშიშ ი მარნიშ ნაფშირი“.

საქონლისა და ადამიანის სიმრავლე.

ეს კითხვა-პასუხი სამჯერ მეორდებოდა. მესამე შეკითხვაზე მეკვლე ნათქვამს გაიმეორებდა და ბოლოს დასძენდა:

„ხოჩა ზმაი ლიცაღწლ, ბედ ი ბარაქ“.

კარგი წლის შეცვლა, ბედი და ბარაქა.

ამ სიტყვებით ის შინ შევიდოდა, კერიას მარჯვნივ გარს შემოუვლიდა კუთილოლი-ითა და ხარით და თან წარმოსთქვამდა:

„ხოჩა ზმაი ლიცაღწლ, გირგოლ კარგი წლის შეცვლა, გირგოლ ბაცი ბაცი ძულუა კალანღწშ“.

ზღვის კალანდისაო.

ხარს სახარეში დააბამდა, კუთილოლი-იდან ლემზირ-ებს ამოაწყობდა და წვრილად დაქრიდა, შემდეგ ოჯახის წევრებს დაუვლიდა, თვითულის წინ დაატრიალებდა წერეკუტ-ს; რომელსაც ზემოდან ფუსუნა ლემზირ-ი ედო, და თან დალოცავდა:

„ზნაი ყერი მკცაღი, ხოჩა ზნა ეს-
ცუად, ალა მი ჰალაღლ ლოხშიაშა,
ამჟი ჰალაღლ ზნა ესცუად“.

წლის ძალის შემცვლელი, კარგი წელი
შეუცვალე, [როგორც] ეს მე ალაღლ
ვუშიაშო¹, ისე ალაღლი წელიწადი შეუც-
ვალე.

დალოცვილი პირი ფუსნა ლემზირ-ს აკოცებდა და დაჭრილ-დამზადებულ
კვერგების ნაჭრებს შეეჭკეოდა. ლიშიაშაღლ-ის შემდეგ მოსახლესთან მივიდოდა სახ-
ლის მეორე მეკვლე, რომელსაც კართან კუდილოლ-ს გააგებებდნენ. ამ კუდილოლ-ით
დასურგული ქორა მკჭმხა შინ შევიდოდა. საქონელს წერეჭუ-ს დაუყრიდა,
კერიას მარჯვნივ გარს შემოუვლიდა და თან ასე ილოცავდა:

ხოჩა ზნა ესცუად ალ ქორა კუმაშ
ი მნრა, ხოჩა ჭიში ნაჯიდუჩო ჰჰს ხა-
რენს, ეჯ მერმამდ შამარტნ კუმშიშ ი
მარწმი ნესგა, გირგოლ ბაცი ძულტა.
კალანღაშ“.

კარგი წელი შეუცვალე ამ სახლის სა-
ქონელს და ადამიანს, კარგი ფეხი თუ
ვინმეს ჰქონებოდეს, ის, საქონელსა და
ადამიანს შორის, მეორედ მე საქონებინე,
გირგოლ ბაცი ზღვის კალანდისაო“.

შემდეგ მეკვლე ლიშიაშაღლ-ს შეასრულებდა და შინმყოფნი ცოტას წაისაუ-
ზმებდნენ.

ახლა სახლს გარედან ქამე მკჭმხი მოადგებოდა და ოჯახიდან მასაც კუდი-
ლოლ-ს გააგებებდნენ. შინაური მეკვლეების მსგავსად, ისიც კერიას გარს შემო-
ვლიდა და ლიშიაშაღლ-ის წესს შეასრულებდა. ქამე მკჭმხი-ს ოჯახი გულუბ-
ვად გაუმასპინძლებოდა და დასაჩუქრებდა რითიმე.

დაღამების ხანს ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი პურს, ქერს, ფეტვსა
და სხვა სათეს ხორბლეულს ჭურჭელში ერთად მოათავსებდა, გაიტანდა
კალოზე ან მახლობელ ყანაში, ნიჩბით თოვლში პატარა ორმოს ჩათხრიდა
და ამ ხორბლეულს „დათესავდა“. თუ ამ დღეს ვერ მოხერხდებოდა ამ წეს-
ჩვეულების შესრულება, მაშინ მას მახლობელი დღეებისათვის გადასდებდნენ.
„დათესვის“ ჩატარების უკანასკნელი ვადა ახალწლიდან 16 დღის მთვარის
დადგომამდე იყო, შემდეგ უკვე მისი შესრულება აღარ ვარგოდა.

აგრეთვე ახალ მთვარეზე ზომხა-ს შემდეგ, პირველად რომ ხარებს სამუშა-
ოდ გაიყვანდნენ, სახლის მახლობლად მარჯვენა მხრიდან ხარებს და მებრეს
მერბიელი ფუსნა მუჟელტ-ს შეაგებებდა და დალოცავდა. ამ მუჟელტ-ს მებრე
მარტო თვითონ შესჰამდა მაშინვე, ან სახლში დაბრუნებისას.

როდესაც მეკვლეობა გათავდებოდა, მორივე მასპინძლის, მეზომხა-ის ოჯახ-
ში მიდიდნენ მომავალი წლის დღეობის მორივე (მეგნე) და ლასკარ-ში შემავალი
მოსახლეებიდან თითო-თითო მამაკაცი. მასპინძლის ოჯახში მეგნე საახალწლოდ

ნასუქ ცხვარს, ლეზომახ-ს, დაჰკლავდა და ლასქარ-ის წარმომადგენლების დახმარებით საკლავს გაატყავებდა, დააჩარეჭებდა და მოხარშავდა. საკლავის შემწვარ გულ-ღვიძლს, ერთ ზექს არაყს და ლემზირ-ებს მზის ამოსვლის ხანს მაცხტურ-ის ეკლესიაზე წაიღებდნენ და მეზომახ-ი მათ მაცხტურ-ის სახელზე შესწირავდა. შეწირული ლემზირ-ების ნაწილს და თითო-თითო ყანწ (ქერახს) არაყს იქვე ჩამოარიგებდნენ. დანარჩენს კი კვლავ მორივე მასპინძლის ოჯახში აბრუნებდნენ და სადილის დროს შეექცეოდნენ. ვახშმისათვის საკლავის ხორცსა და ლესერ-ს ულუფებად (ლაგანფ-ებად) ანაწილებდნენ და სუფრაზე მიჰქონდათ ოთხ სულზე თითო ლაგანფ-ი, სადილ-ვახშმად მეზომახ-თან იკრიბებოდა ლასქარ-ის ყველა წევრი დიდი და პატარა და ერთად ატარებდნენ დროს სმა-ჭამა-ქეიფ-სა და მოლხენაში.

1935 წლის აგვისტოს 15. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასვიანი.

ხ. დ ა ვ ბ ე რ შ ი

ზომხა დილით გათენებამდე სახლის უფროსი კაცი და ქალი, რომლებიც ამ დღეს ქორა მკუმხ-ების მოვალეობას ასრულებდნენ, წამოიშლებოდნენ ლოგინიდან და ხმა-ამოუღებლივ ქალი ერთ ხელში სახალწლო ფქვილს, ნაქმხუნტარი გტიზ-ს, და მეორეში წყლით სავსე ჭურჭელს (კიჟო-ს) დაიჭერდა. კაცი ზურგზე ლალაშ-ს წამოიკიდებდა, ხარს გაიყვანდა და ორივენი კალოზე გავიდოდნენ. აქ ისინი ილოცავდნენ „ვირგოლ ბაცი ძულტა კალანდაშ-ის“ სახელზე და უკან გაბრუნდებოდნენ. სახლის კართან რომ მივიდოდნენ, სამჯერ ხმამალა დაიძახებდნენ: „ყო-ო-რ მიკარ, ბედნიერ!“ — კარი გამიღე, ბედნიერო! სამჯერვე მათ შინიდან შეეკითხებოდნენ — რა მოგაქვთო? მესამე შეკითხვაზე მეკვლეები, ჩამოსთვლიდნენ ყოველგვარ სიკეთეს რაც, ოჯახისათვის ემეტებოდათ და შევიდოდნენ სახლში. ლალაშ-ით და წყლით სავსე კიჟო-თი დატვირთულები ხარის თანხლებით შემოუვლიდნენ კერიას სამჯერ მარჯვნივ, შემდეგ ხარს დააბამდნენ. ლალაშ-ს მიაყუდებდნენ იქვე სადმე და წერეჭ-ში შეხვეულ ფუსნა მუყელტ-ით ლიშიაშალ-ს შეასრულებდნენ. ამის შემდეგ წვრილად დაჭრიდნენ და ფიქს-ზე დაალაგებდნენ ნაქმხუნტარ-ს, რომელიც უწყუნა იყო ყველა იმ პირისათვის, ვინც მუშხუნამ დამეს მის გამოცხობას არ დასწრებოდა. ეს ნაქმხუნტარ-ი სასწრაფოდ უნდა შეეჭამათ ქამე მკუმხი-ს მოსვლამდე. ქამე მკუმხი-ს თავის სახლიდან თივა მოჰქონდა, კართან მას ლალაშ-ს გააგებებდნენ და ხელში მისცემდნენ. ასე დატვირთული გარეშე მეკვლე შევიდოდა სახლში, ქორა მკუმხ-ების მსგავსად, კერიას სამჯერ მარჯვნივ გარს შემოუვლიდა, საქონელს თივას დაუყრიდა და ლიშიაშალ-ის წესს შეასრულებდა; რასაც საერთო საოჯახო ჰურობა მოჰყვებოდა ხოლმე.

ქმე მეჭმხი-ს გასტუმრების შემდეგ სოფელ დაგბერის მოსახლეობა, სულ 11 კომლი, ერთ ლასკარ-ად იკრიბებოდა მორიგე მოსკარ-ის ოჯახში. ლასკარ-ის გასამასპინძლებლად მორიგე დაჰკლავდა ცხვარს და თხას, ან, ცხვართან ერთად, წინასწარ გასუქებულ ღორს და ოთხ სულ სტუმარზე თითო ლაგაფ ხორცს დაამზადებდა. მასთან სტუმრად მიდიოდა დაგბერის ყველა მოსახლე დიდი და პატარა და მათ თან მიჰქონდათ სულზე თითო ცალი ლესკარ-ი. არაყი და დანარჩენი სურსათ-სანოვაგე მორიგე მოსკარ-ისა იყო. გაიშლებოდა სუფრები და შუადღიდან ნაშუადღემვადე ხალხი ჭამა-სმა-ქეიფსა და მოლხენას ეძლეოდა. ნასადილევს მორიგესთან შეკრებილი ოჯახებიდან თითო-თითო კაცი შინ დაბრუნდებოდა საქონლისათვის წყლის დასალევივებლად. საქონლის წყაროზე გარეკვის დროს სვანი თან წერეჭე-ს და ფუსნა მუყელტ-ს გაიყოლებდა და წყაროზე მათ წაღმა შემოავლებდა თვითეთლ საქონელს ცალ-ცალკე. წყაროდან დაბრუნებისას ვზაზე ის თეთრ ქვას, ჩრხა-ს, მოძებნიდა, თან წაიყოლებდა და შინ კერიის პირად მოათავსებდა. ამავე დროს ის აგროვებდა და შინ შეჰქონდა დილით დაყრილი საქონლის ნაკელი, ლანწულშ-ში ჩაყრიდა და შემდეგ კვლავ მოსკარ-ის ოჯახში ბრუნდებოდა.

ზომმა დღეს ციგაობის გამართვა იცოდნენ: დიდი და პატარა პირუკულმა შეაჯღებოდა ციგას ან მარხილს და ერთხელ მაინც გატურდებოდა თოვლზე, — წლის განმავლობაში წელი აღარ ამტკივებდაო.

სადილობამდე, ვიდრე ლასკარ-ად შეიკრიბებოდნენ და იმის შემდეგ, რაც ოჯახიდან ქმე მეჭმხი-ს გაისტუმრებდნენ, იმართებოდა ე. წ. შიმი ლიფშუდე (ხელის ახსნა): მეზობლები ერთმანეთში დადიოდნენ და ერთი მეორეს ვერცხლის ფულს (თეთრს) უცვლიდნენ. ამ წესის შესრულება მორიგე მოსკარ-ის ოჯახშიც გრძელდებოდა.¹

1936 წლის აგვისტოს 26. სოფელი დაგბერი
მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

იგ) უშგულში

ზომმა დილით გათენებამდე წამოდგებოდა იმ ლამეს სახლში დარჩენილი ქორა მეჭმხი², სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვამდა, ხმა ამოუღებლივ მივიდოდა კერიასთან, ნაცარში შენახულ ნაკვერჩხალს გამოჰქეჰავდა და ზედ დააწყობდა წინა დლით მომარაგებულ კვარის ნაჭრებს ისე, რომ ცეცხლი შეუბერავდა-გაჩაღებულყო. ხალხის ძველი რწმენით, ახალწელიწადს არ ვარგოდა არც შებერვა და არც კვეს-აბედის ან ასანთის ხმარება. ამის შემდეგ სახლის

¹ კალიდან აფხაზეთში გადასახლებული სვანების ზომმა სალასკარო წესჩვეულებათა გარეშე აღებული აქ მოცემულ სოფელ დაგბერის ახალწელიწადს ემთხვევა. ამიტომ ჩვენ აქ მას აღარ ვათავსებთ. აფხაზეთის სვანებში ზომმა-ს წესჩვეულებათა აღწერა მოკახდინეთ 1933 წლის ზაფხულში, სოფელ აჯარაში (დალის რაიონი) 40 წლის იულონ ხარძიანის ძის ხარძიანის საგანს.

² ეს იქნებოდა ის ქორა მეჭმხი, რომელმაც შემხუტამ ლამეს კულ-ი დააპო.

მეკვლე (ქორაზ მკუშხი) ცეცხლზე სანთელს მოუქრებდა და იქვე სადმე კედელზე გააკრავდა, შუშხტუმ ღამეს სანოვავით გავსებულ ლალაშ-ს ზურგზე წამოიკიდებდა, ერთ ხელში წყლის ჭურჭელს (ოხარ-ს) დაიჭერდა, მეორეში წმინდა სანთელს და წყაროზე წავიდოდა. აქ აანთებდა სანთელს, დაილოცავდა ბასილ ძულტუშ-ის სახელზე და ოხარ-ს წყლით აავსებდა. ამ დროს წყაროზე სხვა ოჯახების ქორაზ მკუშხ-ებიც იყვნენ, რომლებიც შეხვედრისას ერთი-მეორეს ახალწელიწადს ულოცავდნენ. ამის შემდეგ სახლის მეკვლე შინისაკენ გაბრუნდებოდა და, თავის სახლს რომ მიადგებოდა, დახურული კარის წინ დაიძახებდა—კარი გამიღეთო, ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ—რა მოგაქვსო. მეკვლე ჩამოსთვლიდა ყოველგვარ სიკეთეს, რომელიც მას ოჯახისათვის ემეტებოდა და შემდეგ შინ შევიდოდა, კერძის გარს შემოუვლიდა და ლოგინში მწოლ ოჯახის წევრებს ლიშაშ-ის შეუსრულებდა: თვითველ მათგანთან მიიტანდა კარტა ფქვილს, წერეკტ-ს, ვერცხლის ფულს, ხილეულს და სხვა საახალწლო შემოსალოცს, მარჯვნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა; დალოცვილი პირი კი საახალწლო შემოსალოცის ნაწილებს ხელს მოავლებდა. ამის შემდეგ ოჯახის წევრები ლოგინიდან წამოდგებოდნენ და ქორაზ მკუშხი-ს მიერ მოტანილი წყლით, რომელსაც „ლუჯე“ (რქე) ეწოდებოდა, ხელ-პირს დაიბანდნენ. ამ დროს შემოვიდოდა სახლში მეორე ქორაზ მკუშხი, რომელსაც თან თივა მოჰქონდა. ის ამ თივას მარჯვენა მხრიდან შემოუტარებდა საქონელს და ხელიდან შეაჭმეგდა რაც საქონლის ლიშაშ-ის აღნიშნავდა. შემდეგ ლუჯე-თი ხელ-პირს დაიბანდა და ყველანი ერთად საახალწლო შემოსალოცს შეექცეოდნენ.

ქმე მკუშხი, სახლში შესვლის წინ, მოსახლის ეზოში მოთავსებულ ჭულ-ის ნაჭერს მოავლებდა ხელს და შინ შეიტანდა. ამავე დროს მას კართან ლალაშ-ს გააგებებდნენ. ლალაშ-ით და ჭულ-ის ნაჭერით დატვირთული ქმე მკუშხი კერძის გარს შემოუვლიდა ოჯახის ლოცვა-კურთხევით, შემდეგ ყველას აკოცებდა, ლიშაშ-ის შეასრულებდა და სტუმარი და მასპინძლები გაშლილ სუფრას შემოუხსდებოდნენ. ქმე მკუშხი აწოდებდა ხელში მასპინძლებს ხორცსა და არაყს, ისინიც თავის მხრივ სთავაზობდნენ მას ყველაფერს, რაც კი რამ საუკეთესო მოეპოვებოდათ და მზიარულად ატარებდნენ დროს. წასვლისას ქმე მკუშხი-ს მასპინძელი ცხვარს, თხას ან ღორს აჩუქებდა და ისე გაისტუმრებდა.

ზომხა დღეს დიდი და პატარა, ყველა ციგაობდა: ციგას, ან მარხილს პირუკულმა შეასხდებოდნენ და თოვლზე ისე დასცურავდნენ,—ამ წელს ზურგი აღარ გვეტკინებაო.

ნასადილეც ახალგაზრდა ქალი და ვაჟი თავს იყრიდა შუა სოფელში იმ ადგილას, რომელსაც (სოფელ ყიბიანში) „ნესგუი“ ეწოდება და იქ სიმღერებსა და ცეკვა-თამაშში ატარებდნენ დროს საღამომდე.

ზომხა საღამოს ქორაზ მახტში ფიჩქ-ზე გადაიღებდა უშდბაშ-ს და, საზოგადოდ, ლაქშხიარ-ის ყველაწაწილს, რომლებიც ლალაშ-ში იყო აქამდე მოთავ-

სებული. ამგვარად გაწყობილი ფიქი-ი ხელუხლებლად ინახებოდა დღეობა განცხდამ-ადე (6 იანვრამდე)!

1. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი (ზ. ნიუერაქე) ახალწლის დღეობას სვანეთში შემდეგნაირად აღწერს: „ახალ წელიწადი სვანურად არის „ზომხა“. სიტყვა „ზომხა“ რთულია; იგი შემდგარია „ხა“ წელიწადი და „მახე“ ახალი. საბატონო სვანეთში ახალ წელიწადს „ქანდა“-ს ეძახიან... ორი შიგნით მაკელიელი (ისგაა მუჭუშხი)... დილას ახალწელიწადს სხვების ადგომამდი უნდა ადგენ. კერასთან დატოვებული ბურბუმელა ცეცხლზედ ნაკვარჩხლებზედ უნდა დააყარონ, რომლის შემდეგაც ორივე მდინარე წყალზედ მიდინან. ერთ ამ მაკელიელთაგანს, წყალზედ რომ მიდინან, ჰკიდია წყლის მოსატანი ჭურჭელი, მეორეს პატარა გოდორი, რომელშიაც უწყვიკა ერთი „უშუბაალი“, ე. ი. ყველიანი პური წინა საღამოს გამომცხვარი, რომელსაც მცხოვრები ქალი შუაში დააჭერს ერთად სამ თითს: ცერს, საჩვენებელ და შუა თითს. ამ პურის გადაბრუნება გამოცხობამდი არ ვარგაო და კიდევაც იმიტომ ჰქვიან უშუბაალი; ქართულად გამოვა: გადმოუბრუნებელი პური. ამ პურს გარდა გოდორში აწყვიკა კაცის სულზედ თითო ყველიანი პური. როდესაც მდინარე წყალზედ მივლენ ეს ორი შიგნით მაკელიელმა, პურებს შელოცვენ ღმერთს; წყლის ჭურჭელს—ოხარ—(კასრის მსგავსია წელზედ მოსაკიდებელი, რომელსაც შუაში ამოჭრილი აქვს რგვლად წყლის ჩასასხამად და ამოსასხამად) წყლით აავსებენ და შინ ბრუნდებიან; როცა კარებში შემოდინან სახლში, ერთი ამბობს „როგორც ბასილმა ზღუაში კალანდა დააბრუნა, წელზედ ნაჯახი გაირტო, ხალხში შემოვიდა და ყველაფერი საქონელი გააბრავლა, იმის მსგავსად, ახალი წლის წინამძღვარო დღერთო, კარგი ფეხი შემომატანიე ჩემს ოჯახში“. სახლში რომ შემოვლენ ცეცხლი, სადაც წყალზედ მისვლამდი ბურბუმელა დააყარონ, ანთებული ხვდებთ, ოჯახში ისევ წვანან სხვები. რაკი გარე მაკელიელი შეიტყობს, რომ შიგნით მაკელიელები წყლიდან დაბრუნებულან, მოვა კარზედ და დაიძახებს სვანურად: „კარი გამიღე, შენ ბედნიერო“. შიგნით მაკელიელი მიუგებს: „რა ბედნიერობა მოგაქვს?“ გარეთ მაკელიელი—„საქონლის და კაცის სიცოცხლე და სიკეთე, კარი გააღე, შენ ზედნიერო“. ამას გაიმეორებენ სამჯერ და მესამედ ჯერე მაკელიელი სახლში შემოვა. ამ დროს ოჯახიც ადგება. ყველა ულოცავენ ერთმანეთს ახალ წელიწადს. ოჯახი პირს დაიბანს ახალ მოტანლის წყლით, რომელსაც რძეს ეძახიან. დაჯდებიან საუხმედ. დახვეცხამდი შიგნით მაკელიელი ყველას თითოეულად მოაკიდებინებს ხელს ჯამზედ, რომელშიაც ძვეს ახალ ამოყვანილი ყველი, ნიშნად გულის სისპეტაკისა და შემდეგ ჰამას მოჰყვებიან წელს. ჰამის დროს ერთი მეორეს მოიკითხავენ რამე საქმელით ანუ სასმელით და ულოცვენ ერთი-მეორეს დღესასწაულს: ნასაუხმევს ხალხი გარეთ მოიყრის თავს. გარეთ გამოსვლისთანავე ეკლესიას შეხედვენ, შემდეგ უბრუნდებიან იმ ვაგრის კაცის ნახვა—აუჟ კი შეხვდათ, რომელიც გათქმულია სოფელში თავისი კარგის ყოფაქცევით, მშვიდობის მოყვარეობით და სიწმინდით. გარეთ ნახვაში ყველა ერთმანეთს ღოცავენ. დაიწყებენ სიმღერას, ცეკვას და ამწარად გაატარებენ დროს საღამომდი. ამ დღეს დაუპატივებლად სხვის მოსვლა, რაღი არ არის. მეორე დღეს თვითეული ოჯახი ჰპატრონობს ერთს ვისმე, განგებ ამ დღისთვიან ამორჩეულ კაცს. ამის მოსვლის შემდეგ, ყველას ნება აქვს მივიდეს ოჯახებში, მაგრამ უფრო ხშირად ნათესავეები მოდიან, რომელთაც საჩუქარი უნდა მიეცეთ. მაგალითად, მოდიან ქალიშვილები, მათი შვილები და ქმრები, აგრეთვე ადგილის მიმყიდველები ოჯახისა, თითოეულის მათგანის საჩუქარი არის მანეთიდან ათ ან ოც მანეთამდე; რასაკვირვლია, საქონლით და ავეჯეულობით. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ახალწლის წინა ღამეს ერთი ოჯახთაგანი კარზედ სტრის დაახლოვებით არშინის სიგრძე ბრყის ხეს, რომელსაც რამდენიმე დღეაობს. ამ ნაპობებს კარს იტი-აქეთ მხარეს მიაყუდებენ და ეძახიან „წიოე“. ყოველი გარეშე პირი ახალწლის მეორე დღეს მომსვლელი ოჯახში ვალდებულია აილოს ეს ერთი ნათე და მოიტანოს სახლში. პირველად ნათეს მიაყუდებენ კერას და შემდეგ ცხვენ ქვეშ გაარჯობენ. ამწარად თავდება ახალი წელიწადი სვანეთში“. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სახალხო დღესასწაულები სვანეთში, გაზ. „მრომა“ 1883 წ. №20, 22.

ზამთრის თითქმის ყველა დღეობაში, და მასადაღამე ზომბა დღესაც, მან-დილოსნები თავ-თავის ოჯახებში ქორაშ ლიმზურ-ს მართავდნენ.¹ სახლის უფროსი ქალი (ხოშა ზურალ-ი) გამოაცხობდა ყველიან კვერებს, ქორაშ ლემზურ-ებს, რიცხვით იმდენს, რამდენიც ოჯახში მოწიფული (ე. ი. თვიურის მქონე) ქალი იყო და მეზირ-ის სახელზე ერთ პატარა კვერს, რომელსაც ქორაშ ლეგემ-ი ეწოდებოდა.² მიიტანდა ამ ლემზურ-ებს იქვე კა-კერ-ის ფეხთან, მის წინ დაიჩოქებდა. ქორაშ ლემზირ-ებს მიწაზე ან ფიჩქ-ზე დააწყობდა, ქორაშ ლეგემ-ს და სანთელს ხელში დაიჭერდა, წელში მოიხრებოდა, სანთელს და მეზირ-ის კვერს კა-კერ-ას ფეხის ირგვლივ შემოატარებდა სამჯერ და ასე ილოცავდა:

„დიდებუ აჯკედა ალ ქორაშ ლმზურს,
ნ ბედნიერ ამსტლდს ხამურჯუტენს,
ეჯჟი მანმარჯუტ ისგუ ლიმზურ; კუმამ
ჩტათფიშირ, კუმამ ი მარე მანგ
ათუნყურ.“

დადება მოგვსვლდეს ამ სახლის სა-
ლოცავს, როგორც ბედნიერ ადამიანს გა-
მარჯვებოდეს, ისე მე გამიმარე შენი
ლოცვა; საქონელი გაამრავლე, საქო-
ნელი და ადამიანი ყველა დამშვიდე.

შემდეგ ფეხზე წამოდგებოდა; ანთებულ სანთელს და ქორაშ ლეგემ-ს წაი-
ლებდა და მარან-ის ხერელში შეინახავდა, ან პირდაპირ მაჩუბ-ის სანაფ--ში (თა-
როში) და ან საფუარში ჩასდებდა და ქვით ააფარებდა ისე, რომ შეწირული კვე-
რი და სანთელი არავის დაენახა. შემდეგ უკან გამობრუნდებოდა, კვლავ კერი-
ასთან დაიჩოქებდა, წელში მოიხრებოდა, თავს მიწის პირად დაამხოვდა, კერი-
ის მარჯვენა ფეხთან ქორაშ ლემზურ-ებს სამჯერ წალმა დაატრიალებდა და თან
მიწაში შემდეგ ლოცვას ჩასძახებდა:

„კერი გამჩენ, გიმი გამჩენ,
ათუნყური მიშგტი ქორ.
ბარაქ ლახო ლაშგ ი ლაყელს,
მიშგტა ჯალაბს ლამლოტა;
ანმარჯუტ ისგუ ლიმზურ, მანი.“

კერიის გამჩენო, მიწის გამჩენო,
დამშვიდე ჩემი სახლი,
ბარაქა მიეცი წველას და ჩაკვეთილს
(რძეს), ჩემს ჯალაბს აყვავება;
მომიმარჯვე შენი ლოცვა, რაც

¹ ქორაშ ლიმზურ-ების გამართვა იცოდნენ აგრეთვე სამუშაო დღეებშიც მაშინ, როცა შეატყობდნენ, რომ ოჯახში საქმე კარგად ვერ მიდიოდა და მას დოვლათი აკლდებოდა, საქონე-
ლი ეხოცებოდა, ან ოჯახი არეული იყო, ოჯახის წევრები ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, ხში-
რად შფოთი და უსიამოვნება უფარდებოდათ და სხვა. მარხვაში იშვიათად გამართავდნენ ქორაშ
ლიმზურ-ს და, თუ გამართავდნენ, მაშინ შესაწირავად სამარხვო კვერებს აცხობდნენ. ქორაშ ლიმ-
ზურ-ები იცოდნენ აგრეთვე ორშაბათ დღეებში ახალ მთვარეზე და ყველა ორშაბათს გაზაფ-
ხულის ლიგურ-იდან შემოდგომის ლიგურ-ამდე; ამ დროს განმავლობაში ყველა ორშაბათ
დღეს ამოღებული ყველი მეზირ-ისთვის იყო განკუთვნილი და მის შესაწირავ კვერებს გულად
ხმარდებოდა. იყო ბევრი ისეთი ოჯახიც, რომლებიც ქორაშ ლიმზურ-ებს მართავდნენ მკის დაწ
ყუბიდან ახალი მოსავლის ხარჯვის დაწყებამდე.

² ზოგი ოჯახი ამ დროს გამოაცხობდა მხოლოდ სამ კვერს, რომელთა შეწირვის შემდეგ
ორ ცალს მანდილოსნები დაინაწილებდნენ და შესჭამდნენ და მესამეს კი მეზირ-ს მართმევენ.

ბედნიერ ამსტერდამს ისგულ
ლიმზერ ჩუ ხამურჯუტუნს,
მერამდ მი შამარჯუტ.

ბედნიერ აღმიახს შენი
ლოცვა მომარჯუებოდეს,
მეორედ მე მომარჯუე.

ქორაშ ლიმზერ-ის განმავლობაში ოჯახის დანარჩენი მანდილოსნები კერიის გარ-
შემო ფეხზე იდგნენ და თავჩალუნული ჩუმად ლოცულობდნენ. ლიმზერ-ის
გათავების შემდეგ ხოშა ზურალ-ი ფეხზე წამოდგებოდა და ქორა ლიმზერ-ებს
იქ მყოფ მანდილოსნებს ჩამოურიგებდა სათითაოდ. ყველანი ცეცხლის პირად
ჩამოსხდებოდნენ და შენაწირს შეექცეოდნენ.

სვანის რწმენით, ყოველ ოჯახს თავისი მეზირ-ი ჰყავდა. მეზირ-ები სხვა-
დასხვა სახისანი იყვნენ: ვერცხლის ან ოქროსფრად მოელვარე თავი (შდღუტუ);
ბაყაყი (აფხუ), გველი (ჭიჯ), ხელიკი (აშდქტ), პატარა ხბო (ლუნ), კვიცი
(საბელ), მამალი (ყუიჩ), ოქროს დედალი (დადუ) და სხვა. ამათგან თვითეულ
ოჯახს ერთი რომელიმე სახე მიაჩნდა თავის მეზირ-ად. მეზირ-ი ოჯახს მფარ-
ველობდა, მას ყოველგვარ სიკეთეს და ბარაქას ანიჭებდა, მაგრამ ეს ისეთ
შემთხვევაში ხდებოდა, როცა ოჯახი მეზირ-ს უწევდა საჭირო სამსახურს და
მოვლა-მზრუნველობას არ აკლებდა. წინააღმდეგ შემთხვევებში ოჯახს დიდი
უბედურება ეწვეოდა ხოლმე. მეზირ-ს შეეძლო მოსახლის საქონლისა და
ადამიანის ამოწყვეტა და აგრეთვე ოჯახის სრული განადგურება. ჩვეულებრივ
მეზირ-ს ლემზირ-ებსა სწირავდნენ. თუ ის ოჯახით კმაყოფილი იყო ლემზირ-ს
შესჯამდა, რაშიც ხოშა ზურალ-ი ლემზირ-ის გადახდიდან რამდენიმე დღის შემ-
დეგ დარწმუნდებოდა ხოლმე, როცა ის სანაშ-ს გასინჯავდა და უკანასკნელი
ცარიელი დახვდებოდა. თუ მეზირ-ი შეწირულ კვერს არ შესჯამდა, ეს მეტად
ცუდი ნიშანი იყო და ამიტომ ოჯახი მას მოუხშირებდა ლიმზერ-ის გაკეთებას.
უკიდურეს შემთხვევაში (როცა მეზირ-ი რამდენჯერმე არ მიიღებდა შენაწირს) მას
ცხვარს დაუკლავდნენ და ხოშა ზურალ-ს შეაწირვინებდნენ.

იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მეზირ-ი ჰყავდა ოჯახს, შესაწირი კვერიც
სხვადასხვა სიდიდისა ცხვებოდა. მაგ., ხბოს, კვიცსა და მისთანათ დიდ კვერებს
გამოუცხოვდნენ, ხოლო თავგს, ბაყაყს, ხელიკს და მისთანათ პატარა ზომისას.

მეზირ-ის დანახვა არავის არ შეეძლო, არც ქალს, არც კაცს. თუ მეზირ-ს
ქალი დაინახავდა, მაშინ ის მალე მოკვდებოდა. ქალებიდან მეზირ-ი მხო-
ლოდ ხოშა ზურალ-ს თუ ეჩვენებოდა, თორემ სხვას არავის და ასეთ შემთხვე-
ვაში ხოშა ზურალ-მა კარგად იცოდა, რომ ის მალე მოკვდებოდა, რადგან მე-
ზირ-ის ჩვენება ამას მოასწავებდა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა თავისი
ავაკციანობის გამო კაცებსაც მოუხერხებიათ მეზირ-ის ნახვა; ისინი დადარაჯე-
ბიან ჩუმად მეზირ-ს ქორაშ ლიმზერ-ის შესრულების დროს, ან როცა მეზირ-ი
შეწირულის საჭმელად მისულა. როცა კაცი მეზირ-ს დაინახავდა, მაშინ თვით
მეზირ-ი კვდებოდა, ხოლო ამაზე დიდი უბედურება ოჯახს არა დაემართებოდა რა,
რადგან მეზირ-ის სიკვდილი ოჯახის სრულ განადგურებას ნიშნავდა; ასეთი ოჯახი
ერთ წელიწადში მოისპობოდა—ჯერ საქონელი ამოუწყდებოდა, დაღარიბდუ-

ზოდა, ავადმყოფობა შეეჩვეოდა ოჯახს და ყველა მის წევრს ამოხოცავდა. ალარავის აღარ გადაარჩინდა.

მეზირ-ის სამსახური, მისთვის შესაწირავების მიძღვნა მხოლოდდამხოლოდ ხოშა ზურალ-ის მოვალეობას შეადგენდა. ოჯახის დანარჩენ მანდილოსნებსცა შეეძლოთ მიემართათ მისთვის ლოცვა-ვედრებით, ქორაშ ლიმზურ-ში მონაწილეობა მიეღოთ. მაგრამ ამ ლიმზურ-ის უშუალო შემსრულებელი მხოლოდ ხოშა ზურალ-ი იყო. მამაკაცებს, ამავე ოჯახის წევრები იქნებოდნენ ისინი, თუ უცხო პირები. სასტიკად ჰქონდათ აღკვეთილი მეზირ-ის სამსახური. ეს აკრძალავდა ასაკობრივად მოუწიფარ ქალებზედაც ვრცელდებოდა. ქორაშ ლიმზურ-ების დროს მამაკაცები და ახალგაზრდობა რაც შეიძლება შორს მიდიოდნენ სახლიდან და თუ ოჯახს ძალი ჰყავდა, ისიც თან მიჰყავდათ, რომ მეზირ-ისათვის ლოცვა-შეწირვის დროს სახლში არ შესულიყო არც მათი ხმა და არც ძალღების ყეფა. წასვლის წინ სამუშაო და საომარ იარაღებსაც გაიტანდნენ გარეთ, რადგან ამ დროს არც ისინი უნდა დარჩენილიყო სახლში¹.

1936 წლის აგვისტოს 20. სოფელი ყიბიანი.
მთხრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი.

¹ ქორაშ ლიმზურ-ი აღწერილია 45 წლის მარიამ ნიჟერაძისგან მიღებული ცნობების მიხედვით 1931 წლის ზაფხულში უშგულის თემის სოფელ ჩაყაშში.

იმევე 1931 წლის ზაფხულში მარიამის ძმა კოსტა ნიჟერაძე დაწვრილებით მიამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ხოლმე მას სანაშ-ში მეზირ-ის კაკუნი, როცა ის შეწირულ ლემზირ-ებს შეექცევა (მის ოჯახს მამალი ჰყავდა მეზირ-ად). 1936 წლის ზაფხულში კოსტა ნიჟერაძე უკვე სამსართულიან ქალაქურ სახლის აგებას ამოავრებს, და გატაცებით მიამბობს — სულ მალე ამ სახლში. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოაგარაკეები ჩასახლდებიან, რადგან უშგული კარგი სააგარაკო ადგილიაო. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა ბედი ეწვევა მის მეზირ-ს ახალ ბინაში, ის სიცილით მიბასუხებს—არ ვიცი, რა მოუვა, იმას ხომ სვანური სახლი უყვარს, მე კი ძველ ბინას ვანგრევე, ალბათ, სულ მომშორდებაო.

აქვე მოგვყავს შესადარებელი მასალა,—თავისუფალი სვანის მეზირ-თან დაკავშირებულ რიტუალის აღწერილობა: „არის კიდევ ერთნაირი მსხვერპლი ოჯახებში, რომელსაც ჰვანურად „ლიდბაში“, ლილაპი (სადიდებელი) ჰქვია და რომელიც მდგომარეობს შემდეგში. როდესაც ახალი მოსავალი შემოვა, სანამ ოჯახი მის ჰამას დაიწყებს, გამოაცხობს იმდენ ყველჩართულ პურს, რამდენი სული ოჯახშია. მათ გარდა გამოაცხობს კიდევ სამ პატარა პურს. ამ პურებს უნდა გაუტიონ ახალი მოსავლიდან ერთი ჯამი ფუკილი. ზემოხსენებული სამი პატარა პურის გამოცხობას მამაკაცებმა არ უნდა უყურონ,—არ ვარგაო. ამ პურებს ოჯახის უფროსი ქალი პირქვე დამზობილი შეულოცავს „ქორა მეზირს“ (ეტიმოლოგიური მნიშვნელობა „მეზირისა“ ვერ ავხსენი, მაგრამ ის წარმოდგენა როგორც სვანებს აქვსთ ამ „მეზირზე“ მოაგონებს, კაცს რომაელების „lares penates“ და ნახევრად რუსების „пoчoтoн“). „ქორა მეზირ“ სვანების წარმოდგენაში რაღაც ისეთი ძალაა, შინაური ღმერთი, რომელიც განუშორებელივ ოჯახში უნდა იყოს და რომლის ოჯახიდან გასვლა მის დამხობას, დაეცებას ნიშნავს; ამისათვის მას ძლიერ მოწიწებით ექცევიან ხოლმე. რას ეხვეწება პირქვე დამზობილი ქალი ამ „მეზირს“? ეს ჩემთვისაც საიდუმლოდ დარჩა, თუმცა საკუთარის დედი ჩემისთვის ბევრჯერ მითხვია, გაემეღავნა ეს ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის ამ სიტყვებით მოუშორებია: „ამისი კაცებისათვის გამეღავენება „მეზირის“ საწყენია და ოჯახს ავნებსო“. როდესაც დამზობილი ქალი „მეზირს“ შელოცავს. გაათავებდა, ერთს იმ სამ პურთაგანს განვებ დანიშნულ კედლის

C. ძველი სვანეთში

იღ) ლაშხეთში

ა. სახაშში

ზომხა დილით გათენებამდე წამოდგებოდა ქორა მკჭხი, წინასწარ გამზადებულ გოდორს ზურგზე მოიკიდებდა, საუკეთესო ხარს გაიყვანდა და წაეიდოდა საბძელში მოსალოცავად, შემდეგ ისევ სახლისაკენ გაბრუნდებოდა და მის კართან ხმამაღლა დაიძახებდა:

„ყო-ო-რ მკარ, ბედნიერ!“ კარი გააღე, ბედნიერო!

ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მაე ეჯლუბა, ბედნიერო?“ რა მოგაქვს, ბედნიერო?

მეკვლე ჩამოსთვლიდა ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მას სახლისათვის ემეტებოდა:

„მი ემლუბა თხუმი ფუსნაბუხსინაჲ ჟერ, ცხემაჲ ქემაჲ, ბედ ი ბარაქ, მწრემი ნაშტლობი, კუმში ნაფშირი: ლაქნორ კანარშტ გტარ გოში, ლაჩჷერ ჩა-ქარშტ გტარ გოში, ლაფურალ ფურალშტ, ლალუნტარ ლუნტარშტ, ლახ-მირ ხამარშტ, ლალტლინქ ლოლია-

მე მომაქვს თავდაპირველად ფუსნა-ბუხსინა-ს წყალობა, ზრდა, მატება, ბედი და ბარაქა, ადამიანის მშვიდობიანობა, საქონლის სიმრავლე; სახარე ხარებით გვაქვს საესე, საცხენე ცხენებით გვაქვს საესე, საფურე ფურებით, სახბორე ხბოებით, სალორე ლო-

ხვრელში შედებდენ, რომელსაც—ხალხის ფიქრით—„მეზირი“ შესჭამდა, თუმცა, ამ საიდუმლო პურით „მეზირის“ მაგიერ თავგები იმტკბარუნებენ პირს. ორ დანარჩენ პურს ქალები გაინაწილებენ და შესჭამენ უკაცებოდ; როცა ამ საიდუმლოს გაათავებენ, ოჯახის მოხუცი დედა-კაცთაგანი ყველიან პურებს, რომელნიც იმ სამ პურთან გამოაცხვეს, ჩააწყობს გოდორში, აიკიდებს, წაიღებს რომელიმე სოფლის ეკლესიაზე მისალოცავად. ეკლესიის გაღვანს გარედ, ქალი გოდორიდან აიღებს ჯერ ერთ ყველიან პურს და შეევედრება მამა ღმერთს (ფუსნა ბუხსინა). მერმე აიღებს სამ პურს და ქრისტეს შეეხვეწება, შემდეგ დედა ზეთისას, იმ ეკლესიას, სადაც მივიდა და სხვა მისთვის ცნობილ წმინდანებს. გათავებისას დაისვენებს იქვე და მერე სახლში დაბრუნდება; მოტანილი შელოცვილი პურები ვახშმად უნდა მოიროგონ, როგორც მამა-კაცებმა, ისე ქალებმაც. ამგვარი პურით ხვეწნა „ქორა მეზირისა“ და ღვთისადმი სვანებმა სხვათა-შორის იციან: აღდგომა დღეს, ივლისის 15, პეტრე-პავლობას და მარიობას, აგვისტოს 15-ს ყოველს წლობით“. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, „დროება“, 1884 წ., № 244 ქ. ქუთაისი.

ქარშტ, ლაქთალარ ქათლარშტ, ლა-
ბტორ ბატარშტ, კიბდონარ გოში
მაჯედშტ, მარან გოში კეცარშტ,
კეცარ ლუთინელშტ, ზანდუკ თეთრ-
შტ, იშვენ მაგ ხოჩერობა, ყო-ო-რ
მეკარ, ბედნიერ!“

რებით, საცხვრე ცხვრებით, საქათმე
ქათმებით, საბატე ბატებით, კიდობნები
საესეა ახალი მოსავლით, მარანი საე-
სეა ქვევრებით, ქვევრები ღვინით, ზან-
დუკი ვერცხლით, სხვა ყველაფერი
სიკეთე, კარი გააღე, ბედნიერო!

ეს კითხვა-პასუხი სამჯერ მეორდებოდა. შემდეგ მეკვლეს კარს გაუღებდნენ,
ისიც შინ შევიდოდა, კერიას მარჯვნივ გარს შემოუვლიდა და თან ლოცუ-
ლობდა:

„ხუა ზომხაუ აჯგენახ ალ ქორისა
მერდა მარას ჩის, ბასილ ძულუა
კალანდწოიაშ, ათხიდ გუშტუე ოჯახ
ზაა მაჯედ.“

მრავალი ახალწელიწადიმც მოგსწრებო-
დეთ ამ სახლში მცხოვრებ ადამიანს
ყველას, ბასილ ზღვის კალანდისაო, გა-
ახარე ჩვენი, ოჯახი წლის მოსავლით.

ამ დროს სახლში ზოგი იწვა, ზოგი კი ამდგარი იყო. მექში ოჯახის თვითე-
ულ წევრს ლიშაწმ-ის შეუსრულებდა: მივიდოდა მასთან და კუთიდოლ-ს გაუ-
წოდებდა, ხოლო ეს პირი ყველაფერს, რაც კუთიდოლ-ში ეწყო, სათითაოდ ხელს
მოაველებდა. მექში ალალი გულის კაცი უნდა ყოფილიყო, მის მეკვლეობის
წელიწადში ოჯახს ცუდი არაფერი არ უნდა შეხვედროდა, თორემ ეს მეკვლეს
დამბრალდებოდა—ცუდი ფეხი დაგვიტოვაო. ლიშაწმ-ის რომ გაათავებდნენ, სა-
დღეობო ტანისამოსში იმოსებოდნენ; ყველა ცდილობდა რაც რამ საუკეთესო
გააჩნდა ის ჩაეცვა, თუ ვერცხლეული ჰქონდათ, მაგ., ჩაფრასტები, მას ამ დღეს
გამოაჩენდნენ და გაიკეთებდნენ. სვანები ფიქრობდნენ, რომ ამით კარგ სამოსს
იბედებდნენ და მთელ წელიწადს მეორე ზომხა-ს მოსვლამდე სულ კარგ გუნე-
ბაზე და კარგად ჩაცმულნი იქნებოდნენ. აჰ დროს მეკვლე გარეთ გავიდოდა,
თან გაიტანდა თხილის ტოტების კონებს (გუზჭურ-ს), რომელსაც კალოზე ჩარ-
გავდა, ირგვლივ თოვლს მიაყრიდა და ხმა-მალლა წარმოსთქვამდა:

„ამეი ლეშონშა ი ლეფომფა ზაასუ
ლოხგენენახ ცხემატშ, ქემატშ, ბე-
დტშ ი ბარაქტშ!“

ასე გავსებულს და შეფომფილს წელი-
წადსამც შეხვდომოდეთ ზრდით, მატე-
ბით, ბედით და ბარაქით!

ამის შემდეგ ის სახლში შებრუნდებოდა და შინმყოფებთან ლიშაწმ-ის
წესს შეასრულებდა (ხელს აუხსნიდა) — თვითეულთან მივიდოდა და ასე და-
ლოცავდა:

„ამეი ლეშონშა ი ლეფომფა ზაასუ
ლახგენენახ ცხემატშ, ქემატშ, ბე-
დტშ ი ბარაქტშ!“

ასე გავსებულს და შეფომფილს წელიწა-
დსამც შეხვდომოდეთ ზრდით, მატებით,
ბედით და ბარაქით!

ამასთან ერთად წერქტა-ს პატარა ტოტს გაუწოდებდა და თან ლოცვას განაგრძობდა:

„ყოფნა ალეს ტედი ხაბურდენა, ეჩ-
შელდ ზაფთ ხარი უმზიგარტად!“

რამდენი ამას ნაპერწკალი მოეკიდოს..
იმდენი წელიწადი გამყოფა გაუჭირ-
ვებლად!

ლიზმაშ-ის შემდეგ ყველანი გაშლილ სუფრასთან მივიდოდნენ და მის წინ მეკვლე დაიჭერდა ფუსნა ლემზირ-ს, ხელებს ზევით ასწევდა და ასე დაი-
ლოცავდა:

„ბასილ ძულტა კალანდნშიაშ, სი
ლოგტეშდ. ოგხნდ ზააა მაჯედნ.
ოგტად ხტად ზომხა შტიდობდ, ოგ-
ფიშირ ამსტალდა, ნაფშიროშ ლროგო
მერდი სგეჟარ, მაჟ გტაყა, აღჟარე
ლირდინ ი ნაბუნდინერან ოგხნდ;
ბასილ ძულტა კალანდნშიაშ, ბარაქ-
ლნხო გუშტე მაჯედს ი მადილ
ჯერი, მადილშტ გოში.“

ბასილ ზღვის კალანდისაო, შენ გვიშველე,
გაგვახარე წლის მოსავლით, მოგვასწარი
მრავალი ახალწელიწადი მშვიდობით, გა-
გვიმრავლე ადამიანი, სიმრავლით მოგვეცი
მოზარდი ვაჟიშვილი, რაც გეყავს, იმათი
ზრდით და ბედნიერებით გაგვახარე,
ბასილ ზღვის კალანდისაო, ბარაქა მიეცი
ჩვენ მოსავალს და მადლი გექნება, მა-
დლით საესეგ.

ამის შემდეგ ყველანი შემოუსხდებოდნენ სუფრას, რომელზედაც უხვად
ეწყო ყოველგვარი საკმელ-სასმელი. მეკვლე გაავსებდა არყით ჭიქას, სათი-
თაოდ მიაწოდებდა ყველას ხელში (ლიზმაშ-ის გაუკეთებდა) და ეტყოდა:

„გოში ზაჟსუ ლახგენენა, ხოჩა ჯა-
ბა¹, ცხემატშ, ქემატშ, ბედტშ ი
ბარაქტშ, თხუმდ ბასილ ძულტა
კალანდნშიაშუ ჯარ მაშედ სი ი
ისგტა მეხტს ი გეზალს!“

საესე წელიწადსამც მისდგომოდე, კარგო
ჯაბა¹, ზრდით, მატებით, ბედით და
ბარაქით, თავად ბასილ ზღვის კალანდი-
სამც ყოფილიყოს შემწე შენი და შენი
კოლშვილისა!

დალოცვილი პირი ორივე ხელით ჩამოართმევდა ჭიქას და გამოსცლიდა.
მეკვლე ახლა მას წერქტ-ის კონას მიაწოდებდა და ეტყოდა:

„ამჟი ლეშონშა, ლეტომჟა ზაჟსუ
ლახგენენად ი ტომშა ტედი ნაბუდ
ალ წერქტ ლესეს, ეჩშელდ ზაფთუ
ხარი შიდობდ.“

ასე გავსებულს, შეფომთილს წელიწადსამც
შეხვდომოდეთ და რამდენი ცვარი დას-
ხმული ამ თომს ჰქონდეს, იმდენი წელი-
წადიმც ყოფილიყო მშვიდობით.

ლიზმაშ-ის შემდეგ იწყებოდა თავისუფალი სმა-ჭამა. არყის დაღვეის დროს
ერთმანეთს ასე ულოცავდნენ:

1. ჯაბა კაცის სახელია.

„ხუთად ზომხაჲ აჯდენა შილობდ დეხტჳ
ი გეზალტჳ!“

მრავალი ახალწელიწადიმც მოგსწრებო-
დეს მშვიდობით ცოლით და შვილით!

პურობას გაათავებდნენ და გადიოდნენ გარეთ. შუა კალოზე ეკლიან ბა-
ძგარ-ს თოვლში ჩაარკობდნენ ავი თვალის საწინააღმდეგოდ, შემით დატირ-
თულ მარხილს ხარებს შეუბამდნენ და ასე გაატარებდნენ მათ მარხილიანად
რამდენჯერმე, რაც ხარების ლიშაშ-ს აღნიშნავდა. ზოგს ოჯახში ერთ ჯამ
პურის, ან ქერის მარცვალს საქონლის ბინის სარკმლიდან (ლენგუთი-დან) ლან-
წულაშ-ში (ადგილია, სადაც ნებს აგროვებენ) გადაყრიდნენ და მოხნავდნენ;
ამას ეძახდნენ „თესვის ხელის შენაცვლებას“ (ლილწში შიე ლიფშტედე-ს).

ლიშაშ-ისათვის მუშიაშ-ს (მეხელეს) კარგი ხელისას ირჩევდნენ, ასეთს
ყველა იცნობდა და ხელსაც მას „აახსნევენებდა“. მუშიაშ-ში თუ კარგი ხელისა იყო,
მასშინ მთელი წლის განმავლობაში მომავალ ზომხა-მდე ოჯახში სიკეთე არ
დაილეოდა და, პირიქით, ცუდი ხელის მუშიაშ-ს წყალობით წელიწადის გან-
მავლობაში ოჯახს ავი და საწყენი საქმეები შეემთხვეოდაო. ახალწელიწადს ლოც-
ვებში ბასილ ძულტა კალანდწაშ-ს მიმართავდნენ, რადგან ახალწლის ბატონად
ის მიაჩნდათ. ზომხა-ს და ნახალწლევის პირველ დღეებში ცდილობდნენ არავინ
დაესაჩუქრებინათ—ვაი თუ ხელს გადაჰყვეს სვე- ბედი და ბარაქაო. პირველ
დღეს არც უტსო პირის სტუმრობა ვარგადა—ცუდი ფეხი არ დამიტოვოსო.
ამიტომ სვანს არ ესიამოვნებოდა თუ ზომხა-ს ვინმე ეწვეოდა. ამ დღეს ყველა
თავ-თავის სახლში რჩებოდა, ყველას თავისთვის ჰქონდა ლხანი და ლიმწურ-ი. ლა-
შხელებს ამ დღეს თოფის სროლა უყვარდათ და იცოდნენ აგრეთვე ყველაფრის
შენძრევა—კარგ წელიწადად შეგვიცვლის ყველაფერს ღმერთი და ზომხაა-
ყერ ანგლოზ-იო.

სვანის რწმენით, რაც უფრო უნაკლოდ შეასრულებდა ის ახალწლის წე-
სებს, იმდენად უკეთესი წელიწადი დაუდგებოდა მას და მის ოჯახს. ნახალწლევს
წლის შემცველ ძალსა და ანგლოზს შეევედრებოდნენ და ჩაბარებდნენ მას
გასაკეთებელ საქმეებს (ლესდაბ-ლეჩომ-ს). ასე ხვდებოდნენ ახალწელიწადს
ლაშხელები.

არს: თნიანის დაბეჭდილი ნაშრომის (Сван-
ские тексты, 15—17) და მისივე (1935 წელს
შედგენილი) ხელნაწერის მიხედვით.

ხ. უახუნდერში

ზომხა დღეს მზის ამოსვლამდე ქორა მეჭმხი მიადგებოდა მაჩუბ-ს
გარედან ხარით და ლალწაშ-ით ხელში და დაიძახებდა:

„ყ-ო-ო-რ მეკარ, ბედნიერ!“

კარი გააღე, ბედნიერო!

მას შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მა ეჯღუტა, ბედნიერ?“

რა მოგაქვს, ბედნიერო?

ამაზე მეკვლე უპასუხებდა:

„თხუმი ფუსნაბუხსდიან ჟერ, ცხემაჲ, ქემაჲ, ნაშდობი, ხოჩრობა; მარან კეცარშუ გუეში გუარ, კეცარ ლუი-ნელშუ გუეში გუარ, დარბაზ კიბლო-ნარშუ გუეში გუარ, კიბლონარ ფე-ქარშუ გუეში გუარ, ლაჩაქორ ჩაქუშუ გუეში გუარ, ლაჯირ განარშუ გუეში გუარ, ლაფრალ ფურალშუ გუეში გუარ, ლალთლიაქილ დოლიაქუშუ გუეში გუარ, ლახმირ ხამარშუ გუე-ში გუარ“.

თვით ფუსნაბუხსდია-ს წყალობა, ზრდა, მატება, მშვიდობიანობა, კარგად ყოფნა; მარანი ქვევრებით სავსე გვაქვს, ქვევრები ღვინით სავსე გვაქვს, დარბაზი კიბობნე-ბით სავსე გვაქვს, კიბობნები ფქვილით სავსე გვაქვს, საცხენე ცხენებით სავსე გვაქვს, სახარე ხარებით სავსე გვაქვს, საფურე ფურებით სავსე გვაქვს, საცხვრე ცხვრებით სავსე გვაქვს, საღორე ღორე-ბით სავსე გვაქვს.

ეს კითხვა-პასუხი სამჯერ მეორდებოდა. შემდეგ ქორა მეჭმხი შინ შე-ვიდოდა, თან ხარი შეჰყავდა, ჯერიას გარშემო სამჯერ შემოუვლიდა ხარი-თურთ და შემდეგ ლიშაშ-ს შეასრულებდა: ლალაშ-ში ჩაწყობილ ნაჭმხურა-ს ოჯახის ყველა წევრს ხელს მოაკიდებინებდა და ამ დროს ასე დალოცავდა:

„ხოჩაჲ ზად ეჯღუნენა ცხემაჲშუ, ქემაჲშუ; ბედ ი ბარაქ ლახრდენა იმჲად სგებგულრენ“.

კარგი წელიწადი შეგცვლოდეს ზრდით, მატებით; ბედი და ბარაქა მოგცემოდეს [ყველაფრის], რასაც ხელს მოჰკიდებ.

ამის შემდეგ მეკვლე ლალაშ-იდან ფუსნა ლემზირ-ს ამოიღებდა, ლალაშ-ს კერიასთან მიაყულებდა, ხოლო ფუსნა ლემზირ-ს კალთაში ჩაიდებდა და გავიდოდა გარეთ, იქ გუზმაგუზ-ს მონახავდა, კალოს შუა ადგილას თოვლს დააგროვებდა და შიგ ამ გუზმაგუზ-ს ჩაარკობდა. ამ დროს ის ცდილობდა რაც შეიძლება თოვლის დიდი ზვინი დაედგა, ვინაიდან, მისი ფიქრით, მეტი თოვლის დაგროვებამ მეტი ხვავი და კარგი ნიაფი იცოდა. მეორე გუზმაგუზ-ს დაამაგრებდა ხორბლის საშრობ ადგილის, ლკერ-ის, შუაგულზე და აქაც მას თოვლით შემოზღუდავდა. შემ-დეგ ბრუნდებოდა სახლში და თან მიჰქონდა „ბროლის“ ქვა ქიტი-ი, რომელსაც შინ შესვლისას საფურათან დადებდა და თან ხმა-მალლა დაიძახებდა:

„გუთიშუთე ფურალსუ ოხრშვას ამ-ზუმი!“

ჩვენ ფურებს მოეწველოს ამდენი!

რამდენადაც უფრო თეთრი და დიდი ზომისა იქნებოდა ეს ქვა, იმდენად უფრო თეთრი და დიდი წველა ექნებოდა ოჯახს იმ წელსაო, ფიქრობდნენ

სვანები. ეს ქვა ნათლისღებამდე უნდა ყოფილიყო სახლში, ხოლო ნათლისღებას მას წაიღებდნენ და წყალში გადაადებდნენ,—მეტი წველა იცისო. გუზმაგუზებს-კი კალოზე იმდენ ხანს სტოვებდნენ, სანამ თოვლი არ დადებოდა და თვით არ წაიქცეოდნენ.

ნაჭმურა ეწოდებოდა სამ ცალ კვერს, რომელთაგან ორი ღორის ქონში იყო ახელილი, მესამე კი წმინდა პურის ფქვილისაგან გამომცხვარი ფუსნა ლემზირ-ი,—მას მარილის მეტს არას ჩაატანდნენ. მოსახლე ნაჭმურა-ს მიხედვით არკვევდა, მას იმ წელიწადს შეეძინებოდა, თუ დააკლდებოდა რაიმე: თუ ნაჭმურა კარგად აფუვდებოდა, ეს კარგი ნიშანი იყო, ოჯახის სიკეთეს მოასწავებდა და, პირიქით, აუფუვებელი ნაჭმურა ოჯახისათვის ცუდ წელიწადს მოასწავებდა, ამბობდნენ სვანები. ამათ გარდა აცობდნენ აგრეთვე საქალბო კვერს ე. წ. ლამარია შიღვანე-ს, რომელსაც ერთ ნაჭმურა-ს ზემოდან დაადებდნენ და ქალებს გადასცემდნენ შესაქმელად. მეორე ნაჭმურა და ფუსნა ლემზირ-ი კაცებისა იყო. ამ ნაჭმურა-ს ზომბა დღესვე გაინაწილებდნენ კაცები და შესჰამდნენ. ფუსნა ლემზირ-ს კი, რომელიც მხოლოდ ნაგვირგვინე კაცებს შეეკმეოდა, ნათლისღებამდე შეინახავდნენ. ნაჭმურა და სამსხვერპლო ღორის ხორცი ლელყაჯ-ი იყო—მათ სხვებისაგან დაფარულად შესჰამდნენ, და მორჩენილ ღორის ძვლებს კი კერიაში შეყრიდნენ და დასწვავდნენ. ეს საიდუმლო ზიარება ლიშანშ-ის შემდეგ ხდებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ მოდიოდა გარეშე მეკვლე, რომელსაც ნაქამ მკჭში ეწოდებოდა. მას თან მოჰქონდა ბოთლით არაყი და, როდესაც სახლის კარს მიადგებოდა, მაჩუბ-ში თოვლს შეავდებდა. მას გამოეგებებოდა ქორა მკჭში და ფუსნა ლემზირ-ს ხელს მოაკიდებინებდა. ამის შემდეგ გარეშე მეკვლე სახლში შევიდოდა, სამჯერ წაღმა შემოტრიალდებოდა და თან იტყოდა:

„ხუაჲ ზომხაჲ აჯღენა შუილობდ! ზაჲა შაჯადშუ ალხიდლუხიდ, მარუმი ნაშ-ლობან, კუმში ნაუშირან!“

მრავალი ახალწელიწადიმც მოგსწრებოდეთ მშვიდობით! წლის მოსავლითამც გამხიარულებულიყავით, ადამიანის მშვიდობიანობით, საქონლის სიმრავლითა!

შემდეგ კერიასთან მისთვის ცალკე გაშლილ სუფრაზე თავის მიერ მოტანილ არაყიან ბოთლს დადგამდა და მასპინძლების მიპატიჟებით სუფრას მიუჯდებოდა. მისთვის სუფრას ცალკე იმიტომ გაშლიდნენ, რომ, როგორც ოჯახის გარეშეს, მას არ შეეძლო შეეჭმა ზომხაჲ-ს თავი და ნაჭმურა-ს მორჩენილი ნაწილები, რომლებიც ოჯახის საერთო სუფრაზე ეწყო. ვიდრე ნაქამ მკჭში ჰამას შეუდგებოდა, მას სახლის მეკვლე ხელს აუხსნიდა (ლიშანშ-ის უხამდა): მიაწოდებდა ჰიქა არაყს და შემდეგ წერეჰ-ს მიართმევდა. ნაქამ მკჭში მასპინძლის ოჯახში რჩებოდა საღამომდე; ან შეორე დიღამდე. დაუშვებელი იყო, რომ ის მასპინძელს დაუსაჩუქრებელი გაეშვა—ან ქალამანს მიართმევდნენ საჩუქრად, ან 10 მანეთს ფულად, ან ნახევარ ხბოს, ან ღორს აჩუქებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

ვიდრე ნაქამ მკჭში არ წაეიდოდა, ოჯახში უცხოს არავის შეუშვებდნენ. ამ დღისათვის სტუმრებს წინასწარ მოიწვევდნენ. პატიკობდნენ ისეთებს, რომლებსაც კარგი ხელი ჰქონდათ და ალალ-მართლები იყვნენ. შინაური მეკვლე თუ მოცილიდა იმავე დღეს და თუ არა ახალწლის კვირაში მაინც აუცილებლად ხორბალს „დათესავდა“: აურევდა ერთმანეთში ქუბას, სიმინდს, პურისა და ქერის მარცვლებს, შემდეგ მათ ნეხვს გადააყრიდა, წაიღებდა ნიჩქით ყანაში და თოვლზე მოაბნევედა შემდეგი სიტყვებით:

„ღერბეთ, სი ოგჭებერ ნაჯან-ღმერთო, შენ გაგვიკეთე ნახნავ-ნათესა ნალაშ“.

„დათესილ“ ადგილზე თხილის ტოტის ჯვარს დაასობდა. ვიდრე ქორა მკჭში ამ „დათესვის“ წესს არ შეასრულებდა, ოჯახიდან თესლის გარეთ გატანა არ შეიძლებოდა¹.

1934 წლის ზაფხული. სოფელი ჟახუნდერი.
მთხრობელი 68 წლის სასო ლო ბჯანძე.

იე) ლენტეხში

ა. ქვემო ლექსურაში

კალანდა დღეს ყველა სვანი დიდი მოწინებით დღესასწაულობდა. სვანებს სწამდათ, რომ ამ დღიდან რაღაც ბედი და უბედობა უნდა დაწყებულყო და ამიტომ მეცადინი იყვნენ, რომ ბედნიერი წელი დასდგომოდათ. დილით, თითქმის მამლის ყვილის დროს, ადგებოდა ყველა ოჯახის წევრი, საუკეთესოდ გამოეწყობოდა სადღეობო ტანსაცმელში გამოეწყობოდა და ერთი მეორეს ახალწლის დღეს ულოცავდნენ. ოჯახის ერთი წევრი სახლიდან გარეთ გავიღოდა ძლიერადრე, თან საუკეთესო ხარს გაიყვანდა, წაიღებდა წინდაწინვე დამზადებულ დიდ კალათას საახალწლო შემოსალოცით და დოქ არაყს; ხარს შემოატარებდა თავის სხვადასხვა შენობებს და შემდეგ მიადგებოდა ხარიანად სახლის კარს და დაიძახებდა:

„ყ-ო-ო-რ მკარ, ბედნიერა!“ კარი გააღე, ბედნიერო!

სახლის კარი ჯერ ჩაკეტილი იყო. ოჯახის ერთი წევრთაგანი შინიდან შეეკითხებოდა—რა მოგაქვს, ბედნიერო? გარედან მისული, რომელსაც სვანურად ეწოდებოდა მკჭში, ე. ი. მეკვლე, დაიწყებდა ხმამაღლა ჩამოთვლას: მომაქვს თვით ფუსნაბუასდია-ს წყალობა, მატება და შეძენა, პედი, ბარაქა, კაცის მშვილობა, საქონლის სიმრავლე, თავლა ცხენებით გვაქვს სავსე, ბოსელი ხარებით, საძროხე ძროხებით, საღორე ღორებით, საოხებო თხებით, საცხვრებო ცხვრებით, საბატო ბატებით, საქათმე ქათმებით, კიდობნები ხორბლით სავსე,

1. ამავე თემის სოფელ შგედში ზომხა დღეს კალაზე თოვლის მურჭამ-ს აგებდნენ და მის-შუაგულში ფიქვის, ნაძვის, ან მუხის მოჭრილ ხეს ჩააყოლებდნენ. სხვა მხრივ ზომხა-ს წეს ჩვეულებანი აქაც სასესებით ისეთივე იყო, როგორც სოფელ ჟახუნდერში.

ქვევრები ღვინით, ხანღვრები ფულითო. ამის შემდეგ კიდევ დაიძახებდა გარედან (კარებთან იყო გაჩერებული ხარიანად) მეჭმხი—კარი გამიღეთო, შინიდან კვლავ შეეკითხებოდნენ,—რა მოგაქვს, ბედნიერო? მეჭმხი კიდევ ჩამოსთვლიდა ყოველგვარ ბარაქას და ასე გამეორდებოდა სამჯერ. ამის შემდეგ გაუღებდნენ კარს, შევიდოდა სახლში მეჭმხი და ხარსაც შეიყვანდა, დაუვლიდა სახლს მარჯვენა მხრიდან ირგვლივ, შემდეგ ოჯახის წევრები ჩაყოფნენ ხელებს კალათაში, რომელიც მეკვლეს ზურგზე ეკიდა, პირველად ხელს შეავლებდნენ გულ-ს, შემდეგ ხორბლის ფქვილს და შემდეგ სხვა საგნებს, რომლებიც კალათაში იყო მოთავსებული. ამაზე მეჭმხი ეუბნებოდა—ასე სავესე წელიწადი მოგსწრებოდეთ ყველას მატებით, შექენით, ბედით და ბარაქითო (სვანურად ასე ეტყოდნენ: „ამეი ლეშონშა, ლეფომშა ზაასუ ლახგენენად ცხემაჭუშ, ქემაჭუშ, ბედშუ ი ბარაქუშ“), ხარს დააბამდა ისევ თავის ადგილზე, გავიდოდა გარეთ, ეზოში დაგროვილ თოვლის ზვინში ჩაარჭობდა წინდაწინვე ამისათვის დამზადებულ თხილის წნელების კონას, რომლებსაც ესხათ კვირხილები, და იტყოდა: „ამეი ლეშონშა ლეფომშა ზაასუ ლოქ ლახგენენად, ცხემაჭუშ, ქემაჭუშ, ბედშუ ი ბარაქუშ“, ე. ი. ასე დახუნძული წელი მოგვივიდეს მატებით, შექენით, ბედით და ბარაქითაო და ამის შემდეგ შებრუნდებოდა სახლში. დანარჩენი ოჯახის წევრები დასხდებოდნენ შუა ცეცხლის ირგვლივ, დაიღვამდნენ სუფრას, დააწყობდნენ ზედ სომხის ხორცს და პურებს და დაიწყებდნენ სმა-ჭამას; მეჭმხი სათითაოდ ჩამოაწყებოდა, ოჯახის ყველა წევრს მიაწოდებდა სავესე ჭიქას, რომელსაც ორივე ხელით ჩამოართმევდა მიმღები და „ჩუალშიაშნე“ ე. ი. დაუხელალებდა. პირველად აუცილებლად ამ მეჭმხი-ს ხელიდან უნდა მიეღოთ ოჯახის წევრებს ხელში სავესე ჭიქა და სხვა პურ-მარილი. თან პატარა კონა წერეკეტ-ს მისცემდა მეკვლე ჭიქასთან ერთად და ეტყოდა—რამდენიც ამ წერეკეტ-ს ცის ცვარი და ნამი დასდებია, იმდენ წელიწადს იყავ კარგადო. ამის შემდეგ თავისუფლად სვამდნენ და ულოცავდნენ ერთიმეორეს მრავალი ახალწლის მოსწრებას. ამ დღეობაზე ლოცვა-ვედრება მიმართული იყო უმთავრესად ბასილ ძულტა კალანდაში-ს და „სომხის ყერ ანგელოზის“ სახელზე, რომელთაც ვეცდებოდნენ მრავალი წლის მოსწრებას, ბედისა და ბარაქის მოცემას და საქონლის გამრავლებას. ყველა ამ წესის შესრულება გათენებამდე ხდებოდა. ხოლო გათენების შემდეგ კი, გაიყვანდნენ ხარებს ეზოში და შემოთ დატვირთულ მარხილში შეაბამდნენ, პატარა მანძილზე გაატარებდნენ ხარებს, რომ ამით მუშაობა დაეხდებინათ ხარებისთვის და ხარების ლიშაშ-იც ეს იქნებოდა. სომხა-ს უარით ვერავის ვერ გაისტუმრებდნენ, რაც უნდა ეთხოვა მეზობელს, უნდა მიეცათ, რადგან ამ დღეზე იყო დამოკიდებული მთელი წლის ბედ-იღბალი და თუ ამ დღეს უარით გაისტუმრებდნენ ვისმეს, მთელი წლის განმავლობაში ყოველგვარი საქმე უარით წაგვივაო, ამბობდნენ. როცა ამ დღეს გარეშე პირს დაინახავდნენ, მაშინვე მიაძახებდნენ—მრავალი ახალწელი მოგესწროს შენი ოჯახის კარგათ ყოფნითო. შინაური მეკვლის შემდეგ ოჯახში მოდიოდა გარეშე პირი, რომელსაც წინდაწინვე სთხოვდნენ, კალანდა დილით

ადრე მობძანებულები იყო მათ ოჯახში მკჭმხ-ად. როდესაც ეს პირი სახლს მიუ-ახლოვდებოდა, დაძახების მაგიერ სახლში რაიმე საგანი უნდა ესროლა, რომ შეეტყობინებინა მასპინძლისათვის თავისი მისვლა; ამ დღეს დაძახება აკრძალული იყო, უბედურების ნიშნად მიაჩნდათ თუ ვინმე კალანდას ოჯახს დაუძახებდა.

გარეშე მეკვლეს პატარა ჭურჭლით შეგებებდნენ ხორბლის ფქვილს ზემოდან დადებული ფუსნა ლემზირ-ით, ხელს მოაკიდებინებდნენ ამ ტაბლაზე, შემდეგ შეუძლებოდნენ სახლში, დასვამდნენ სუფრის წინ, მიგებებულ ფქვილსა და კვერს სუფრაზე დაუდებდნენ, არყით სავსე ჭიქას ხელში მიაწოდებდნენ; მიუტანდნენ სავსე ჭიქას, და ეტყოდნენ: ბასილ ძულუა კალანდაშიაშ-მა მრავალი ახალწელიწადი მოგასწროსო; თან მისცემდნენ ერთ კონა წერეჭქუ-ს და ვერცხლის აბაზიანს, რომლებსაც ის თავის სახლში წაიღებდა. გარეშე მეკვლის მოსვლაზე იყო დამოკიდებული მთელი წლის განმავლობაში ამ ოჯახის ბედ-იღბალი; თუ ის კარგი მეკვლე გამოდგებოდა, მაშინ ამ ოჯახში წლის განმავლობაში არც უნდა მომკვდარიყო ვინმე, არც საქონელი დაზარალდებოდა და მოსავალიც კარგი უნდა მოსვლოდა. ასეთ შემთხვევაში ამ პირს მეკვლედ მეორე წელსაც მიიწვევდნენ. მაგრამ თუ ოჯახს წლის მანძილზე რაიმე მარცხი მოუვიდოდა, ამ მკჭმხის-ს მაგიერ მეკვლედ სხვა პირი იქნებოდა მიწვეული მომდევნო ახალწელიწადს.

1934 წლის იანვრის 1. აღწერილია არსენ ზურაბის ძე ონიანის მიერ.

ბ. ფაქში

კალანდა დილით ჯერ გათენებული არ იყო როდესაც ოჯახი წამოიშლებოდა. ყველაზე ადრე სახლის მეკვლე¹ წამოდგებოდა, საახალწლო შემოსალოცით წინასწარ გაწყობილ გობს და ღვინით ან არყით სავსე ჭურჭელს გარეთ გაიტანდა, თან გაიყოლებდა ხარს, რომელსაც ამ დღეს ქორაშ მკჭმხი ჯანი ეწოდებოდა, და ლოცვა-ვედრებით დაუვლიდა მარანს, ბელელს და სხვა შენობებს, შემდეგ უკან დაბრუნდებოდა და სახლის კართან ხმა-მალლა დაიძახებდა:

„ყო-ო-რ შკარ, ბედნიერ!“

კარი გააღე, ბედნიერო!

ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ:

„მაგ ევლუა, ბედნიერ?“

რა მოგაქვს, ბედნიერო?

მეკვლე უპასუხებდა:

„ზაიშ ნაზუხერი, ლამენგარ მანგარშუ გუეში ლი, ლადჯა დაკლუშუ გუეში ლი, ლაღლიაქ ლაღლიაქშუ გუეში ლი, ლახამ ხამარშუ გუეში ლი,

წლის სიკეთე, სასაქონლე (მსხვილფეხა) საქონლით სავსეა, სათხებო თხებით სავსეა, საცხვარე ცხვრებით სავსეა, საღორე ღორებით სავსეა, საქათმე

1. ზოგ ოჯახს ორი ქორაშ მკჭმხი ჰყავდა: სახლის უფროსი კაცი და ქალი.

ლაქათალ ქათალშუ გტეში ლი, ქათმებით საესეა, კარი გააღე, ბედნი-
ყო-ო-ო-რ მკარ, ბედნიერ“.

ამის შემდეგ მეკვლეს შინ შეიპატიებდნენ:

„ისგანსგტეჯდ, ბედნიერ!“.

შემობრძანდი, ბედნიერო!

ქორაშ მკუშხი შევიდოდა სახლში, მარჯვნივ ხარითურთ კერიას სამ-
ჯერ გარს შემოუვლიდა და თან ხმა-მალლა ლოცავდა ოჯახს და შინმყოფთ
მრავალი ახალწლის დასწრებას უსურვებდა. შემდეგ ხარს სოხანეში დააბამდა,
გობს კა-კერ-თან დადგამდა, თვითონ კერიის პირად ჩამოჯდებოდა სკამზე, რო-
მელზედაც მისთვის წინასწარ ბალიშს დააგებდნენ, და ლიშიაშ-ის შეასრულებ-
და: ოჯახის წევრებს საითთაოდ დალოცავდა და ხელში მიაწოდებდა არყით
ან ღვინით საესე სასმისს, რომელიც ჩამომრთმეველს აუცილებლად უნდა გამო-
ეცალა. ამასობაში სუფრასაც გაშლდნენ ცალკე კაცებისა და ცალკე ქალები-
სათვის; სუფრაზე საახალწლო შემოსალოცს ამოაწყობდნენ. სახლის უფროსი,
რომელიც ამ დღეს ქორა მკუშხი იყო, დაანაწილებდა და ყველას ხელში გადასცემდა.
ნაკუშხირა-ს და ღორის თავს. საახალწლო ღორის თავი ლელყაჯ-ი იყო; ამიტომ
მისგან მორჩენილ ხორცს გადამალავდნენ, ძვლებს კი ცეცხლში შეყრიდნენ და
დასწვავდნენ, რომ მათთვის უცხოთ თვალი არ შეესწრო. ფუსნა ლემეზირ-ს, ანუ
ფუსნა ჭისხტ-ს მხოლოდ სახლის უფროსი მამაკაცი შესჭამდა. ამასობაში გა-
თენდებოდა კიდეც და ოჯახი საქონელს წყლის დასალევად გაუშვებდა. გზაში
ამ საქონელს ქორა მკუშხი შეეგებებოდა კვერცხით ხელში და დალოცავდა.

უკვე კარგათ გათენებული იყო, როცა მოსახლის კარს ნაქამ მკუშხი
(გარეშე მეკვლე) მიადგებოდა და დაუკაკუნებდა. მას თავის სახლიდან კვერცხი,
ვაშლი, ან ტკბილეული (მაგ. შაქარი) მოჰქონდა. კაკუნზე ოჯახის რომელიმე წევ-
რი გახედავდა და შეეკითხებოდა—ვინ გსურს შემგებებლადო. გარეშე მეკვლე
დაასახელებდა შინამყოფთაგანს ვისმეს ქალს, ან კაცს. უკანასკნელი მას
მოუხარაშავ საახალწლო ღორის ნახევარს გააგებებდა (ზოგი ოჯახი კი პურით
და ხორციტ ხვდებოდა), რომელსაც ნაქამ მკუშხი ჩამოართმევდა, ზედ თავის
მიერ მოტანილ ძღვენს დაადებდა, შევიდოდა სახლში, ოჯახს დალოცავდა,
ღორის ხორცს და კვერცხს, ან ვაშლს, თუ ტკბილეულს კა-კერ-თან დადებდა
(ამ ხორციდან კუბად-ებს გამოაცხობდნენ, ხოლო კვერცხს, ვაშლს ან ტკბი-
ლეულს ოჯახის ბავშვს შეაჭმევდნენ), ოჯახის წევრებს ლიშიაშ-ის შეუსრულებდა
და, მასპინძლის მიწვევით, სუფრას მიუჯდებოდა. ამ დღეს გარეშე მეკვლე მას-
პინძელთან საღამომდე ან მეორე დილამდე რჩებოდა. მასპინძლები მის პატივ-
საცემად არაფერს იშურებდნენ და წასვლის წინაც დაასაჩუქრებდნენ; თუ გარე-
შე მეკვლის შემგებებელი ქალი იყო, უკანასკნელი მას წინდებს ან პირსახოცს
უძღვნიდა, კაცი კი საქალამნე ტყავს გაატანდა.

ახალწელიწადს სტუმრიანობა მიღებული არ იყო. ამ დამეს სვანები ცოლ-
ქმრული კავშირის დაჭერასაც ერიდებოდნენ, არ ვარგაო, სვანის ძველი რწმე-
ნით, თუ კალანდა-ს ფიცხი ამინდი შეესწრებოდა, მაშინ მთელი წელიწადი

ხმელი და ავი იქნებოდა, ხოლო, თუ ახალწელიწადს ტკბილი და წყნარი ამინდი იყო, მოლიანად წელიწადი კარგი და სიუხვით დამძიმებული იქნებოდა.

კალანდა დღეს სახლის კართან გარედან თივით სავსე გრდორი იდგა ხოლმე. ყოველ შესვლაზე სვანი ამ გოდრიდან თივას ამოიღებდა, სახლში შეიყოლებდა, საქონელს დაუყრიდა და მიიძახებდა—გამრავლდითო¹.

1934 წლის ზაფხული. სოფელი ფაცი. მიხრობელი 52 წლის
საბედ და 45 წლის მარიამ ლიპარტელიანები.

¹. აქვე მოგვყავს 1898 წელს დაბეჭდილი ახალწლის აღწერილობა, რომელიც რაფიელ ერისთავს ეკუთვნის:

„Зомха“ от слова—«за» год и «махе»—новый. В Далиавовской Сванетии Новый год называется «Канда». Накануне Нового года, с вечера, до ужина, в каждом доме приготавливают короткий пучек стружек, соструженных от палочек, подвешенных за месяц до того под потолком, над огнем, для просушки их. Пучек этот кладется у «кериа»—очага, а на утро в Новый год этими стружками разводят впервые огонь. Накануне Нового года, с вечера, все ведут себя чинно, никто не обмолвится дурным словом ибо по их понятию, уже наступил Новый год, а в первый день его не подобает вести себя иначе. После ужина кто-либо из домашних отправляется в один из необитаемых домов селения, куда стекаются и другие тоже по одному человеку от каждого двора. Удалившегося таким образом человека называют «каме мучиха» (კამე მუჭხა)—внешний славильщиком, т. е. человеком, приходящим извне для поздравления. Кроме внешнего славильщика в каждом доме есть еще по двое внутренних славильщика—«ასგა მუჩხა» (ასგა მუჭხა). Они, оставаясь в доме, должны на другой день (в Новый год) встать снозранку, раньше других, положить на углях стружки из пучка, оставленного у очага и после этого отправиться на речку. Один из них несет с собой «охар»—деревянную посуду для воды, и другой—маленькую корзинку, в которой уложены «უნძბაა»—хлебы, с запеченным в нем сыром, на каждого домочадца по одному.

По приходе их на речку, они испрашивают у Бога благословить принесенные ими с собою хлебы, затем наполняют «охар» водою и молят Бога дать счастье им быть для дома добрыми вестниками. Гостями в этот день бывают преимущественно родственники: замужние дочери с детьми и мужьями, также продавшие им имение; каждого посетителя отдают от 1 до 20 руб. (копчено скотом, или вешами). Тут еще нужно упомянуть об одном обычае. Накануне Нового года, один из домашних вырубает в аршин длины березовый брус и, расколов его на части, приставляет их по обоим сторонам дверей дома; осколки эти называются «ნათე»; каждый гость, приходящий на второй день Нового года, обязан взять одно «ნათე» и внести в дом. Эти «ნათე» сперва приставляются к стене у очага, а затем втыкаются в потолок.—Р. Д. Эрстов. Заметки о Сванетии. Тифл., 1898, 102-103. აქ მოგვანილი წესჩვეულებები ააშკარავებენ, რომ რ. ერისთავს აუწერია არა სადადინაო სვანეთის, არამედ უშუალოდ თემის ახალწელიწადი (შეად. აქვე გვ. 160, შენ. 1).

10. კტიმტარ, კტიმტარეზ, კტიმტოზ, კტიმატ,
კუმატ, ნანკ, ლიზიაზალ (2 იანვარი)

A. ბალს ქვემოთ

ა) ლახამულაში

კტიმტარ-ი ეწოდებოდა ახალწლის შემდეგ პირველ ორ-სამ დღეს. ამ დროის განმავლობაში სრულდებოდა ე. წ. შიმი ლიფშედე: მეზობლები ერთმანეთს ჯამით პურის ფქვილს (ქალები) და ვერცხლის ფულს (კაცები) უცვლიდნენ. ვიდრე სვანს შიმი ლიფშედე შესრულებული არ ჰქონდა, ოჯახიდან არაფერს არ გაასესხებდა.

კტიმტარ-ის განმავლობაში, მოსახლისათვის მოსახერხებელ დროს, მოკრიდნენ ტყეში და შინ მოზიდავდნენ მუხისა და წიფლის ტოტებს. მსხვილ ტოტებს სიგრძეზე დააპობდნენ, თავებს წასკრიდნენ და კონებად შეკრავდნენ ისე, რომ მუხის ტოტები კონის შიგნით მოქცეულიყო და წიფლისა მათ გარშემო. შემდეგ ამ კონებს, რომელთაც ნამპარ-ები ეწოდებოდათ, გასახმობად შვილ-ზე (სხვენზე) შეყრიდნენ დღეობა სტიმნობ-სა და ლამპრობ-ისათვის.

კტიმტარ-ს სადილ-ვახშმად ლახამულელები დროს თავ-თავის მეხელ-თან ატარებდნენ. უკანასკნელის ოჯახში მათ მიჰქონდათ საკუთარი არაყი თითო ოჯახიდან ოთხ ზეჭა-მდე (14 ბორჯომის ბოთლი) და დამარილებული ხარის ან სხვა საქონლის ხორცი. მეხელ-ის ოჯახში-კი უფელიში ტაბლან-ისაგან პურებს გამოაცხობდნენ. ისევე როგორც კანდა დღეს, კტიმტარ-საც სუფრასთან დასხდომამდე ლოცვა-ვედრებით ღმერთებს მოიხსენებდნენ. მეხელ-ის ოჯახში სმა-ჭამა-ჭეიფი გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე არაყი და სანოვაგე არ შემოეღებოდათ; ამიტომ ზოგ მეხელ-თან საერთო დროს ტარება ორ-სამ დღეზე მეტ ხანსაც გრძელდებოდა ხოლმე.

კტიმტარ-ის პირველ დღეს სადილის წინ ყველა მამაკაცი გარეთ გავიდოდა და იქ მიზანში სროლას და სხვა გასართობს აწყობდნენ. ქალები ამ დროს მეხელ-ის ოჯახში მოიყრიდნენ თავს, დაანთებდნენ დიდ ცეცხლს, გამოაცხობდნენ უამრავ ხაჭაპურს (ქუთუჭარ-ს), მათ შორის ერთს „ჯვარის“ სახის ლემ-ზირ-ს, ჩააწყობდნენ მათ გოჭში და ზედაშითა და ნატუსუნ-ით მივიდოდნენ გობიანად სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ილოცავდნენ. ლოცვას უფროსი მანდილოსანი წარმოთქვამდა:

„დიდბოო აჯედა, მწლოჲ აჯედა, ხოშა ლერმათ, დიდბოო აჯედა! წყლიან კირტენშუ დიდბოო აჯედა, მიქამ თარგლეზერს! წყლიან კირტენშუ დიდბოო აჯედა ჯგერაგს! წყლიან კირტენშუ დიდბოო აჯედა სოლომს! დიდბოო ლეკედ სოლომ, სეტიო ი ჰაჯამ მუჭტიდი სი ხი, სი ლანო სეტი ი ჰაჯ, წყლიან კირტენშუ დიდბოო აჯედა ხოშა ფუსდს! დიდბოო აჯედა, ხოშა ფუსდ, სი ლანო ისეტი ყერ ი გამშა. ტეთხმალლიო ლმზერ ლერმეთ, თეთი-ლეცტში ახფტინ ტეთხმალლიო ნფშიროშუ. კუმშიო ლმზერ ლერმეთ, მუკტმშამიან ნწმდობოშუ მუკმშისი-ი ლოხოცხი ი კუმშისი-ი. კაშია თარგლეზერ, ნიშე დბბს ი ლარა ხოლა მარცხი ი მატინ ნომაგეო ოხტენა. ნაჯან-ნალაშტიო ლმზერ, ხოლა მარცხი ი მატინ ნომაგეო ოხტენა ნიშე ნაჯან-ნალაშტს. ლერმეთ მწლიან, ლახტშო თარგლეზერ, ტეთხმალს ი მარა ლახტს ი ბარს მატინ ნომაგეო ლახტლე. მაცხტარ სალმაცხტარ, ნიშე ტეთხმალს ხოლა მატინ ნომაგეო ოხტენა. ჯგერაგ თოდრანშ, ნიშე ფტრ ი დკელს მარცხ ნომაგეო ოხტენა. ჯგერაგ ლენჯერანშ, იდლიანანშ თარგლეზერ, სი ლანემდ. ლარალანშ თარგლეზერ, ჯგერაგ კაშიშდში, ჯტარ ტედში, სი ლანემდ. ქრისდე იფრიშ, სი ლანემდ. ჯტარ დესანშ, სი ლანემდ. ბარბოლ ლაშხარანში, სი ლანემდ. ლამარია ჩუბრიშ, სი ლანემდ. ჯგერაგ ყიბრეშია, სი ლანემდ. კაშიან თარგლეზერ, სი ლანემდ. ქრისდე ფარიშ, სი ლანემდ. ჯგერაგ ლჭანშ, სი ლანემდ. ჯგერაგ სტიფიშ, სი ლანემდ. ლამურყტამანშ თარგლეზერ, სი ლანემდ. ფხტერეიშ თარგლეზერ, სი

დიდბამც მოგსლოდეს, მადლიმც მოგსლოდეს, დიდო ლმერთო, დიდებამც მოგსლოდეს! წმინდა სანთლით დიდბამც მოგსლოდეს მიქამ თარგლეზერს! წმინდა სანთლით დიდბამც მოგსლოდეს ჯგერაგს! წმინდა სანთლით დიდბამც მოგსლოდეს სოლომს! სადიდებლო¹ სოლომ, სეისა და ილაჯის მომცემი შენ ხარ, შენ მოგვეცი სეი და ილაჯი. წმინდა სანთლით დიდბამც მოგსლოდეს დიდ უფალს! დიდბამც მოგსლოდეს, დიდო უფალო, შენ მოგვეცი შენი წყალობა და ძალს. ოთხფეხის სალოცავო ლმერთო, თაფლ-ერბო აადულე ოთხფეხის სიმრავლით. საქონლის სალოცავო ლმერთო, მესაქონლის მშვიდობით მესაქონლესაც უმატე და საქონელსაც. კაშიის თარგლეზერ-ო, ჩვენ ყანასა და სათიბს ცუდ მარცხსა და მანენს ნურას გაუჩენ. ნახანა-ნათესის სალოცავო, ცუდი მარცხი და მანენ არაფერი გაუჩინო ჩვენ ნახანა-ნათესს. ლმერთო მადლიანო, ლახტანშ (მთის) თარგლეზერ-ო, ოთხფეხს და ადამიანს მთაში და ბარში მანენ არაფერი მიაკარო. მაცხვარ-ო სალმაცხვარ-ო, ჩვენ ოთხფეხს ცუდი მანენ არაფერი გაუჩინო. ჯგერაგ-ო თოდრისაო, ჩვენ ფურს და თხას მარცხი არაფერი გაუჩინო. ჯგერაგ-ო ლენხერისაო, იდლიანის თარგლეზერ-ო, შენ გვიშველე. ლარალანშ (მხიარულების) თარგლეზერ-ო, ჯგერაგ-ო ხაიშისაო, ჯვარო ვედისაო, შენ გვიშველე. ქრისდე იფარისაო, შენ გვიშველე. ჯვარო დისისაო, შენ გვიშველე. ბარბოლ ლაშხარანშიაო, შენ გვიშველე. ლამარია ჩუბრიშ (ქვემოურებისაო), შენ გვიშველე, ჯგერაგ-ო ყიბრეშია (ზემოურებისაო), შენ

¹ სიტყვა-სიტყვით: დიდების მისასვლელი

ლანემდ. ბეჩტიანო ვაბრელ, სი ლანემდ. მაცხტარ ცხმრიო, სი ლანემდ. ან ლატლიანო, სი ლანემდ. დელი ლენჯარო, სი ლანემდ. სეტი მესტიანო, სი ლანემდ. შთანე ი მაშრადგიანო ლატქმი ი საყდარო ჩუ იმთა სგთეჯიდეს, ეჯი მანგოუ გთიშგთე მკთილიან ჟიოუ ლჯრ-შენ ლიხ ლემზირ ზედანშუ, გთიშ-გუ მკთილიანოთ ლი გთიშგთე ლიმ-ზურ, მიშგთი ლიმზურ, ოჯალემში¹ ზედში, ირსელანანო ქუეცნემ, სეფს-კუტერიო გოტარდ, ესყედნ, მალღან. მკურიან ლამარია, ლანდო მიშგთი ლიმ-ზურ ლუჯტარ ჩემნ, მიშგთი ნანან-ნალაშტს ბანჭუი ათხუიდეს, ეჯლაღ ლუ-ჯტარ ჩემნ! მიშგთა ქორისგა ხოლა უნდბანო მანამარა, ლიმეჩუ ლანდელ დაგრობ ნემეგ ახსყა, თეთნე ლაკუ-ცანი ზურალ-მარა უჯომ ხსყარ².

გეიშველე. ჯგვრანგ-ო ლუჰისაო, შენ გეი-შველე. ჯგვრანგ-ო სეიფისაო, შენ გეი-შველე. ლამურყუამანო (საკოშქებო) თარ-გლეზერ-ო, შენ გეიშველე. ფხოტრერის თარგლეზერ-ო, შენ გეიშველე. ბეჩოს ვაბრელ-ო, შენ გეიშველე. მაცხტარ-ო კხუმარისაო, შენ გეიშველე. ან-ო ლატალისაო, შენ გეიშველე. დელ-ო ლენჯერისაო, შენ გეიშველე. სეტ მესტიისაო, შენ გეიშველე. სვანეთის და ფართო ადგილების სალოცავები და საყდრები სადაც ბრძანდებოდნენ, ისინი ყველა ჩვენი ამშენებლებიმც ყოფილიყვნენ, მოხსენებულიმც ყოფილიყვნენ ლემზირ-ზედაშით. ჩვენი ამშენებლებიმც ყოფილიყვნენ ჩვენი ლოცვა. ჩემი ლოცვა, ოჯალემის ზედანის, ირსელანის (იერუსალიმის?) პურის [და] სეფისკერის გვარად, მიიღე, მადლიანო. მწყალობელო ლამარია, დღევანდელი ჩემი ლოცვა დაჯვარული ჰქენ; ჩემი ნახანე-ნათესი ქვაზეც რომ მოხედეს, მაინც დაჯვარული ჰქენ! ჩემ სახლში ცუდი უნდომი არ მოამზადო, სიბერის დღემდე სიკვდილიანობა არ გააჩინო, თეთრი სახოცი დედაკაცებს უშლელი უქენ.

ლოცვის გათავების შემდეგ სუფრას გაშლიდნენ და სმა-ჰამა-მოლხენას შეუდებოდნენ. მამაკაცებისათვის მათი სუფრა უწონანში იყო, — ამ დღის ქალების საჭმელ-სასმელს ისინი ვერც შეხედადნენ და ვერც იგემებდნენ. ამიტომ ნასუფრალს ქალები ისეთ ადგილას შეინახავდნენ, რომ მამაკაცებს მისთვის თვალი ვერ მოეკრათ და მეორე-მესამე დღეს მათგან დაფარულად შეეკცეოდნენ².

1936 წლის ივლისის 21. სოფელი ქვემო-ლახაშულა.
მთხრობელი 85 წლის ფარნაოხ სოუხის ძე ჰკადუა
და 40 წლის გვაშა კვანჭიანი-ჰკადუასი.

¹ მთხრობლის გამოთქმით: ოჯანელი.

² კლიმტარეში განკუთვნილი იყო ვაბრელ თარგლეზერ-ისადმი, რომელიც, ხალხის რწმენით, ავხნიანებს შევლიდა, და ამ დროს ლოცვები მის სახელზე სრულდებოდაო, — ჩამაწერიანს მოხუცებმა კვიბერში 1931 წლის ზაფხულს.

ბ) ჩუბხევეში

კ ჭ ი მ ტ ა რ ე მ - ი ახალწლის მეორე დღეს ვრჭევა. ეს დღე ძალიან მარცხიან დღედ იყო მიჩნეული და ამიტომ ამ დღეს არ მუშაობდნენ. დილით დიასახლისი გამოაცხობდა ცხრა ან ექვს ცალს პატარა ზომის ყველიან ლემზირ-ს, სახლის უფროსი მამაკაცი მიიტანდა მათ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა საოკმელთან და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

„ო-ო დიდბოო აჯედა, მალდოო აჯედა, კჭიმტ დეცემს დიდბოო აჯედა! კჭიმტ დეცემ, ხოლა მარცხ ი მაჭინ შვგ ანქაბჭინ, ხოჩემი სტარინ ი ჰაჯ ნაკვრქინ. შაღდინ, ჭეთხშაღ¹ ი მარე ჩუანფიშირ, მალდინ ლერმეთ².“

ო-ო დიდებამც მოგვლოდეს, მაღლიმც მოგვლოდეს, კვიმტ ცისას დიდებამც მოგვლოდეს! კვიმტ-ო ცისაო, ცუდი მარცხი და მვენე ყველა აგვაშორე, სიკეთის მადლი და ილაჯი გვაღირსე, მადლიანო, ოთხფეხი და ადამიანი გაგვამრავლე, მადლიანო ღმერთო.

ლოცვის შემდეგ ხაჭაპურებს გაინაწილებდნენ და შესჭამდნენ.

კჭიმტარემ დღეს ოჯახის მამაკაცები ავიდოდნენ კოშკში (მურყუამ-ში), თან წაიღებდნენ პურის ფქვილს. ყველს, არაყს და სხვა საჭმელ-სასმელს, იქ კერძის დადგამდნენ, ცეცხლს გააჩაღებდნენ და ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ. შემდეგ გაშლიდნენ სუფრას და სმა-ჭამა-ჭეიდში ატარებდნენ დროს საღამომდე. კაცების ამ სუფრას ქალები ვერც შეეხებოდნენ და ვერც შეხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ ხაჭაპურებს მამაკაცები თვითონ იცხობდნენ და ქალებს მურყუამ-ში არ უშვებდნენ. ჩვეულებრივ დღეებშიც. როცა მონადირეები ნადირს მოჰკლავდნენ, ნანადირევს კოშკში აიტანდნენ, იქ გაატყავებდნენ, დააჩარექებდნენ და მოხარშავდნენ, იქიდან ჩაუგზავნიდნენ ხორცის ნაწილებს ოჯახის მანდილოსნებს და ახლო მეზობლებს, თავისთვის კი გულ-ღვიძლს შესწავადნენ, ნადირის თავს მოხარშავდნენ, ილოცავდნენ და იქვე შეექცეოდნენ. განსაკუთრებით არიდებდნენ ქალებს ნადირის გულ-ღვიძლსა და თავს. მის ძვლებსაც კი კოშკის ბნელ კუთხეში დაყრიდნენ, რადგან ამ ნაწილებს რომ ქალმა თვალი მოჰკრას, ნადირობისათვის ძალიან ცუდიაო².

1936 წლის ივლისის 16. სოფელი თავრარი.
მონარობელი 54 წლის მამარბე ცინ დე ღ ი ა ნ ი.

¹ ჭეთხშაღ-ს ძროხებსა და ხარებს ეძახიან.

² მონადირეების წესჩვეულება აღწერილია ამავე თემის სოფელ ცალერში 1931 წლის ზაფხულს.

გ) ფარში.

კ ტ ი მ ტ ვ რ . ორი-სამი დღე ახალწლის შემდეგ კვიმატიან დღეებად იყო მიჩნეული. ამ დღეებში სვანები რკინეულს ხელს არ ახლებდნენ და მუშაობასაც ერიდებოდნენ. კტიმტვრ-ის განმავლობაში სრულდებოდა შიში ლიფშუდე: მეზობლები ერთმანეთში მიდი-მოდიოდნენ და ერთი მეორეს ფქვილსა და ვერცხლის ფულს უცვლიდნენ.

კტიმტვრ-ის პირველ დღეს ქალები გადაიხდიდნენ ე. წ. დულაი ლიმზერ-ს. დულამ ეწოდებოდა წესჩვეულებას, რომლის მიხედვით ქალები მამაკაცებისაგან ფარულად ყველიან კვერებს გამოაცხობდნენ და შესჭამდნენ. კტიმტვრ დღეს დულაი ლიმზერ-ი შემდეგნაირად სრულდებოდა: ოჯახის ქალები, დიდი და პატარა, კა-კერ-ის პირად შეჯგუფდებოდნენ, ხოლო მამაკაცები ამ დროს სვირ-ს სტოვებდნენ და გარეთ გადიოდნენ. სახლის უფროსი ქალი, დიხსალ-ი, ფეტვის ფქვილს ჩაჰყრიდა ადუღებულ წყალში, შიგ ბლომად ყველს ჩასთლიდა და ყველაფერ ამას ერთად ზელდა იმდენ ხანს. ვიდრე ფაფა არ შეიკვროდა და გაწელვას არ დაიწყებდა. ამის შემდეგ ქვაბს ცეცხლიდან გადმოღვამდნენ, მიაჩოჩებდნენ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან. იქ დიასახლისი მიწაზე წალმა დაატრიალებდა და შესწირავდა ბარბოლ-ის სახელზე, რომელსაც მეწველი საქონლის გამრავლებას და წველის ბარაქას ევედრებოდა. ლოცვის გათავების შემდეგ ფაფას დაინაწილებდნენ და შეექცეოდნენ. ამ ფაფას მამაკაცები ლზიდ-ს, ხოლო ქალები ყურტმა-ს ეძახდნენ.

1936 წლის ივლისის 23. სოფელი ფარი. მთხრობელი
86 წლის ვიბლიან ვიბლიანის ძე ვიბლიანი.

დ) ეცერში

კ ტ ი მ ტ ვ რ . ახალწლის შემდეგ პირველი სამი დღე სულ კვიმატიანი დღეები იყო, ამიტომ ამ დღეებში ხალხი არ მუშაობდა, თუ მაინცაღამიანც გააკეთებდა რაიმეს, ისევ ნაკელის ყანებში გადატანას არჩევდა. კანდა დღიდან მოყოლებული ადგომ-ამდე (5 იანვრამდე) მეზობელი მეზობლის სახლში ისე არ შევიდოდა, რომ თან წერკუტა არ შეეყოლებინა. პირველად მისულ სტუმარს მასპინძელი კანდა დღიდან შენახულ პუხტვრ-ს შეაგებებდა და ისინი ერთმანეთს ლიშაშელ-ის წესს შეუსრულებდნენ.

კტიმტვრ-ის დღეებში ეზოში შენახული გულ-ი სახლებში შეჰქონდათ და გასახმობად მას შვილ-ზე შედებდნენ.

1936 წლის ივლისის 31. სოფელი ისკარი.
მთხრობელი 61 წლის დემეტ გვრლიანი.

ე) ცხუმარში და ბეჩოში

კ ჭ ი მ ტ ა რ . კანდა-დან დაწყებული ადგომ-ამდე კვიმატიან დღეებად ითვლებოდა და ამიტომ ხალხი ამ დროის განმავლობაში არ მუშაობდა. ამბობდნენ, ეშმაკს შეშურებია ხალხისთვის ახალწლის ბედნიერი დღეები და ისინი კვიმატიან დღეებად უქცევიანო. ამიტომ იყო, რომ ეშმაკის საწინააღმდეგოდ ახალწლის მეორე დღეს დილიდან საღამომდე სვირ-ის სარკმელზე ჯამით წყალს დადვამდნენ, — ეშმაკი რომ შემოძერეს, წყალში ჩავარდება და დაიხრჩობაო.

კ ჭ ი მ ტ ა რ -ის პირველ დღეს, დილის საუზმის შემდეგ, მამაკაცები რაიმე საქმეს მოიმიზეზებდნენ და სახლიდან წავიდოდნენ. ამ დროს ოჯახში დარჩენილი ქალები კერიის პირად შეჯგუფდებოდნენ, დიხსალ-ი გამოაცხოზდა დამსწრეთა სულზე თითო ცალ ყველიან ლემზირ-ს, წაიღებდა მათ სვირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ილოცავდა ბარბოლ-ის და ლამპრია-ს სახელზე, რომელთაც ევედრებოდა მეწველი საქონლის გამრავლებას, ქალების კეთილდღეობას და მათი ნახელარის ბარაქას. ლოცვის შემდეგ შეწირულ კვერბს დაანაწილებდნენ და შეექცეოდნენ.

1936 წლის აგვისტო. სოფელი სუფი და უშხვანარი.
მთხრობლები 63 წლის დიმიტრი ჯ ა ჭ ვ ლ ი ა ნ ი
და 51 წლის ამაიხ კ ვ ი ც ი ა ნ ი.

B. ბ ა ლ ს ზ ე მ ო ტ

ვ) ლ ა ტ ა ლ შ ი

კ ჭ ი მ ტ ო ბ - ი ახალწლის მეორე დღეს ერქვა. ის მეტად უკუღმართ დღედ მიაჩნდათ და ამიტომ ერიდებოდნენ ამ დღეს ახალი საქმის დაწყებას, ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, სახლიდან რისიმე გატანა-განათხოვრებას. რაც უნდა კარგი დღე იყოს კ ჭ ი მ ტ ო ბ -იო, ამბობდნენ მოხუცები, მას აუცილებლად ცუდი მთვარე დაეწვევა და დღეს გააფუჭებსო. მაინც კარგი იყო თუ კ ჭ ი მ ტ ო ბ -ს 9 ან 7 დღის მთვარე შეხვდებოდა. ამ დღეს გარეკავდა საქონელს წყაროზე ის პირი, რომელმაც მათ ზომბა დღეს წყალი დაალევინა. სვანების რწმენით, კ ჭ ი მ ტ ო ბ -ის განმავლობაში რომელიღაც ერთი წუთი ბედნიერი იყო, მაგრამ როდის დგებოდა ეს წუთი ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდაო.

ქალები ამ დღეს ე. წ. გიმი ლიმზურ-ს აწყობდნენ — სადილის შემდეგ მამაკაცები გავიდოდნენ სახლიდან გარეთ და მარტო ქალებს დასტოვებდნენ. მერბიელ-ი გამოაცხოზდა სამს ან მეტ ცალ ლემზირ-ს, შემდეგ კა-კერ-ის მარჯვენა ფეხ-

თან ცალ მუხლს მოიყრიდა, ლემზირ-ებს კერიის ფეხის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა და თან ასე ილოცავდა:

„კუმიტობა ლამაზია, ხოჩა ზაზი ლი-
ცნაღლ ნაყრ, თეთნაღ ენურდუინ ზუ-
ჩალაზრ“.

კვიმატობის ლამაზია, კარგი წლის
შეცვლა გვიქენი, თეთრად¹ გვიმყო-
ფე ქალები.

შემდეგ შეწირულ ლემზირ-ებს დამსწრეთ ჩამოუყრიებდა და ყველანი მათ აქვე შეექცეოდნენ. თუ ოჯახში „უწმინდური“ (თვიურნიანი) ქალი ვინმე იყო, მაშინ ამ დღეს კერიაში ცეცხლს ვერ დაანთებდნენ და ვერაფერს ვერ გამოაცხობდნენ, გარდა გიმი ლიმზირ-ის კვერებისა.

1935 წლის აგვისტოს 18. სოფელი ლახუზდი და იენაში.
მთხრობლები 97 წლის ბასლი ჩამგელიანი და 47
წლის ქვერიჯა ფარჯიანი ს.

ხ) ლენჯერში

კუმატ. ახალწლის მეორე დღე მეტად კვიმატიანია და ამიტომ ამ დღის ნამუშევარი არ ვარგაო, — ამბობდნენ სვანები და ამიტომ ამ დღეს არ მუშაობდნენ.

კუმატ დილას ლენცელ-ზე და სადილად ლაშხაშალ-ები თავ-თავის მეხელ-ის ოჯახში იკრიბებოდნენ და სმა-ჭამა-ქეიფში ატარებდნენ დროს; სალამოს კი ყველა საკუთარ ოჯახს უბრუნდებოდა და იქ ივახშმებდა. ვახშმობის დროს ოჯახის მენენ-ი ანუ მუნუნალ-ი (საქონლის მკვებავი) ახალწლის მუჟელტ-ს შეექცეოდა. ეს მუჟელტ-ი მხოლოდ მას ეჭმეოდა, სხვას არავის.

1936 წლის აგვისტოს 29. სოფელი ლემსია.
მთხრობელი 70 წლის ვიგო შუკვანი.

ც) მესტიაში

კუმატ-ს უქმე არ იყო, მაგრამ სვანები არ მუშაობდნენ, რადგან ამ დღის ნამუშევარი წყალში გადაყრილად მიიჩნდათ. თუ მაინცადამაინც ოჯახში აუცილებელი სამუშაო იყო რაიმე, იმას წინ დღით, ახალწელს, გააკეთებდნენ და არა კუმატ დღეს. საერთოდ, ზომბა დღეს, მეტადრე თუ ის ახალ მთვარეს შეხვდებოდა, ძალიან კარგი იყო ყოველგვარი მუშაობის დაწყება. კუმატ-ს კი არც მგზავრობა ვარგოდა, არც ლიშიაშალ-ი, ე. ი. ისეთ მეზობელთან გადასვლა და ხელის ახსნა, რომელთანაც სვანი წინა დღეს არ ყოფილიყო. ეს დღე ძალიან ცუდი, კვიმატიანი დღე არისო და ამიტომ ერიდებოდნენ ყველაფერს

¹ ე. ი. კარგად, მზიარულად.

და ყველას, შიშობდნენ—ფათერაკს არ შევეყაროთო. წლის განმავლობაში ექვსი დღე მიაჩნდათ ასეთი კვიმატიანი. მაგრამ ამ ერთი დღის (კუმბტ-ის) გარდა, რომლის მოდიოდა დანარჩენი ასეთი დღეები არავინ იცოდა.

1936 წლის ივლისის 7. სოფელი სეტი.

მთხრობელი 60 წლის ტარასი ნაკანი

თ) მულახში

ახალწლის მეორე დღეს ნანკ-ი, ანუ კ ტ ი მ ტ ა რ - ი ეწოდებოდა. ამ დღეს სვანები ძალიან ერიდებოდნენ თავის ეზოდან გასვლას და არც რაიმე ახალ საქმეს წამოიწყებდნენ, რადგან ეს დღე კვიმატიანი და მეტად უკუღმართი არისო. თუ ნანკ-ს კარგი მთვარე შეხვდებოდა, სვანი მარხილში ხარებს შეაბამდა, წავიდოდა ტყეში და იქიდან კვირტიანი (ფურ-იანი) ნაძვის ხე მოჰქონდა, — ამან საქონლის გამრავლება და მოსავლიანობა იცისო. როცა სვანი თავისი ხარებით შინ დაბრუნდებოდა, ალაყაფის კართან მერბიელ-ი მარჯვენა მხრიდან მუჟელტუ-ს შეაგებებდა და ეტყოდა:

„ხოჩა ზადი ლიცნაღლ ჯარხ მუშად
განს ი მწრა უმარცხუდ!“

კარგი წლის შეცვლა გქონდეთ მუშა
ხარს და ადამიანს უმარცხოლ!

შეგებებულ მუჟელტუ-ს მხარე დაანაწილებდა იმდენ ნაჭრად, რამდენიც ოჯახში მამაკაცი იყო და მათ ჩამოუტრივებდა; ქალებს მუჟელტუ-ის ქამის უფლება არ ჰქონდათ.

სვანის ფიქრით, ამ დღეს ნანკ-ი რამდენიმე ხნით ოჯახშიაც კი შევიარდებოდა. თუ ნანკ-ი ცუდ მთვარეს დაემთხვეოდა ტყიდან ნაძვის მოტანას იმ დროისთვის გადასდებდნენ, როცა კარგი მთვარე იქნებოდა, ხოლო კარგ მთვარედ გარკვეული ხნოვანების მთვარე მიაჩნდათ.

1935 წლის აგვისტოს 23. სოფელი კოლაში.

მთხრობელი 74 წლის ემა გუჯეჯიანი

ი) იფარში

ნანკ. ახალწლის მეორე დღეს, სვანების აზრით, არც მუშაობა და არც სადმე წასვლა არ ვარგოდა, რადგან ეს დღე მეტად მანკიანი იყო. ამიტომ სვანები ამ დღეს თავთავის ოჯახებში ისხდნენ და ღროს უქმად ატარებდნენ.

1936 წლის აგვისტოს 15. სოფელი ნაკიფარი.

მთხრობელი 80 წლის სოზარ გულბანი

იბ) კალაში

ა. ხალდეში

კ ტ ი მ ტ . ახალწლის მეორე დღეს ლ ა ლ ტ ჯ ხ ა -საც უწოდებდნენ, რად-გან ამ დღეს ლასკარ-ები თავ-თავის მეზომან-ის ოჯახში ბრუნდებოდნენ და დილიდან საღამომდე სმა-ჭამა-ჭეიფში ატარებდნენ დროს. კერძო ოჯახებში (და მეზომან-ის ოჯახში ლასკარ-ის წევრების გარდა) გარეშე პირების სტუმრობა ამ დღეს მიღებული არ იყო.

1935 წლის აგვისტო. სოფელი ხალდე.
მთხრობელი 52 წლის სიმონ გასვიანი.

ბ. დავებში

კ ტ ი მ ტ - ი ანუ ლ ა ლ ტ ჯ ხ ა ახალწლის მეორე დღეს ეწოდებოდა. ამ დღეს ლასკარ-ი კვლავ თავს იყრიდა მორიგე მოსკარ-ის ოჯახში საჭმელ-სასმე-ლად და დროს გასატარებლად. თუ მოსკარ-ს არაყი გადაჩეობდა, ზომხას მე-სამე დღესაც ლალტჯხა იყო, ე. ი. ლასკარ-ი ისევ ესტუმრებოდა მორიგეს და დი-ლიდან საღამომდე ჭეიფობდნენ.

1936 წლის აგვისტოს 26. სოფელი დავებრი.
მთხრობელი 85 წლის მარშან მარგველანი.

გ. ვინაშე მოახალშენებ შორის დაღში (აფხაზეთში).

კ ტ ი მ ტ . ახალწლის მეორე დღეს ხალხი არ მუშაობდა და არც სტუმ-რად წავიდოდა სადმე, — კვიმატიანი დღე არისო და ერიდებოდნენ ცუდი არა-ფერი დაეიბედოთო.

1933 წლის ზაფხული. სოფელი აჯარა. მთხრო-ბელი 40 წლის იულონ ხარძიანის ძე ხარძიანი.

იგ) უშგულში

კ ტ ი მ ტ . ახალწლის მეორე დღე, ხალხის აზრით, მეტად კვიმატიანი იყო. ამიტომ კუმბტ-ს რკინეულს ხელს არ ჰკიდებდნენ, სამუშაოზე არ გადიოდნენ და ის პირები, რომელთაც ლიშიაშწლ-ი გადახდილი ჰქონდათ, თავ-თავის სახლებში ისხდნენ მთელი დღის განმავლობაში. მხოლოდ იმ ოჯახის წევრები, რომლებთა-ნაც ზომხას-ს ქამე მეჭმე არ მისულიყო და ლიშიაშწლ-ი არ შეესრულებინა, ახალ-წლის შემდეგ პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მეზობლებთან დადიოდნენ.

და იქ ხელს იხსნიდნენ. ასეთ პირებს მასპინძელი შეაგებებდა და ხელში გადასცემდა წერეჭუტ-ს, მარილს, სანთელს, ფეჭვილს ან სხვა რაიმეს და თან დალოცავდა. ლიში-აშშლ-ის გადახდამდე სენანები საერთოდ სამუშაოს ხელს არ მოჰკიდებდნენ ხოლმე.

1936 წლის, აგვისტოს 20. სოფელი უიბიანი.
მთხრობელი 80 წლის ივანე ხაკუცანი.

C. კვამო სვანეთში

იდ) ლენტეხში

ლი შ ი ა შ ა ლ-ი ახალწლის მეორე დღეს ეწოდებოდა. შინაურ მეკვლეს (ქორა მეჭუხი-ს), ამ დღეს სხვის ოჯახში ხელი უნდა აეხსნა¹. ის მიდიოდა მეზობლებთან, სადაც მას ღორის ხორცს და პურის ფეჭვილს, ნაჭუხირა-ს შეაგებებდნენ, ხელს მოაკიდებინებდნენ მათ და დალოცავდნენ. ეს ნაჭუხირა იყო საახალწლო პურის ფეჭვილი, რომელიც ნათლისღებამდე ინახებოდა და რომლისგანაც ნათლისღება დღეს ლემეხირ-ებს აცხოვდნენ. ნაჭუხირა-საგან გამომცხვარ ლემეხირ-ებს მხოლოდ ნაგვირგვინევი კაცები შესჭამდნენ; ისინი არ შეეჭმეოდა არც ქალებს, არც ბავშვებს და არც უცოლშვილო კაცებს. ასევე ნათლისღებამდე ინახებოდა კალანდა-ს ფუსტა ლემეხირ-ი, რომელსაც ამ დღეს მხოლოდ სახლის უფროსი მამაკაცი შესჭამდა.

1934 წლის ზაფხული. სოფელი ზემო-ლექსურა და ფაყი.
მთხრობლები 76 წლის სიმონ ლიპარტელიანი და
52 წლის საბედ ლიპარტელიანი.

¹ ლაშნეთში და ჩოღღურშიც ახალწლის მეორე დღეს ლი შ ა ა შ ა ლ ლ ა დ ე ლ-ი ეწოდებოდა. ამ დღეს მეზობლები ერთმანეთში მიდი-მოდიოდნენ და ლიშაშშ-ს ასრულებდნენ. ხელის ახსნის წესჩვეულების შესრულება ახალწლის შემდეგ სამი-ოთხი დღის განმავლობაში იცოდნენ.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ¹

1. დ ლ ე ო ზ ა ნ ი ²

ა დ გ ო მ (5 იანვ.) „ადგომა“, დიდი მარხვა და უქმე (ზ.-სვ., ქვ.-სვ.), ლიფანა-
ლ-ის პირველი დღე (ზ.-სვ.) 147, 34; 179, 27; 180, 2.

ბ ა რ ბ ლ ა შ (ქვ.-სვ.), ა შ (ბ.-ზ.) ბარბალობა, ახალი წლის თავ-დღეობა (4 დეკ.)
1, 1; 9—20. პარალელური სახელია:

ბ ა რ ბ ო ლ (ბ.-ქვ.) 1—9; 46, 20.

ბ ა რ ბ ლ ა შ უ ი დ ი ლ „ბარბაღეს და“, ბარბალობის მეორე დღე 3—6, 38.

ბ ა რ ბ ო ლ ნ. ბარბლაშ.

ბ ი ხ ო ბ (ბ.-ზ.) „ბიხოზა“, ახალი წლის დასაწყისი დღე (14 აგვ.) 10, 3. პა-
რალელური სახელია:

ლი რ ს კ ე ნ ა ლ (ბ.-ქვ.) „რაწკუნ-კაკუნი“ (რაიმე რკინეული იარაღის
დარტყმისაგან).

ბ ო მ ბ ღ ა ლ ე თ (ჩუბ.) „ბომბლას ლამე“, ახალწლის საღამო 127, 29.

გ ა ნ ც ხ დ ა შ (6 იანვ.) „განცხადება“, წყალკურთხევა 160, 2.

დ ა დ უ ბ რ ე ც ა შ „დედლები ხუთშაბათი“, ქალების დღეობა დარუენსგა-ს;
ხუთშაბათს 62—63.

ე შ ხ ტ ა შ ნ. დეშხტან.

ზ ო მ ხ ა (ბ.-ზ., ლაშხ., ჩოლ.) (— ზ ა დ მ ა ხ ე „ახალი წელიწადი“), ახალწე-
ლიწადი (1 იანვ.) 10, 5; 11, 19; 15, 4; 39, 33; 64, 11; 71, 6; 72, 10;
74, 10; 90, 19; 91, 24; 100, 4; 104, 31; 109, 21; 120, 1; 138—170
171—35, 36; 180, 28; 181, 27; 183, 29. პარალელური სახელებია:

¹ პირველი ციფრი აღნიშნავს გვერდს და მძიმით გამოყოფილია სტრიქონის აღმნიშვნე-
